

657.15(075.8)  
6-13

ლ. საბაური ნ. კვატაშიძე

# შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში

აღრიცხვა  
ანალიზი  
აუდიტი

Accounting  
Analysis  
Auditing

634.13(075.8)  
6-13

ლ. საბაური ნ.კვატაშიძე

# შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
კაბინეტის დადგენილება № 139  
1997 წლის 12 თებერვალი

94059  
№

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

### **ავტორები:**

**ლევან საბაური -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის პროფესორი (პირველი, მეორე და მეექვსე თავები).

**ნადეჟდა კვატაშიძე -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის ასოცირებული პროფესორი (მესამე, მეოთხე და მეხუთე თავები).

### **სამეცნიერო რედაქტორი:**

**ლევან საბაური -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის პროფესორი.

### **რეცენზენტი:**

**დავით მჭედლიძე –** ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

სახელმძღვანელო მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მეორე გამოცემა.

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს გადაბეჭდილი, გავრცელებული ან გამოქვეყნებული ელექტრონული, ფოტოგრაფიული, მექანიკური ან რაიმე სხვა საშუალებით გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© შპს „Print Office“

© ლ.საბაური ნ.კვატაშიძე

ISBN 978-9941-8-2046-5

UDC (უაკ) 657.15

ს-131

The textbook is intended for the university and VET students as well as for other interested people.

**AUTHORS:**

**Levan Sabauri** – Professor at the Department of Accounting, Analysis and Auditing, Iv. Javakhishvili Tbilisi State University (1st, 2nd, and 6th chapters).

**Nadezhda Kvatashidze** – Associate professor at the Department of Accounting, Analysis and Auditing, Iv. Javakhishvili Tbilisi State University (3rd, 4th, and 5th chapters).

**SCIENTIFIC EDITOR:**

**Levan Sabauri** – Professor at the Department of Accounting, Analysis and Auditing, Iv. Javakhishvili Tbilisi State University.

**REVIEWER:**

**David Mchedlidze** – Acting Director of SARAS

The textbook was prepared based on the decision of the publishing council of the Economics and Business Faculty at Iv. Javakhishvili Tbilisi State University.

Second edition.

All rights reserved. No part of this book can be reproduced, distributed or published in any form including electronic, photocopying, mechanical or any other method without the prior permission of the publisher.

© Publisher Ltd. Print Office

© L. Sabauri N. Kvatashidze

ISBN 978-9941-8-2046-5

UDC (უბკ) 657.15

b-131

# წიგანის ტექსტობა

სახელმძღვანელო - „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში“ - შექმნილია საბაკალავრო პროგრამით გთვალისწინებული კურსისათვის „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში“. სახელმძღვანელოში ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ 2020 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გთვალისწინებით. კერძოდ, განხილულია შემდეგი საკითხები: ფინანსური აღრიცხვის მიზანი, არსი, რეგულირება და პროფესიული ეთიკა; ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, ელემენტების აღიარების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები; ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები და ბიზნეს-ტრანზაქციების სრული სააღრიცხვო ციკლი; ფინანსური ანგარიშგების ზოგადი ანალიზი.

ავტორები მადლობას უხდებიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის ყველა წევრს სახელმძღვანელოს შექმნაში შეტანილი წვლილისათვის.

## FOREWORD

The Textbook - "Introduction to Financial Accounting" – is created for the BA course "Introduction to Financial Accounting". All the topics discussed here include the amendments approved for 2020 by the International Accounting Standards' Board. Namely, the following topics are discussed: purpose, base, regulations and professional ethics of financial accounting; components of financial accounting, criteria for the elements' recognition and assessment methods; principals of the preparation of the financial accounting and the full cycle of a business transaction; general analysis of financial reporting.

Authors express their gratitude towards the members of the Accounting, Analysis and Auditing department at the Iv. Javakhishvili Tbilisi State University, who contributed to the textbook creation.

# სარჩევი

## თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან

### საინფორმაციო სისტემაში \_\_\_\_\_ 7

- 1.1 ფინანსური აღრიცხვა, მისი მიზანი და როლი ბიზნესში \_\_\_\_\_ 7
- 1.2 სანარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები \_\_\_\_\_ 10
- 1.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები \_\_\_\_\_ 22
- 1.4 ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა \_\_\_\_\_ 27
- 1.5 ფინანსური აღრიცხვის რეგულირება \_\_\_\_\_ 34
- 1.6 აუდიტი \_\_\_\_\_ 35
- 1.7 პროფესიული ეთიკა \_\_\_\_\_ 39
  - კითხვები განხილვისათვის \_\_\_\_\_ 46

## თავი 2. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი დახასიათება \_\_\_\_\_ 48

- 2.1 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და ელემენტების დახასიათება \_\_\_\_\_ 48
- 2.2 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების კლასიფიკაცია \_\_\_\_\_ 72
- 2.3 ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპონენტების მიხედვით \_\_\_\_\_ 77
  - ტესტები \_\_\_\_\_ 90
  - კითხვები \_\_\_\_\_ 93
  - სავარჯიშოები \_\_\_\_\_ 94
  - ამოცანები \_\_\_\_\_ 101
  - სიტუაციური ამოცანები \_\_\_\_\_ 107

## თავი 3. ფინანსური ანგარიშგების ელემენტები, მომზადების

### პრინციპები და ინფორმაციის ხარისხობრივი

### მახასიათებლები \_\_\_\_\_ 109

- 3.1 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება \_\_\_\_\_ 110
- 3.2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები \_\_\_\_\_ 124

3.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები _____	139
კითხვები განსჯისათვის _____	159
სიტუაციური ამოცანები _____	161
<b>თავი 4. ტრანზაქციების ანალიზი და მათი ჩანერა _____</b>	<b>171</b>
4.1 ტრანზაქციები და სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობა _____	172
4.2 ტრანზაქციების ჩანერა ანგარიშებში _____	181
4.3 ტრანზაქციების ჩანერა მთავარ ჟურნალსა და მთავარ წიგნში _____	198
კითხვები განსჯისათვის _____	215
სავარჯიშოები _____	218
სავარჯიშოების პასუხები _____	309
<b>თავი 5. ფინანსური ანგარიშგების მოსაზრადებელი ეტაპები _____</b>	<b>230</b>
5.1 საცდელი ბალანსი და მისი მნიშვნელობა _____	231
5.2 შაკორექტირებელი გატარებები და სააღრიცხვო ციკლის დასრულება _____	241
კითხვები განსჯისათვის _____	257
სავარჯიშოები _____	259
სავარჯიშოების პასუხები _____	343
<b>თავი 6. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი ანალიზი _____</b>	<b>270</b>
6.1. ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი _____	274
6.2. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი _____	278
6.3. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტური ანალიზი _____	282
ამოცანები _____	298
ამოცანების პასუხები _____	360
<b>გამოყენებული ლიტერატურა _____</b>	<b>305</b>

1.1 ფინანსური აღრიცხვის როლი როგორც საინფორმაციო სისტემების

- 1.2 საწარმოთა ინფორმაციულ საშუალებების ფორმები
- 1.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები
- 1.4 ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა
- 1.5 ფინანსური აღრიცხვის რეგულირება
- 1.6 აუდიტი
- 1.7 პროფესიული ეთიკა
- » ვითხვები განსჯისათვის

## 1.1 ფინანსური აღრიცხვა, მისი მიზანი და როლი ბიზნესში

თანამედროვე ფინანსური აღრიცხვა აღიარებულია არა მარტო ბიზნესის მართვისა და კონტროლის საშუალებად, არამედ ამოსავალ მონაცემთა ერთობლიობადაც და მომავლის პროგნოზირების საფუძვლადაც. ფინანსური აღრიცხვიდან ხელმძღვანელები იღებენ ინფორმაციას მათი კომპანიების ფინანსური მდგომარეობისა და განვითარების შესახებ და შესაბამისად, წარმართავენ დაგეგმვის, ოპერაციების მართვისა და გადანაცვებების მიღების პროცესებს. მაშ, რა არის ფინანსური აღრიცხვა, თუ მისი ინფორმაცია არის ბიზნესის მართვის საფუძველი? რა/როგორ ინფორმაციას ამზადებს ფინანსური აღრიცხვა და ვისთვის? რა ადგილი უკავია მას ყოველდღიურ ცხოვრებაში?

ფინანსური აღრიცხვის ყოველდღიური მნიშვნელობისა და აქტუალობის შესახებ შეგვიძლია მოვიხმოთ მარტივი მაგალითი.

## საილუსტრაციო მაგალითი 1.

გიორგის ნებისმიერი სხვა სტუდენტის მსგავსად უყვარს კომპიუტერი, ასევე მოსწონს საზოგადოებასთან ინტერაქტიური ურთიერთობაცა და სხვების დახმარებაც. ამ ზაფხულისათვის გიორგიმ გადაწყვიტა ერთმანეთისთვის შეეთავსებინა მისთვის სასურველი ეს ორი საქმიანობა, რაც მოხუცებულთა თავშესაფარში მუშაობით გამოიხატა. მისი იდეა ხანშიშესულ ადამიანებთან სემინარების ჩატარება იყო, რომ ისინი უფრო აქტიურად ჩაერთონ ყოველდღიურ ცხოვრებაში და კავშირი ჰქონდეთ გარე სამყაროსთან ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით. მოხუცებულთა ცენტრის დირექტორს ძალიან მოეწონა გიორგის იდეა და ამ მომსახურებაში საზღაურის გადახდასაც დათანხმდა. გადაწყდა ცენტრში ვიზიტებისას გიორგი ასწავლიდა და აუხსნიდა ხანშიშესულ ადამიანებს პლანშეტების გამოყენებას.

გიორგის თვითონაც მოსწონდა ეს შესაძლებლობა და თან ფიქრობდა, რომ უნივერსიტეტში სწავლის ფულსაც შეაგროვებდა. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცებულთა ცენტრი მას სწავლების ღირებულებას უხდიდა, გიორგი ხვდებოდა, რომ პლანშეტების შესაძენად მეტი ფული დასჭირდებოდა და ამ ხარჯების დაფარვის გზებზე ფიქრობდა. მისმა მეგობრებმა, რომელიც ბანკში მუშაობს, ურჩია გიორგის, რომ მცირე სესხი აეღო პლანშეტების ხარჯების დასაფარავად და შემდეგ ეს სესხი მიღებული შემოსავლიდან დაეფარა. გიორგის იდეა კი მოეწონა, მაგრამ დააფიქრა მეგობლის ნათქვამმა, რომ ასეთ შემთხვევაში მას მოუწევდა ყოველთვიური ფინანსური ინფორმაციის წარდგენა ბანკში. მართალია, გიორგის უყვარს ტექნოლოგიები და მოსწონს, სხვებს რომ ეხმარება, მაგრამ ამავე დროს იგი ვერ ერკვევა - რა ფინანსური ინფორმაციაა წარსადგენი. მისთვის უცნობია - როგორ მზადდება ან ვინ ამზადებს ფინანსურ ინფორმაციას. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ მეტი გაეგო ფინანსური აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ. სთხოვა თავის მეგობარს, დათოს, რომელიც ფინანსურ აღრიცხვას სწავლობს უნივერსიტეტში, აეხსნა მისთვის - რა არის ფინანსური აღრიცხვა და რა კავშირშია ის ფინანსურ ინფორმაციასთან. დათომ უთხრა, რომ ფინანსური აღრიცხვა არის „ბიზნესის ენა“ და რაც უფრო უკეთესად გესმის ეს ენა, მით უფრო უკეთ შეგიძლია საკუთარი ფინანსების მართვა.

ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება ფინანსური ანგარიშგებიდან. ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდება ბუღალტრების მიერ. დოკუმენტური სახით ბიზნეს-ინფორმაციის მიღება აღრიცხვის გარეშე ისევე შეუძლებელია, როგორც სხვადასხვა ბიზნეს-ინფორმაციის ანალიზი აღრიცხვის გარეშე. ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის საბოლოო შედეგს წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ყველაზე საიმედო აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბება.

გარემო, რომელშიც ფინანსური აღრიცხვა ოპერირებს, ცნობილია, როგორც ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა (ხშირად მას სააღრიცხვო სისტემასაც უწოდებენ).

### ფინანსური აღრიცხვა

არის საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება საწარმოს საქმიანი აქტივობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მონაცემების დამუშავება, შეფასება, რეგისტრაცია და ანგარიშგების წარდგენა დაინტერესებული პირებისათვის

ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა აგროვებს და ამუშავებს მონაცემებს ტრანზაქციების შესახებ, შემდეგ კი ავრცელებს დაინტერესებულ მხარეებს შორის ფინანსური ანგარიშგების სახით. ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემები შესაძლებელია განსხვავდებოდეს დარგების (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა და ა.შ) მიხედვით. აღნიშნული საინფორმაციო სისტემა ფორმირდება ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორებიცაა: ბიზნესისა და გარიგების შინაარსი, რომელშიც ის მონაწილეობს; საწარმოს კატეგორია (მცირე, საშუალო, მსხვილი); მონაცემების დამუშავების მოცულობა და იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მზადდება ხელმძღვანელი პირების მოთხოვნით.

ილუსტრაცია. 1.1 ფინანსური აღრიცხვის როლი და მიზანი

ფინანსური აღრიცხვა არის სისტემა, რომლითაც გროვდება ინფორმაცია ბიზნეს-გარიგების შესახებ

ფინანსური აღრიცხვის როლი - სააღრიცხვო ინფორმაციისა და მომხმარებელთა მსჯელობის საფუძველზე გადანყვეტილებების მიღება

ფინანსური აღრიცხვის მიზანი - ფინანსური ანგარიშგების მომზადება



სანარმოს მენეჯერის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილის მიღება ხდება სააღრიცხვო მონაცემებიდან. ამ მონაცემების ანალიზი და გამოყენება მენეჯერებს ეხმარება დასახული მიზნების მიღწევაში.

ფინანსური აღრიცხვის შესწავლით შესაძლებელია:

1. სააღრიცხვო მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული სამეურნეო საქმიანობის ტიპებისა და მეთოდების დაუფლება;
2. სააღრიცხვო ინფორმაციის გადამუშავება და შედეგების განზოგადება ფინანსური ანგარიშგების სახით.

გარდა ამისა, ხშირ შემთხვევებში მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა შეზღუდვები მოქმედებს სააღრიცხვო მონაცემების მიმართ. ამდენად, სააღრიცხვო მონაცემებად ითვლება ყველა მონაცემი, რომელთა საფუძველზეც მზადდება ფინანსური ანგარიშგება.

ამავე დროს, ერთ-ერთი განმარტების თანახმად, ფინანსური აღრიცხვა არის ფინანსური მონაცემების ჩაწერის, კლასიფიცირების, ანგარიშგების მომზადებისა და ინტერპრეტაციის პროცესი, რამდენადაც ბუღალტრებისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ სააღრიცხვო პროცესის ჩაწერისა და კლასიფიცირების მყარი ცოდნა. ბუღალტრები ყურადღებას უმეტესწილად ამახვილებენ მონაცემთა მნიშვნელოვანი შედეგების განმარტებებზე.

ფინანსური აღრიცხვა მნიშვნელოვნად განვითარდა მისი თავდაპირველი ინტუიტიური საწყისებიდან. დღეისათვის იგი მეტად მკაცრად რეგულირდება და კონტროლდება; პრაქტიკულად მას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული პროცედურები ტრადიციული ფინანსური აღრიცხვის ყველა ამოცანისათვის.

## 1.2 სანარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები


საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრაქტიკულად ყველა გარიგება, რომელიც ბიზნესში შედგება, შემოსავლებსა და ხარჯებს უკავშირდება. სწორედ ამ მოქმედებებისა და ტრანზაქციების რაოდენობრივი შეფასება წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვის ერთ-ერთ ფუნქციას. ასევე, ზოგადად ბიზნესში და, კერძოდ აღრიცხვაში, აუცილებელია, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სამენარმეო იურიდიული პირ(ებ)ი და მესაკუთრე ფიზიკური პირ(ებ)ი. კომპანიების მფლობელების, თანამშრომლებისა და კომპანიებთან დაკავშირებული სხვა მხარეების პირადი ოპერაციები არ უნდა იქნას შეტანილი ამ კომპანიების ორგანიზაციულ ფაილებში; ამ პრინციპს ეწოდება *სანარმოს ბიზნეს-კონცეფცია*. საბუღალტრო ჩანაწერებში ასახული უნდა იყოს მხოლოდ კომპანიის ოპერაციები.

ამგვარი მიზნობრივი განსხვავება აისახება აგრეთვე ბიზნესის სამართლებრივ სტრუქტურაზე. არსებობს კომპანიების რამდენიმე სამართლებრივი ფორმა. რაც შეეხება ფინანსური აღრიცხვის კონცეფციას, იგი არსებითად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის ყველა ბიზნესისათვის, მათი სამართლებრივი სტრუქტურის (ფორმის) მიუხედავად. ტერმინოლოგია კი

მხოლოდ მცირედით იქნება დამოკიდებული კომპანიების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე და, ამდენად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მათ შორის განსხვავებები.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულია სანარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. ესენია: ინდივიდუალური მენარმე; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს); კომანდიტური საზოგადოება (კს); შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს); სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია); კოოპერატივი (იხ.ილუსტრაცია 1.2).

ილუსტრაცია 1.2



ინდივიდუალური მენარმის ანგარიშგება კაპიტალის სტრუქტურის ყველაზე მარტივ მაგალითს წარმოადგენს. მაგრამ იმის მიუხედავად, კაპიტალი ერთ პირს ეკუთვნის, ათ პარტნიორს თუ მილიონ აქციონერს, ძირითადი პრინციპების ინტერპრეტირება მაინც ერთი და იგივე იქნება. ის, რაც მფლობელების რაოდენობის ზრდისას მოითხოვება, არის სააღრიცხვო ინფორმაციის უფრო ფართოდ წარდგენა.

ახლა განვიხილოთ კაპიტალის სტრუქტურის ცვლილება სანარმოს მფლობელთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში და მისი გავლენა სააღრიცხვო ინფორმაციაზე.

### **ინდივიდუალური მენარმე (individual entrepreneur/undertaker, sole proprietor)**

ინდივიდუალური მენარმე არის ერთი პირი, რომელიც ფლობს სანარმოს. ეს არის სანარმოს უმარტივესი ტიპი. მისი უპირატესობაა დაფუძნების სიმარტივე, ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი და საქმიანობის კონტროლის მაღალი დონე. რისკებს შორის კი შეიძლება ჩამოვთვალოთ შეუზღუდავი პირადი პასუხისმგებლობა. თუკი ამგვარი

სანარმო არ გაიყიდება, მისი საქმიანობა მთავრდება მაშინ, როდესაც მისი მფლობელი საკუთარი სურვილით აუქმებს ან გარდაიცვლება. გარდა ამისა, ინდივიდუალურ სანარმოს აშკარად შეზღუდული შესაძლებლობები აქვს კაპიტალის გაზრდის (ფონდების მოზიდვის) მხრივ. მენარმეებმა შეიძლება შესანიშნავად იცოდნენ თავიანთი საქმე, მაგრამ ნაკლები გამოცდილება ჰქონდეთ ბიზნესის სხვა მნიშვნელოვან საკითხებში, მაგალითად, ფინანსურ აღრიცხვასა ან მარკეტინგში. ინდივიდუალური მენარმის შემოსავლის ერთადერთი წყარო არის მისი საკუთარი დანაზოგი, ხოლო შესაძლებლობა, რომ ისეხოს თანხა, ხშირად რისკის ქვეშ აყენებს სანარმოს ან კერძო ქონების დაცულობას. ერთი მხრივ, სესხის მიღება საშუალებას აძლევს ინდივიდუალურ მენარმეს გაზარდოს საქმიანობის ფარგლები, მეორე მხრივ კი იგი ექვემდებარება მევალეთა მიერ დანესებულ შესაძლო შეზღუდვებს - ინდივიდუალური მენარმე პირადი ქონებითაა პასუხისმგებელი მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებაზე. ამიტომ, თუ ინდივიდუალური მენარმის ბიზნესი ვერ უზრუნველყოფს საკმარისი ფულადი სახსრების მობილიზებას დავალიანებების დასაფარავად, მაშინ ამგვარი დავალიანებების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული იქნება ინდივიდუალური მენარმის პირადი რესურსები და აქტივები.

#### **ინდივიდუალური მენარმე -**

ბიზნეს-სტრუქტურა, რომელსაც საკუთრებაში ფლობს და მართავს ფიზიკური პირი. ინდივიდუალური მენარმე შეიძლება იყოს, მაგალითად, მძლოლი-ინსტრუქტორი, საქორწინო ცერემონიების ფოტოგრაფი და ა.შ. თუმცა საქმიანობის სფეროს შეზღუდვები კანონმდებლობის მიხედვით არ

#### **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) (Joint Liability Company)**

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები – მთელი თავისი ქონებით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მთავარი ნიშნებია:

- » სავაჭრო და მომსახურების საქმიანობის განხორციელება;
- » საზოგადოების საქმიანობაში პარტნიორთა პირადი მონაწილეობა;
- » ერთიანი საფირმო სახელწოდება;
- » პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა.

### **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება -**

ბიზნეს-სტრუქტურა, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები – მთელი თავისი ქონებით.

### **კომანდიტური საზოგადოება (Limited partnership)**

კომანდიტური საზოგადოება (კს) - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ერთიანობაა, სადაც ერთი ან რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით (კომანდიტი), ხოლო სხვა პარტნიორთა პასუხისმგებლობა შეუზღუდავია.

კომანდიტური საზოგადოება შედგება შეზღუდული და სრული პარტნიორებისაგან:

- » შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ განსაზღვრული საგარანტიო თანხით;
- » სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები, თუ „მენარმეთა შესახებ“ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### **კომანდიტური საზოგადოება -**

ბიზნეს-სტრუქტურა, რომელიც ერთიანი საფირმო სახელწოდებით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ შექმნილი ერთიანობაა, სადაც ერთი ან რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით (კომანდიტი), ხოლო სხვა პარტნიორთა პასუხისმგებლობა შეუზღუდავია

### **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (Limited Liability Company, LLC)**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საწარმო, რომლის კაპიტალიც დაყოფილია წილებად, თუმცა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ტიპის საზოგადოების დაფუძნება კაპიტალის გარეშეც შესაძლებელია. ასეთი კომპანიები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს განსხვავებით სხვადასხვა ჯგუფებისაგან - თანამშრომლების, მფლობელების, დირექტორებისა და მენეჯერებისაგან - რომლებსაც თავიანთი ინტერესები გააჩნიათ.

### **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება -**

ბიზნეს-სტრუქტურა, რომლის საქმიანობის ორგანიზებაც ხორციელდება გამოცალკევებულად იმ მფლობელებისაგან, რომლებიც დებენ სანარმოში ინვესტიციებს მისი წილების შესყიდვის გზით. ასეთი სანარმოს მონაწილეთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მათ მიერ ინვესტირებული ან გარანტირებული თანხის ოდენობით.

### **სააქციო საზოგადოება (joint-stock company)**

სააქციო საზოგადოება (სს) არის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს აძლევს სააქციო საზოგადოების კაპიტალის მოგებიდან გარკვეული წილის მიღების უფლებას. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მინიმალური ნომინალური ღირებულება განისაზღვრება კანონმდებლობით.

კერძო პირებს (აქციონერებს) შეთანხმებული ფორმით, ჩვეულებრივ - წილების (აქციის) სახით, შეაქვთ შენატანები კომპანიის კაპიტალში. მათ გააჩნიათ ნომინალური ღირებულება, ანუ ფასი, რომლის ქვემოთაც მათი გამოშვება არ შეიძლება, მაგ. 1, 10, და ა.შ. ფულადი ერთეული. ნომინალური ღირებულება მითითებულია ფასიან ქაღალდზე. თუ აქციონერი ნომინალურ ღირებულებაზე მეტს იხდის აქციაში, ნამეტ ოდენობას ეწოდება სავსისიო კაპიტალი და მისი ოდენობა ცალკე აღირიცხება. კომპანიის აქციონერების მიერ მოზიდულ/ინვესტირებულ კაპიტალს ეწოდება სააქციო კაპიტალი. კონცეფცია, რომელიც გულისხმობს აქციებით შეზღუდვას, ნიშნავს, რომ აქციონერთა პასუხისმგებლობა კომპანიის კრედიტორების წინაშე იზღუდება აქციონერთა მიერ ინვესტირებული კაპიტალით, ანუ კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალური და პრემიალური ღირებულებით. აქციონერის პირადი აქტივები დაცულია, თუკი სანარმოს არ შეუძლია ანგარიშების დასაფარავად საჭირო ფულადი სახსრების მობილიზება, ხოლო სანარმოში უკვე ინვესტირებული ფული კი შეიძლება დაიკარგოს.

სააქციო საზოგადოება შეიძლება იყოს კერძო ან საზოგადოებრივი. კერძო სააქციო საზოგადოებას კანონით არ მოეთხოვება იმ მოცულობით გაასაჯაროსო თავისი საქმიანობები და ოპერაციები, როგორც საზოგადოებრივს და შეუძლია მხოლოდ გამოუშვას კერძო აქციები. ეს გახლავთ ძირითადი განსხვავება კერძო და საზოგადოებრივ სააქციო საზოგადოებებს შორის, რამდენადაც ამ უკანასკნელს შეუძლია საჯაროდ გამოუშვას აქციები და ივაჭროს ამ აქციებით საფონდო ბირჟაზე, თუმცა არაა ვალდებული, რომ ეს გააკეთოს.

### სააქციო საზოგადოება -

ბიზნეს-სტრუქტურა, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად.

### ამხანაგობა

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, განსაზღვრულია სამენარმეო საქმიანობის კიდევ ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - ამხანაგობა.

ამხანაგობა ბიზნესის სამართლებრივი სტრუქტურაა, რომელიც შედგება ორი ან მეტი პირის გაერთიანებისაგან, რომლებიც დებენ სანარმოს კაპიტალში ფულს, აქტივებს ან მომსახურებას და წარმოადგენენ ასეთი სანარმოს თანამესაკუთრებს. ამ ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურის უპირატესობებია ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი, სანარმოს დაფუძნების მარტივი პროცედურები. უარყოფით მხარეებს შორის კი შეიძლება აღვნიშნოთ შეუზღუდავი პერსონალური პასუხისმგებლობა (თუმცა, არსებობს სხვა სამართლებრივი სტრუქტურები, რომლებიც ამ რისკის შემცირებაში გვეხმარება, მაგალითად - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) და სანარმოს აქტივობის შეზღუდული პერიოდი; სანარმოს შექმნის მეტი სირთულე (გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, მოგების განაწილების შეთანხმებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ფორმალურად უნდა ახლდეს წერილობით ხელშეკრულებას ამხანაგობის შექმნის შესახებ). რაც უფრო მეტია ამხანაგობის წევრთა რაოდენობა, ინდივიდუალური სანარმოსაგან განსხვავებით, მით უფრო მეტად იქმნება ფინანსების მოზიდვის საშუალება და სწორედ ეს გახლავთ ამხანაგობის ჩამოყალიბების ზოგადი საფუძველი. ამხანაგობა ასევე ნიშნავს საქმიანობის რისკების განაწილებასა და მართვას. ამხანაგობა არაა მოგებაზე ორიენტირებული გაერთიანება, მაგრამ მისი არსებობის შემთხვევაში ნაწილდება მის წევრებს შორის, ხშირ შემთხვევებში - ამხანაგობის კაპიტალში შეტანილი მათი წილების პროპორციულად, თუმცა პარტნიორებს შეუძლიათ სურვილისამებრ შეთანხმდნენ მოგების სხვაგვარი განაწილების წესზეც. ამხანაგობის წევრთა უფლებები და ვალდებულებები, როგორც წესი, განისაზღვრება პარტნიორთა წერილობითი ან სიტყვიერი შეთანხმებით, ხოლო ამხანაგობის არსებობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მისი წევრების ქმედებებზე.

### ამხანაგობა -

ბიზნეს-სტრუქტურა, რომლის საქმიანობასაც ერთობლივად წარმართავს ორი ან მეტი პირი, მაგ. ბუღალტრები, ადვოკატები და ა.შ.

ქვემოთ, ცხრილ 1.1-ში, მოკლედაა წარმოდგენილი საერთაშორისო პრაქტიკაში მეტად გავრცელებული სამი განსხვავებული ტიპის სანარმოს შედარება სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით.

ცხრილი 1.1 სანარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მახასიათებლები

მახასიათებლები	ინდივიდუალური მენარმე	ამხანაგობა	კომპანია
მფლობელები	ერთი მფლობელი	<ul style="list-style-type: none"> <li>ამხანაგობა შეიძლება დააფუძნოს ორმა ან რამდენიმე პირმა</li> <li>უფლება-მოვალეობები დგინდება შეთანხმებით</li> <li>ქონებრივი ინტერესების გადანაწილება საჭიროებს ყველა წევრის თანხმობას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კაპიტალი შეიძლება დაიყოს ნებისმიერი რაოდენობის აქციელებად</li> <li>თითოეულ აქციას ენიჭება უფლებები და ვალდებულებები</li> <li>აქციები შეიძლება დაიყოს განსხვავებული უფლებებისა და მოვალეობების მქონე კლასებად</li> </ul>
მფლობელთა რისკები	შეუზღუდავი	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუზღუდავი</li> <li>სანარმოს ვალდებულებებზე პასუხისმგებელია თითოეული წევრი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>იზღუდება თითოეული აქციის ფიქსირებული ოდენობით, რომელიც, ჩვეულებრივ, გადაიხდება აქციის გამომშვებისას</li> </ul>
მენეჯმენტი	მფლობელის შეხედულებისამებრ	ამხანაგობის წევრთა შორის შეთანხმებით	<ul style="list-style-type: none"> <li>აქციონერთა წლიურ კრებაზე არჩეული დირექტორების მიერ</li> </ul>
ინფორმაციაზე საჯარო წვდომა	არა	არა	<ul style="list-style-type: none"> <li>რეესტრში რეგისტრირებული ინფორმაცია, მათ შორის კომპანიის ფინანსური ინფორმაცია, საჯაროდ ხელმისაწვდომია შემოსულების მიზნით</li> <li>ინფორმაციის წლიურ აუდიტს ატარებს რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორი</li> </ul>
მოგების განაწილება	მფლობელის შეხედულებისამებრ	<ul style="list-style-type: none"> <li>ამხანაგობის წევრთა შორის შეთანხმებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>აქციონერებზე დივიდენდები გაიცემა მხოლოდ მოგებიდან</li> </ul>
დაფინანსება	შედარებით შეზღუდული	<ul style="list-style-type: none"> <li>შედარებით შეზღუდული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეზღუდული რისკი</li> <li>ინტერესების გადანაწილება და სესხის აღების წესები ამარტივებს დაფინანსებას და აიაფებს მას ამხანაგობასა და ინდივიდუალური მენარმესთან შედარებით</li> </ul>
სადამუქმებლო დოკუმენტი	არა	<ul style="list-style-type: none"> <li>წევრთა შორის შეთანხმებით</li> <li>შეიძლება იყოს არა-ფორმალური და არა-წერილობითი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეიტანება ფორმალურ სამართლებრივ დოკუმენტებში</li> <li>ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს სამართლებრივ პროცედურას, მათ შორის აქციონერთა განსაზღვრული რაოდენობის თანხმობას</li> </ul>
საქმიანობის შეწყვეტა	სურვილისამებრ	<ul style="list-style-type: none"> <li>წევრთა შორის შეთანხმებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>უწყვეტი სამართალ-მემკვიდრეობით, თუკი არ ხდება სანარმოს ლიკვიდაცია</li> </ul>


უფრო მარტივად თუ შევაჯამებთ ზემოაღნიშნულს, მივიღებთ შემდეგ ცხრილს: (იხ. ცხრილი 1.2)

**ცხრილი 1.2 ბიზნეს-საწარმოების ფორმების შედარება**

**ბიზნეს-საწარმოების ფორმები**

მახასიათებლები	ინდივიდუალური საწარმო	ამხანაგობა	კომპანია
მფლობელების რაოდენობა	ერთი პირი	ორი ან მეტი პირი	ერთი ან მეტი პირი
ფორმირება	მარტივი ფორმირება	შედარებით რთული ფორმირება	რთული ფორმირება
კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა	კაპიტალის მოზიდვის სირთულე	კაპიტალის მოზიდვის სირთულე	კაპიტალის მოზიდვის სიმარტივე
პასუხისმგებლობის რისკი	შეზღუდული პასუხისმგებლობა	შეზღუდული პასუხისმგებლობა	შეზღუდული პასუხისმგებლობა
დაბეგვრის საკითხები	ერთმაგი დაბეგვრა	ერთმაგი დაბეგვრა	ორმაგი დაბეგვრა

გარდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა, შესაძლებელია საწარმოები დამატებით დავყოთ სამ კატეგორიად: კომერციულ, სახელმწიფო/საჯარო და არაკომერციულ ორგანიზაციებად. აღნიშნული ორგანიზაციები გარკვეული ასპექტით ერთმანეთის მსგავსია. მაგალითად, ყველა ამ საწარმოს აქვს ფულადი სახსრების მოძრაობა (შემოდინება და გასვლა) და სხვა რესურსები (აღჭურვილობა, ავეჯი და მიწის ნაკვეთი), რომლებიც მოითხოვს მართვას. გარდა ამისა, ყველა ეს ორგანიზაცია იქმნება გარკვეული მიზნის ან მისიისათვის. მათ სურთ ეფექტიანად გამოიყენონ საკუთრებაში არსებული რესურსები. ორგანიზაციის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება რესურსების სწორი მართვით. ამ ორგანიზაციების მსგავსების გათვალისწინებით, ყველა საჭიროებს ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციას. რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებებიც. ძირითადი განსხვავება ამ ორგანიზაციებს შორის არის მათი მიზანი და მისია. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე (იხ. ილუსტრაცია 1.3).



**კომერციული საწარმოები/ორგანიზაციები**

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამ ტიპის საწარმოების ძირითადი მიზანია საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მოგების მიღება. არსებობს მრავალი მიზანი, რისთვისაც ბიზნესი ცდილობს მიიღოს მაქსიმალური მოგება. მაგალითად, საწარმოს მიერ მიღებული მოგება შესაძლებელია მესაკუთრემ გამოიყენოს არსებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურების გასაზრდელად ან დამატებით თანამშრომლების დასასაქმებლად. გარდა ამისა, შესაძლებელია მიღებული მოგების რეინვესტირება საწარმოს აღჭურვილობის მოდერნიზაციისათვის, საწარმოო სიმძლავრეების გაზრდისა და სხვა მრავალი ისეთი აქტივობისათვის, რომელიც საწარმოს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის. ბევრი საწარმო, ასევე, მონაწილეობს საქველმოქმედო ღონისძიებებში. და ბოლოს, მოგება შესაძლებელია განანიღდეს საწარმოს თანამშრომლებზე ბონუსის ან მესაკუთრეებზე დივიდენდების სახით. მოგება, რომელიც არ განანიღდება ზემოთ ჩამოთვლილი სახეობების ან ღონისძიებების მიხედვით, რჩება საწარმოს განკარგულებაში და მას გაუნაწილებელ მოგებას უწოდებენ. გაუნაწილებელი მოგება საწარმოს კაპიტალის სტრუქტურის განუყოფელი შემადგენელია. ჩვენ მიერ განხილული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შემთხვევაშიც ყველა საწარმოს მოგება, რომელიც არ ნაწილდება, გადავა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე და შესაძლებელია მათი კაპიტალის ერთადერთ მუხლს წარმოადგენდეს, რადგანაც არსებული კანონმდებლობით, გარდა სააქციო საზოგადოებებისა, საწესდებო კაპიტალის გარეშე შესაძლებელია ნებისმიერი ფორმის საწარმოს დაფუძნება.

კომერციული საწარმოების კლასიფიკაცია ასევე შესაძლებელია პროდუქციის სახეებისა და მომსახურების მიხედვითაც. განვიხილავთ მხოლოდ სამი ტიპის კომერციულ საწარმოს: საწარმოებს, სადაც უშუალოდ ხდება მზა პროდუქციის წარმოება (manufacturing), საცალო ვაჭრობისა (merchandising) და მომსახურების (service) საწარმოებს.

**სამრეწველო საწარმოები (Manufacturing Businesses)**

საწარმოო ბიზნესის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული პროდუქტის ან პროდუქციის წარ-

მოება. მწარმოებელი ფირმა ყიდულობს პროდუქციის ძირითად კომპონენტებს მასალის ფორმით (ხშირად მათ ძირითად და დამხმარე მასალას უწოდებენ). მასალა გადამუშავების შედეგად გადაიქცევა მზა პროდუქციად, რომელიც ხშირად მასში შემავალი კომპონენტების პირველადი ფორმისგან რადიკალურად განსხვავებულია.

### **საცალო ვაჭრობის სანარმოები (Merchandising Businesses)**

სამრეწველო (Manufacturing businesses) და საცალო ვაჭრობის სანარმოები (merchandising) ეკონომიკური სარგებლის მიღებაზე ორიენტირებული სანარმოებია. პროდუქციის წარმოების შემთხვევაში ერთმანეთს ემატება პირდაპირი შრომა, პირდაპირი მასალა, სანარმოო ზედნადები ხარჯები (როგორებიცაა: კომუნალური მომსახურება, იჯარა, ამორტიზაცია) და სხვა; შედეგად კი ვიღებთ მზა პროდუქციას, რომელიც მიწოდება მომხმარებელს. საცალო ვაჭრობის ან ზოგადად ვაჭრობის სანარმოებიც მოგებაზე ორიენტირებულ სანარმოებს მიეკუთვნებიან, მაგრამ წარმოებისგან განსხვავებით ისინი ყიდულობენ პროდუქციას (იგივე მარაგები) შემდგომი გაყიდვის მიზნით, მათი სასაქონლო ფორმის ცვლილების გარეშე. ტანსაცმლის, მობილური ტელეფონების, კომპიუტერებისა და სხვა ყოველდღიური მოხმარების საგნების ყიდვა-გაყიდვა სწორედ საცალო ვაჭრობის სანარმოების მეშვეობით ხდება.

შეამჩნევდით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის მაგალითები (ტანსაცმლი, მობილური ტელეფონები, კომპიუტერები) დამახასიათებელია მწარმოებელი და საცალო ვაჭრობის ფირმებისთვის. აღნიშნული პროდუქტები წარმოადგენს ორი განსხვავებული შინაარსის საუკეთესო მაგალითს, როცა მწარმოებელი ფირმა აწარმოებს ამ პროდუქციას და სავაჭრო ფირმა ყიდის იმავე პროდუქციას. თუმცა შეიძლება არსებობდეს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მწარმოებელი იმავდროულად საცალო მოვაჭრეც არის (მაგალითად, Dell-ის კომპიუტერები), მაგრამ უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მწარმოებელი და გამყიდველი სხვადასხვა ფირმაა.

### **მომსახურე სანარმოები (Service Businesses)**

როგორც ტერმინიდანაც ჩანს, მომსახურე ეწოდება ისეთ სანარმოებს, რომლებიც მომხმარებელს უწევენ მომსახურებას. ძირითადი განსხვავება ზემოთ აღნიშნულ სანარმოებსა და მომსახურე სანარმოებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მომსახურე სანარმოებს არ გააჩნიათ მატერიალური/ფიზიკური ფორმის პროდუქტი, რომელიც გადაეცემა მომხმარებელს. მატერიალური პროდუქციის გადაცემის ნაცვლად ისინი მომხმარებელს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (ან საჭიროების შემთხვევაში) სარგებელს გადასცემენ მომსახურების სახით. მომსახურება შესაძლებელია იყოს როგორც კომერციული დანიშნულების, ასევე არაკომერციული მიზნებისათვისაც.

ქვემოთ, სურათზე, წარმოდგენილია განსხვავება სანარმოო, სავაჭრო და მომსახურე სანარმოებს შორის.

ეფექტიანობა არის ყველაზე დიდი უპირატესობა, რასაც ბიზნეს-მომსახურება სთავაზობს მომხმარებელს. მაგალითად, შესაძლებელია გადასახადის გადამხდელმა კარგად

იცოდეს საგადასახადო კოდექსი, ნაკითხული ჰქონდეს ყველა წესი და ინსტრუქცია, რაც აუცილებელია ყოველთვიური თუ წლიური დეკლარაციების ჩასაბარებლად, მაგრამ მაინც ერჩივნოს დაიქირაოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების სპეციალისტი, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას დეკლარაციების წარდგენაზე. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტის დაქირავება დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, ბევრი გადამხდელი თქვობს, რომ ეს აუცილებელი და სასარგებლო ხარჯია. საგადასახადო აგენტის დაქირავება გადასახადის გადამხდელისათვის ეფექტიანია დროის დაზოგვისა და შესაძლო შეცდომისგან დამზღვევის მიზნით.

ილუსტრაცია 1.4 წარმოება, გაყიდვები და მომსახურება.



ავტომობილების მწარმოებელი ქარხანა, ავტომობილების გაყიდვების სივრცე და ტაქსით მომსახურება წარმოადგენს ბიზნესის სამ სახეობას: წარმოება, საცალო გაყიდვები და მომსახურება.

მომსახურებაზე ორიენტირებული საწარმოების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სასტუმროს, ტაქსის მომსახურება და ა.შ.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ სამი სახის კომერციული საწარმო: წარმოება, საცალო ვაჭრობა და მომსახურება. ასევე შევეხეთ ისეთ საწარმოებს, რომლებიც წარმოებასთან ერთად საცალო ვაჭრობითაცაა დაკავებული.

ახლა გაიხსენეთ რესტორანი, სადაც თქვენ ბოლოს ივარსდებოდით. ჩვენ მიერ ზემოთ მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, ამ რესტორანს საწარმოს რომელ სახეობას/ტიპს (წარმოება, გაყიდვა, მომსახურება) მიაკუთვნებდით? რატომ?

### **სახელმწიფო/საჯარო ორგანიზაციები (Governmental Entities)**

სახელმწიფო ორგანიზაციები საქართველოში არსებობს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე (სამინისტროები, სკოლა, საბავშვო ბაღი და ა.შ.). კერძო და საჯარო სექტორში მომუშავე ბუღალტრები ერთი და იმავე სახის სამუშაოს ასრულებენ, განსხვავება მხოლოდ მომხდარი მოვლენების შინაარსშია. ისინი ემსახურებიან საზოგადოებრივ ინტერესებს მათთვის შესაბამისი ანგარიშგების მომზადებით. სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულები არიან საზოგადოების, გადასახადის გადამხდელის წინაშე, ხოლო ბუღალტერი კი ეხმარება ხელმძღვანელობას დაარწმუნოს საზოგადოება დახარჯული თანხების ეფექტიანობაში.

### **არაკომერციული/არამომგებიანი ორგანიზაცია (Not-for-Profit Entities)**

არაკომერციული (არამომგებიანი) ორგანიზაციის მთავარ მიზანს საზოგადოების განსაზღვრული ინტერესებისა და საჭიროებების მომსახურება წარმოადგენს. არაკომერციული ორგანიზაციების არსებობა დამოკიდებულია მათი დაფინანსების ტენდენციებზე, რაც დაფუძნებულია შემოწირულობებზე, გრანტებსა და სხვა შემოსავლებზე. მიუხედავად იმისა, რომ არაკომერციული ორგანიზაციები განსაზღვრულ მიზანს ემსახურებიან, მათი ფინანსური მდგრადობა ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია საქმიანობის უწყვეტ რეჟიმში განხორციელებისათვის. არაკომერციული ორგანიზაცია არ ნიშნავს, რომ ის წამგებიანია. არაკომერციულმა ორგანიზაციამ, ისევე როგორც კომერციულმა, უნდა უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ანუ რესურსების შემოსვლა გასულ რესურსებზე მეტი უნდა იყოს (ან მინიმუმ ტოლი). ეს საწარმოს შესაძლებლობას აძლევს გააგრძელოს ან გაათავოთოს საქმიანობა. არაკომერციული ორგანიზაციების სტანდარტული მაგალითებია საქველმოქმედო ფონდები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

## 1.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები

საწარმო წარმოადგენს სისტემას, რომელშიც ამა თუ იმ კონკრეტული მიზნების მისაღწევად მუშაობენ გარკვეული რაოდენობის ადამიანები. სისტემა განიმარტება, როგორც იმ ელემენტების სიმრავლე, რომელთა შორის არსებული კავშირები ქმნის ერთ მთლიანობას. საწარმოები სულ უფრო და უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი მათთვის სასარგებლო ინფორმაციაზე, მაგრამ მათ უნდა შეეძლოთ ამ ინფორმაციის მოპოვება მაშინ, როდესაც და სადაც საჭიროა, თანაც სწორედ იმ ფორმით, როგორითაც სჭირდებათ. უფრო მეტიც, ამ ინფორმაციამ უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო მართვის პროცესში ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გადაცემა.

ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა მოიპოვებს, აგროვებს, ამუშავებს, ინახავს, აანალიზებს და ავრცელებს ინფორმაციას კონკრეტული მიზნებისათვის. ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა უმარტივეს დონეზე აგროვებს და ამუშავებს საწარმოში შემოსული პირველადი დოკუმენტების პაკეტს (მაგ. ანგარიშ-ფაქტურებს) და ქმნის საბოლოო დოკუმენტაციას (მაგ. ანგარიშგება, კალკულაციები). მაგალითად: მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია მასალების შეკვეთაზე, სააღრიცხვო სისტემას იყენებს იმისათვის, რომ განსაზღვროს, რა რაოდენობის ასეთი მასალა გააჩნია საწარმოს და კიდევ რამდენი ესაჭიროება. ამის შემდეგ იგი დაადგენს - რა რაოდენობის მასალები შეუკვეთოს და რომელ მომწოდებელს. ეს გადაწყვეტილება მენეჯერს შეაქვს სააღრიცხო სისტემაში, რომელიც განახლდება და რომელშიც აისახება ზემოაღნიშნული შეკვეთის გაცემა.

გასათვალისწინებელია, რომ საინფორმაციო სისტემა (მაგ. საკადრო, მარკეტინგის) ამუშავებს ხარისხობრივი (არა ციფრული) მონაცემების პაკეტებს, ხოლო ფინანსური აღრიცხვის სისტემა თითქმის ყველა შემთხვევაში ფოკუსირებულია რაოდენობრივი (ანუ რიცხვობრივი) მონაცემების დამუშავებაზე. საწარმოებისათვის სააღრიცხვო ინფორმაციის გავრცელების ტრადიციული საშუალებაა ბალანსის, ანუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების, აგრეთვე შემოსავლების ანგარიშგებისა და დამატებითი ანგარიშგების წარდგენა, რომლებსაც ერთობლივად საერთაშორისო პრაქტიკაში ფინანსური ანგარიშგება ეწოდება.

თანამედროვე საზოგადოებაში მრავალი ადამიანი მმართველობითი ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებს გარეთ ჩართულია საწარმოების ეკონომიკურ მართვაში. ასეთ პირებსა და სააგენტოებს დაინტერესებული მხარეები ეწოდებათ, ანუ ისინი დაინტერესებული არიან კომპანიის ბიზნესით და მათ აერთიანებს ის, რომ ყოველი მათგანი სარგებლობს კომპანიის სააღრიცხვო სისტემით. დაინტერესებულ მხარეებს ხშირად ესაჭიროებათ ფინანსური მონაცემები. მაგალითად, აქციონერებს ესაჭიროებათ ფინანსური ინფორმაცია, რათა შეათვასონ მენეჯმენტის საქმიანობა და თავინთი წილობრივი მდგომარეობა კომპანიის კაპიტალში; პოტენციურ ინვესტორებს ესაჭიროებათ ფინანსური მონაცემები ინვესტიციების პერსპექტიულობის გასაანალიზებლად; კრედიტორები ეცნობიან ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარე-

ობას მათთვის სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად; პროფესიულ გაერთიანებებსა და ფინანსურ ანალიტიკოსებს ხშირად ესაჭიროებათ მნიშვნელოვანი მოცულობის საიმედო ფინანსური მონაცემები; და ბოლოს, მრავალი ნორმატიული აქტი მოითხოვს დეტალური ფინანსური ინფორმაციის წარდგენას სხვადასხვა დონის სამთავრობო ორგანოებისათვის. ფინანსური აღრიცხვის პროცესი, როგორც საინფორმაციო სისტემა, ემსახურება ადამიანებს როგორც სანარმოში, ისე მის გარეთაც.

### **დაინტერესებული მხარეების ტიპები**

თითოეული დაინტერესებული მხარე განვიხილოთ უფრო დეტალურად.

### **კონკურენტები**

კონკურენტებს სურთ მოიპოვონ, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ამა თუ იმ სანარმოს შესახებ, განსაკუთრებით - მათი ფინანსური ინფორმაცია ხარჯების შესახებ. ისინი უმეტესად ეყრდნობიან გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას, საგაზეთო სტატიებსა და ანალიტიკოსების შეფასებებს საინვესტიციო სტრატეგიების სხვადასხვა ანალიზის ჩატარებისას.

### **მთავრობა**

სხვადასხვა სამთავრობო ორგანოებს სურთ შეამოწმონ სანარმოს ფინანსური ანგარიშგებები, რათა გაიგონ თუ რა ოდენობის გადასახადებს იხდის სანარმო და უპასუხებს თუ არა იგი საგადასხადო კანონებისა და წესების მოთხოვნებს.

### **სანარმოს კერძონალი**

პერსონალი დაინტერესებულია იცოდეს კომპანიის საქმიანობის იმ ასპექტების შესახებ, რომლებიც ყველაზე რელევანტურია მათთვის, მაგალითად, რამდენად საიმედოა მათი სამუშაო ადგილი, როგორია ხელფასის მომატების პოტენციალი, პენსიებისა და დახმარებების გაცემის საკითხები. ამდენად, პერსონალი დაინტერესებულია სანარმოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობით.

### **საკრედიტო ორგანიზაციები**

სესხის გამცემ ორგანიზაციებს სურთ იცოდნენ, რამდენად საიმედოდაა უზრუნველყოფილი მათ მიერ გასესხებული ფული. ხშირად გამსესხებლებს უნდათ შეამოწმონ არა მხოლოდ კომპანიის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება, არამედ ასევე შიდა (ხელმძღვანელობის) ანგარიშები. არსებობს სესხის გამცემი სხვადასხვა ტიპის დანესებულება, რომლებიც მსურველებს, დანყებულ ბანკებიდან და დამთავრებული კერძო და ინსტიტუციონალური ინვესტორებით, განსხვავებული სახის დაფინანსებას სთავაზობენ.

## **მფლობელები**

მფლობელებს სურთ იცოდნენ, რამდენად მომგებიანია სანარმო. მათ ასევე სურთ ჰქონდეთ ზუსტი ინფორმაცია კომპანიის ფინანსური რესურსების შესახებ. მფლობელები უპირატესად ეფუძნებიან აუდიტორულ ანგარიშებს, ხშირ შემთხვევებში - დაინტერესებული მხარეებისა და ანალიტიკოსების შეფასებებს, სხვადასხვა პუბლიკაციებს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებენ შესაბამის დასკვნებს.

## **ანალიტიკოსები**

ანალიტიკოსებმა ზოგადად სხვა გარე დაინტერესებულ ჯგუფებზე მეტი იციან კომპანიის შესახებ. სწორედ მათი საქმეა შეაფასონ, რამდენად მიზანშეწონილია ინვესტიციის ჩადება ამა თუ იმ ბიზნესში. ანალიტიკოსებს სურთ გაერკვნენ სანარმოსთან დაკავშირებული ყველა შესაძლო საკითხში. ამისათვის ისინი იყენებენ ფინანსურ ანგარიშგებას, საგაზეთო სტატიებს, სხვა ანალიტიკოსების კომენტარებსა და სხვა წყაროებს, რომლებსაც ისინი რელევანტურად თვლიან ანალიზისათვის.

## **მენეჯერები**

მენეჯერები ძირითადად დაინტერესებული არიან შიდა კონტროლის ანგარიშებით, რომლებზეც შეიძლება წვდომა ჰქონდეთ მეტად შეზღუდული რაოდენობის სხვა დაინტერესებულ მხარეებს (მაგ. გამსესხებლებს). მენეჯერებს აინტერესებთ რელევანტური ინფორმაცია ბიუჯეტის ფორმირების, დაგეგმვის, გადანყვეტილებათა მიღებისა და კონტროლის თაობაზე. რამდენადაც ამ ტიპის აღრიცხვის ინფორმაცია ზოგადად არაა თავისუფლად ხელმისაწვდომი გარე მხარეებისათვის/მომხმარებლისათვის, არ არსებობს გარე რეგულაციები, კონტროლი და რაიმე სახის უნივერსალური შეთანხმებული გზა - როგორ უნდა მომზადდეს მენეჯმენტის სააღრიცხვო ანგარიშები.

## **მომწოდებლები**

მომწოდებლებისათვის საინტერესოა იცოდნენ, თუ რა გასამრჯელოს მიიღებენ განეული მომსახურების სანაცვლოდ, ამიტომ ისინი კიდევ უფრო მეტად არიან დაინტერესებული კომპანიის ფინანსური სტაბილურობით. იმის გამო, რომ მომწოდებლებს კომპანიის მოგება უფრო ნაკლებად აინტერესებთ, ვიდრე მისი ბრუნვა, ისინი უმეტესად მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების გაცნობით კმაყოფილდებიან, სადაც ორივე სახის ინფორმაციაა მოცემული. მომწოდებლებს ხშირად სურთ მიიღონ ინფორმაცია კომპანიის გადახდისუნარიანობის შესახებ მანამ, სანამ საქონლის მიწოდების პირობებზე შეთანხმდებიან.

## **კლიენტები**

კლიენტებს სურთ იცოდნენ გააგრძელებენ თუ არა მათი მიმწოდებლები შეკვეთილი საქონლის მიწოდებას. ისინი უპირატესად კომპანიის ფინანსურ ანგარიშებს ეყრდნობიან.

## საზოგადოება

ფართო საზოგადოებას სურს შეაფასოს ბიზნესის ეფექტი ეკონომიკაზე ადგილობრივ, სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეებზე. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას სანარმოები ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების შექმნითა და საქონლის შესყიდვებით ადგილობრივი მიწოდებლებისაგან. ზოგიერთი სანარმო აქტიურად ეხმარება ადგილობრივ საზოგადოებებს საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებების დაფინანსების გზით.

ილუსტრაცია 1.5 კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები (დაინტერესებული მხარეები)



## სააღრიცხვო ინფორმაციის მომხმარებლები


ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციის მომხმარებლები აგრეთვე შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: შიდა და გარე მომხმარებლებად. შიდა მომხმარებლებს მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც ფინანსურ ინფორმაციას იყენებენ ყოველდღიური გადაწყვეტილებების მისაღებად, მაგალითად, მენეჯერები და კომპანიის სხვა თანამშრომლები ფინანსურ ინფორმაციას იყენებენ არსებული შედეგების დასადასტურებლად და მომავალში განსახორციელებელი აქტივობების კორექტირებისათვის.

გარე მომხმარებლები არ წარმოადგენენ კომპანიის თანამშრომლებს და ფინანსურ ინფორმაციას იყენებენ კომპანიის საქმიანობის შეფასებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად; მაგალითად, ინვესტორები, ფინანსური ანალიტიკოსები, საკრედიტო ორგანიზაციები, სამთავრობო სტრუქტურები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად დაჯგუფებული არიან შემდეგ ძირითად ჯგუფად: არსებული და პოტენციური ინვესტორები, გამსესხებლები, სხვა კრედიტორები და სხვა დანარჩენი (ხელმძღ-


ვანელობა, დაქირავებით მომუშავეები, საგადასახადო სამსახური, საზოგადოების წევრები) მომხმარებლები (იხ.ილუსტრაცია 1.6).

ილუსტრაცია 1.6



ინფორმაცია საწარმოს რესურსებისა და მისი გამოყენების შესახებ მომხმარებლებს დაეხმარება ამ საწარმოს ფინანსურად ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებასა და სხვა მათთვის საჭირო საკითხების გარკვევაში. ასევე, ინფორმაციის მომხმარებლები საწარმოს ეკონომიკური რესურსების, მის მიმართ არსებული მოთხოვნებისა და მათი ცვლილებების შესახებ მოძიებული ინფორმაციით შეძლებენ შეაფასონ ხელმძღვანელობის საქმიანობა - რამდენად ეფექტიანად იქნა მათ მიერ მართული საწარმოს რესურსები და, შესაბამისად, რამდენად ეფექტიანად გამოიყენებს ის რესურსებს მომავალში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოღინების პერსპექტივების შეფასება (იხ.ილუსტრაცია 1.7).

ილუსტრაცია 1.7



## 1.4 ფინანსური და მართვებრივი აღრიცხვა

როგორც უკვე ვიცით, აღრიცხვა არის ფინანსური ინფორმაციის თავმოყრის, ანალიზისა და მომხმარებლისათვის გადაცემის პროცესი, რომელიც გამოიყენება გადანყვეტილებების მისაღებად. დამკვიდრებულია გამოთქმა, რომ „ფინანსური აღრიცხვა ბიზნესის ენაა“, თუმცა ასევე შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური აღრიცხვა ცხოვრების ენაა. ამას ჩვენ დავრწმუნდებით, როდესაც დეტალურად გავივლით ყველა იმ ძირითად ასპექტს, რომელიც თან ახლავს აღრიცხვის პროცესს. გარკვეულ მომენტში ყველა ადამიანს უნევს ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ფინანსურ ინფორმაციაზე დაფუძნებული გადანყვეტილებების მიღება. მაგალითად, შეიძლება მოგვინოს არჩევანის გაკეთება მანქანის იჯარით აღებასა და შეძენას შორის. ანალოგიურად, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს შეიძლება მოუწიოს გადანყვეტილებების მიღება, დასაქმდეს დიდ ქალაქში მაღალანაზღაურებად სამსახურში, სადაც საარსებო მინიმუმიც ასევე მაღალია, თუ უფრო პატარა ქალაქში, სადაც ცხოვრებისთვის საჭირო მინიმუმიცა და ანაზღაურებაც დაბალია; ან შესაძლებელია თეატრის ფინანსური დირექტორი დაინტერესდეს, იყო თუ არა სცენაზე დადგმული უკანასკნელი პიესა მომგებიანი. ზუსტად ასევე, საინტერესო იქნება ადგილობრივი სანტეფნიკის მომსახურების კომპანიის ხელმძღვანელისათვის იმის ცოდნა, ღირს თუ არა თანამშრომლის დასაქმება უქმე დღეებში, ღამის საათებში ან სხვა განსაკუთრებული გამოძახებების დროს შესაბამისი ანაზღაურებით. პირადი თუ პროფესიული ფინანსური ინფორმაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს გადანყვეტილებების მიღების დროს.

მარტივია იმის შემჩნევა, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, შესაბამისი გადანყვეტილებების მიღების დროს აღრიცხვა ეყრდნობა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც მოითხოვს როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური ინფორმაციის ცოდნას. მაგალითად, მანქანის იჯარით აღებასა და შესყიდვას შორის გადანყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა მარტო ყოველთვიური გადასახადი, არამედ ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა: ტექნიკური მომსახურება, მორალური დაძველება და სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოება.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელიც განიხილავს სამუშაოს შემოთავაზების ორ ვარიანტს, შეიძლება დაფიქრდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: სამუშაო დრო, სამუშაო ადგილამდე გადაადგილება, ანაზღაურება ან თავისუფალი დრო. თეატრის მენეჯერი გაანალიზებს ბილეთების გაყიდვიდან და სპონსორობიდან მიღებული შემოსავლების სტატისტიკას, ასევე, ყურადღებას მიაქცევს სპექტაკლის დადგმისათვის განეული ხარჯების ოდენობას. გარდა ამისა, თეატრის მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს პიესის ფინანსურ შედეგებზე მარკეტინგული ღონისძიებების გავლენა, სპექტაკლის დადგმის დროის ფაქტორი (სეზონი), ამინდი და სხვა ფაქტორები. ყველა ზემოთ მოცემული ფაქტორი, როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური, გავლენას ახდენს სპექტაკლის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

რაც შეეხება უქმე დღეების დროს ან საგანგებო გამოძახებების დროს დამატებითი ხარჯების არსებობას, ადგილობრივი კომპანიის შესაკუთრე გადანყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს არაფინანსურ ინფორმაციას, მაგალითად: თუ არ არსებობს სხვა მსგავსი მომ-

სახურების ფირმა, მაშინ შემოთავაზებული არასტანდარტული და ექსტრამომსახურება ბიზნესისთვის სტრატეგიულად უპირატესობის მომტანი იქნება ახალი კლენტების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების მეშვეობით.

წარმოდგენილი კურსი დაგეგმარებათ გაარკვიოთ ფინანსური აღრიცხვის როლი საზოგადოებაში და გაიგოთ ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელობა, რომელიც ზომავს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ანგარიშგების ფინანსურ მაჩვენებლებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაინტერესებული მხარეები ფინანსურ აღრიცხვას იყენებენ ინფორმაციის გენერირებისათვის, თუმცა, ფინანსურ აღრიცხვასთან ერთად არსებობს მმართველობითი აღრიცხვაც<sup>1</sup>, რომლის ინფორმაციაც მხოლოდ საწარმოს შიდა მომხმარებლებზეა ორიენტირებული. ის ამარტივებს ბიზნესის მართვას, რადგანაც სააღრიცხვო ინფორმაცია იმდაგვარადაა წარმოდგენილი, რომ მისი გამოყენება მარტივი იყოს მენეჯმენტისათვის და ეხმარებოდეს ბიზნეს-პოლიტიკის შემუშავებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. მისი მთავარი მიზანია, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტული მომხმარებლების მოთხოვნების გათვალისწინებით, ამასთან ინფორმაცია უნდა იყოს სისტემატიზებული და სასარგებლო. აქედან გამომდინარეობს მმართველობითი აღრიცხვის გადამწყვეტი როლი დაგეგმვისა და კონტროლის ეტაპზე. ის ეხმარება საწარმოს მართვის შიდა სტანდარტების დამკვიდრებაში, საპროგნოზო და ფაქტობრივ მონაცემებს შორის შეუსაბამობის არსებობისას კი - შესაბამისი ცვლილებების განხორციელებასა და გადახრის გამომწვევი მიზეზების დადგენაში. მმართველობითი აღრიცხვის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მომავალზე ორიენტირებულობა. ის ყურადღებას ამახვილებს დაგეგმილ მოვლენებზე და არა იმაზე, რაც უკვე მოხდა საწარმოში. რამდენადაც მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობაა, საპროგნოზო მონაცემების შემუშავების დროს ის არ არის მიმართული ამა თუ იმ კონკრეტულად განსაზღვრული ან დადგენილი პრინციპების დაცვაზე. ფინანსური აღრიცხვა წარმოადგენს მმართველობითი აღრიცხვის საფუძველს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი იყენებს როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ ინფორმაციას კომპანიის მაღალი რგოლის მენეჯმენტისათვის, აძლევს მათ შესაძლებლობას გადაწყვეტილებების მისაღებად განსაზღვრონ და შეაფასონ კომპანიის ბიზნეს-მიზანი (ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო კონკრეტული ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე). მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია, როგორც წესი, გამოიყენება კომპანიის შიგნით ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა ბიუჯეტის შედგენა, კომპანიის საწარმოო ხარჯების განსაზღვრა და ფასწარმოქმნის პოლიტიკა. რამდენადაც ზემოაღნიშნული ინფორმაცია კომპანიის შიგნით გადაწყვეტილებების მისაღებად გამოიყენება, არ არსებობს ფინანსური კონტროლის აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, დაეუფლებით თუ არა ფინანსური აღრიცხვის სპეციალობას, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ცოდნა აუცილებელია ნებისმიერი კარიერის დაგეგმვისთვის. მაგალითად, ავტომწარმოებელი კომპანიის ხელმძღვანელი ყოველთვის გამოიყენებს ფინანსურ და მმართველობით სააღრიცხვო ინფორმაციას საკუთარი ბიზნესის

<sup>1</sup> არ შეგვეშალოს მმართველობის ანგარიშგებაში, რომლის მომზადებაც სავალდებულოა გარკვეული ზომისა და ტიპის კომპანიებისთვის (საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მუხლი 7)

გაუმჯობესებისათვის. რეალური ფინანსური ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელია განვსაზღვროთ კომპანია წარმატებულია თუ წარუმატებელი. აღნიშნული ინფორმაციის ფლობა კომპანიის ხელმძღვანელობას აძლევს საშუალებას გაიმეოროს ის მოქმედებები, რომლებმაც დაადასტურეს ეფექტიანობა, ასევე შეიტანოს ცვლილებები იმ გადანაცვებებში, რომლებიც ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია კომპანიის შესახებ მმართველობითი ინფორმაციის ფლობა. ავტომობილების მწარმოებელი კომპანიის მენეჯერს სურვილი ექნება იცოდეს - რა ოდენობის ჯართი გროვდება წარმოების პროცესში კონკრეტული ეტაპის დასრულებისას. გარდა იმისა, რომ წარმოების პროცესის იდენტიფიკაცია და სრულყოფა ეხმარება საწარმოს სწორ ფინანსურ მართვაში, ის ასევე ხელს უწყობს სხვა ისეთი საწარმოო პროცესების გამართულ ფუნქციონირებას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება წარმოების ძირითად პროცესს.

მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციით მომხმარებლების უზრუნველყოფა წარმოდგენილია ილუსტრაცია 1.8-ზე:

ილუსტრაცია 1.8 სააღრიცხვო ინფორმაციის მომხმარებლები



კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები ყოველთვის გამოიხატება ღირებულებითი საზომით. საქართველოში ღირებულებითი საზომი ერთეულია ლარი, ამერიკის შეერთებულ შტატებში დოლარი და ა.შ. ფინანსური მაჩვენებლების ღირებულებითი საზომით გამოხატვა კომპანიის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს მიმდინარე პერიოდის შედეგები შეადაროს გასული პერიოდის შედეგებს, მოლოდინებს ან სხვა დარგობრივი კომპანიების მაჩვენებლებს.

ფინანსური აღრიცხვა წარმოადგენს აღრიცხვის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, თუმცა ზოგიერთი დარგისა და ტიპის საწარმოებში არსებობს ფინანსური ინფორმაციის მომზადებისა და გადაცემის განსხვავებული მეთოდები. ფინანსური ინფორმაციის მომზადებისათვის ბუღალტრები ძირითადად იყენებენ არსებული სტანდარტებით შემოთავაზებულ ერთი და იმავე მეთოდოლოგიას. ფინანსური ინფორმაცია მომხმარებელს წარედგინება ფინანსური ანგარიშგების საშუალებით, რაც მოიცავს ბალანსს, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ანგარიშგებას საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებელია თანმიმდევრულობისა და სხვა საწარმოებთან შესადარისობის უზრუნველყოფა. ფინანსურმა ანგარიშგებამ ასევე უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა და სარგებლიანობა.

პრაქტიკულად, ყველა ფაქტს და მოვლენას, რომელიც ხორციელდება ბიზნესში და გააჩნია შესაბამისი ღირებულება, ტრანზაქციას უწოდებენ. ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ბუღალტრის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ყველა მოქმედებისა და მოვლენის ხარისხობრივი შეფასება. ფინანსური აღრიცხვის საფუძვლების კურსის გავლისას ხდება ტრანზაქციის სხვადასხვა ტიპების, ასევე, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ამ ტრანზაქციების გავლენის შესწავლა.

საწარმო ფინანსური აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, როგორც წესი, იყენებს კომპიუტერულ პროგრამებს. აღნიშნული პროგრამების ძირითადი უპირატესობაა ეფექტიანობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ტრანზაქციების რეგისტრაცია და დაჯგუფება, ასევე ფინანსური ანგარიშგების პროგრამულ რეჟიმში მომზადება. გარდა ამისა, ფინანსური აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამების საშუალებით შესაძლებელია მონაცემთა ბაზის შექმნა-შენახვა, რაც წინა წლების ფინანსური ინფორმაციის მოკლე დროში მოძიების საშუალებას იძლევა.

ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია ძირითადად ისტორიული ხასიათისაა, თუმცა საწარმოები ახდენენ საკუთარი ფინანსური აღრიცხვის მიმდინარე პროცესის შეფასებასაც. მაგალითად, საწარმომ იცის, როგორ გამოიყენოს საექვო მოთხოვნების განსაზღვრის ან აქტივების ამორტიზაციის შეფასება, რაც ექსპლუატაციის ხანგრძლივი მოხმარების პერიოდში გამოიყენება; ანუ ბუღალტრები ამზადებენ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც განზოგადებულია ინფორმაცია უკვე მომხდარი პროცესების შესახებ. ანგარიშგება იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა, უზრუნველყოფს ინფორმაციის საიმედოობას. ბუღალტრის მაღალი რწმუნების ხარისხით შეუძლია საწარმოს უკვე მომხდარი მოვლენების შედეგად აცნობოს მისი ფინანსური შედეგების შესახებ. წარმოდგენილ ფინანსურ ინფორმაციასთან უკუკავშირის არსებობა განსაკუთრებით სასარგებლოა საწარმოს ინფორმაციის შიდა მომხმარებლებისათვის, რადგან საწარმოს წარსულის მოვლენების ანალიზი შეიძლება დაეხმაროს ხელმძღვანელობას სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, თუმცა ფინანსური ინფორმაციის დახმარებით პროგნოზირება გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან ბიზნესთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გამო ფინანსურ აღრიცხვას არ შეუძლია საწარმოს მომავალი საქმიანობის უტყუარი პროგნოზირება. ისტორიული ფინანსური მონაცემების შეკრება და ანალიზი სასარგებლოა საწარმოს ფინანსური ინფორმაციის

როგორც შიდა, ასევე გარე მომხმარებლებისთვის. მაგალითად, შიდა მომხმარებლებს შეუძლიათ ფინანსური ინფორმაცია გამოიყენონ, როგორც პროგნოზირების ინსტრუმენტი და შეაფასონ, შესაბამისობაშია თუ არა საწარმოს გრძელვადიანი ფინანსური მაჩვენებლები მის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებთან.

გარე მომხმარებლები ფინანსური მაჩვენებლების ისტორიულ მოდელს ასევე გამოიყენებენ, როგორც პროგნოზირების ინსტრუმენტს. მაგალითად, ბანკიდან სესხის აღებისთვის საკრედიტო ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს ინფორმაცია რამდენიმე წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ბანკი შეაფასებს ისტორიულ შედეგებს, რათა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სესხის გაცემის თაობაზე, შეაფასოს რამდენად გადახდისუნარიანი იქნება საწარმო სესხით სარგებლობის პერიოდში. პოტენციურ ინვესტორსაც შეიძლება დასჭირდეს საწარმოს გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების გაცნობა და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საწარმოში ფულის დაბანდების შესახებ. ამ შემთხვევაში ინვესტორს სურს დარწმუნდეს, რომ საწარმო შეძლებს შესაბამისი უკუგებით ინვესტიციების თანმიმდევრულ განხორციელებას.

როგორც უკვე განვიხილეთ, მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმო იყენებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესებს, ნორმებსა და პროცედურებს.

მმართველობითი აღრიცხვის მნიშვნელოვანი ნაწილი მზადდება საწარმოს შიგნით გამოყენებისათვის და არ ითვალსწინებს საყოველთაოდ აღიარებული წესებისა და პრინციპების დაცვით ანგარიშგების მომზადებას, როგორც ამას ითხოვს ფინანსური აღრიცხვა. ეს განპირობებულია იმით, რომ მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის დამუშავება და მომზადება განკუთვნილია შიდა და არა გარე მომხმარებლებისათვის. ფაქტობრივად, მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია იშვიათად შეიძლება გავიდეს კომპანიის გარეთ. რამდენადაც ინფორმაცია ხშირად მოიცავს სტრატეგიულ ან კონკურენტულ გადაწყვეტილებებს, აუცილებელია მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია დაცული იყოს, რადგანაც ხშირ შემთხვევაში იგი წარმოადგენს საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას. ბიზნესგარემო მუდმივად იცვლება და კომპანიის ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროებენ ინფორმაციის სხვადასხვა კუთხით დამუშავებას. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას ბუღალტერი უნდა იყოს მოქნილი და შეეძლოს ყველა აუცილებელი ინფორმაციის გენერირება. მაგალითად, ფინანსური აღრიცხვის კომპიუტერული სისტემიდან მიღებული ინფორმაცია შეიძლება ამოსავალი იყოს მმართველობითი აღრიცხვისთვის, თუმცა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელი უნდა იყოს განსხვავებული წყაროებიდან (შიდა და გარე), რომელთა საფუძველზეც მოხდება მონაცემების ანალიზი მათემატიკური პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით (მაგალითად, Microsoft Excel).

მმართველობითი აღრიცხვა, როგორც ტერმინი, მოიცავს საწარმოში საქმიანობის ფართო სპექტრს. მაგალითად, ბიუჯეტის მომზადება საწარმოს აძლევს საშუალებას შეაფასოს მიმდინარე ან შემდეგი წლების ფინანსური შედეგები. ამასთანავე, ეხმარება არსებული პროგნოზის შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ფინანსური მენე-

ჯერი ბიუჯეტის შედგენისას იყენებს ინფორმაციის შიდა (გაყიდვებისა და პროექტირების შეფასებები) და გარე (სავაჭრო ჯგუფები და ეკონომიკური პროგნოზი) წყაროებს. აღნიშნული მონაცემები თავს იყრის და გადაეცემა კომპანიაში გადანაცვებილების მიმღებ პირებს. სხვა გადანაცვებილები, რომლებიც მოითხოვს მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციას, გულისხმობს ისეთ მიდგომებს, რომელთა მიხედვითაც საწარმომ უნდა გადანაცვითს - შეიძინოს ახალი დანადგარები, თუ არსებული შეაკეთოს; აწარმოოს პროდუქცია შიდა მოხმარებისათვის, თუ შეისყიდოს გარე მომწოდებლებისგან; დაიქირაოს დამატებითი მუშახელი, თუ საქმიანობის ავტომატიზაცია განახორციელოს.

განხილული მაგალითებიდან ნათელია, რომ მმართველობითი აღრიცხვა იყენებს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ ინფორმაციას. ეს მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს გარემოებები, როდესაც მხოლოდ ფინანსური ინფორმაციის ანალიზით შეიძლება მივიღოთ ერთი გადანაცვებილება, ხოლო არაფინანსური ინფორმაციის ანალიზის შედეგად კი - განსხვავებული. დავუშვათ, ფინანსური ანალიზი აჩვენებს, რომ კონკრეტული პროდუქციის წარმოება ნამგებიანია. თუ კომპანია თვლის, რომ მომხმარებელი ძირითად პროდუქციასთან ერთად, რომელიც ნამგებიანია, ყიდულობს დამატებით სხვა საქონელსაც, შეიძლება მიიღოს არასწორი გადანაცვებილება ძირითადი პროდუქციის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. მაგალითად, კომპანია აწარმოებს და ყიდის როგორც პრინტერებს, ასევე ბეჭდვისთვის საჭირო სახარჯ მასალას - კარტრიჯს. თუ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიღებს გადანაცვებილებას და შეწყვეტს პრინტერის წარმოებას, მას დიდი ალბათობით შეუმცირდება კარტრიჯის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, რადგანაც წარსულის გამოცდილება აჩვენებს, რომ წარმოების ერთი რომელიმე კომპონენტის გაუქმება იწვევს მომხმარებლების მხრიდან სხვა მწარმოებლის მოძიებას. ამდენად, კომპანიის ხელმძღვანელმა გადანაცვებილების მიღებამდე უნდა გაითვალისწინოს, როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ინფორმაციის ასპექტები. ცხრილში 1.3 მოცემულია ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას შორის არსებული შედარებითი დახასიათება:

ცხრილი 1.3

ფინანსური აღრიცხვა VS მმართველობითი აღრიცხვა		
ანგარიშგებასთან დამოკიდებულების მიხედვით	ფინანსური აღრიცხვა	მმართველობითი აღრიცხვა
ანგარიშგების მომხმარებლები	გარე მომხმარებლები: აქციონერები, კრედიტორები, მარეგულირებელი ორგანოები და ა.შ	შიდა მომხმარებლები: ხელმძღვანელები, საშუალო რგოლის მენეჯერები და სხვა დასაქმებულები
ანგარიშგების კომპონენტები	ფინანსური ანგარიშგება: ბალანსი, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ა.შ.	შიდა ანგარიშგება: სამუშაოს ღირებულების ვალკულაცია, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება და ანგარიშგების მომზადება და სხვა.
ანგარიშგების პერიოდულობა	კვარტალური, წლიური	საჭიროებისამებრ
ანგარიშგების მიზანი	გარე მომხმარებლებს ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებაში, სესხის პირობების განსაზღვრაში, ინვესტირებასა და სხვა გადაწყვეტილებებში	შიდა მომხმარებლებისათვის დახმარება დაგეგმვასა და კონტროლი გადაწყვეტილებების პროცესზე
ანგარიშგების ფოკუსირება	იყენებს თუ არა სანარმო ფასს-ს სრულად, თუ სხვა შერეული, ან ინდივიდუალური აღრიცხვის წესების გამოყენებით ამზადებს ანგარიშგებას	მზადდება სანარმოში არსებული დეპარტამენტებისა და განყოფილებების შინაარსის გათვალისწინებით დეტალური ანგარიშები, არ არსებობს შემზღვევები
ანგარიშგების წარდგენის საზომი ერთეული	ფულადი	ფულადი და არაფულადი
ანგარიშგების შემოწმება	რეგისტრირებული აუდიტორი	შიდა აუდიტი

## 1.5 ფინანსური აღრიცხვის რეგულირება

ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების, აუდიტისა და კორპორაციული მართვის საკითხებს შორის მჭიდრო კავშირია. აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება განიხილება არა განყენებულად, არამედ კომპანიების ფუნქციონირების გარემოსა და ანგარიშგების პროცესის ჭრილში. ამიტომ საქართველოში აღრიცხვის საკანონმდებლო ბაზა ჩამოყალიბდა სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთაგან უმეტესობა სიახლეა, ხოლო ნაწილი წინა პერიოდებშიც გამოიყენებოდა განსხვავებული მიდგომებით. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო საფუძვლების შესახებაც. გარკვეული მცდელობები იქნა განხორციელებული ამ კანონმდებლობების ჰარმონიზაციის კუთხით ევროკავშირისა და აშშ-ის ფარგლებში, რითაც უზრუნველყოფილია ფინანსური ანგარიშების თანმიმდევრული მომზადება იმის მიუხედავად, თუ სად ფუნქციონირებს საწარმო. ამის შედეგია საქართველოში მოქმედი კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომელიც შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროდირექტივების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც საქართველოს მხარე იღებს ვალდებულებას გარკვეული დროის განმავლობაში ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა დაუახლოოს ევროკავშირის ქვეყნების რეგულაციებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და მის საფუძველზე შექმნილი სხვა ნორმატიული დოკუმენტები. ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმები შეიცავს დეტალურ დებულებებს ძირითადი სააღრიცხვო მოთხოვნების გამოყენების თაობაზე. ბუღალტრებმა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახონ, რა ხდება რეალურად საწარმოში და წარდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს ყალბი. ამრიგად, ფინანსური ანგარიშგება მზადდება ფუნდამენტური ბუღალტრული პრინციპების საფუძველზე და უპასუხებს ბუღალტრული აღრიცხვის წესების მოთხოვნებს.



IASB

აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესებს არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც წარმოადგენს პროფესიონალური დეკლარაციების პაკეტს და განსაზღვრავს ბუღალტრული ინფორმაციის წარსადგენად მომზადების ნორმებს. აღნიშნულ ნორმებს საქართველოში 1999 წლიდან განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების

საბჭოს (IASB) მიერ შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) არის ჩარჩო ნორმებისა - როგორც უნდა ავსახოთ ფინანსურ ანგარიშგებაში კონკრეტული ტიპის ტრანზაქციები და სხვა მოვლენები. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბა-

მისობის უზრუნველყოფა აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაში სწორი და ნამდვილი ფინანსური ინფორმაციის წარდგენისათვის.



ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IAS – Internationale Accounting Standards) პარალელურად არსებობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები - ფასს (IFRS – Internationale Financial Reporting Standards), რომელსაც ასევე განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო

(IASB). იგი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომლის მიზანია იმ ბუღალტრული პრინციპების სტანდარტიზაცია, რომლებსაც მთელ მსოფლიოში იყენებენ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. IASB-ის კომიტეტში შედიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროფესიული ბუღალტრული ორგანიზაციების წარმომადგენლები. IASB-ის ერთ-ერთი მიზანია საერთაშორისო სტანდარტების საყოველთაო აღიარების მიღწევა.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტიზაციის მიღწევის მცდელობებში IASB-ის მიზნებს წარმოადგენს:

- » საერთაშორისო საინვესტიციო გადანყვეტილებების უფრო მაღალი რელევანტურობა;
- » ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებული რეგულირებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების კონვერტირების ხარჯების შემცირება და მისი შესაბამისობის მიღწევა სხვა მარეგულირებელი ნორმებით შედგენილ (მულტინაციონალური კომპანიების მიერ) ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- » ეროვნული სტანდარტების შემქმნელი ორგანიზაციების წახალისება ჰარმონიულად მუშაობისათვის;
- » ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შემუშავება ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ სტანდარტების შემუშავებელი საკუთარი ორგანოები.

ფინანსური ანგარიშგების რეგულირებაში დომინირებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ფუნდამენტური კონცეფციები. ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება ასევე მხარდამჭერი ინფორმაცია, როგორცაა კომპანიის ხელმძღვანელისა და აუდიტორული კომპანიის ანგარიშები.

## 1.6 აუდიტი

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ეფექტიანობა მთლიანად არის დამოკიდებული საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მის სრულყოფილ ინტეგრირებაზე. ამისათვის ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი წინაპირობაა საფინანსო-ეკონომიკური მართვის ახალი ფორმების ათვისება, რაც მოითხოვს სხვადასხვა დარგებში მართვისა და ინსტიტუციონალურ-ინფრასტრუქტურული მიდგომების ცვლილებას.

ამიტომ აუცილებელია თანამედროვე ეკონომიკური პროცესების გონივრული მართვა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამონვეულია ანგარიშვალდებულების კონცეფციის რეალიზაციის მოთხოვნით და იმ ფაქტორითაც, რომ აუდიტორის მიერ მოპოვებული ინფორმაცია თანამედროვე დინამიურ მსოფლიოში „ცალკეულ პირებს, სანარმოებს, ბიზნესმენებს და მთავრობას დაეხმარება გაზარდონ თავიანთ ქმედებათა ეფექტურობა, რადგან, თუ ეკონომიკურ გადანაცვტილებათა მიმღები ფლობს ეკონომიკური მდგომარეობისა და სავაჭრო-სამრეწველო სანარმოთა მუშაობის მაჩვენებლების ამსახველ ინფორმაციას, ეს საქმიანობა ალტერნატიული მიმართულების, მოსალოდნელი შემოსავლების, დანახარჯებისა და რისკის შეფასების საშუალებას იძლევა“, ანუ ასეთი ინფორმაცია ზრდის საიმედოობისა და უტყუარობის ფაქტორს, რადგან იგი ზუსტად აჩვენებს - რამდენად სწორად ასახავს ანგარიშგება ფინანსურ მდგომარეობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიის ეკონომიკურ მართვაში ჩართულია დაინტერესებული მხარეების ფართო წრე, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ სანდო ინფორმაციას კი წარმოადგენს კომპანიის სამართლიანად და უტყუარად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება. ამ სანარმოსა და დაინტერესებულ მხარეებს ფინანსური ანგარიშგების სანდოობის დადასტურებაში ეხმარება აუდიტი. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მოიცავს მოთხოვნებს აღრიცხვის, აუდიტისა და ეთიკის სტანდარტების გამოყენების შესახებ.



აუდიტი წარმოადგენს სპეციფიკურ ცოდნათა სისტემას, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სუბიექტის სამეურნეო პროცესებისა და ფინანსური ოპერაციების კანონიერების, უტყუარობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის პრინციპებისა და ხერხების შესახებ. მისი მიზნები მიიღწევა

სააღრიცხვო-საანგარიშგებო და სხვა ეკონომიკური ინფორმაციის, აგრეთვე კონტროლის ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის გამოკვლევის საფუძველზე, ანუ აუდიტის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სამეურნეო პროცესებისა და ოპერაციების შესწავლა კანონიერების, უტყუარობისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის პოზიციიდან. ამასთან ერთად, აუდიტორული საქმიანობა მისი მრავალფეროვნებით, ყოვლისმომცველობითა და სრულყოფილებისკენ მუდმივი სწრაფვით, წარმოადგენს იმ უნივერსალურ ინსტრუმენტს, რომელიც განსხვავებული პროფილისა და იურიდიული სტატუსის მქონე სანარმოებს ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასა და ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო კრიტერიუმებთან დაახლოებაში. აუდიტს (წარმოიქმნა ლათინური სიტყვიდან „აუდიო“ (audio) - მე მესმის. სხვადასხვა თარგმანში წერია „მსმენელი“, „მოსმენა“) დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დამოუკიდებელი აუდიტორები გამოჩნდნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ვეროპის აქციონერულ კომპანიებში. აუდიტის წარმოშობა დაკავშირებულია იმ სუბიექტებთან, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სანარმოს მართვასთან (ადმინისტრაცია, მენეჯერები) და მათთან, რომლებიც ამ საქმიანობის დამფინანსებლები/დამფუძნებლები (მესაკუთრეები, აქციონერები, ინვესტორები) არიან. ეს უკანასკნელნი ვერ ეყრდნობიან მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც მომზადებულია მმართველი ფინანსური ჯგუფის მიერ, რადგან ხშირია არაზუსტი ინფორმაციის შედეგად მიღებული ფინანსური ბარალის შემთხვევები

(გაკოტრება). აქციონერებს სურდათ, დარწმუნებულიყვნენ, რომ მმართველი გუნდის მიერ მომზადებული ინფორმაცია იყო ზუსტი და ასახავდა რეალურად არსებულ მდგომარეობას. ამისათვის დაინტერესებული პირები (აქციონერები, მესაკუთრეები) სპეციალურად ინვესტირებდნენ ხალხს - აუდიტორებს, რომელთა აზრიც მისაღები და სარწმუნო იყო მათთვის.

აუდიტის ისტორიულ ქვეყნად ითვლება დიდი ბრიტანეთი, სადაც 1844 წელს გამოვიდა კომპანიების შესახებ კანონთა კრებული, რომლის თანახმადაც სააქციო კომპანიის მმართველები ვალდებული იყვნენ წელიწადში ერთხელ მაინც მოეწვიათ სპეციალურად ადამიანთა ჯგუფი ბუღალტრული აღრიცხვის შესამოწმებლად და აქციონერთათვის ანგარიშის ჩასაბარებლად.

რუსეთში აუდიტის ცნება პეტრე I-ის დროს შემოიღეს და იგი მოიცავდა რამდენიმე საქმის წარმოებას, მდივნობას და პროკურორობას. აუდიტორებს რუსეთში მსაჯულ ბუღალტრებს უწოდებდნენ.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა 1923-1933 წლებში გააძლიერა მოთხოვნა ბუღალტერ-აუდიტორის მომსახურებაზე. იმ დროს მკვეთრად გამკაცრდა მოთხოვნა აუდიტორულ შემოწმებაზე. იგი გახდა აუცილებელი და, შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა აღნიშნულ მომსახურებაზე. კრიზისის დასრულების შემდეგ თითქმის ყველა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციებით მოითხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ წარდგენა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წარდგენილი ინფორმაცია აუდიტორის მიერ დამოწმებული უნდა ყოფილიყო. ასე რომ, აუდიტი გახდა ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

აუდიტის საქმიანობის ნორმატიულად რეგულირების შემდგომ ეტაპზე დაიწყო პროფესიული გაერთიანებების ჩამოყალიბების ტენდენცია. მაგალითად, 1942 წელს საფრანგეთში შეიქმნა ბუღალტერ-ექსპერტებისა და სერტიფიცირებული ბუღალტრების პალატა. 1945 წელს მისი საქმიანობის რეგლამენტაცია მოხდა მთავრობის დეკრეტით. პალატა მოექცა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ. სახელმწიფო რეგულირების (ზეგავლენის) ხარისხის მიხედვით ვითარდება აუდიტის ორი მიმართულება: აშშ-ში (პ.ბ.მონტგომერი) და დიდ ბრიტანეთში (დიოქსი) აუდიტორული ორგანიზაციები შედარებით დამოუკიდებელია და თვითონ ქმნიან სხვადასხვა პროფესიულ გაერთიანებებს. სწორედ ამ ტიპის გაერთიანებები ამზადებენ აუდიტორებს, ანიჭებენ შესაბამის კვალიფიკაციას და ახორციელებენ მათი საქმიანობის კონტროლს. ხოლო, რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, აუდიტი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მკაცრად რეგლამენტირებულია.



სახელმწიფო ორგანოების მხრიდან აუდიტორული საქმიანობის რეგულირების ლოგიკური გაგრძელება იყო აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტების (მეთოდოლოგიის, მიდგომების) შემუშავება, რომლებსაც სანყის ეტაპზე ეროვნული ხასიათი ჰქონდა. ამ ტიპის ნორმატიულმა აქტებმა საფუძველი

ჩაუყარა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას. 1970 წელს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ დაიწყო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების

პროცესი. აუდიტის ჩატარების წესის უნიფიკაციისა და ხარისხის ამალღების მიზნით 1977 წელს ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში დაარსდა მუდმივმოქმედი სტატუსის მქონე აუდიტორული პრაქტიკის საერთაშორისო კომიტეტი, რომლის სათაო ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს.

არსებობს აუდიტის ორი სახე: შიდა და გარე აუდიტი



### გარე აუდიტი

გარე აუდიტი ტარდება გარედან მოწვეული პროფესიონალების მიერ, რომლებიც არიან დამოუკიდებელი ექსპერტები. ისინი ეცნობიან სანარმოს ფინანსური აღრიცხვის სისტემებს, ოპერაციებს და ადასტურებენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კანონმდებლობის, ბულალტრული აღრიცხვის ძირითადი კონცეფციებისა და ფინანსური აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. გარე აუდიტის მიზანია გამოიკვლიოს, რამდენად სწორად და სამართლიანადაა მომზადებული სანარმოს ფინანსური ანგარიშგება. დადებითი აუდიტორული ანგარიში მნიშვნელოვანი რწმუნებით წარუდგენს მომხმარებელს აუდიტორის მოსაზრებას სანარმოს ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის შესახებ. აუდიტორული ანგარიშების აღრესატს წარმოადგენს არა ორგანიზაციის მენეჯმენტი, არამედ მისი აქციონერები. გარე აუდიტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საგადასახადო აუდიტი. საგადასახადო აუდიტი არის ბულალტრული და საგადასახადო აღრიცხვის მდგომარეობის შემოწმება, რომლის შედეგად ხდება სანარმოების საგადასახადო რისკების შეფასება და მათი მინიმუმამდე დაყვანა. აუდიტის პროცესში მოწმდება ყველა სახეობის გადასახადის საგადასახადო ბაზა, ტარდება საგადასახადო აღრიცხვისა და საგადასახადო ანგარიშგების აუდიტი, როგორც კომპლექსური, ასევე ცალკეული გადასახადების მიმართ.



### შიდა აუდიტი

შიდა აუდიტი არის მენეჯმენტის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც იგი ამოწმებს, შესაბამისად სრულდება თუ არა ბულალტრული პროცედურები. ასეთ აუდიტს ხშირად დადებითი ეფექტი აქვს სისტემის გაუმჯობესებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების კუთხით. ამრიგად, შიდა აუდიტის სტანდარტებსა და პროცედურებს თვითონ ორგანიზაციის მენეჯმენტი განსაზღვრავს.

გარდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა, აუდიტორებს ასევე მოეთხოვებათ, შეისწავლონ დირექტორის განცხადება საუკეთესო საანარმოო პრაქტიკის წესებთან კომპანიის შესაბამისობაზე და გამოავლინონ ნებისმიერი შეუსაბამობა. ტერმინი „კორპორატიული მართვა“ გამოიყენება კომპანიების მართვისა და კონტროლის წესების აღწერისათვის. კორპორატიული მართვის სისტემა ხელს უწყობს კვალიფიციურ, პატიოსან კადრებს და სანარმოს მომგებიანობის მაქსიმალური ამალღების მოტივაციისათვის აყალიბებს პერსონალის ფინანსურ ინიციატივებს.

ოპტიმალური კორპორატიული მართვის სისტემის პრაქტიკაში განხორციელება რთულია

არა მართო იმის გამო, რომ აქციონერების, მენეჯერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, არამედ იმიტომ, რომ კომპანიის აქციონერებს სურთ მენეჯერებმა იმუშაონ და დაიცვან აქციონერების ინტერესები, რაც მენეჯერებს „აიძულებს“ ამუშაონ საწარმო აქციონერთა სასარგებლოდ, მაგრამ კრედიტორებისა და იმ სხვა დაინტერესებული მხარეების ხარჯზე, რომლებიც პირდაპირ არ მონაწილეობენ კომპანიის მართვაში.

## 1.7 პროფესიული ეთიკა



ეთიკა ბერძნული სიტყვაა (Ethike) და ნიშნავს ფილოსოფიურ მოძღვრებას მორალის, მწიბობის შესახებ. აღრიცხვაში პროფესიული ეთიკა და სტანდარტები არსებობს არაკეთილსინდისიერი კორპორაციებისა და ბუღალტრებისაგან საზოგადოების დასაცავად, რომლებიც მალავენ ან ამახინჯებენ ფინანსურ ინფორმაციას. რა თქმა უნდა, ყველა ბუღალტერი არ არის არაკეთილსინდისიერი, მაგრამ როდესაც ეთიკა ირღვევა, ამან შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს. 2001 წელს, ენრონის კრახმა 60-მილიარდიანი დანაკარგით უარყოფითი გავლენა იქონია ინვესტორებზე, ადამიანებზე, რომელთა საპენსიო ანგარიშებიც განადგურდა და 5,600 თანამშრომელზე, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს.

### პროფესიული ეთიკის სტანდარტების ოფიციალური დანერგვა

1929 წლამდე ბუღალტრულ პრაქტიკაში არ არსებობდა პროფესიული ეთიკის სტანდარტები. ბუღალტრები არ იყვნენ ვალდებული გაესაჯაროებინათ კომპანიების ფინანსური მდგომარეობა და არავის წინაშე არ იყვნენ ანგარიშვალდებული, გარდა იმ კომპანიებისა, რომელთათვისაც მუშაობდნენ. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს თავმჯდომარე რობერტ ჰ. ჰერცი აღნიშნავს, რომ: „აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ინფორმაციის გასაჯაროების ოფიციალური სტანდარტების შემუშავების იდეა წარმოიშვა 1929 წლის საფონდო ბირჟის კრახისა და დიდი დეპრესიის შემდეგ“. ამ იდეამ შედეგად მოიტანა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის შექმნა აშშ-ში, მომდევნო წლებში კი უფრო მეტი სტან-

დარტი და ეთიკური ნორმა იქნა შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილი.

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ბესს) არის სტანდარტების დამდგენი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შეიმუშავებს საერთაშორისო მასშტაბით გამოსაყენებელ ეთიკის კოდექსს პროფესიონალი ბუღალტრებისათვის. „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ თანახმად, „ბუღალტრის როლი არის ის, რომ სააღრიცხვო ინფორმაცია წარუდგინოს სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ კანონიერი უფლება იქონიონ სასარგებლო ინფორმაცია კომპანიის ოპერაციებისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“. ეს როლი რთულად შესასრულებელი ხდება, როდესაც ჩნდება ინტერესთა კონფლიქტი. მაგალითად, თუ კორპორაცია ფირმას ქირაობს აუდიტის ჩასატარებლად და მისი ფინანსური ინფორმაციის შესამოწმებლად, ფირმა ვალდებულია წარუდგინოს აუდიტის ზუსტი ანგარიში კორპორაციის აქციონერებსა და ფართო საზოგადოებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი ინფორმაცია პოტენციურად საზიანოა თავისი კლიენტისათვის.

ბუღალტერთა პროფესიული საქმიანობა როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში რეგულირდება მთელი რიგი დებულებებით, საკანონმდებლო აქტებით, ინსტრუქციებითა და ნორმატიული მოთხოვნებით, რომელთა რიცხვს განეკუთვნება ბუღალტრის ეთიკის კოდექსი, რომლის საფუძველზეც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ შემუშავებულია ბუღალტრის ეთიკის სტანდარტები.

IFAC აზრით, კულტურაში, ენაში, სამართლებრივ და სოციალურ სისტემებში არსებული ეროვნული განსხვავებების გამო პროფესიული ეთიკის სტანდარტების მომზადებასა და მათ შესრულებას უნდა ამოწმებდნენ IFAC-ის წევრი ორგანიზაციები ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში, მაგრამ ეროვნული მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში ეს უკანასკნელი უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე კოდექსის დებულებები.


ეთიკის კოდექსის ძირითადი დებულებების შემუშავების დროს IFAC ეყრდნობოდა იმას, რომ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, მიზნები და ფუნდამენტური პრინციპები ვრცელდება ყველა პროფესიონალ ბუღალტერზე იმის მიუხედავად, თუ სად მუშაობს ის - მრეწველობაში, ვაჭრობისა თუ განათლების სფეროში, სახელმწიფო სექტორსა თუ სხვაგან. ბუღალტერს უნდა გააჩნდეს გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევები, იყოს ფასეულობებისა და ქცევის პრინციპების ერთგული, გაცნობიერებული ჰქონდეს საკუთარი მოვალეობა არა მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციის, არამედ მთლიანად საზოგადოების წინაშე.

ინვესტორები, კრედიტორები, დამსაქმებლები და ბიზნეს საზოგადოების სხვა წევრები, ასევე, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა და მოსახლეობა ეყრდნობიან პროფესიონალ ბუღალტრებს ფინანსური აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის საკითხებში, ასევე ბიზნესის ეფექტიან მართვასა და კომპეტენტურ რეკომენდაციებში დაბეგვრის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამიტომაც ბუღალტერი დაინტერესებული უნდა იყოს იმაში, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება გამოირჩეოდეს ხარისხის უმაღლესი დონით და შეესაბამებოდეს მისი უზრუნველყოფის ეთიკურ ნორმებს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბუღალტერთა პროფესიული კლასიფიკაცია, განსაკუთრებით აღრიცხვის ეროვნული სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის დროს, დამოკიდებულია შესაბამის ცვლილებებზე განათლების, კადრების მომზადებისა და გადამ-

ზადების სფეროში. აღნიშნული მიმართულებების განხორციელებისათვის ფინანსური აღრიცხვის პროფესიის წარმომადგენლებმა უნდა გადახედონ თავიანთ როლსა და ადგილს ეკონომიკური სუბიექტის სტრუქტურაში, ხოლო მენეჯმენტის პერსონალმა - გააცნობიეროს ბუღალტრის მნიშვნელობა საწარმოს განვითარებაში. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები მოიცავს იმ მნიშვნელოვან ეთიკურ ნორმებს, რომლებიც უნდა დაიცვას ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა. ეთიკის კოდექსის მიხედვით, ცალკეა წარმოდგენილი კონცეპტუალური მიდგომები ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტრებთან დაკავშირებით. (ილუსტრაცია 1.9).

ილუსტრაცია 1.9



1. **პატიოსნება და ობიექტურობა.** არსებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, პროფესიონალი ბუღალტრები ადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას და ეწევიან საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურებას, ახორციელებენ შიდა აუდიტს და ასრულებენ ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციებს, მონაწილეობენ ტრენინგისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესებში. მიუხედავად შესრულებული ფუნქციების სირთულისა, ბუღალტერი უნდა იყოს პატიოსანი და ობიექტური.

ეთიკის კოდექსის შესაბამისად, არ შეიძლება საჩუქრების მიღება, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მის პროფესიულ გადაწყვეტილებაზე. ასევე არ შეიძლება ასეთი

საჩუქრების შეთავაზება იმ პირთათვის, ვისთანაც იგი აწარმოებს ბიზნესს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს სხვადასხვაგვარი წარმოდგენა იმაზე, თუ რა ითვლება შეუსაბამო საჩუქრად.

**2. პროფესიული ქცევა.** პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა დაიცვას პროფესიული ქცევის პრინციპი, რომელიც ბუღალტერს ავალდებულებს, რომ დაიცვას სათანადო კანონები და ნორმატიული აქტები, თავი აარიდოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც პროფესიონალმა ბუღალტერმა იცის ან უნდა იცოდეს, რაც დისკრედიტაციას გაუწევს პროფესიას. ბუღალტერს უნდა ჰქონდეს ზოგადი განათლების გარკვეული დონე, რომელსაც თან ახლავს სპეციალური განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამის დისციპლინებში გამოცდების ჩაბარება, ასევე, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება.

პროფესიული კომპეტენციის დონის შესანარჩუნებლად ასევე აუცილებელია ცვლილებების მონიტორინგი ფინანსური აღრიცხვის სფეროს, შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო დებულებებში, მარეგულირებელ-სამართლებრივ აქტებში.

**3. კონფიდენციალობა.** პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია დაიცვას მომხმარებლის ან დამსაქმებლის ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელზეც ხელი მიუწვდება საკუთარი მოვალეობების შესრულების დროს იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მას მინიჭებული აქვს ინფორმაციის გამჟღავნების განსაკუთრებული უფლებამოსილება ან ეს ნაკარნახევია კანონის მოთხოვნით.

ბუღალტერმა არ უნდა გამოიყენოს ან არ უნდა შექმნას მომხმარებლის ან დამსაქმებლის შესახებ მონაცემების გამოყენების მოჩვენებითობა საკუთარი ან მესამე პირის გამორჩენის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის კონფიდენციალობას იცავს კანონი ან საერთო სამართალი, ამიტომაც მსგავსი ეთიკური ნორმები დამოკიდებულია თითოეული კონკრეტული ქვეყნის მარეგულირებელ-სამართლებრივ ბაზაზე.

ბუღალტერმა შეიძლება გაამჟღავნოს ინფორმაცია შემდეგ შემთხვევებში:

- » თუ მომხმარებელი ან დამსაქმებელი მისი გამჟღავნების უფლებას იძლევა, თუმცა გასათვალისწინებელია ყველა მხარის, მათ შორის მესამე პირების ინტერესი, რომლებზედაც შეიძლება ამან გავლენა მოახდინოს;
- » როდესაც გამჟღავნება საჭიროა კანონმდებლობით (მაგალითად, სასამართლო განხილვის პროცესში დოკუმენტების წარდგენის ან ჩვენების მიცემის დროს).

**4. ეთიკური კონფლიქტების მოგვარების უნარი.** ბუღალტრის ეთიკის კოდექსში გათვალისწინებულია ზემდგომი ხელმძღვანელის, მენეჯერის, დირექტორის ან პარტნიორის მხრიდან ბუღალტერზე ზეწოლის შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის ურთიერთობას ოჯახური ან პირადი ხასიათი აქვს. ამიტომ კოდექსი შეიცავს გაფრთხილებას ისეთი ურთიერთობების ან ინტერესების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ, ზიანი მიაყენონ ან დაემუქრონ პროფესიონალი ბუღალტრის წესიერებას.

5. საგადასახადო პრაქტიკის ფლობა. საგადასახადო ანგარიშგების შედგენის დროს ბუღალტერმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებელი ან დამსაქმებელი აუცილებელი ინფორმაციით მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და დაწესებული შეზღუდვების შესახებ. საგადასახადო რეკომენდაციები და დასკვნები, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ფინანსური შედეგები გამოიწვიოს, ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს წერილობით. ამასთან, ანგარიშგება არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს, ყალბ ან შეცდომაში შემყვან განცხადებებს, არ უნდა იყოს დამაბნეველი.

თუ საგადასახადო ანგარიშგებაში დაშვებულია შეცდომა ან დაუდევრობა, ბუღალტერი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მომხმარებელს ან დამსაქმებელს.

6. ეთიკური ნორმების დაცვა საერთაშორისო საქმიანობის განხორციელების დროს. სხვადასხვა ქვეყანაში ეთიკური ნორმები შეიძლება მეტ-ნაკლებად განსხვავებული იყოს. ამ შემთხვევაში პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი წესებით:

- » თუ იმ ქვეყნის ეთიკური ნორმები, სადაც ბუღალტერი თავის მომსახურებას სთავაზობს, ნაკლებად მკაცრია, ვიდრე IFAC-ის ეთიკის კოდექსით დადგენილი, გამოიყენება კოდექსის ნორმები;
- » თუ იმ ქვეყნის ეთიკური ნორმები, სადაც ბუღალტერი თავის მომსახურებას სთავაზობს, უფრო მკაცრია, ვიდრე კოდექსით დადგენილი, აუცილებელია მოცემული ქვეყნის ნორმების გამოყენება;
- » მაგრამ თუ ერთ-ერთი ქვეყნის ეთიკური ნორმები სავალდებულოა და ისინი უფრო მკაცრია, ვიდრე ზემოთ იყო აღნიშნული, მათი დაცვა აუცილებელია.

7. ეთიკური სტანდარტები შრომის ბაზარზე საკუთარი მომსახურების შეთავაზებისას. ბაზარზე თავისი მომსახურების წინ წამოწევის დროს პროფესიონალმა ბუღალტერებმა არ უნდა:

- » გამოიყენონ საშუალებები, რომლებიც ზიანს აყენებს მოცემული პროფესიის რეპუტაციას;
- » გააზვიადონ მათ მიერ განეული მომსახურებები, ასევე, საკუთარი კვალიფიკაცია და გამოცდილება;
- » ისაუბრონ უარყოფითად სხვა ბუღალტრების მუშაობის შესახებ.

ბუღალტრის ეთიკის კოდექსის მე-2 ნაწილში განხილულია ეთიკური ნორმები, რომლებიც გამოიყენება ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრების მიერ და მოქმედებს პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და პროფესიის სპეციფიკურ მახასიათებლებზე.

1. დამოუკიდებლობა. ანგარიშგების შედგენის დროს ბუღალტერმა არ უნდა გამოიჩინოს დაინტერესება, რაც შეიძლება ჩაითვალოს წესიერების, ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებთან შეუთავსებლად. მაგალითად, თუ მიმდინარე პერიოდის მანძილზე ბუღალტერი იყო დირექტორთა საბჭოს წევრი, თანამდებობის პირი, კომპანიის თანამშრო-

მელი და ა.შ., ის წარმოადგენს დაინტერესებულ პირს და ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მის დამოუკიდებლობას კომპანიის საქმიანობის შესახებ ანგარიშის შედგენისას. მსგავს სიტუაციებში, აგრეთვე, აკრძალულია ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების დანიშვნა შესაბამისი კომპანიების აუდიტორებად.

თუ ბუღალტერი უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას, ის შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ იმ პირობით, რომ არ არის ჩართული მენეჯმენტის გადანყვეტილებებში და არ არის პასუხისმგებელი მსგავს საკითხებზე.

**2. ბუღალტრის პროფესიონალური კომპეტენცია და პასუხისმგებლობები სხვა სპეციალისტების მოზიდვაში.** ბიზნესში დასაქმებულმა ბუღალტერმა არ უნდა შეასრულოს პროფესიონალური მომსახურება, რომელიც არ შეესაბამება მის კომპეტენციას. ასეთ სიტუაციებში აუცილებელია მიმართოს სპეციალისტს.

**3. ჰონორარი.** ჰონორარი არის ბუღალტრის მიერ განეული მომსახურებების ღირებულების სამართლიანი ასახვა, რომლის დროსაც მხედველობაშია მისაღები:

- » მომსახურების კონკრეტული სახის განვიცხათვის აუცილებელი უნარები და ცოდნა;
- » მომზადებისა და გამოცდილების დონე;
- » ბუღალტრის მიერ მომსახურების განვავაზე დახარჯული დრო.

კოდექსის თანახმად, პროფესიული მომსახურება ბუღალტერმა არ უნდა შესთავაზოს მომხმარებელს შეთანხმების შესაბამისად, რომლის თანახმადაც ჰონორარის გადახდა მოხდება მხოლოდ კონკრეტული დასკვნის ან შედეგის მიღწევის შემთხვევაში. ამასთან, მიღებულია ჩაითვალოს, რომ საკომისიოს გადახდამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაზე.

**4. ბიზნესთან შეუთავსებელი საქმიანობა.** საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულმა პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა რაიმე სახის ბიზნესს ან გარიგებაში, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მის წესიერებას, დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

**5. მომხმარებელთა ფულადი სახსრები.** ბუღალტერი, რომელსაც მინდობილი აქვს სხვა პირთა კუთვნილი ფულადი სახსრები, ვალდებულია:

- » შეინახოს ისინი პირადი ან ფირმის სახსრებისაგან განცალკევებით;
- » გამოიყენოს მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით;
- » ნებისმიერ დროს მზად იყოს ფულად სახსრებზე ანგარიშგებისათვის იმ პირების წინაშე, რომლებსაც ამ ანგარიშგების მიღების უფლება აქვთ.

**6. რეკლამა და საკუთარი მომსახურების შეთავაზება.** ბიზნესში დასაქმებული პროფესი-

ონალი ბუღალტრის მიერ რეკლამირება და საკუთარი მომსახურების შეთავაზება IFAC-ის წევრი ორგანიზაციების კომპეტენციას განეკუთვნება და წყდება თითოეული ქვეყნის სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური პირობების შესაბამისად. რეკლამა და მომსახურების შეთავაზება მიმართული უნდა იყოს ობიექტურ ინფორმირებულობაზე და უნდა აკმაყოფილებდეს წესიერების, პატიოსნებისა და საიმედოობის მოთხოვნებს.

ბუღალტრებმა, რომლებიც პროფესიულ საკითხებზე წიგნებისა და სტატიების ავტორები არიან, შეიძლება მიუთითონ თავიანთი სახელები, პროფესიული კვალიფიკაცია და თავიანთი ორგანიზაციის სახელი, მაგრამ არ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათი კომპანიის მიერ განეული მომსახურების შესახებ. ეს ეხება ლექციებსაც და რადიოსა ან სატელევიზიო პროგრამებში გადაცემულ ინტერვიუებსაც.

**7. ერთგულება.** დაქირავებულმა პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა დაიცვან ლოიალობა თავიანთი დამქირავებლისა და კოლეგების მიმართ. თანამშრომლისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს კანონებისა და საკუთარი ორგანიზაციის ეთიკური მიზნების ერთგულებას, მაგრამ შეიძლება წარმოშვას კონფლიქტური სიტუაციები, როდესაც ხელმძღვანელობა ბუღალტრისაგან მოითხოვს:

- » კანონის დარღვევას;
- » თავისი პროფესიის წესებისა და სტანდარტების დარღვევას;
- » დამსაქმებლის აუდიტორებად მოქმედი პირების მოტყუებას ან შეცდომაში შეყვანას (მათ შორის დუმილის დაცვით);
- » ხელმოწერას განცხადებაზე, რომელიც არსებითად ამახინჯებს ფაქტებს.

ამასთან, სხვადასხვა თვალსაზრისი პროფესიულ ან ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით რეგულირდება ორგანიზაციაში, რომელშიც მუშაობს ბუღალტერი (ჯერ უშუალო უფროსთან, შემდეგ უფრო მაღალი რანგის ხელმძღვანელთან).

**8. კოლეგების მხარდაჭერა.** პროფესიონალი ბუღალტერი, განსაკუთრებით თუ სხვა ბუღალტრების მიმართ ავტორიტეტული უფლებამოსილება გააჩნია, თვალყურს ადევნებს, რომ ხელქვეითებმა დაიცვან საკუთარი მოსაზრებები მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

**9. ინფორმაციის წარდგენა.** პროფესიონალი ბუღალტერი პატიოსნად წარადგენს ფინანსურ ინფორმაციას სრული მოცულობით. ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას უნდა ჰქონდეს ფორმა, რომელიც ნათლად აღწერს ბიზნეს-გარიგებების, აქტივების ან ვალდებულებების ნამდვილ ბუნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკის კოდექსის დებულებებისა და წესების დაცვა ძალზე მნიშვნელოვანია ბუღალტრებისათვის. დადგენილი ნორმებისა და წესების დარღვევის შემთხვევაში ბუღალტერს შეიძლება ჩამოერთვას პროფესიული საქმიანობის ლიცენზია და გაირიცხოს პროფესიული ორგანიზაციის წევრთა სიიდან.

## კითხვები განსჯისათვის

1. თქვენი აზრით, რა არის ფინანსური აღრიცხვის ძირითადი მიზანი და ამოცანა?
2. რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია თქვენთვის ცნობილი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით? მოკლედ დაახასილეთ თითოეული მათგანი.
3. ჩამოთვალეთ სანარმოთა შემდეგი ფორმების საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები:
  - (ა) ინდივიდუალური მენარმე
  - (ბ) ამხანაგობა
  - (გ) შპს
  - (დ) სააქციო საზოგადოება
4. გარდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა, სანარმოთა კიდევ რომელი კატეგორიებია თქვენთვის ცნობილი? ჩამოთვალეთ და მოკლედ დაახასილეთ თითოეული მათგანი.
5. მოიხმეთ ერთი სანარმოს მაგალითი მაინც, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს წარმოებას, გაყიდვასა და მომსახურებას.
6. მენეჯერები რის შესახებ ღებულობენ ინფორმაციას ფინანსური აღრიცხვიდან?
7. რისთვის/ როდის გამოიყენება ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია?
8. რის შესახებ წარადგენს ინფორმაციას ფინანსური აღრიცხვა?
9. რა სახით ხდება საჭირო ინფორმაციის წარდგენა?
10. ვინ ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას?
11. ვისთვის მზადდება ფინანსური ანგარიშგება?
12. რა არის ფინანსური აღრიცხვა?
13. რას ნიშნავს აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა?
14. იმსჯელეთ ფინანსური აღრიცხვის როლის შესახებ.
15. როგორ გესმით ფინანსური აღრიცხვის ასეთი განმარტება: ფინანსური აღრიცხვა არის ფინანსური მონაცემების ჩანერის, კლასიფიცირების, ანგარიშგების მომზადებისა და ინტერპრეტაციის პროცესი?
16. ჩამოთვალეთ ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციის მომხმარებელთა იმდენი ჯგუფი, რამდენსაც შეძლებთ.
17. ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის ვინ მოიაზრება დაინტერესებულ მხარეებში?
18. რომელი მხარე იქნება სხვებზე მეტად დაინტერესებული კომპანიის კეთილდღეობის ამაღლებასა და მისი ფულადი შემოსავლების ზრდაში?
19. როგორია ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების კლასიფიკაცია?
20. რისთვისაა საჭირო დაინტერესებული მხარისათვის სანარმოს შესახებ ინფორმაციის ფლობა?
21. რომელი ინფორმაცია უნდა შეაფასოს დაინტერესებულმა მხარემ?
22. დაახასილეთ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა, მოიყვანეთ მათ შორის არსებული განსხვავებები.

23. იმსჯელეთ თუ რა სააღრიცხვო ინფორმაცია ესაჭიროება გაყიდვების მენეჯერს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად.
24. იმსჯელეთ თუ რა სააღრიცხვო ინფორმაციაა საჭირო წარმოებული პროდუქციისა ან საქონლის გასაყიდი ფასის დასადგენად.
25. იმსჯელეთ თუ რა სააღრიცხვო ინფორმაცია ესაჭიროება ფინანსურ დირექტორს დივიდენდების გაცემის გადანყვეტილების მისაღებად.
26. იმსჯელეთ თუ რა სააღრიცხვო ინფორმაცია ესაჭიროება ბანკს კომპანიის შესახებ სესხის გაცემის გადანყვეტილების მისაღებად.
27. იმსჯელეთ თუ რისთვის ესაჭიროება საქონლის მომწოდებელს სააღრიცხვო ინფორმაცია.
28. როგორ ხდება ფინანსური აღრიცხვის რეგულირება საქართველოში?
29. როგორ გესმით ტერმინი „აუდიტი“ ?
30. ახსენით აუდიტის არსი, მიზანი და ამოცანები.
31. როგორია აუდიტის კლასიფიკაცია? დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
32. როგორ გესმით ტერმინი „ეთიკა“ ?
33. ახსენით კავშირი ეთიკასა და პროფესიას შორის.
34. მოკლედ აღწერეთ ბუღალტერთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანი და ამოცანები.
35. როგორია პროფესიული ეთიკის კოდექსის განვითარების ისტორია და რეგულირება საქართველოსა და საზღვარგარეთ?
36. იმსჯელეთ პროფესიული ეთიკის მნიშვნელობაზე.
37. როგორ გესმით ინფორმაციის კონფიდენციალობა?
38. იმსჯელეთ შემდეგ სიტუაციაზე: აუდიტორმა თავისი ბიძის კომპანიაზე გასცა დადებითი აუდიტის დასკვნა, იმის მიუხედავად რომ კომპანიაში დაფიქსირდა ფინანსური დარღვევა.
39. იმსჯელეთ შემდეგ სიტუაციაზე: ბუღალტერმა კომპანიის ფინანსური დირექტორის თხოვნით გაზარდა საქონლის თვითღირებულება.
40. იმსჯელეთ შემდეგ სიტუაციაზე: ბუღალტერმა მეგობრების წრეში გაამჟღავნა თავისი კომპანიის ბოგიერთი ფინანსური მაჩვენებელი.
41. იმსჯელეთ შემდეგ სიტუაციაზე: ძლიერი წვიმების გამო საწყობში არსებული საქონელი დაზიანდა, რამაც მნიშვნელოვნად გააუფასურა იგი. ამ ფაქტზე ბუღალტერს არ მოუხდენია არანაირი რეაგირება.
42. შეაფასეთ შემდეგი სიტუაცია: დამფუძნებლის მეუღლე იწყებს ბუღალტრად მუშაობას მის კომპანიაში.
43. შეაფასეთ შემდეგი სიტუაცია: კომპანიის დამფუძნებლის მეუღლე იწყებს კონკურენტი კომპანიის შიდა აუდიტში მუშაობას.

# თავი 2

## ფინანსური

## ანგარიშების გონივრ

## დახასიათება

- 2.1 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებზე და აღწერებებზე დახასიათება
- 2.2 ფინანსური ანგარიშგების აღწერებების კლასიფიკაცია
- 2.3 ფინანსური ანგარიშგების მიმხედობა კომპონენტებზე მიხედვით
  - » ტიპები
  - » კონტები
  - » საფარვეთები
  - » ამოგანები
  - » აიტვაფიური ამოგანები

## 2.1 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და აღწერების დახასიათება

ფინანსური აღრიცხვის საგნის შესწავლა მოითხოვს ზუსტი და რიგ შემთხვევებში რთული ტერმინოლოგიის, მიზნების, პრინციპების, კონცეფციებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურების გაგებას. როგორც წესი, ფინანსური აღრიცხვის შესავალი კურსი იძლევა წარმოდგენას აღრიცხვის თეორიული საფუძვლების შესახებ.

წინამდებარე თავში განხილულია ფინანსური ანგარიშგების ხუთი კომპონენტი და მათი უთიერთკავშირი.

### ფინანსური ანგარიშგება

გიყვართ წიგნები, კინო, სპორტი? თუ ასეა, არსებობს შანსი, რომ გსმენიათ ან გითქვამთ ფრაზა „ფრთხილად, სპილენძი“, რათა გააფრთხილოთ მკითხველები, მაყურებლები ან თამაშის მოყვარულები, რომ წიგნი, ფილმი, ან სანახაობა მალე დასრულდება. ზოგს ურჩევნია იცოდეს დასასრული და გამოტოვოს მთელი რიგი შუალედური დეტალები, სხვები კი

ამჟობინებენ მთლიანად „ჩაიძირონ“ საკუთარ თავში და ისე დაელოდონ შედეგს. ადამიანებმა ხშირად არ იციან, ან არ ესმით, თუ რას საქმიანობენ და რას ქმნიან ბუღალტრები, ანუ არ იცნობენ ბუღალტრული პროცესის „დასასრულს“, მაგრამ ეს საუკეთესო ადგილია ფინანსური აღრიცხვის შესწავლის დასაწყებად. ბუღალტრები ქმნიან იმას, რასაც ჩვენ ფინანსურ ანგარიშგებას ვუწოდებთ. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიშგება იძლევა ინფორმაციას საწარმოს ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

თავისი არსით, ფინანსური ანგარიშგების უპირველესი მიზანია საწარმოს, სამთავრობო ორგანოების ან არაკომერციული საწარმოს საქმიანობის შეფასება. წინამდებარე თავში ყოველივე ეს განხილულია საწარმოს მაგალითზე, რომელიც წარმოადგენს მოგების მიღებაზე ორიენტირებულ სუბიექტს. ჩვენ მიერ განხილული ფინანსური ანგარიშგების თითოეულ კომპონენტს საკუთარი ფუნქცია გააჩნია, ხოლო ყველა მათგანი ერთად, წარმოგვიდგენს ინფორმაციას:

- » საწარმოს ფინანსური წლის მოგებით ან ბარალით დამთავრების შესახებ;
- » წლიური, ბოგჯერ კი საწარმოს ხელმძღვანელის გადანყვეტილების საფუძველზე განსაზღვრული პერიოდულობით, მაგალითად, კვარტლის ან თვის მონაცემების საფუძველზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ;
- » საწარმოს აქტივებისა და მათი თანამდევნი ვალდებულებების შესახებ;
- » საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს ფულადი სახსრების მდგომარეობის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ის კომპონენტები და მათი მომზადების რიგითობა, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს ასრულებენ:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი);
2. მოგება-ბარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება;
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
5. განმარტებითი შენიშვნები.

მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მომზადების რიგითობის დაცვა, რადგან იგი ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების ურთიერთკავშირის კონცეფციას. მანამ, სანამ დეტალურად ავხსნით ფინანსურ ანგარიშგებას, განვიხილოთ თითოეული კომპონენტის მიზანი. აღნიშნულის უკეთესად გარკვევისთვის წარმოდგენილ მასალაში ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მომზადების რიგითობა წარმოდგენილია განსხვავებულად, ანუ მის განხილვას ვინყებთ მოგება-ბარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებით.

## საილუსტრაციო მაგალითი 2.1. ნანის მეურნეობის შექმნის ისტორია



სოფელში, სადაც ბავშვობაში ნანი ქალაქიდან ჩადიოდა დასასვენებლად, მთის ძირას იდგა ვეებერთელა სახლი, დიდი ეზოთი. უკან კი მთის მთელ სიგრძეზე, გადაჭიმული იყო ტყე, საიდანაც დილით გრილი სიო უბერავდა. ნანის ყურადღებას, სოფლის სახლის ინტერიერის გარდა, იპყრობდა ოჯახის დიასახლისი, რომელიც დილის 5 საათიდან იწყებდა ფუსფუსს. ჯერ ძროხებსა და თხებს გაუშვებდა საძოვარზე და შემდეგ უკვე სახლის საქმეებს მიჰყვებოდა. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც რიტუალის დონეზე ასრულებდა - იყო ყველის ამოყვანა. ნანის ინტერესი ყველის დამზადების მიმართ სწორედ აქედან დაიწყო.

გავიდა დრო, მაგრამ ინტერესი ყველის მიმართ არ გამქრალა. მან თავი კიდევ ერთხელ იჩინა მაშინ, როდესაც პირველად გაიგო, რომ თბილისში ტარდებოდა ყველის ფესტივალი. სწორედ აქ აღმოაჩინა, რომ გარდა იმერულის, სულგუნისა და გუდის ყველისა, არსებობდა ტენილი, თუშური გუდა, ჩოგი, კალტი, კობი, აჭარული ჩეჩილი, თხის ყველი, დამბალი ხაჭო და დამპალი ყველიც კი. დღეისათვის საქართველოში ყველის 14 სახეობაა დარეგისტრირებული. ყველის ეს სახეობები წლების განმავლობაში მივიწყებული იყო. ისინი რამდენიმე წლის წინ ექსპედიციის შედეგად აღმოაჩინეს. ნანიმ გადაწყვიტა სოფელში დასახლება, მცირე ფერმერული მეურნეობის გაშენება და მივიწყებული ქართული ყველის სახეობების აღდგენასთან ერთად იტალიური პარმეზანის ტიპის ყველის წარმოებაც დაიწყო, რაც არცთუ ცუდად გამოუვიდა. ნანის წარმოებულმა ყველმა იტალიელებიც კი აღაფრთოვანა.

ამგვარად, შეიქმნა მცირე ფერმერული მეურნეობა „ნანის ყველი“. სულ ხუთი წლის განმავლობაში მეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, გაზარდა თავისი მეურნეობის დისტრიბუციის ადგილები და, ჯავახეთის გარდა, უკვე ბარშიც გადმოინაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ნანიმ კარგად იცოდა თავისი საქმე, მეურნეობის შექმნის პროცესში, სხვა მენარმეების მსგავსად, რიგი მარეგულირებელი და ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რომლებიც მისთვის სიახლეს წარმოადგენდა. ზოგიერთი ასეთი საკითხი ეხებოდა აღრიცხვისა და გადანაცვტილებების მიღებისათვის საჭირო მოცულობით ინფორმაციას, რასაც მას ფინანსური აღრიცხვის სისტემები სთავაზობდა, თუმცა ნანის ამ ყველაფრის შესახებ არც ცოდნა და არც გამოცდილება არ ჰქონდა.

შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრა, ფულადი ნაკადების შესახებ ინფორ-

მაციის წარდგენა პოტენციური კრედიტორებისათვის, ანალიზი იმისა, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია მოგება და დადებითია თუ არა ფულადი სახსრების ბრუნვა ბიზნესის გასაფართოებლად, მარაგების მართვა და ა.შ. ფინანსური აღრიცხვა და მის საფუძველზე შემდეგ ფინანსური ანგარიშგების (ბალანსი, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება) მომზადება ბიზნესმენებსა და ინვესტორებს სთავაზობს მექანიზმს ფუნდამენტური და მყარი გადაწყვეტილებების მისაღებად.

### **ფინანსური ანგარიშგების მიზანი**

მანამ, სანამ კონკრეტული ფინანსური ანგარიშგების განხილვაზე გადავალთ, საჭიროა ვიცოდეთ, რატომ არის ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვანი. ამისათვის კი, პირველ რიგში, გავიხსენოთ, თუ ვინ არიან ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის მომხმარებლებს ეწოდებათ დაინტერესებული მხარეები. დაინტერესებული მხარე არის პირი, რომელზეც გავლენას ახდენს საწარმოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ეს შეიძლება მოიცავდეს ჯგუფებს ან ცალკეულ პირებს, რომლებზეც გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობა ან პოლიტიკა, ზოგჯერ კი დაინტერესებული მხარეების ინტერესი უშუალოდ არც კი ეხება საწარმოს ფინანსურ საქმიანობას. დაინტერესებული პირების არეალი მოიცავს გამსესხებლებს, ინვესტორებს, მფლობელებს, მომწოდებლებს, თანამშრომლებსა და მენეჯერებს, სამთავრობო სააგენტოებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებთანაც კომპანიები ახორციელებენ საქმიანობას. დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა მიზნებისათვის აინტერესებთ საწარმოს საქმიანობა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საერთო მიზანი არის იმ ინფორმაციის გაცნობა, რომელსაც თითოეული მისი კომპონენტი შეიცავს და რომელიც სასარგებლოა ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად. მაგალითად, ბანკის წარმომადგენელს შეიძლება აინტერესებდეს ფინანსური ანგარიშგება იმისათვის, რომ განსაზღვროს, ასესხოს თუ არა ფული საწარმოს.

ანალოგიურად, მცირე ბიზნესის მფლობელებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები იმის საფუძველზე, თუ რამდენად იცნობენ ბიზნესს და რამდენად იციან, კარგად მუშაობს თუ არა იგი, ასევე, მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი ინტუიციითაც. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბუღალტრებს შეუძლიათ დაეხმარონ ბიზნესის მფლობელებს საწარმოს ფინანსური ინდიკატორების შესახებ გამჭვირვალე ინფორმაციის წარდგენით. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში საწარმოს ყველა სახის საქმიანობას აქვს ფინანსური გავლენა მასზე, ფინანსური ანგარიშგება კი არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ბუღალტრები ანგარიშს აბარებენ საწარმოს საქმიანობის შესახებ. დაინტერესებულ მხარეებს მრავალი სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღება უწევთ, ფინანსური ანგარიშგება კი იძლევა ინფორმაციას, რომელიც მათ ამ გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი ერთგვარი რენტგენის ეფექტით ასახავს სანარმოს ფინანსურ სიჭანსაღეს. ფინანსური ანგარიშგების კომპლექსური შეფასებით, პირს, რომელსაც გააჩნია ცოდნა ფინანსების დარგში, შეუძლია მთლიანობაში განსაზღვროს სანარმოს მდგომარეობა. ბუღალტერს შეუძლია გამოიყენოს ეს ინფორმაცია რჩევების მისაცემად შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისათვის, ხოლო სანარმოს მენეჯმენტს შეუძლია გამოიყენოს ეს ინფორმაცია მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

## ეთიკის ასპექტები

### უტილიტარული მიდგომა ბუღალტრული გადაწყვეტილებებისა და დაინტერესებული მხარეების კეთილდღეობის მიმართ

უტილიტარიზმი არის კარგად ცნობილი და გავლენიანი თეორია მორალის შესახებ, რომელიც, ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც საქმიანი გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი საფუძველი. უტილიტარიზმი გვთავაზობს, რომ ეთიკური არის მოქმედება, რომლის შედეგი სხვებთან შედარებით მეტი სიკეთის მომტანია დიდი რაოდენობის ადამიანებისათვის. ამგვარად, თუ გვინდა, რომ ეთიკური გადაწყვეტილება მივიღოთ, მაშინ ჩვენსავე თავს უნდა ვკითხოთ - ვის დაეხმარება და ვის აზარალებს ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა ამ გზით შედეგებზე ფოკუსირება არ მოითხოვს ჩვენგან, რომ გავითვალისწინოთ კონკრეტული შედეგის მიღწევის საშუალებები.

მარტივად რომ ვთქვათ, უტილიტარული ხედვა არის ეთიკის თეორია, რომლის თანახმადაც, სანარმოს საუკეთესო ქმედებად ითვლება ის ქმედება, რომელიც მაქსიმალურად სასარგებლოს ხდის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ამგვარი ხედვა გულისხმობს, რომ მიღებულ გადაწყვეტილებაში ყველა დაინტერესებული მხარეა გათვალისწინებული.

ფინანსური ანგარიშგება გამოიყენება იმისათვის, რომ გავერკვეთ სანარმოს ფინანსურ საქმიანობაში და მივიღოთ მიმდინარე და გრძელვადიანი გადაწყვეტილებები. უტილიტარული მიდგომა ითვალისწინებს ყველა დაინტერესებულ მხარეს და საქმიანი გადაწყვეტილებების მოკლე და გრძელვადიან ეფექტებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება შეცვალონ დაინტერესებული მხარის დამოკიდებულება ბიზნესის მიმართ. თუ კომპანია აქცენტს აკეთებს ფინანსური შედეგების მაქსიმიზაციაზე დაინტერესებული მხარის სარგებელის გათვალისწინებით, ეს შეიძლება მიანიშნებდეს ზოგიერთი დაინტერესებული მხარის ინტერესების პრიორიტეტულად აღიარებაზე სხვა მხარეებთან შედარებით. როდესაც კომპანია აქცენტს აკეთებს დაინტერესებული მხარეების მხოლოდ მოკლევადიან სარგებელზე, ამით იგი უგულბებულყოფს სხვა დაინტერესებული მხარეების კეთილდღე-

ობას. პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა იცოდნენ ყველა დაინტერესებული მხარის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ და უნდა განსაზღვრონ, რამდენად კარგი იქნება მათი გადანყვეტილებების საფუძველზე მიღებული შედეგები დაინტერესებული მხარეების უმრავლესობისათვის.

**გადაწყვეტილების შემთხვევა 2.1 (DECISION CASE). სანარმოს მფლობელები, როგორც გადაწყვეტილებაების მიმღებები**

თქვენს ახლობლებში, ოჯახის წევრებსა ან ნაცნობებში აუცილებლად აღმოაჩინეთ საკუთარი ბიზნესის მფლობელებს. გამონახეთ დრო, რათა გაესაუბროთ მათ და გაიგოთ, თუ როგორ იყენებენ ისინი ფინანსურ ინფორმაციას გადანყვეტილებების მისაღებად.

**გადაწყვეტა**

ბიზნესის მფლობელები ფინანსურ ინფორმაციას იყენებენ სხვადასხვა სახის გადანყვეტილებების მისაღებად, როგორებიცაა მაგალითად: ორ სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული გაყიდვების შედარება, ხარჯების განვვის ტენდენციები, იმ მიმართულებების განსაზღვრა, როდესაც შესაძლებელი იქნება ხარჯების შემცირება, გადანაწილება ან მოგების გაზრდა. ასეთი ფინანსური ინფორმაცია სასარგებლოა, მაგალითად, პერსონალის დონეების განსაზღვრის, ოპერაციების რაციონალიზაციის, სარეკლამო და სხვა საინვესტიციო გადანყვეტილებების მისაღებად.

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება. იგი ასახავს სანარმოს ფინანსურ საქმიანობას დროის მოცემული პერიოდისათვის.

განვიხილოთ მოგება-ზარალის ანგარიშგების მიზანი რეალურ მაგალითზე. დავუშვათ, თქვენი მეგობარი ვანო არის ერთ-ერთი შპს-ს დამფუძნებელი, 2020 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო ლანდშაფტის საბაფხულო მონყობის ბიზნესი, რომელიც მომსახურების სფეროს მიეკუთვნება. ამ მაგალითის გასამარტივებლად დავუშვათ, რომ აღნიშნულ საქმიანობაში ვანო იყენებს თავისი ოჯახის კუთვნილ ტრაქტორს. ის თვითონაა პასუხისმგებელი საწვავისა და სხვა საოპერაციო ხარჯების დაფარვაზე. ამ საქმიანობას მან უწოდა „ვანოს პეიზაჟი“. 31 აგვისტოს ვანომ შეამოწმა მიმდინარე საბანკო ანგარიშის ნაშთი და აღმოაჩინა, რომ მასზე დარჩენილია მხოლოდ 250 ფულადი ერთეული. ეს კი უფრო ნაკლებია, ვიდრე იგი ვარაუდობდა, რადგან ფიქრობდა, რომ რამდენიმე კლიენტისაგან თანხა უკვე მიღებული ჰქონდა. ვანომ გადანყვიტა გაეკეთებინა ანალიზი და გამოერკვია, რატომ იყო მისი მიმდინარე ანგარიშის ნაშთი მოსალოდნელზე უფრო ნაკლები. ანალიზმა ცხადყო, რომ მან კლიენტებისაგან ანაზღაურების სახით გამოიმუშავა სულ 2,400 ფე, მაგრამ იმავე პერიოდში გადაიხადა 100 ფე, რათა დაემაგრებინა ტრაქტორის მუხრუჭები, 50 ფე საწვავისათვის და, ასევე, სადაზღვევო კომპანიას გადაუხადა 2,000 ფე ბიზნესის დაზღვევისათვის. შესაბამი-

სად, მოსალოდნელზე ნაკლები ნაშთი ანგარიშზე გამოწვეული იყო იმით, რომ მან დახარჯა (2,150 ფე მუხრუჭების, სანვავისა და დაზღვევისათვის) ცოტათი უფრო ნაკლები, ვიდრე გამოიმუშავა (2,400 ფე), რამაც შეადგინა 250 ფე. მიუხედავად იმისა, რომ ვანოს სურდა ყოველთვის უფრო მეტი თანხა დარჩენილიყო მის მიმდინარე ანგარიშზე, მას ესმის, რომ აგვისტოში დახარჯული თანხების უმეტესი ნაწილი არარეგულარული ხარჯია (მუხრუჭები და დაზღვევა) და რომ მხოლოდ დაზღვევის კუთხით იქნა განეული უჩვეულოდ დიდი ხარჯი. ამიტომ სჯერა, რომ სექტემბერში მისი ანგარიშის ნაშთი გაიზრდება, რადგან კიდევ რამდენიმე კლიენტისაგან მიიღებს ანაზღაურებას. ვანო ასევე ფიქრობს, რომ სექტემბერში ხარჯებიც ნაკლები ექნება.



ცხრილი 2.1

„ვანოს შვიზაფი“ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით (დეულადი ერთეული)	
შემოსავალი	2,400
ხარჯები:	
ტრაქტორის მუხრუჭების რემონტი	100
სანვაჯი	50
ბიზნესის დაზღვევა	<u>2,000</u>
სულ ხარჯები	2,150
მოგება	250

მოგება-ზარალის უფრო მარტივად გამოსახვა შესაძლებელია აგრეთვე ფორმულით:

მოგება (ზარალი) =
შემოსავალი - ხარჯი

ახლა კი ოდნავ შეეცვლოთ ეს სიტუაცია და დავეუშვათ, რომ 2,000 ფე დაზღვევის თანხა სადაზღვევო კომპანიას უნდა გადაუხადოს სექტემბერში და არა აგვისტოში. ასეთ შემთხვევაში ვანოს მიმდინარე ანგარიშზე ნაშთი იქნება 2,250 ფე ანუ 2,400 ფე შემოსავლიდან გახარჯული იქნება მხოლოდ ტრაქტორის მუხრუჭების რემონტის საფასური 100 ფე და სანავის საფასური 50 ფე. ფულადი სახსრების ბრუნვის ეს მაგალითი წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის საკასო მეთოდს, რადგან იგი ასახავს განხორციელებული გადახდების მიღების მდგომარეობას და არ არის აუცილებელი, რომ ასახოს მათი შესრულების პერიოდი. ამავე ნაწილში განვიხილავთ დარიცხვის მეთოდით შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას, რაც შემოსავლებსა და ხარჯებს ასახავს ბიზნეს-ოპერაციის ჩატარების პერიოდის მიხედვით.

ფინანსურ აღრიცხვაში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ეს მაგალითი წარმოადგენს ანგარიშგებას, რომელიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად დროის კონკრეტული პერიოდისათვის. ეს მარტივი მაგალითი მოყვანილია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ისეთი ელემენტების განსახილველად, როგორებიცაა შემოსავალი და ხარჯი. ერთად აღებული ეს მაჩვენებლები განსაზღვრავს - წმინდა შემოსავალი ჰქონდა თუ ზარალი<sup>1</sup> საწარმოს მოცემულ პერიოდში. ქვემოთ, უფრო დეტალურადაა განხილული თითოეული ეს ელემენტი.

## შემოსავალი

შემოსავალი არის „ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების შემოსვლის ან ხარისხის გაუმჯობესების ან ვალდებულებების სიდიდის შემცირების ფორმით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას, რომელიც დაკავშირებული არ არის საკუთარი კაპიტალის ინვესტორების მხრიდან განხორციელებულ შენატანებთან“. ზემოთ აღნიშნულ მაგალითში ვანოს მიერ აგვისტოს თვეში გამომუშავებულმა „შემოსავალმა“ შეადგინა 2,400 ფე. ეს არის ანაზღაურება, რაც ვანომ მიიღო მისი კლიენტებისათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. ანალოგიურად, როდესაც საწარმო თავის კლიენტებს საქონელს ან მომსახურებას აწოდებს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მომსახურების განვებისას ან მომავალში ასეთი საწარმო მიღებულ საზღაურს აღიარებს, როგორც შემოსავალს. ისევე, როგორც მომსახურების განვით მიღებულმა 2,400 ფე-მა გაზარდა ვანოს მიმდინარე ანგარიშის ნაშთი, შემოსავლებიც ზრდის ბიზნესის ღირებულებას. ფინანსურ აღრიცხვაში შემოსავლები ხშირად მოიხსენიება აგრეთვე, როგორც გაყიდვებით ან გადახდებით მიღებული სარგებელი. ისევე, როგორც ბიზნესიდან ან საზაფხულო სეზონის სამუშაოდან მიღებული გასამრჯელო ასახავს გამომუშავებული საათების რაოდენობას მოცემული განაკვეთით, ან განეული მომსახურების სანაცვლოდ კლიენტის მიერ გადახდილი თანხებით, ეს შემოსავლებიც (და სხვა ჰირობები) ასახავს საქონლის ან განეული მომსახურების ღირებულებას ფულად ერთეულში დროის მოცემულ პერიოდში.

<sup>1</sup> წმინდა შემოსავალი (Net Income) - საწარმოს მოგების ან ზარალის აღსანიშნავად შესაძლებელია ტერმინის "წმინდა შემოსავალი" გამოყენება.



თქვენს უბანში ახლახან გაიხსნა ახალი ყავის მაღაზია. გარკვევით, რა პროდუქტებს ყიდის ეს მაღაზია, რომელთა გაყიდვის შედეგად მიღებული თანხაც შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც „შემოსავლები“. დაიმახსოვრეთ, რომ ყავის მაღაზიის მიერ გაყიდვებით მიღებული შემოსავლები მის უპირველეს მიზანს, ანუ ყავისა და მისი პროდუქტების გაყიდვებს უკავშირდება, ან უფრო კარგი იქნება, თუ მიბრძანდებით ყავის მაღაზიაში და პირველნაყოფიან მიიღებთ ინფორმაციას.

## გადაწყვეტა

ყავის მრავალი მაღაზია იღებს შემოსავლებს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის ყავისა და სპეციალური სასმელების, სურსათის, სასაჩუქრე ბარათებისა და სხვა ნაწარმის გაყიდვით.

## ხარჯები

ხარჯი არის კლიენტისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული გარკვეული სახის რესურსების გადაცემა. ჩვენს მაგალითში, ვანოს მიერ განუღებმა ხარჯებმა შეადგინა 2,150 ფე (100 ფე მუხრუჭების რემონტზე, 50 ფე - სანავაზე და 2,000 ფე - ბიზნესის დაზღვევაზე). შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ხარჯი არის შემოსავლის საპირისპირო მოქმედება, რომლითაც მცირდება ვანოს მიმდინარე ანგარიშის ნაშთი. ანალოგიურად, ხარჯები ამცირებს ბიზნესის ღირებულებას და ასახავს საქონლის ან განუღებ მომსახურების ხარჯებს ფულად ერთეულში დროის მოცემულ პერიოდში.

### **გადაწყვეტილების ქიზი 2.3 (DECISION CASE). ყავის მაღაზიის ხარჯები**

თუ იფიქრებთ, რომ ესტუმროთ თქვენს უბანში არსებულ ყავის მაღაზიას, დაათვალიერეთ და განსაზღვრეთ საგნები და საქმიანობები, რომლებიც მაღაზიის ხარჯებს ქმნის. დაიმახსოვრეთ, ყავის მაღაზიის ხარჯები ეხება მის მიერ მოხმარებულ რესურსებს, გენერირებული შემოსავალი კი წარმოადგენს ყავისა და მასთან დაკავშირებული პროდუქტების გაყიდვების შედეგს. არ დაგავინწყდეთ ის ხარჯებიც, რომლებიც შესაძლოა ნათელი არ იყოს. როგორც წესი, ყოველ საქმიანობას თან ახლავს ზედნადები ხარჯებიც.

#### **გადაწყვეტა**

ყავის მაღაზიის ხარჯები, რომლებიც ადვილად იდენტიფიცირებადია, შეიძლება მოიცავდეს იჯარას, თანამშრომლების ხელფასებს, ყავის, ნამცხვრებისა და სხვა გასაყიდი პროდუქტების დამზადების ხარჯებს. გარდა ამისა, ისეთი ხარჯები, როგორებიცაა კომუნალური გადასახადები, აღჭურვილობის შეძენა ან სხვა მიწოდებები, შეიძლება ასევე მარტივად განისაზღვროს. ყავის მაღაზიის შედარებით უხილავი ხარჯები მოიცავს დაზღვევას და ისეთი ნებართვის ხარჯებს, როგორებიცაა: კვების ობიექტების ლიცენზირება, ინტერნეტი, ტერმინალის ხარჯები, რეკლამა, შემოწირულობების სახით გაცემები, საპენსიო და სახელფასო ხარჯები - მუშაკების შრომის ანაზღაურება, საკომისიო გასამრჯელოები და ა.შ.

სანარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის არითმეტიკული სხვაობა იძლევა მოგებას ან ზარალს, რომელსაც ხშირად ასევე წმინდა შემოსავალს ან ზარალსაც უწოდებენ.

#### **მოგება**

მოგებას ქმნის ძირითადი და დამხმარე საქმიანობებით წარმოებული პროდუქტების გაყიდვა მათ თვითღირებულებაზე უფრო მაღალ ფასად (დამხმარე საქმიანობით წარმოებული არის ისეთი პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება ბიზნესოპერაციების მხარდასაჭერად). მოგების კონცეფციის საილუსტრაციოდ დავებრუნდეთ ჩვენს ზემოთ აღწერილ მაგალითს. დავუშვათ, რომ ვანომ გადაიხადა 2,500 ფე ფართისთვის, რათა გამოეყენებინა საკუთარი კომპანიის სასაწყობო მეურნეობის ნაგებობის სახით. ასევე დავუშვათ, რომ ვანოს აქვს შესაძლებლობა გაყიდოს შეძენილი ფართი 3,000 ფე-ად. ცოტა ხნის შემდეგ მან უკეთესი ნაგებობა მოიძია სასაწყობო მიზნებისათვის და გადაწყვიტა, რომ საკუთარი საწყობის შენობა გაეყიდა. მისი გაყიდვის შემდეგ ვანოს მიერ მიღებული მოგება იქნება 500 ფე (3,000 ფე გასაყიდი ფასი და 2,500 ფე შეძენის ხარჯი) და, ასევე, მიმდინარე ანგარიშზე ფულადი რესურსის სახით ექნება 3,000 ფე, რაც ანგარიშის ნაშთს გაზრდის.

ახლა დავებრუნდეთ შემოსავალს (2,400 ფე), რომელიც ვანომ მიიღო ლანდშაფტის მონყობის ბიზნესიდან. შეგვიძლია დავსვათ კითხვა: რა მსგავსება და განსხვავებაა მოგებასა და შემოსავალს შორის? 2,400 ფე შემოსავალია, რომელიც ვანომ მიიღო თავისი ბიზნესიდან, ხოლო 3,000 ფე მან მიწის ნაკვეთის გაყიდვით მიიღო. მათ შორის მსგავსება ის არის, რომ ორივე მათგანი ზრდის ვანოს მიმდინარე ანგარიშის ნაშთს და უფრო ღირებულს ხდის მის

ბიზნესს, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც ნათელია. ვანომ 2,400 ფე მიიღო მომსახურების განვით (საკუთარი შრომით) თავისი კლიენტებისათვის, რაც ვანოს უპირველესი მიზანია. გარდა ამისა, ფულის მოძიება საკუთარი ფართის გაყიდვით ვანოსათვის არ წარმოადგენს რეგულარული შემოსავლის წყაროს, რადგან მისი პირველადი სამუშაო იყო მომსახურების განვითა ლანდშაფტის სპეციალისტის სახით. მისი უპირველესი მიზანია ანაზღაურების ან შემოსავლის მიღება განუღი მომსახურებისათვის და არა ფულის მიღება ფართის გაყიდვით. ფაქტობრივად, მას არ შეუძლია იგივე ოპერაცია ჩაატაროს მომავალში, რადგან არა აქვს დამატებითი ფართი, რომ გაყიდოს.

## ზარალი

ზარალი წარმოიქმნება ძირითადი და დამხმარე საქმიანობებით წარმოებული პროდუქტების თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაყიდვისას. ამის საილუსტრაციოდ დავუშვათ, რომ ვანო 2,200 ფე-ად ყიდის თავის სასაწყობო ფართს, რომელიც მან 2,500 ფე-ად შეიძინა. ამ შემთხვევაში იგი განიცდის 300 ფე ზარალს (2,200 ფე გასაყიდი ფასი მინუს 2,500 ფე შესყიდვის ღირებულება), მაგრამ თავის მიმდინარე ანგარიშზე ნაშთი ექნება 2,200 ფე, რაც ზრდის ანგარიშის ნაშთს.

არ უნდა დაგაბნით იმ ფაქტმა, რომ ვანოს მიმდინარე ანგარიშის ნაშთი იმ შემთხვევაშიც გაიზარდა, როდესაც მოცემული ოპერაციის მიხედვით ვანომ ფინანსური ზარალი განიცადა. მან მიიღო 2,200 ფე, რომელიც შეუძლია შეიტანოს ანგარიშზე და სამომავლო ხარჯებისათვის გამოიყენოს. 300 ფე უბრალოდ იმაზე მიანიშნებს, რომ მან ამ თანხით ნაკლები მიიღო სასაწყობო ფართის გაყიდვისას, ვიდრე მასში გადაიხადა შეძენის დროს. ეს არის ერთი და იგივე ტრანზაქციის ორი ასპექტი, რომლებიც სხვადასხვა საკითხებს ეხება და მნიშვნელოვანია, რომ გავიგოთ მათ შორის განსხვავება.

როგორც მოგებისა და შემოსავლების შედარებისას ვნახეთ, ხარჯებიცა და ზარალიც ერთმანეთის მსგავსია იმით, რომ ორივე მათგანი ამცირებს საწარმოს ღირებულებას. გარდა ამისა, მოცემულ მაგალითშიც, ისევე როგორც ზემოთ განხილულში, ვანოს უპირველესი მიზანი არის შემოსავლის მიღება მომსახურების განვით და არა ფართის გაყიდვით.

## წმინდა შემოსავალი (ზარალი)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმინდა შემოსავალი (მოგება) და/ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთშედარებით. წმინდა შემოსავალი იქმნება მაშინ, როდესაც შემოსავლები (შემოდინებები/შემოსულობები) ხარჯებს (გასავალს) აღემატება. წმინდა ზარალი კი ჩნდება მაშინ, როდესაც ხარჯები (გასავალი) შემოსავლებს (შემოდინებებს) აჭარბებს, ფინანსურ აღრიცხვაში წმინდა შემოსავალი, როგორც წესი, წარმოდგენილია შემდეგი ფორმატით:

### წმინდა შემოსავალი

შემოსავალი (გაყიდვებით ან სხვა გამომუშავებით მიღებული სარგებელი)  
- დანახარჯები (ყველა დანახარჯის გათვალისწინებით)

გავიხსენოთ, რომ შემოსავალი არის იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელსაც ბიზნესი აწვდის თავის კლიენტებს და რომლითაც იგი ზრდის საწარმოს (ბიზნესის) სარგებელს. მეორე მხრივ, ხარჯები არის საქონლისა და მომსახურების მიწოდების ხარჯები, რომლებიც ამცირებს ბიზნესის ღირებულებას. როდესაც შემოსავალი ხარჯებს აღემატება, კომპანია იღებს მოგებას. ეს ნიშნავს, რომ კომპანია წარმატებით ახდენს შემოსავლების გენერირებას, ეწევა ხარჯებს, ან ახორციელებს ორივეს ერთად. მაგრამ, თუ ხარჯები აღემატება შემოსავლებს, ეს ნიშნავს, რომ კომპანია წარუმატებლად ახდენს შემოსავლების გენერირებას დანახარჯების განვეის ჩათვლით ან ორივეს ერთად. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა თავიდან აიცილონ ზარალი, ისინი ზოგჯერ მაინც განიცდიან ასეთ ზარალს. კომპანიებისათვის რთული იქნება შეინარჩუნონ სიცოცხლისუნარიანობა, თუკი მათი საქმიანობა ხანგრძლივად ზარალიანი იქნება.

ქვემოთ ფუნქციის სახით გთავაზობთ წმინდა შემოსავლის (ზარალის) ფორმულას:

$\text{შემოსავალი (Revenue) - დანახარჯი (Expenses) = წმინდა შემოსავალი (Net Income)}$ <p style="text-align: center;">(როდესაც <math>R &gt; E</math>)</p>
$\text{შემოსავალი (Revenue) - დანახარჯი (Expenses) = წმინდა ზარალი (Net Loss)}$ <p style="text-align: center;">(როდესაც <math>E &gt; R</math>)</p>

მეტი სისრულისათვის ასევე უნდა განვიხილოთ შემოსავლებისა და ზარალის გავლენა საწარმოზე. გავიხსენოთ, რომ მოგება შემოსავლის მსგავსია, ზარალი კი - დანახარჯისა. ამდენად, ტრადიციული სააღრიცხვო ფორმულა იქნება:

მოგება და ზარალი
$\text{შემოსავალი (გაყიდვებით ან სხვა გამომუშავებით მიღებული სარგებელი)} + \text{მოგება - ხარჯები - ზარალი} = \text{წმინდა შემოსავალი (ზარალი)}$

წმინდა შემოსავლის (ზარალის) მნიშვნელობა მოგება-ზარალის ჩათვლით, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმულის სახით:

$\text{შემოსავალი (Revenue) + სხვა შემოსავალი (Other Revenues) - ხარჯი (Expenses) - სხვა ხარჯები (Other Expenses) = წმინდა შემოსავალი/ზარალი}$
--

საწარმოს წმინდა შემოსავლის შეფასებისას, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ამ შემოსავლის წყარო. საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს „მაღალი ხარისხის“ შემოსავლები (ან გასამრჯელოები). მაღალი ხარისხის შემოსავლები ეფუძნება სტაბილურ ანაზღაურებას, რომელსაც ხშირად მუდმივ გასამრჯელოსაც უწოდებენ და ნაკლები ხარისხით გულისხმობს არარეგულარულ, ანუ დროებით, გასამრჯელოებს. გავიხსენოთ, რომ შემოსავლები წარმოადგენს საწარმოს

მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას კლიენტისათვის მათი მიწოდების მომენტისათვის, ხოლო ანაზღაურებები არ არის რეგულარული და შეიცავს ბიზნესის პირველადი მიზნების მისაღწევ დამხმარე საშუალებებს. სიფრთხილე გვმართებს, თუკი სანარმო წმინდა შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს იღებს მოგებიდან და არა ამონაგებიდან. ანალოგიურად, დანაკარგების შედეგად წარმოქმნილი წმინდა ზარალი სათანადოდ უნდა იქნეს განხილული დანაკარგების იშვიათი ხასიათის პერსპექტივასთან კავშირში.

## **ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ**

საკუთარი კაპიტალი - ეს არის ცნება, რომელიც ხშირად გვაბნევს (ასოცირდება სიმდიდრესთან), მაგრამ წარმოადგენს კონცეფციას, რომელსაც, სავარაუდოდ, იცნობთ. მოკლედ, საკუთარი კაპიტალი არის სანარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კაპიტალის კონცეფციის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება ქვემოთ განხილული მაგალითი.

### **მაგალითი 2.1 კაპიტალი**

კაპიტალის კონცეფციის შესახებ საუბრისას მიზანშეწონილია განვიხილოთ მაგალითი. მრავალი ოჯახი კარგად იცნობს ისეთ გარემოებას, როგორიცაა სახლის შეძენა. დავუშვათ, რომ ოჯახი ყიდულობს სახლს, რომლის ფასია 200,000 ფე. პირველი შესატანის - 25,000 ფე-ის გადახდის შემდეგ ოჯახი იღებს საბანკო კრდიტს 175,000 ფე-ის ოდენობით სახლის ღირებულების დარჩენილი ნაწილის დასაფარავად. ისმის კითხვა: რა არის ოჯახის კაპიტალის ღირებულება ამ სახლში? თუ თქვენი პასუხია 25,000 ფე, ეს სწორი იქნება. სახლის ყიდვის დროს ოჯახი ფლობს ქონებას, რომლის ღირებულებაა 200,000 ფე (აქტივი), მაგრამ ოჯახი სესხელობს ბანკიდან 175,000 ფე-ს (ვალდებულება), ამგვარად, ოჯახის კაპიტალის წმინდა ღირებულება ამ სახლში არის 25,000 ფე. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება, რომელიც არის ბუღალტრების მიერ მოსამზადებელი ერთ-ერთი ანგარიშგება, გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება სანარმოს კაპიტალი (ღირებულება) დროთა განმავლობაში. მოგება-ზარალის ანგარიშგების მსგავსად საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაც გვაძლევს ინფორმაციას დროის მოცემული პერიოდისათვის. გავიხსენოთ, რომ კაპიტალის ანალიზის მეორე გზა არის წმინდა ღირებულება. ამგვარად, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება გვიჩვენებს, როგორ შეიცვალა სანარმოს კაპიტალი (ღირებულება) დროის მოცემულ პერიოდში.

ცხრილი 2.2

„ვანოს პეიზაჟი“ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	
მფლობელის კაპიტალი 1 აგვისტოს	-
წმინდა შემოსავალი	<u>250</u>
მფლობელის კაპიტალი 31 აგვისტოს	250

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში აღნიშნული ელემენტები მოიცავს მფლობელების მიერ გაცემებულ ინვესტიციებსა და ასევე მოგების განაწილებას მფლობელებზე. მფლობელების მიერ გაცემებული ინვესტიციები და მათი განაწილება არის ორი სხვადასხვა ოპერაცია, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოს ღირებულებაზე (ზრდის ან ამცირებს). გარდა ამისა, საწარმოს ღირებულებაზე გავლენას ახდენს წმინდა შემოსავალი ან ზარალი (წმინდა შემოსავალი ზრდის, ზარალი კი ამცირებს მის ღირებულებას). წმინდა შემოსავალი (ან ზარალი) ასევე ნაჩვენებია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, ეს კი არის იმის მაგალითი, თუ როგორი ურთიერთკავშირი არსებობს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის. საყურადღებოა, რომ სიტყვა „მფლობელი“ (მხოლოდობით ან მრავლობითში) ცვლის სიტყვას „მფლობელები“ (მრავლობითში ან ჯგუფურად) როდესაც ეს ფინანსური ანგარიშგება დგება საწარმოებისათვის, რომლებსაც რამდენიმე და არა ერთადერთი დამფუძნებელი ჰყავს.

ჩვენი მაგალითი რომ უფრო გაგვემარტივებინა, დავიწყეთ „ვანოს პეიზაჟის“ ოპერაციების პირველი თვით, როდესაც მფლობელის კაპიტალის ჩართულობა 2020 წლის აგვისტოს დასაწყისში იყო 0 ფე, რადგან ამ დროისათვის არანაირი ტრანზაქცია არ იყო განხორციელებული. თვის განმავლობაში ამ ბიზნესით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2,400 ფე, განუღმა ხარჯმა კი 2,150 ფე, ანუ მიღებული წმინდა შემოსავალი იყო 250 ფე. იმის გამო, რომ ვანოს არ ჰქონდა განხორციელებული ინვესტიცია და არ აუღია სესხი, აგრეთვე არ ჰქონდა სხვა დანახარჯები, გარდა განუღლი 2,150 ფე-ის ხარჯისა, მისმა ნაშთმა 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 250 ფე.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მივუთითოთ, რომ საქმე გვაქვს ერთადერთ მფლობელთან, როდესაც მფლობელის ინვესტიცია მისი საკუთარი კაპიტალია. მაგრამ ქვემოთ განვიხილავთ სააქციო საზოგადოების საქმიანობას, როდესაც მფლობელის საკუთარი კაპიტალის ნაცვლად უკვე გვექნება აქციონერთა კაპიტალი, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივ აქციებსა და გაუნაწილებელ მოგებას, რათა წარმოვადგინოთ მფლობელების ინტერესები.

საზოგადოდ, კორპორატიული მიდგომა უფრო რთულია, რადგან სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე, ან ათასი მფლობელი (აქციონერი).

**მფლობელების მიერ განხორციელებული ინვესტიციები**

ზოგადოდ, არსებობს ორი გზა, რომლის მეშვეობითაც საწარმოები უფრო ღირებულ-

ნი ხდებიან: მომგებიანი ოპერაციების განხორციელება (როდესაც შემოსავლები აჭარბებს ხარჯებს) და მფლობელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციები. საწარმოებს ხშირად აქვთ შორს მიმავალი მიზნები ან პროექტები, რომლებიც ძალზე ძვირია (მაგალითად, ახალი სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, ახალი ტექნოლოგიების შექმნა ან სხვა საწარმოს შესყიდვა).

იმის მიუხედავად, რომ მომგებიანი ოპერაციები ამ მიზნებისა და პროექტების „დაფინანსების“ საიმედო საშუალებაა, საწარმოებს ხშირად აქვთ სურვილი, რომ უფრო სწრაფად, დროის მოკლე პერიოდში, განახორციელონ ეს პროექტები, ამ პროექტების დასაფინანსებლად აუცილებელი სახსრების სწრაფად მიღების ერთ-ერთ საშუალებას კი ქონების გაყიდვა წარმოადგენს. მფლობელების ინვესტიციები არის ფულის ან სხვა აქტივების დაბანდება, რისთვისაც ინვესტორს ექმნება ქონებრივი ინტერესი საწარმოში. ეს არის ორივე მხარისათვის (მესაკუთრე და ინვესტორი) ხელსაყრელი გარიგება: საწარმო იღებს მისთვის საჭირო ფინანსებს გარკვეული დროით, ხოლო ინვესტორი იღებს ქონებრივ ინტერესს საწარმოში. როდესაც საწარმოები იღებენ დაფინანსებას საკუთრების გაყიდვის გზით, მფლობელების წილი, როგორც წესი, რეალიზდება ჩვეულებრივი აქციების სახით, რაც სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების ჩვეულებრივად გავრცელებული ფორმაა. ამასთან, თითოეულ აქციას გააჩნია წილობრივი მოთხოვნის უფლება, ანუ წილი სააქციო საზოგადოების ბიზნესში. როდესაც საწარმო პირველად უშვებს ჩვეულებრივ აქციებს, ამ პროცესს ეწოდება **საწყისი საჯარო შეთავაზება IPO (Initial Public Offering)**. აღრიცხვის ამ სახეობის შესახებ უფრო მეტს შეიტყობთ კორპორაციების ფინანსური აღრიცხვაში. როგორც კი სააქციო საზოგადოება გამოუშვებს (გაყიდის) ჩვეულებრივ აქციებს IPO-ს შემდეგ, ასეთ სააქციო საზოგადოებას უკვე ვუწოდებთ საჯარო ვაჭრობის კომპანიას, რაც უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ საწარმოს აქციები შეიძლება შეძენილი იქნეს ღია სავაჭრო ბირჟაზე, როგორცაა, მაგალითად, ნიუ იორკის ან ლონდონის საფონდო ბირჟა, ანუ ინვესტორებს შეუძლიათ გახდნენ კონკრეტული საწარმოს წილის მფლობელები.

## კონსეფციები კრაქტიკაში

### **„აბრეშუმის გზა“ საჯარო დაინტერესების საწარმო ხდება**

ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2017 წლის პირველ სექტემბერს, კომპანიამ „აბრეშუმის გზა“ შეავსო დადგენილი ფორმა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიაში (SEC). ამ ფორმაში მან მიუთითა თავისი განზრახვა - გამხდარიყო საჯარო ვაჭრობის კომპანია, ანუ ბირჟებზე გაეყიდა თავისი აქციები, რაც საშუალებას მისცემდა კერძო პირებსა და კორპორაციებს, რომ შეეძინათ წილი ამ კომპანიაში. აღნიშნული ფორმა მოიცავდა დეტალურ ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას საწარმოს შესახებ. საწარმოს მიერ წარდგენილი ინფორმაცია ასევე მოიცავდა ამ ფონდების შეთავაზებისა და სავარაუდო გამოყენების მიზნებს. წარმოგიდგენთ ფორმაში შეტანილი ინფორმაციის ნაწილს: „ჩვენი შეთავაზების ძირითადი მიზანია კაპიტალიზაციისა და ფინანსური მოქნილობის ამაღლება და საჯარო ბაზრის შექმნა ჩვეულებრივი აქციების გასატანად. ჩვენ ვაპირებთ გამოვიყენოთ ამ შეთავაზებით მიღებული წმინდა შემოსავალი, უპირველეს ყოვლისა, ზოგადი კორპორაციული

მიზნებისათვის, კაპიტალის ზრდის, კვლევების, ბიზნესის განვითარებისა და გაყიდვების გაზრდისათვის".

2017 წლის 28 სექტემბერს „აბრეშუმის გზა“ გახდა საჯარო დაინტერესების კომპანია და მოლოდინებსაც გადააჭარბა: „აბრეშუმის გზის“ შეფასებით, მას შეეძლო IPO-მდე გაეყიდა თავისი თითოეული აქცია 12 – 14 ფულად ერთეულად, რაც 117 მილიონ ფე-ზე მეტს მოუტანდა კომპანიას. 28 სექტემბერს, დღის ბოლოსათვის, მისი აქციების საბოლოო ფასმა შეადგინა 23.50 ფე, ანუ მოსალოდნელზე თითქმის ორჯერ მეტი.

**მფლობელებზე განაწილება**

საკუთარი კაპიტალის თვალსაზრისით, არსებობს ორი ძირითადი გზა, რომლებითაც საწარმოს ღირებულება მცირდება: წამგებიანი ოპერაციები (როდესაც ხარჯები ან ზარალი აჭარბებს შემოსავლებს) და მფლობელებზე განაწილება. საწარმოს მფლობელებს (ინვესტორებს) სურთ იხილონ, თუ როგორ ფასდება (იზრდება) მათი ინვესტიციების ღირებულება. დროთა განმავლობაში ჩვეულებრივი აქციების მფლობელები გაიგებენ, როგორ გაიზარდა მათი ინვესტიციების ღირებულება - აქციების ფასი - საწარმოს წარმატებული ოპერაციების შედეგად. საწარმოებს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე შეუძლიათ მფლობელებზე გაანაწილონ გარკვეული თანხები. მფლობელებზე ასეთი განაწილება წარმოადგენს საწარმოს ღირებულების (კაპიტალის) ნაწილს.

მფლობელებსა და ინვესტორებზე (რომლებიც ფლობენ აქციებს საწარმოში) გასანაწილებელ თანხას ეწოდება დივიდენდები. დივიდენდები წარმოადგენს საწარმოს წმინდა შემოსავლის (კაპიტალის წილის) ნაწილს, რაც უბრუნდება მფლობელებს ერთგვარი კომპენსაციის სახით, მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დივიდენდების გაცემა ფაქტობრივად ამცირებს საწარმოს აქტივებს, ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებით, დივიდენდების გაცემა ზრდის საწარმოს ღირებულებას პერსპექტივაში და მას უფრო სასურველს ხდის.

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადების პირველ ეტაპს. ბალანსში ჩამონათვალის სახითაა წარმოდგენილი: რა ქონებას (აქტივებს) ფლობს კომპანია, რა ვალდებულებები გააჩნია და რა ღირს იგი (მისი კაპიტალი) დროის კონკრეტული თარიღისათვის. მიაქციეთ ყურადღება დროის ათვლის ცვლილებას ბალანსში. თუ მოგება-ზარალისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია ეხება საწარმოს ფინანსურ შედეგებსა და კაპიტალის ცვლილებებს დროის მოცემული პერიოდისათვის, ბალანსში მოცემულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობა კონკრეტული თარიღის დასრულებისას. (იხ. „ვანოს პეიზაჟის“ ბალანსი 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით)

ცხრილი 2.3

„ვანოს შეიზაჯი“ ბალანსი 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით (ფე)	
აქტივები	
ნაღდი ფული	250
ვალდებულებები	
ვალდებულებები	0
მფლობელის კაპიტალი	
მფლობელის კაპიტალი	250

**აქტივები**

თუ გაიხსენებთ მაგალითს ვანოსა და მისი ლანდშაფტის ბიზნესის შესახებ, თქვენთვის ცნობილი გახდება ტერმინი აქტივი. აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ანუ, ეს არის რესურსები, რომლებიც ხმარდება შემოსავლის გენერირებას.

ვანოს ბიზნესის შემთხვევაში, მაგალითის გამარტივებულად წარმოსადგენად, ბიზნესი დასრულდა თვის ბოლოს, ერთი აქტივით - ნაღდი ფულით, იმ დაშვებით, რომ ბიზნესის დაზღვევის პერიოდიც ერთ თვეს მოიცავდა.

მაგრამ, რაც უფრო კომპლექსური ხდება საწარმო, მით უფრო მეტი სხვადასხვა ტიპის აქტივები წარმოიქმნება. ეს აქტივები შეიძლება დაჯგუფდეს როგორც მოკლევადიან (იგივე მიმდინარე, რომლებიც, როგორც წესი იხარჯება, გაიყიდება ან კონვერტირდება ფულში ერთი წლის ან უფრო ნაკლები პერიოდის განმავლობაში), ისე გრძელვადიან აქტივებად (არამიმდინარე) აქტივები, რომელთა კონვერტირება ფულად საშუალებებად არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ან უფრო ნაკლები პერიოდის განმავლობაში) გრძელვადიანი აქტივები ხშირად გამოიყენება პროდუქციის წარმოებაში ან სხვადასხვა სახის მომსახურებაში.

საწარმოების მოკლევადიანი აქტივებია: ფულადი საშუალებები, დებიტორული დავალიანება, მარაგები და ა.შ, ხოლო გრძელვადიანი აქტივებია: მიწა, ტექნიკური აღჭურვილობები, შენობები, საოფისე ავეჯი, ავტომანქანები და ა.შ.

გრძელვადიანი აქტივები შეიძლება ასევე დაჯგუფდეს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად. მატერიალურ აქტივებს გააჩნია ფიზიკური ფორმა, მაგალითად, სატვირთო მანქანები, სხვადასხვა სახის ინვენტარი და ა.შ. არამატერიალურ აქტივებს კი არ გააჩნიათ ფიზიკური ფორმა, მაგალითად, ასეთი აქტივებია სადაზღვევო პოლისები, კომპიუტერული

პროგრამები, სავაჭრო ნიშნები, მარკები, ემბლემები და საფირმო სახელები, პატენტები, ლიცენზიები, კონცესიები, გუდვილი, ნოუ ჰაუ და ა.შ.

### **ვალდებულებები**

**ვალდებულებები** - არის თანხები, რომლებიც მართებს კომპანიას სხვა პირების (კრედიტორების) მიმართ. ვალდებულება სანარმოს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს სანარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი. ვალდებულებები, ისევე როგორც აქტივები, შეიძლება დაჯგუფდეს მოკლევადიან (მიმდინარე) და გრძელვადიან (არამიმდინარე) ვალდებულებებად. მოკლევადიანია ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ერთ წელიწადზე ნაკლებია, ხოლო გრძელვადიანია ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედეგის თარიღიდან ერთ წელზე მეტია.

ზოგადად სანარმოს მოკლევადიანი ვალდებულებები ან მიმდინარე გადასახდელი თანხები მოიცავს შექმნილი საქონლისათვის გადასახდელ თანხებს (კრედიტორული დავალიანება), ხელფასებს და სანარმოს მიერ გასაწევ სხვა ხარჯებს, გრძელვადიანი ვალდებულებები კი - ხანგრძლივი პერიოდის მქონე გადასახადებს: გირაოს, ობლიგაციებს, და ა.შ.

### **კაპიტალი**

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების განხილვისას, ჩვენ გავიგეთ, რომ საკუთარი კაპიტალი (ანუ წმინდა აქტივები) ეხება წმინდა შემოსავალს. ჩვენს მაგალითში - „ვანოს პეიზაჟი“, განვსაზღვრეთ, რომ წმინდა კაპიტალმა საქმიანობის პირველი თვის ბოლოს შეადგინა 250 ფე.

დაინტერესებული პირებისათვის დროის ნებისმიერ მომენტში მნიშვნელოვანია, რომ იცოდნენ, თუ როგორია სანარმოს ფინანსური მდგომარეობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამშრომლებისთვის, მენეჯერებისთვის, სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, მნიშვნელოვანია გაიგონ, რას ფლობს სანარმო, რა დავალიანება გააჩნია და რა ღირებულება აქვს დროის მოცემული მომენტისათვის. ეს შეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს ბიზნესთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაში ეხმარება.


» ინფორმაცია სანარმოს ეკონომიკური რესურსების, სანარმოს მიმართ არსებული მოთხოვნებისა და მათში მომხდარი ცვლილებების შესახებ

სანარმოს მფლობელებს ესაჭიროებათ ინფორმაცია მათ ბიზნესში არსებული რესურსების, ვალდებულებებისა და მათი ცვლილებების შედეგების შესახებ, იმისათვის რომ დაგეგმონ და მართონ ბიზნესი. მაგალითად, საჭიროა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მოცემული დროისათვის რა ღირებულების მარაგი არის საწყობში, რამდენია ბანკსა და სალაროში ფულადი სახსრები, ვის აქვს სანარმოს ვალი და რამდენი, თავად სანარმოს თუ აქვს ვალი,

რა მოცულობის გაყიდვები განხორციელდა მოცემულ პერიოდში და სხვა მსგავსი ინფორმაცია.


ცნობილია, რომ ეკონომიკური რესურსი არის უფლება, რომელსაც აქვს ეკონომიკური სარგებლის მოტანის პოტენციალი. ეკონომიკური სარგებელი (economic benefits) განივთებულია აქტივებში და არის აქტივების უნარი (შესაძლებლობების პოტენციალი), ხელი შეუწყოს სანარმოში ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების პირდაპირ ან არაპირდაპირ შემოსვლას. უფლებებს, რომლებსაც აქვს ეკონომიკური სარგებლის მოტანის ან გამოშვების პოტენციალი, გააჩნია მრავალი ფორმა, მათ შორის ფულადი სახსრების მიღების, საქონლის ან მომსახურების მიწოდების, ეკონომიკური რესურსების გაცვლის ხელსაყრელი პირობებით. მარტივად, ეს არის ნებისმიერი აქტივი (ეკონომიკური რესურსი), რომელსაც სანარმო აკონტროლებს, ანუ იყენებს საქმიანობაში ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. ეკონომიკური რესურსების ანუ აქტივების მთავარი დანიშნულებაა მათი გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღება (იხ.ილუსტრაცია 2.1).

ილუსტრაცია 2.1



მაგალითად, მწარმოებელი სანარმო იძენს მასალებს საკუთარი სახსრებით ან ვალით, ამ რესურსით აწარმოებს პროდუქციას და შემდეგ ამ პროდუქციას ყიდის ფასნამატიტ ფულის იმავდროული მიღებით, ზოგჯერ კი - შემდგომი გადახდის პირობით. ეს წრებრუნვა უწყვეტია, თუ ბიზნესი იქნება წარმატებული. ანალოგიურად საქმიანობს სავაჭრო კომპანია - ყიდულობს საქონელს და ყიდის ფასნამატიტ, შეძენა-გაყიდვა შესაძლებელია ნაღდი ანგარიშსწორებით ან შემდგომი გადახდის პირობით (იხ.ილუსტრაცია 2.2).

ილუსტრაცია 2.2



რა არის ეკონომიკური სარგებელი? მარტივად შეიძლება ასე ავხსნათ: საქონელი, რომელიც სანარმომ შეიძინა 100 ფე-ად, გაიყიდა 105 ფე-ად, შედეგად სანარმოს ფულადი სახსრები გაიზარდა 5 ფე-ით. ამდენად, ეკონომიკური სარგებელი გამოხატულია ნამეტით ფულადი ნაკადების შემოდინებაში (ზრდაში). იხ. ილუსტრაცია 2.3.

ილუსტრაცია 2.3



ინფორმაცია, სანარმოს ეკონომიკური რესურსებისა (აქტივების) და მის მიმართ არსებული მოთხოვნების (ანუ ვალდებულებებისა და კაპიტალის) ხასიათისა და სიდიდის შესახებ, ეხმარება ინფორმაციის მომხმარებლებს სანარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. აღნიშნული ინფორმაცია იძლევა სანარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის, დაფინანსების დამატებით წყაროებზე მისი მოთხოვნილებების შეფასებისა და პროგნოზის გაკეთების საშუალებას, ანუ იმის გარკვევას, თუ რამდენად წარმატებით შეძლებს ის აუცილებელი ფინანსების მოპოვებას. ეს ინფორმაცია ასევე ეხმარება მომხმარებელს შეაფასოს ხელმძღვანელობის მიერ სანარმოს ეკონომიკური რესურსების მართვა.

სანარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ცვლილებებსა და შესაბამის შედეგებს იწვევს სანარმოს საქმიანობა. ინფორმაცია სანარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ მომხმარებლებს ეხმარება იმის გაგებაში, რამდენად ეფექტურად გამოიყენა სანარმომ მის განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსები, ასევე საშუალებას იძლევა შეფასდეს მომავალი ფულადი სახსრების შემოდინების პერსპექტივა. სანარმოს მიერ მიღებული უკუგება იმაზე მიუთითებს, რამდენად ვარგად შეასრულა სანარმოს ხელმძღვანელობამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები - რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენა სანარმოს რესურსები. კერძოდ, ასეთ ვალდებულებებს განეკუთვნება სანარმოს რესურსების დაცვა ეკონომიკური ფაქტორების არახელსაყრელი ზემოქმედებისგან, როგორცაა, მაგალითად, ფასებისა და ტექნოლოგიების ცვლილებები და ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ სანარმომ დაიცვას მოქმედი კანონები, სხვა ნორმატიული აქტები და სახელშეკრულებო დებულებები.

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ჩამოთვლილია საწარმოს ფულადი შემოდინებები და გადინებები დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება ზედმეტ ანგარიშგებადაც კი მოგეჩვენოთ, რადგან დროის მონაკვეთებში ფულადი სახსრების შემოდინებებისა და გადინებების შესახებ მონაცემებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაც გვაძლევს. გარდა ამისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) გვეხმარება სხვა დაკავშირებული საქმიანობების აღრიცხვაში, როგორცაა, მაგალითად, მფლობელების მიერ გაკეთებული ინვესტიციები და ინვესტორებზე გაცემული დივიდენდები, რომლებიც მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ შეიტანება. იმის გასაგებად, თუ რატომ არის აუცილებელი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება, პირველ რიგში უნდა გავეცნოთ აღრიცხვის ორ ფუნდამენტურ საფუძველს, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენება. ამ ანგარიშგებაში ფულადი სახსრების ცვლილებები ხშირად ეხება მათ წყაროებსა და ფულის გამოყენებას. ფულის წყარო საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, საიდან შემოდის ფული. მაგალითად, არის თუ არა იგი გენერირებული მომხმარებელზე პროდუქციის გაყიდვის შედეგი, თუ არის საბანკო სესხი. ასევე მნიშვნელოვანია, რაში გამოიყენება ფული: სესხის პროცენტის გადასახდელად, თუ ძვირადღირებული ტექნიკის შესაძენად, რომელიც ბიზნესის შესაძლებლობებს გააფართოებს? ფინანსური აღრიცხვის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს საკასო და დარიცხვის მეთოდის გამოყენება.

აღრიცხვის საკასო მეთოდის მიხედვით, ტრანზაქციები (ანუ ყიდვა-გაყიდვა) არ შეიტანება ფინანსურ ანგარიშგებაში, მანამ, სანამ არ მოხდება ფულის გადახდა ან მიღება. აღრიცხვის ეს მეთოდი ნებადართულია არაკომერციული და მცირე ბიზნესებისათვის, თუკი ისინი აღრიცხვის ამ მეთოდს შეარჩევენ, ხოლო, დარიცხვის მეთოდის მიხედვით, ტრანზაქციები ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება მათი განხორციელებისას და არა გადახდის ან მიღების დროს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს ორი ოპერაცია შესაძლოა ერთსა და იმავე დღეს მოხდეს.

აღრიცხვის ორი მეთოდის შედარების მაგალითები (საკასო vs დარიცხვა), სავარაუდოდ, დაგვეხმარება მათ შორის არსებული განხვავებების დაზუსტებაში. დავუშვათ, რომ მექანიკოსმა კლიენტის ავტომანქანის ძრავა შეაკეთა 29 მაისს, ხოლო 2 ივნისს კლიენტმა გაიყვანა თავისი ავტომანქანა და გადაუხადა მექანიკოსს მომსახურების საფასური 100 ფე. თუ მექანიკოსი საკასო აღრიცხვის მეთოდს გამოიყენებს, მაშინ შემოსავალის აღიარება უნდა მოხდეს 2 ივნისს, ანუ მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას და ნებისმიერი განუღიარებული ხარჯი აღიარებული უნდა იქნეს მათი გადახდისას. ხოლო დარიცხვის მეთოდის შემთხვევაში მექანიკოსმა შემოსავალი და მასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აღიაროს 29 მაისს, ანუ სამუშაოს დასრულებისას. ამდენად, ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება ყოველთვის ხდება საკასო მეთოდის გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ აღრიცხვის საკასო მეთოდი უფრო კარგად ესადაგება და უფრო მეტად ეფექტურია მცირე საწარმოებისა და გარკვეული ტიპის ბიზნესებისთვის, მაგ. სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე ინვენტარის არმქონე ბიზნესებში (იურისტები, ექიმები, აუდიტორები), დარიცხვის მეთოდი თეორიულად უპირატესადაა მიჩნეული და ხელსაყრელად

ითვლება იმის გამო, რომ ერთმანეთისაგან განასხვავებს ტრანზაქციების განხორციელების ვადებსა (როდესაც ხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება) და ფულადი თანხის გადახდებს საქონელზე, მოცემული ტრანზაქციის მიხედვით (რამაც შეიძლება უფრო მეტი დრო მოითხოვოს პირველი ტრანზაქციის შესრულების შემდგომ). ეს საშუალებას აძლევს ბუღალტრებს, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად, რელევანტურად და სრულად წარუდგინონ დაინტერესებულ მხარეებს.

საკასო და დარიცხვის მეთოდებს შორის განსხვავების საილუსტრაციოდ, გამოგვადგება შემდეგი ორი მარტივი მაგალითი. დავუშვათ, რომ სანარმო ყიდის 200 ფე ღირებულების საქონელს. არსებობს გადახდის ორი გზა, რასაც კლიენტები იყენებენ: გადახდა ნაღდი ფულით და (საქონლის შესყიდვა და/ან მომსახურების მიღება) შემდგომი გადახდის პირობით. ანგარიშსწორება მოიცავს გადახდებს ჩვეით (ნაღდი ანგარიშსწორებით) ან საკრედიტო ბარათით და ხორციელდება გაყიდვის მომენტში. გადახდა კრედიტით (არ უნდა აგვერიოს საკრედიტო ბარათით გადახდაში) საშუალებას აძლევს კლიენტს, რომ მიიღოს საქონელი, მაგრამ გადაიხადოს მისი საფასური მოგვიანებით, კონკრეტული დროის მონაკვეთში, ჩვეულებრივ - 30 დღემდე ვადაში.

გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება აღიარებული იქნეს როგორც საკასო, ისე დარიცხვის მეთოდით. ეს გონივრულია, რადგან კლიენტი იღებს საქონელს და უხდის სანარმოს მის ღირებულებას იმავედროულად. ეს კი მიჩნეულია ორ გარემოებად, რომლებიც ერთსა და იმავე დროს დგება (ფულისა და საქონლის გაცვლა).

მექანიკოსის შესახებ მოყვანილი წინა მაგალითის მსგავსად კრედიტით გაყიდვები შეიძლებოდა სხვადასხვაგვარად აღრიცხულიყო ამ ორი მეთოდით. საკასო მეთოდით, კრედიტით გაყიდვა არ უნდა იქნეს შეტანილი ფინანსურ ანგარიშგებაში გამყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში ფულის მიღებამდე. მაგალითად, დავუშვათ, რომ ვანოს კომპანიამ პირველ აპრილს გაუწია თავის კლიენტებს 500 ფე-ის ღირებულების მომსახურება. მომსახურების მიწოდება განხორციელდა პირობით, რომ მისი ღირებულება გადაირიცხება „ვანოს ჰეიბაჟის“ ანგარიშზე 45 დღეში. აღრიცხვის საკასო მეთოდით, შემოსავალი ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა იქნეს შეტანილი 16 მაისამდე, ანუ ანგარიშზე ფულის მიღებამდე. დარიცხვის მეთოდით კი გაყიდვის ოპერაცია უნდა დაფიქსირდეს მომსახურების განევის თარიღისათვის, ანუ პირველი აპრილისათვის. დარიცხვის მეთოდით გაყიდვის ამგვარად დაფიქსირების საფუძველი არის კლიენტის განცხადება, რომ მან 500 ფე ღირებულების მომსახურება გაუწია თავის სანარმოს. ფაქტი, რომ მომხმარებლები ამ მომსახურების საფასურს მოგვიანებით გადაიხდიან, დარიცხვის მეთოდით მიჩნეულია, როგორც ცალკე ოპერაცია (ცხრილი 2.4)

ცხრილი 2.4

კრედიტი VS ფული

საკასო  
მეთოდი

დარიცხვის  
მეთოდი

კანონს შეემაჯღი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 მაისისათვის (ფე)	კანონს შეემაჯღი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 30 აპრილისათვის (ფე)
ფულადი შემოდინებები ოპერაციებიდან წმინდა შემოსავალი 500	ფულადი შემოდინებები ოპერაციებიდან წმინდა შემოსავალი 500

ახლა განვიხილოთ განსხვავება საკასო და დარიცხვის მეთოდებით ხარჯების აღრიცხვაში. დავუშვათ, რომ საწარმომ მომწოდებლისაგან (გამყიდველისაგან) იყიდა 160 ფე ღირებულების მასალა. ისევე, როგორც გაყიდვის შემთხვევაში, საქონლის ღირებულება შეიძლება გადახდილი იქნეს შესყიდვის მომენტში ნაღდი ფულით (ჩვევით ან საკრედიტო ბარათით) ან მოგვიანებით (ანგარიშზე გადარიცხვით). საქონლის შეძენისას მისი ღირებულების გადახდა ნაღდი ფულით ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება როგორც საკასო, ისე დარიცხვის მეთოდით.

თუ შესყიდვა მოხდებოდა შემდგომი გადახდის პირობით (კრედიტით შესყიდვა), ეს ტრანზაქცია ფინანსურ ანგარიშგებაში, თითოეული მეთოდის მიხედვით, სხვადასხვაგვარად აისახებოდა. საკასო მთოდით 160 ფე ღირებულების საქონლის შესყიდვა არ უნდა იქნეს ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში გამყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში ფულის მიღებამდე. მაგალითად, თუ მიწოდება შესრულდა 17 ივლისს და გადახდის ვადა დგება მე-15 დღეს, ტრანზაქცია არ უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში პირველ აგვისტომდე, ანუ საქონლის ღირებულების გადახდამდე, დარიცხვის მეთოდით კი შესყიდვის ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს საქონლის მიწოდებისთანავე (17 ივლისი). ამის საფუძველი არის ის, რომ საწარმო აცხადებს, მან 160 ფე ღირებულების საქონელი შეიძინა მომწოდებლისაგან. ფაქტი, რომ ამ მიწოდების ღირებულებას საწარმო მოგვიანებით გადაიხდის, დარიცხვის მეთოდით მიჩნეულია ცალკე ოპერაციად. ეს მაგალითები, სხვადასხვა სააღრიცხვო მეთოდების მიხედვით, შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი ცხრილში 2.5:

**ცხრილი 2.5 ტრანზაქციები: საკასო და დარიცხვის მეთოდების შედარება**

ტრანზაქცია	საკასო მეთოდი	დარიცხვის მეთოდი
გაყიდვა შემდგომი გადახდის პირობით. 200 ფე	ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება გადახდის მომენტისათვის	ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება გაყიდვის მომენტისათვის
შესყიდვა ანგარიშზე ჩარიცხვით. 200 ფე	არ შეიტანება ფინანსურ ანგარიშგებაში გადახდამდე	ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება გაყიდვის მომენტისათვის
შესყიდვა კრედიტით. 160ფე	ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება გადახდის მომენტისათვის	ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება შეძენის მომენტისათვის

საწარმო ხშირად ყიდის საქონელს, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ან მყისიერი გადარიცხვით, ისე ანგარიშსწორების ანგარიშზე გადარიცხვით - თუ გადახდა დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ (მაგ 30-45 დღეში) ხორციელდება. ანალოგიურად, საწარმო ხშირად ყიდულობს საქონელს მომწოდებლებისაგან (მოვაჭრეებისაგან) ნაღდი ფულით ან უფრო მეტად - გადარიცხვით. საკასო აღრიცხვის მეთოდით, ეს ტრანზაქციები არ იქნება შეტანილი ფინანსურ ანგარიშგებაში ფულისა და საქონლის ურთიერთგაცვლამდე. აღნიშნულის საპირისპიროდ დარიცხვის მეთოდის შემთხვევაში ეს ტრანზაქცია აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში მისი განხორციელებისას, იმის მიუხედავად, გადახდილი/მიღებული იქნა თუ არა ფული.

**ცხრილი 2.6 ტრანზაქციები: საკასო და დარიცხვის მეთოდების შედარება**

ტრანზაქცია	საკასო მეთოდი	დარიცხვის მეთოდი
შესყიდვა ფულით. 160 ფე	არ შეიტანება ფინანსურ ანგარიშგებაში გადახდამდე	ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება შეძენის მომენტისათვის

გავეცანით რა აღრიცხვის საკასო და დარიცხვის მეთოდებს შორის განსხვავებას, აუცილებელია გავიგოთ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების საჭიროება. დაინტერესებულ მხარეებს სურთ იცოდნენ საწარმოს ფინანსური ოპერაციები (შემოსავლების ანგარიშებით, ანუ - წმინდა შემოსავალი და ზარალი) და ფინანსური მდგომარეობა (ბალანსი, ანუ აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი). ეს ინფორმაცია აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილების

ანგარიშგებაში და ბალანსში. თუმცა, როდესაც ეს ანგარიშები დგება დარიცხვის მეთოდით, დაინტერესებულ მხარეებს არა აქვთ ნათელი სურათი სანარმოს ფულადი სახსრების მიმოქცევის შესახებ. ფულადი ნაკადების ანგარიშგება ამ არაადეკვატურობას პასუხობს ფულადი სახსრების შემოდინება - გადინებაზე ფოკუსირებით.

## 2.2 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების კლასიფიკაცია

აქტივების, ვალდებულებებისა და მათი კატეგორიების საკითხებში ღრმად გარკვევისა და დაზუსტების მიზნით დაუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს ყავის მაღაზიის შესახებ. ამჯერად ვიფიქროთ მის აქტივებზე - საგნებზე, რომლებსაც ეს მაღაზია აკონტროლებს. განვიხილოთ აქტივები, რომლებიც თქვენ შექმენით ადგილობრივი ყავის მაღაზიისათვის. ალბათ შენიშნავდით, რომ ჩამონათვალში შეტანილ საგნებს ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ - ყველა მათგანი ხანგრძლივი გამოყენებისაა. ფინანსურ აღრიცხვაში აქტივების კლასიფიკაცია იმის მიხედვით კეთდება, თუ დროის რა პერიოდში (ზოგადად - ერთ წელიწადში) ხდება მათი გამოყენება ან მოხმარება. თუ აქტივი გამოიყენება ერთი წლის ან უფრო ნაკლები პერიოდის განმავლობაში, აღიარდება ან შეიტანება მიმდინარე (მოკლევადიანი) აქტივების ჯგუფში, ხოლო თუ აქტივი გამოიყენება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, მაშინ იგი არამიმდინარე (გრძელვადიანი) აქტივების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ყავის მაღაზიის აქტივების ჩამონათვალის განხილვისას, არის ის, რომ ყველა საგანი ისეთია, რომელთაც შეიძლება შეეხოთ, რომლებიც შეიძლება გადაადგილოთ, ანუ ისინი წარმოადგენენ მატერიალურ აქტივებს, თუმცა, როგორც უკვე შეისწავლეთ, ყველა აქტივი არ შეიძლება იყოს მატერიალური. აქტივი შეიძლება იყოს აგრეთვე არამატერიალური, რაც ნიშნავს, რომ ასეთ აქტივს არა აქვს ფიზიკური ნივთიერების თვისებები - მას ვერ შეეხებით, ვერ გადაადგილებთ. გამონახეთ დრო და იფიქრეთ თქვენი საყვარელი ტიპის ფეხსაცმლის ან პოპულარული კომპიუტერის შესახებ. შეძლებთ თუ არა მათი მწარმოებლის გამოცნობას, თუ მხოლოდ მათ ლოგოს შეხედავთ? ალბათ შეძლებთ. ეს გახლავთ არამატერიალური აქტივის მაგალითი, ანუ, უფრო ზუსტად, აქ საუბარია სავაჭრო ნიშანზე. სავაჭრო ნიშანს ღირებულება გააჩნია მისი შემქმნელი სანარმოსათვის. სავაჭრო ნიშანი არის ის, რასაც ეს სანარმო აკონტროლებს, სხვებს კი არ შეუძლიათ სავაჭრო ნიშნის გამოყენება ამ სანარმოს ნებართვის გარეშე.

მიმდინარე აქტივებია, მაგალითად, დებიტორული (მოთხოვნების) ანგარიშები, ანუ კლიენტის დაუფარავი ვალდებულება კრედიტით გაყიდვისას; მარაგი, რომელიც წარმოადგენს გასაყიდ საგანს ან პროდუქტს; და ზოგჯერ თამასუქები დებიტორისგან რომელიც არის სესხის ოდენობა და პროცენტებთან ერთად გადაიხდება მომავალში, ვთქვათ - ერთ წელიწადში.

აქტივების მსგავსად კლასიფიცირებულია ვალდებულებებიც მათი დაფარვის სავარაუდო პერიოდის მიხედვით. თუ ვალდებულება იფარება ერთ წელიწადში ან უფრო ნაკლებ

დროში (ზოგადად), იგი კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულება, ხოლო თუ ეს პერიოდი ერთ წელს აღემატება, მაშინ იგი მიეკუთვნება არამიმდინარე (გრძელვადიანი) ვალდებულებების კატეგორიას.

მიმდინარე ვალდებულებებია კრედიტორული (ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან) ანგარიშები, ანუ შექმნილი საქონლის ან მომსახურების ღირებულება, რომლებიც მოგვიანებით დაიფარება; თამასუქები კრედიტორისათვის, რომელიც არის მიღებული სესხის ოდენობა (როგორც წესი - არ არის განკუთვნილი მარაგის საყიდლად) და პროცენტებთან ერთად გადაიხდება მომავალში.

გრძელვადიანი (არამიმდინარე) აქტივებია თამასუქები დებიტორისგან (შენიშვნა: თამასუქები დებიტორისათვის შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი), მინა, შენობები, აღჭურვილობა, ავტომანქანები. გრძელვადიანი ვალდებულებებია: თამასუქები კრედიტორებისათვის (შენიშვნა: თამასუქები კრედიტორებისათვის შეიძლება იყოს მიმდინარე და გრძელვადიანი).

გავარკვიოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებების ცოდნა, რადგან, ერთი შეხედვით, ეს განსხვავებები თითქოს არც უნდა იყოს მნიშვნელოვანი. ბოლოს და ბოლოს, აქტივები არის ის, რასაც სანარმო ფლობს საკუთრებაში ან აკონტროლებს, ხოლო ვალდებულებები არის ის, რაც მართებს სანარმოს სხვების მიმართ. ამ სიდიდეების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, ფასეულ ინფორმაციას წარმოადგენს დაინტერესებული მხარეებისათვის. ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს და გავიხსენოთ, რომ დაინტერესებული მხარეები ამ ინფორმაციას იყენებენ გადაწყვეტილებების მისაღებად. აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობების ასახვა პასუხობს დაინტერესებული მხარეების შეკითხვას „რა“ (ანუ, ამცნობს დაინტერესებულ მხარეებს აქტივების ღირებულებას), მაგრამ არ პასუხობს დაინტერესებული მხარეების შეკითხვას „როდის“. მაგალითად, იმის ცოდნა, რომ სანარმოს გააჩნია 1,000,000 ფე ღირებულების აქტივები, მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, მაგრამ იმის ცოდნა, რომ ამ აქტივებიდან 250,000 ფე ღირებულების მქონე ნაწილი გამოყენებული ან გახარჯული იქნება ერთი წლის განმავლობაში, უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაინტერესებული მხარეებისათვის. ანალოგიურად სასარგებლოა ასევე იმის ცოდნა, რომ სანარმოს, დავუშვათ, აქვს 750,000 ფე ოდენობის ვალდებულებები, მაგრამ, იმის ცოდნა, რომ ამ ვალდებულებების 125,000 ფე ნაწილი დაიფარება ერთ წელიწადში, უფრო სასარგებლო ინფორმაციაა. მოკლედ, დროის პერიოდს და გარემოებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაინტერესებული მხარეებისათვის.

# ყურადღება!



## სესხის აღება

კერძო პირის ან ოჯახის სესხის აღება ბანკიდან ან სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან მიიჩნევა პერსონალურ ან სამომხმარებლო სესხად. ჩვეულებრივ ამ სახის სესხების გადახდა იწყება სესხის თანხის მიღებიდან მოკლე დროში. სამომხმარებლო სესხის სპეციალურ სახეობას წარმოადგენს სტუდენტური სესხი, რომელსაც

დაფარვის განსხვავებული სტრუქტურა აქვს. თუ თქვენ არ იცნობთ სტუდენტური სესხის დაფარვის სპეციალურ პირობებს, შეგიძლიათ გაიგოთ ბანკის ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით, სავარაუდოდ, როდის დაიწყება სტუდენტური სესხის დაფარვა.

დავუშვათ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს ორი სესხი: ერთი - კომპიუტერის, მეორე კი სტუდენტური.

ახლა დავუშვათ, რომ ბანკმა გამოაცხადა აქცია სტუდენტებისათვის და აძლევს მათ სესხს 12 თვით მაღაზია „ალტა-ოკეიში“ კომპიუტერის შესაძენად. თქვენ ამ სესხის დაფარვას ახერხებთ სწავლასთან ერთად მუშაობით მიღებული შემოსავლებით. მაგრამ გახდით ავად, ერთი კვირის განმავლობაში ვერ მოახერხებთ სამუშაოდ სახლიდან გასვლა და გაცდენილის ანაზღაურება. რომელი სესხის გადახდაზე იზრუნებთ პირველ რიგში და რატომ?

## კაპიტალი და მისი სამართლებრივი სტრუქტურა

გავიხსენოთ, რომ საკუთარ კაპიტალს ასევე შეიძლება ვუნოდოთ სანარმოს წმინდა ღირებულება. კაპიტალის არსი არ იცვლება ბიზნესის სამართლებრივი სტრუქტურის (შემდუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება) მიხედვით, თუმცა ეს ტერმინოლოგია მცირედით იცვლება სანარმოს ტიპის მიხედვით. მაგალითად, მესაკუთრის მიერ გაკეთებული ინვესტიცია ითვლება „კაპიტალის“ ტრანზაქციად შემდუდული პასუხისმგებლობის სანარმოებისათვის, მაგრამ არ მიიჩნევა ჩვეულებრივ ტრანზაქციად სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში. ანალოგიურად მოგების განაწილება მფლობელებზე მიიჩნევა დადგენილ გარიგებად შპს-ს შემთხვევაში, მაგრამ მიიჩნევა „დივიდენდად“ სააქციო საზოგადოების შემთხვევაში.

შპს-ებში, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში და ა. შ. სანარმოს წმინდა შემოსავალს ან ზარალს წარმოადგენს „საკუთარი კაპიტალი“, სააქციო საზოგადოებებში კი წმინდა შემოსავალს ან ზარალს წარმოადგენს გაუნაწილებელი მოგება-ზარალი, რომელიც დაგროვილია (გაუნაწილებელი წმინდა შემოსავალი ან ზარალი) სანარმოს დაარსების დღიდან, მინუს სანარმოს დაფუძნების შემდეგ გაცემული დივიდენდები.

ამ ტრანზაქციების არსი უცვლელი რჩება: სანარმოები უფრო ღირებული ხდება, როდეს-

საც მფლობელები აკეთებენ ინვესტიციებს ბიზნესში და ბიზნესი გადის მოგებაზე (წმინდა შემოსავალი). სანარმოების ღირებულება კლებულობს, როდესაც მფლობელებს უნაწილებენ დივიდენდებს და, ასევე, როდესაც სანარმო განიცდის დანაკარგს (წმინდა ზარალი). რამდენადაც დაინტერესებული მხარეები ინფორმაციას იღებენ ბუღალტრებისაგან, ამ უკანასკნელთათვის მნიშვნელოვანია, რომ სრულყოფილად იცოდნენ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებთან დაკავშირებული კონკრეტული ტერმინოლოგია.

### სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობა

გავიხსენოთ სახლის სესხის მარტივი მაგალითი, რომელიც განვიხილეთ ერთ-ერთ ქვეთავში. ამ მაგალითში დავუშვით, რომ ოჯახმა იყიდა სახლი 200,000 ფე-ად, რისთვისაც ავანსად გადაიხადა თავისი 25,000 ფე და ბანკის სესხით დაფარა დანარჩენი 175,000 ფე. ეს მაგალითი წარმოგვიდგენს აღრიცხვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონცეფციას - სააღრიცხვო ტოლობას:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{მფლობელის/საკუთარი კაპიტალი}$$

ჩვენს მაგალითში სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობა იქნება:

$$200,000 \text{ ფე} = 175,000 \text{ ფე} + 25,000 \text{ ფე}$$

როდესაც გააგრძელებთ ფინანსური აღრიცხვის შესწავლას და განიხილავთ სანარმოების სხვადასხვა ფორმებს (ინდ. სანარმო, შპს, სპს, ამხანაგობა, სს და ა.შ.), უნდა გახსოვდეთ ასევე მეორე მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას ირჩევთ, აღრიცხვის პროცესი ყველა მათგანისათვის სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობას დაეფუძნება.

აღბათ შეიძლება სასარგებლო იყოს, თუკი სააღრიცხვო ტოლობას „რესურსებისა და მათი წარმოქმნის წყაროების“ კუთხით შევხედავთ. ასეთი მიდგომით გამოდის, რომ აქტივები (სანარმოს კუთვნილი საგნები, იგივე რესურსები) მიღებულია ან ვალდებულებების წარმოქმნით ან სანარმოსათვის გადაცემით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეულ აქტივს აქვს მოთხოვნა - კრედიტორების და/ან მფლობელების მხრიდან, ანუ თითოეულ ეკონომიკურ რესურსს აქვს წარმოქმნის წყარო.

### მაგალითი 2.2 სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობა

ქალაქის ფურცელზე დახაზეთ სამი სვეტი, რათა შექმნათ თქვენი საბალანსო ტოლობა. პირველ სვეტში ჩამოწერეთ ყველა ნივთი, რომლებსაც ფლობთ (აქტივები), მეორეში - თანხები, რომლებიც სხვა პირების მიმართ გმართებთ (ვალდებულებები), მესამე სვეტში კი საბალანსო ტოლობის გამოყენებით გაიანგარიშეთ აქტივების (კაპიტალის) წმინდა ღირებულება.

როდესაც დაასრულებთ, შეაჯამეთ სამივე სვეტის სიდიდეები, რათა განსაზღვროთ თქვენი საკუთარი კაპიტალი. მინიშნება: არ დაგავიწყდეთ ვალდებულებების გამოკლება აქტივების ღირებულებიდან.

აქ კიდევ ერთი საკითხია განსახილველი: შესაძლებელია თუ არა, რომ კაპიტალი უარყოფითი ციფრით იყოს? რასაკვირველია. ჰკითხეთ უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს, ვისაც სესხები აქვს გამოტანილი. ერთი შეხედვით, აქტივები არ არის უშუალოდ დაკავშირებული კრედიტების თანხებთან, მაგრამ ასეა თუ არა სინამდვილეში? ჰკითხეთ საკუთარ თავს, რატომ აბანდებთ სახსრებს უნივერსიტეტში სწავლისათვის? რა სარგებელი (უპირატესობა) მოაქვს უნივერსიტეტში სწავლას? ამ შეკითხვის პასუხი შეგიძლიათ იპოვოთ განსხვავებაში უმაღლეს-დამთავრებულისა და უმაღლესი განათლების არმქონე პირების ხელფასებს შორის. მასზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის სამუშაო ადგილებისა და დასაქმებულების მოთხოვნა-მიწოდება, ასევე, შემოსავლები პროფესიების მიხედვით (თქვენი აზრით, სად იმყოფება ბუღალტერი ამ რანჟირებით?)

### გადანწყვეტა

პასუხები განსხვავებული იქნება, მაგრამ შეიძლება შეიცავდეს მანქანას, ტანსაცმელს, ელექტრომონოციკლობას (მ.შ. მობილური ტელეფონები და კომპიუტერი/სათამაშო სისტემები და სპორტული აღჭურვილობა). ისინი ასევე შეიძლება მოიცავდეს ამ აქტივებზე გადასახდელ თანხებს, დიდი ალბათობით - ავტომანქანებს და შესაძლოა მობილურ ტელეფონებს. სტუდენტური სესხის შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას ვალდებულება, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი აქტივი (ჯერ-ჯერობით). პასუხებში შეძლებისდაგვარად უნდა იყოს მოცემული შეფასება უნივერსიტეტში ინვესტიციის სარგებლიანობის შესახებ, რაც გამოიხატება ხელფასების სხვაობაში უნივერსიტეტდამთავრებულსა და უმაღლესი განათლების არმქონე პირებს შორის.

გავაგრძელოთ ჩვენი მსჯელობა სააღრიცხვო ტოლობის შესახებ, მხოლოდ ამჯერად კონკრეტულად კაპიტალის კომპონენტზე ფოკუსირებით. გავიხსენოთ, რომ კაპიტალი განვმარტეთ, როგორც საწარმოს წმინდა ღირებულება. ასევე სასარგებლო იქნება, რომ ვიმსჯელოთ წმინდა კაპიტალზე, როგორც საწარმოს ღირებულებაზე. გავიხსენოთ აგრეთვე, რომ საწარმოს ღირებულებას ზრდის შემოსავლები (ამონაგები საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან). აქედან გამომდინარე, საწარმოს მიერ გენერირებული თითოეული ფულადი ერთეული ზრდის საწარმოს მთლიან ღირებულებას.

ანალოგიურად საწარმოს ღირებულებას ამცირებს დანახარჯები (გასავალი გენერირებული შემოსავლიდან). ამიტომ საწარმოს მიერ განეული თითოეული ფულადი ერთეულის ხარჯი ამცირებს მის მთლიან ღირებულებას. ასეთივე მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მიმართაც:

- » მოგება ზრდის საწარმოს ღირებულებას (კაპიტალს);
- » ზარალი ამცირებს საწარმოს ღირებულებას (კაპიტალს);
- » მფლობელების მიერ გაკეთებული ინვესტიციები ზრდის საწარმოს ღირებულებას (კაპიტალს);

- » მფლობელებზე გაცემული დივიდენდები ამცირებს სანარმოს ღირებულებას (კაპიტალს);
- » ტრანზაქციის შედეგის გათვალისწინებით, ცვლილებებმა აქტივებსა და ვალდებულებებში შეიძლება გაზარდოს ან შემციროს სანარმოს ღირებულება.

იმის მიხედვით, თუ რამდენად გაათავსოვით თქვენს ცოდნას ფინანსურ აღრიცხვაში, შეხება გეწნებათ სხვადასხვა ტიპის მრავალ ტრანზაქციასთან, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ელემენტებს შეიცავს. ზემოთ მოცემულ მაგალითებში განხილული იყო ელემენტები, რომლებიც ცვლიან სანარმოს კაპიტალს. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ყველა ტრანზაქციას ჰქონდეს გავლენა კაპიტალზე. მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილ ტრანზაქციებს არა აქვთ გავლენა სანარმოს კაპიტალზე ან წმინდა ღირებულებაზე:

- » აქტივების გაცვლა სხვა აქტივებზე;
- » ვალდებულებების ურთიერთჩათვლა;
- » აქტივების შექმნა ვალდებულებების აღებით;
- » ვალდებულებების დაფარვა აქტივების ტრანსფერის გზით.

მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების ელემენტებსა და სანარმოს კაპიტალს შორის მჭიდრო კავშირისა და ურთიერთგავლენის ცოდნა. ამ საკითხს ჩვენ უფრო დანვრისა და დანვრის მიხედვით, როდესაც ფინანსური ანგარიშგების განხილვას დავუბრუნდებით.

## 2.3 ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპონენტების მიხედვით


მათთვის, ვინც ფინანსური აღრიცხვის შესწავლას იწყებს, წარმატების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის იმის გაგება, თუ როგორ უკავშირდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტები ფინანსური ანგარიშგების თითოეულ კომპონენტს, ანუ იმის ცოდნა, თუ რის გავლენა აუცილებელი, როდესაც ტრანზაქციები უკვე დაჯგუფებულია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ეს არის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის დასაწყისი. აქ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები განხილულია იმ რიგითობით, როგორც ისინი წარედგინება შესამოწმებლად.

### ფინანსური ანგარიშგების ელემენტები

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ურთიერთკავშირზე მსჯელობისას, პირობითად, ანალოგს ვაკეთებთ საცხოვრებელ სანარმოსთან: ელემენტები წარმოადგენს ინგრედიენტებს,

ფინანსური ანგარიშგება კი - მზა პროდუქტს. ისევე, როგორც ტორტის ცხობის შემთხვევაში (იხ. ილუსტრაცია 2.4), ინგრედიენტებისა (ელემენტების) და თითოეული მათგანის მზა პროდუქტთან (ფინანსურ ანგარიშგებასთან) კავშირის ცოდნა, არსებითია ფინანსური აღრიცხვის საგნის შესწავლისათვის - ამის საშუალებას იძლევა შესასწავლი საგანი.

ილუსტრაცია 2.4



ცხობის ხელოვნება მოითხოვს სხვადასხვა ინგრედიენტებისა და მათი გამოყენების ცოდნას, ასევე, თუ როგორ გავლენას ახდენენ ისინი საბოლოო პროდუქტზე: (a) სწორად გამოყენებისას საბოლოო პროდუქტი იქნება ლამაზი და რაც უფრო მნიშვნელოვანია, გემრიელი, როგორც (b) სურათზე მოცემული ტორტი. ანალოგიურად, ფინანსური აღრიცხვის შესწავლა საჭიროებს იმის გაგებას, თუ რა კავშირია სააღრიცხვო ელემენტებსა და საბოლოო პროდუქტს - ფინანსურ ანგარიშგებას შორის.

იმისათვის, რომ დავეხმაროთ ბუღალტრებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში და ამ ანგარიშგების მომხმარებლებს - მათ უკეთ გაგებაში, ასევე, თუ რა ჰქვია ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს, რომლებსაც ბუღალტრები იყენებენ ტრანზაქციების ჩანერისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ამის საშუალებას იძლევა შესასწავლი საგანი. აქ ფინანსურ ანგარიშგებაში შედის ათი მაჩვენებელი, რომელთა უმეტესობა ჩვენ უკვე განვიხილეთ. თუმცა ამ ათი მაჩვენებელიდან პირველი 5 წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ შემადგენელს და მათ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს უწოდებენ, ხოლო ბოლო ხუთი მაჩვენებელი მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაძლებელია ასევე ცალკე იყოს განხილული.

1. **შემოსავალი** - საქონლისა და მომსახურებების ღირებულება, რომლებსაც სანარმო ყიდის ან ეწევა.
2. **ხარჯები** - საქონლისა და მომსახურებების მიწოდების ხარჯები, რომლებსაც გასწევს სანარმო შემოსავლების მისაღებად.
3. **აქტივები** - საგნები, რომლებსაც ფლობს, აკონტროლებს სანარმო ან რომელთა მოთხოვნის უფლებაც აქვს სანარმოს.
4. **ვალდებულებები** - თანხები, რომლებიც მართებს სანარმოს სხვა პირების (კრედიტორების) მიმართ.

## 5. კაპიტალი - სანარმოს წმინდა ღირებულება (წმინდა აქტივები).

- » მოგება - იგივე, რაც წმინდა შემოსავალი, მაგრამ ეხება სანარმოს „ძირითად ან დამხმარე“ საქმიანობებს.
- » ზარალი - დანახარჯების მსგავსი, მაგრამ ეხება სანარმოს „ძირითად ან დამხმარე“ საქმიანობებს.
- » მფლობელების მიერ გაკეთებული ინვესტიციები - ფული ან სხვა აქტივები, რომლებიც გადაეცემა სანარმოს მასში ქონებრივი ინტერესის მიღების სანაცვლოდ.
- » მფლობელებზე განაწილებული თანხები - ფული, სხვა აქტივები ან ქონებრივი ინტერესები, რომლებიც გადაეცემა სანარმოს მფლობელებს.
- » ერთობლივი შემოსავალი - განისაზღვრება, როგორც სანარმოს კაპიტალის ცვლილება დროის გარკვეულ პერიოდში, რაც ხდება ტრანზაქციების ან სხვა გარემოებებისა თუ მოვლენების შედეგად. დამატებითი მსჯელობები ერთობლივი შემოსავლის შესახებ შეიძლება გაიმართოს ფინანსური აღრიცხვის საგნის შუალედური და უფრო ღრმა შესწავლისას.

### ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მომზადება კონკრეტული სანარმოს მაგალითზე

ახლა კი დროა ტორტი გამოვაცხოთ (ანუ მოვამზადოთ ფინანსური ანგარიშგება). მზად ვვაქვს ყველა საჭირო ინგრედიენტი (ფინანსური ანგარიშგების ელემენტები), ამიტომ, მო-



დით, დავუბრუნდეთ უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებას და გამოვიყენოთ ვირტუალური სანარმოს მაგალითი, რომელსაც ჰქვია, დავუშვათ, ნიკოს ნუგბარის სანარმო (ეს კომპანია არის მცირე ზომის, საცალო ვაჭრობის მაღაზია, რომელიც ამზადებს და ჰყიდის სხვადასხვა სახის გემრიელ ნუგბარს).

დავუშვათ, რომ ზაფხულის პერიოდში ნიკოსთან თქვენი მუშაობისას ნიკომ, როგორც სანარმოს მფლობელმა, გთხოვათ შეგეცვალათ მისი ყოფილი თანამშრომელი, რომელიც უნივერსიტეტს ამთავრებს და დედაქალაქში უნდა იმუშაოს ბუღალტრად. ამიტომ თქვენს მოვალეობებს, რომლებშიც ნამცხვრების ცხოხაცა და გაყიდვაც შედის, დაემატება სანარმოს ფინანსური აღრიცხვის წარმოებაც.

სანარმოს მფლობელმა - ნიკომ იცის, რომ თქვენ ფინანსური აღრიცხვას სწავლობთ და ნამდვილად შეგიძლიათ მისთვის დახმარების განევა, რადგან იგი დიდ დროს უთმობს ნუგბარის ახალი ასორტიმენტის შექმნას.

ყოფილ თანამშრომელს კარგად ჰქონდა ორგანიზებული ბუღალტრული ჩანაწერების შედგენის საქმე. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ ფოკუსირება მოახდინოთ თქვენს პირველ

ამოცანაზე - იენისის თვის ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე, როგორც ეს ნიკოს სურს. ცხრილში 2.7. წარმოდგენილია ნიკოს ფინანსური ინფორმაცია.

ცხრილი 2.7 ნიკოს ნუგბარის საწარმოს ფინანსური ინფორმაცია

ნიკოს ნუგბარის საწარმო 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (ფულადი ერთეული)	
შემოსავლები	92,000
<b>ხარჯები:</b>	
ნუგბარის მოსამზადებელი ძირითადი ინგრედიენტები	23,800
ნუგბარის მოსამზადებელი დამატებითი ინგრედიენტები	19,300
პერსონალის ხელფასები და ბონუსები	11,700
იჯარა	25,000
კომუნალური ხარჯები	4,200
რეკლამა	1,900
სხვა	1,300
ნაღდი ფული	6,200
მანქანა-დანადგარები	14,500
კრედიტორული დავალიანებები	1,650
გასაცემი ხელფასები	2,200
მფლობელის ინვესტიციები	14,500
მფლობელზე გაცემა	(2,450)

სააღრიცხვო ჩანაწერები და მათში შეტანილი ჯამური მონაცემები ფინანსური ინფორმაციის მოძიებასა და მომზადებაში გვეხმარება. ეს ცხრილი წარმოადგენს, ბუღალტრების ტერმინით რომ ვთქვათ, „საცდელი ბალანსის“ ვარიაციას, რომელიც კრებით ინფორმაციას აძლევს ბუღალტრებს და ეხმარება მათ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვამარტივებთ რიგ საკითხებსა და პროცედურებს მოცემულ მაგალითში. პირველი, სააღრიცხვო ჩანაწერებში მოცემულია თანხები. ეს პროცესი იქნება ახსნილი თავი 4-ში. მეორე, მოცემულ მაგალითში უგულებელყოფილია ფულადი ნაკადების პერიოდულობა, როგორებიცაა: ქირავნობა, შესყიდვები, სხვა საწყისი ხარჯები. რეალურად, საწარმოებმა ფული უნდა ჩადონ მაღაზიის მონყოფაში, პერსონალის მომზადებაში, აუცილებელი აღჭურვილობებისა და ინვენტარის შეძენაში. ეს ხარჯები საქონლისა და მომსახურების გაყიდვამდე წარმოიქმნება. თუ ამ მაგალითს გავაგრძელებთ, ვნახავთ, რომ იჯარის გადასახადი შეადგენს 25,000 ფე-ს. ბუღალტრებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ შენობის

ან აღჭურვილობის ღირებულების კლება ცვეთის გათვალისწინებით. ამ ორ ღირებულებას (საწყისსა და საბოლოოს) შორის განსხვავება ვლინდება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. მაგალითისთვის დავუშვათ, რომ საწარმომ შეიძინა აღჭურვილობა და გადაიხადა მასში 18,000 ფე, ხოლო მისი ღირებულება ოთხი წლის შემდეგ გახდება 2,000 ფე, ანუ ღირებულების სავარაუდო კლება შეადგენს 16,000 ფე-ს (18,000 - 2,000). შედეგად, საწარმო ყოველწლიურად ამცირებს აღჭურვილობის ღირებულებას 4,000 ფე-ით ოთხი წლის განმავლობაში (16,000/4).

ფინანსურ ინფორმაციაში, ასევე, მოცემულია აღჭურვილობა, რომლის ღირებულება შეადგენს 14,500 ფე-ს და შექენილია პირველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

### **მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

შევადგინოთ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, რათა მივიღოთ ინფორმაცია, როგორი შესრულება ჰქონდა ნიკოს ივნისის თვეში (გახსოვდეთ, რომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება გარკვეული პერიოდისათვის). ჩვენი პირველი ნაბიჯი იქნება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულების განსაზღვრა, რომლებიც გაყიდა ან გასწია საწარმომ დროის განსაზღვრულ პერიოდში. ეს არის შემოდინებები ბიზნესში და, რამდენადაც ისინი დაკავშირებულია ბიზნესის ძირითად მიზანთან (ნუგბარის წარმოება და გაყიდვა), ეს პოზიცია კლასიფიცირდება, როგორც შემოსავალი გაყიდვებიდან ან გამომუშავებიდან. მოცემული მაგალითისათვის ეს იქნება შემოსავალი. ნიკოს შემოსავალმა ივნისის თვეში შეადგინა 92,000 ფე.

შემდეგ ანგარიშგებაში უნდა ავსახოთ ნიკოს მიერ განეული საერთო ხარჯებიც, რომლებმაც ივნისის თვეში შეადგინა 87,200 ფე. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მომზადების ბოლო ეტაპს წარმოადგენს ნიკოს წმინდა შემოსავლის ან წმინდა ზარალის განსაზღვრა. რამდენადაც მისი შემოსავლები (92,000 ფე) აღემატება განეულ ხარჯებს (87,200 ფე), გამოდის, რომ ნიკოს წმინდა შემოსავალი ივნისის თვეში იქნება 4,800 ფე.

**ცხრილი.2.8 ნიკოს იენისის თვის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

ნიკოს ნუგბარის საწარმო მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ფე) 2020 წლის 30 ივნისისათვის		
შემოსავლები		92,000
ხარჯები:		
ნუგბარის მოსამზადებელი ძირითადი ინგრედ იენტები	23,800	
ნუგბარის მოსამზადებელი დამხმარე ინგრედ იენტები	19,300	
პერსონალის ხელფასები და ბონუსები	11,700	
იჯარა	25,000	
კომუნალური ხარჯები	4,200	
რეკლამა	1,900	
სხვა	1,300	
სულ ხარჯები		87,200
წმინდა შემოსავალი		4,800

გადადის საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში

ეს ანგარიშგება გვიჩვენებს, რომ საწარმოს წმინდა შემოსავალმა თვის განმავლობაში, 30 ივნისის მდგომარეობით, შეადგინა 92,000 ფე. ეს თანხა გათვალისწინებულია მომდევნო თვის შემოსავლების ანგარიშისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების მომზადებისას.

ფინანსური ანგარიშგება იქმნება სტანდარტული შეთანხმებებისა და აღიარებული პრაქტიკის გამოყენების საფუძველზე. სტანდარტული შეთანხმებები უზრუნველყოფს ანგარიშგების თანამიმდევრულობას, რათა მუხლების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა შემთხვევაში ანალოგიური იყოს იმის მიუხედავად, თუ რომელი ტიპის საწარმო ამზადებს ანგარიშგებას. მოდით, გავეცნოთ სტანდარტულ შეთანხმებებს ნიკოს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მაგალითზე:

» მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების სათაური მოიცავს სამ სტრიქონს (ხაზს)

- პირველ ხაზზე მოცემულია საწარმოს დასახელება;
- შუა ხაზი მიუთითებს მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას;

□ ბოლო, მესამე ხაზი, მიუთითებს ფინანსური ანგარიშგების პერიოდს. არ დაგავიწყდეთ, რომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება მზადდება დროის გარკვეული პერიოდისათვის ( ჩვენს მაგალითში ივნისში);

» შემოსავლების ანგარიშგებაში არის სამი სვეტი:

- მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულებით, პირველ სვეტში, მოცემულია სათაურის ან ანგარიშების ელემენტები;
- მეორე სვეტი გამოიყენება მაშინ, როდესაც კონკრეტულ ელემენტებში (ჩვენს მაგალითში - ხარჯებში) ჩამოთვლილია რამდენიმე ანგარიში;
- მესამე სვეტი არის შეჯამების სვეტი. ამ ილუსტრაციაზე ეს არის სვეტი, რომელშიც მოცემულია ჯამები და გამოყვანილია წმინდა შემოსავალი (შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა).

### პრაქტიკული მაგალითი

#### მაკდონალდსი



2017 წლის 31 დეკემბრისთვის მაკდონალდსის მიერ განხორციელებული გაყიდვების მოცულობამ შეადგინა 24.6 მილიარდი დოლარი. გაყიდვების მოცულობები ხშირად გამოიყენება საწარმოების მიერ, როგორც მომდევნო წლის დაგეგმვის საწყისი წერტილი. ეჭვგარეშეა, რომ მაკდონალდსის ზომის საწარმოს საქმიანობის დაგეგმვაში მრავალი

ადამიანი მონაწილეობს. მაკდონალდსში ორი საკვანძო პოზიციაა შესყიდვების მენეჯერისა და გაყიდვების მენეჯერის თანამდებობები (მათი თანამდებობების დასახელებები შეიძლება სხვაგვარი იყოს). განვიხილოთ, თუ როგორ გამოიყენება მაკდონალდსის 2017 წლის გაყიდვების შედეგები ამ ორი პირის მიერ. არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოთ, რომ მაკდონალდსი მსხვილი კომპანიაა.

მაკდონალდსის შესყიდვების მენეჯერი, მაგალითად, პასუხისმგებელია მომწოდებლების მოძიებაზე, ხარჯებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე, მიწოდებების ორგანიზებაზე და მრავალ სხვა საკითხზე, რომლებიც აუცილებელია, რათა კომპანიას ჰქონდეს პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო ინგრედიენტების მარაგები. იმ პერსპექტივით, რომ 2018 წელს მაკდონალდსის გაყიდვების მოცულობა 24 მილიარდს გადააჭარბებს, როგორ ფიქრობთ, რამდენი კვერცხის ყიდვა დასჭირდება შესყიდვების მენეჯერს წლის განმავლობაში? მაკდონალდსის ვებგვერდის თანახმად, კომპანია წელიწადში 2 მილიარდზე მეტ კვერცხს ყიდულობს. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი საკითხის კოორდინაციაა საჭირო 2 მილიარდი კვერცხის შესყიდვისა და მიწოდებისათვის მაკდონალდსის რესტორნებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით?

გაყიდვების მენეჯერი პასუხისმგებელია გაყიდვების მიზნების განსაზღვრასა და მიღწევაზე საწარმოს ფარგლებში. დავუშვათ, რომ მაკდონალდსის მიერ 2018 წლის

გაყიდვების მოცულობა, სავარაუდოდ, 2017 წლის ინდიკატორს გადააჭარბებს. რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ ინფორმაციიდან? თქვენი აზრით, რა გარემოებები მოახდენს გავლენას ამ სიდიდეებზე? როგორ ფიქრობთ, რომელი ფაქტორები იქნება მნიშვნელოვანი გაყიდვების მენეჯერისათვის გადანყვეტილებების მიღებისას? ახლა დავუშვათ, რომ მაკდონალდსის მიერ 2018 წლის გაყიდვების მოცულობა, სავარაუდოდ, 2017 წლის მაჩვენებელზე ნაკლები იქნება. რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ ინფორმაციიდან? თქვენი აზრით, რა გარემოებები მოახდენს გავლენას ამ სიდიდეებზე? როგორ ფიქრობთ, რომელი ფაქტორები იქნება მნიშვნელოვანი გაყიდვების მენეჯერისათვის გადანყვეტილებების მიღებისას?

### **საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**

მოდით, შევადგინოთ ნიკოს საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ივნისის თვისათვის. რამდენადაც ნიკოს ბიზნესი ახალია, მას არა აქვს მფლობელის საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი. პირველი, რაც უნდა გავითვალისწინოთ ამ ანგარიშგების შედგენისას, არის საწარმოს კაპიტალის ზრდა, რაც მოხდება მფლობელების მიერ ჩადებული ინვესტიციებისა და წმინდა შემოსავლების მიღების შედეგად. თუ ყურადღებით გადახედავთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ინფორმაციას, დაინახავთ, რომ საწარმოს მფლობელის, ნიკოს, მიერ ჩადებული ინვესტიცია შეადგენდა 14,500 ფე-ს. ამის შემდეგ ვითვალისწინებთ ღირებულების ზრდას წმინდა შემოსავლებიდან, რომელიც განისაზღვრა შემოსავლების ანგარიშგებაში და შეადგინა 4,800 ფე. ამის შემდეგ უნდა დავადგინოთ, ხომ არ განხორციელებულა რამე საქმიანობა, რომელიც შეამცირებდა საწარმოს ღირებულებას. უფრო კონკრეტულად, უნდა გავითვალისწინოთ მფლობელებზე გაცემული დივიდენდები და წმინდა ზარალი, თუკი მას ჰქონდა ადგილი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საწარმოს რომელიმე კონკრეტულ პერიოდში შეიძლება ჰქონდეს ან წმინდა შემოსავალი, ან კიდევ წმინდა ზარალი, მაგრამ არა ორივე ერთად. ასევე, კონკრეტულად მცირე ბიზნესის შემთხვევაში, მათ შეიძლება ჰქონდეთ პერიოდები, როდესაც მფლობელების მიერ ინვესტიციები არ გაკეთებულა და/ან არც დივიდენდები გაცემულა მათზე. ივნისის თვეში ნიკომ 2,450 ფე მოხსნა ბიზნესიდან. ახლა კი სწორედ ის დროა, რომ გავიხსენოთ ტერმინოლოგია, რომელსაც ბუღალტრები იყენებენ ამა თუ იმ კონკრეტული საწარმოს სამართლებრივი სტრუქტურიდან გამომდინარე. ვინაიდან ანგარიშის სახელია „მფლობელზე გაცემა“ და, რადგანაც ნიკო არის საწარმოს ერთადერთი მფლობელი, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. თუ ამ საწარმოს სამართლებრივი ფორმა სააქციო საზოგადოება იქნებოდა, მაშინ მფლობელის მიერ თანხის გატანა განიმარტებოდა, როგორც „დივიდენდების გაცემა მფლობელებზე“.

ამ ეტაპზე, რადგან საქმე გვაქვს ინდივიდუალურ საწარმოსთან, გავამარტივოთ მაგალითები. ჩვენ მფლობელის ღირებულებას ვუნოდებთ ფირმის კაპიტალს, ან მფლობელის საკუთარ კაპიტალს. მაგრამ მომავალში, სააქციო საზოგადოების ბიზნეს-სტრუქტურის

განხილვისას, მფლობელის საკუთარი კაპიტალის ნაცვლად დავინყებთ ისეთი ტერმინების გამოყენებას, როგორცაა ჩვეულებრივი აქციები ან გაუნაწილებელი მოგება, რათა ავსახოთ მფლობელის ინტერესები ბიზნესში. სააქციო საზოგადოების განხილვა უფრო რთულია, რადგან მას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ათასამდე მფლობელი.

ამგვარად, როგორ შეიცვალა ნიკოს საწარმოს ღირებულება ივნისის თვის განმავლობაში? მართალი იქნებით, თუ ამ კითხვაზე უპასუხებთ: 16,850 ფე. რამდენადაც ეს ახალი საწარმოა, მისი საწყისი ღირებულება ნულის ტოლია. თვის განმავლობაში მფლობელმა საწარმოში ჩადო 14,500 ფე-ის ინვესტიცია, ხოლო საწარმომ მომგებიანი ოპერაციების შედეგად (წმინდა შემოსავალი) მიიღო 4,800 ფე. ამასთანავე, თვის განმავლობაში მფლობელმა საწარმოდან გაიტანა 2,450 ფე, რის შედეგადაც წმინდა ცვლილებამ (ბალანსმა თვის ბოლოს) მფლობელის კაპიტალში შეადგინა 16,850 ფე, რაც მოცემულია შემდეგ ფორმულაში:

საწყისი ნაშთი + მფლობელის ინვესტიცია ± წმინდა შემოსავალი (წმინდა ზარალი) – დივიდენდები, ანუ:

$$0 + 14,500 + 4,800 - 2,450 = 16,850$$

**ცხრილი 2.9**

**ნიკოს ნუგბარის საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**

ნიკოს ნუგბარის საწარმო საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 30 ივნისისთვის (ფე)		
კაპიტალი 2020 წლის 1 ივნისს	0	
ინვესტიციები მფლობელის მიერ	14,500	
წმინდა შემოსავალი 2020 წლის ივნისში	4,800	
სულ შემოსავალი		19,300
მფლობელზე გაცემა	2,450	
წმინდა ზარალი 2020 წლის ივნისში	0	
სულ შემცირება		2,450
კაპიტალი 2020 წლის 30 ივნისს		16,850

გადმოტანილია მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან

გამოიყენება ბალანსში

ნიკოს ნუგბარის საწარმოს საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა საწარმოს წმინდა შემოსავალი (იგივე წმინდა კაპიტალი) დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ყურადღება მიაქციეთ, რომ წმინდა შემოსავალი (წმინდა ზარალი) გადმოტანილია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებიდან. ანალოგიური გზით თვის ბოლოს მფლობელის კაპიტალი აისახება ბალანსში.

ყურადღება მიაქციეთ შემდეგ ფაქტორებს ნიკოს კაპიტალის ანგარიშგებაში:

- » მისი ფორმატი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ფორმატის მსგავსია (სათაურის სამი სტრიქონი), სამი სვეტი;
- » ანგარიშგება შედგენილია ქრონოლოგიურად, იწყება თვის პირველი დღიდან ცვლილებების ასახვით და მთავრდება იმავე თვის ბოლო დღით.

ანგარიშგებაში მიეთითება წინა დასრულებული ფინანსური ანგარიშგების ბოლო ნომერი. ამ შემთხვევაში მფლობელის ანგარიშგებაში გადმოტანილია შემოსავლის ანგარიშგებაში მითითებული წმინდა შემოსავლის (ან წმინდა ზარალის) ოდენობა (წმინდა შემოსავალი 4,800 ფე).

### **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)**

შევადგინოთ ნიკოს სანარმოს ბალანსი 30 ივნისის მდგომარეობით. დასაწყისისათვის, გავეცნოთ სააღრიცხვო ჩანაწერებს და განვსაზღვროთ, რა აქტივებს ფლობს სანარმო და როგორია თითოეული ამ აქტივის ღირებულება. ნიკოს აქვს ორი აქტივი: ფული სალაროში (6,200 ფე) და აღჭურვილობა (14,500 ფე). ამ აქტივების შეჯამებით ვიღებთ სანარმოს მთლიანი აქტივების ღირებულებას - 18,700 ფე-ს. როგორც ზემოთ უკვე ვიმსჯელებთ, ბოლო პერიოდში შექმნილი აღჭურვილობის ამორტიზაციის გათვალისწინება მოხდება შემდგომში, ახალი საანგარიშგებო პერიოდის დანებებიდან.

ამის შემდეგ განისაზღვრება ნიკოს დავალიანებები (ვალდებულებები). აქ ნიკოსთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ორი გარემოება. პირველი, სააღრიცხვო ჩანაწერში ფიგურირებს 1,650 ფე-ს ოდენობის „კრედიტორული დავალიანება“, ანუ თანხა, რომელიც ნიკომ უნდა გადაუხადოს მომავალში გამყიდველებს (მომწოდებლებს) ნუგბარის დასამზადებლად საჭირო ინგრედიენტებისათვის და მეორე - ხელფასები 1,200 ფე-ს ოდენობით, რაც ნიკომ უნდა გადაუხადოს მომავალში თანამშრომლებს შესრულებული სამუშაოსათვის. ამ ორი თანხის შეკრებით მივიღებთ ნიკოს ჯამურ ვალდებულებებს - 1,850 ფე-ს (აი, ესეც მინიშნება: როდესაც უფრო განავითარებთ თქვენს ცოდნას ბუღალტერიაში, ნახავთ, რომ ვალდებულება ხშირად გულისხმობს სიტყვებს „გადახდას დაქვემდებარებული“ ან „გადასახდელი“. ამიტომ, როდესაც ანგარიშგებაში შეხვდებით ტერმინს „გადასახდელი“, უნდა იცოდეთ, რომ ეს არის თანხები, რომლებიც მომავალში უნდა იქნეს დაფარული (ვალდებულებები).

და ბოლოს, უნდა განვსაზღვროთ მფლობელის - ნიკოს საკუთარი კაპიტალი მის სანარმოში. მფლობელის კაპიტალი განსაზღვრული იყო წინა ეტაპზე, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში (16,850 ფე). ხომ არ შეგიძლიათ, რომ მოიფიქროთ ამ კაპიტალის დადასტურების სხვა გზა? გაიხსენეთ, რომ კაპიტალს ასევე ეწოდება წმინდა აქტივი (აქტივები მინუს ვალდებულებები). თუ აიღებთ ნიკოს მთლიან აქტივებს - 18,700 ფე-ს და გამოაკლებთ მას მთლიან ვალდებულებებს - 1,850 ფე-ს, მიიღებთ მფლობელის კაპიტალს - 16,850 ფე-ს. ფინანსური აღრიცხვის ძირითადი განტოლების გამოყენებით, ნიკოს ბალანსი 30 ივნისის მდგომარეობით, ნაჩვენებია ცხრილში 2.10.

**ცხრილი 2.10 ნიკოს ნუგბარის სანარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

ნიკოს ნუგბარის სანარმო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) 2020 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდისათვის			
აქტივები		ვალდებულებები	
ფული	6,200	ვალდებულებები მოწოდებიდან	1,650
აღჭურვილობა	14,500	გადასახდელი ხელფასები	2,200
		<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>3,850</b>
		<b>საკუთარი კაპიტალი</b>	
		ნიკოს კაპიტალი	<u>16,850</u>
		<b>სულ კაპიტალი</b>	<b>16,850</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>20,700</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>20,700</b>

ნიკოს ნუგბარის სანარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) გვიჩვენებს, სანარმოს ქონებას (აქტივებს), ვალდებულებებსა და კაპიტალს კონკრეტული თარიღის მდგომარეობით. ყურადღება მიაქციეთ, რომ საკუთარი კაპიტალი (ნიკოს კაპიტალი) გადმოტანილია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებიდან.

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ბალანსის კავშირი**

მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და ბალანსს შორის კავშირის გაგების (რაშიც საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაც გვეხმარება) კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს სპორტული შეჯიბრის ანალოგიის გამოყენება. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება აჯამებს ბიზნესის ფინანსურ საქმიანობას მოცემულ პერიოდში. აღნიშნულ ანგარიშგებაში აისახება, როგორც იყო ბიზნესის ფინანსური საქმიანობა თვის განმავლობაში, ანუ წმინდა შემოსავალი მიიღო მან, თუ წმინდა ზარალი განიცადა. ეს კონკრეტული თამაშის შედეგის მსგავსია, ანუ, მოიგო თუ წააგო გუნდმა.

ბალანსში მოცემულია სანარმოს ფინანსური მდგომარეობა მოცემული თარიღისათვის, ეს ნიშნავს, სანარმოს მიერ ბოლო 12 თვის განმავლობაში განხორციელებული ფინანსური საქმიანობის შედეგს შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. წარმოიდგინეთ, რომ ბალანსი არის სპორტული გუნდის გამარჯვებებისა და დამარცხებების შესახებ ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც გარკვეული ხარისხით შეიძლება შევფასოთ გუნდის სიძლიერე. თუმცა, რამდენადაც სხვადასხვა კომპანია განსხვავებული ზომისაა, თქვენთვის არ იქნება აუცილებელი, რომ ორი სხვადასხვა სანარმოს ბალანსი შევედართო ერთმანეთს. მაგალითად, ადგილობრივი საცალო ვაჭრობის მაღაზია და კომპანია „ამაზონი“. უმეტეს შემთხვევებში, ერთმანეთს უნდა შეადართო სანარმოს ახალი და წინა საანგარიშგებო პერიოდების ბალანსები.

## **ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

ჩვენ განვიხილეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფუნქცია და ძირითადი მახასიათებლები. ეს არის ანგარიშგება, რომელშიც მოცემულია დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში სანარმოში ფულადი თანხების შემოდინებისა და სანარმოდან მათი გადინების შესახებ ინფორმაცია. მოცემული ანგარიშგება შემოღებული იქნა სამ დანარჩენ კომპონენტთან (მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება და სანარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) არსებული რიგი ინფორმაციული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად.

## **ფინანსური ანგარიშგების მომზადება: რეზიუმე**

ნიკოს სანარმოს შესახებ მოცემულ მაგალითში ჩვენი განხილვის პირველი საგანი გახლდათ ბუღალტრულ ანგარიშგებზე ნაშთები და ვაჩვენეთ, თუ როგორ უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები ივნისის თვისათვის, ანუ ბიზნესის ოპერაციების დაწყების პირველი თვისათვის. აქ მიზანშეწონილი იქნება, თუ კვლავ გავივლით ამ პროცესს და მოკლედ შევაჯამებთ ინფორმაციას, რომლითაც დავინყეთ მაგალითის განხილვა. თუ როგორ გამოიყენება ეს ინფორმაცია ოთხი ტიპის ფინანსური ანგარიშგების (სანარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი), მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების) შესადგენად.

### **ყურადღება მიაქციეთ!**

#### **ფინანსური ანგარიშგების ანალიზი**

როგორც აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიშგებიდან მიღებული სააღრიცხვო ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს სანარმოების მფლობელებისათვის. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები გვთავაზობს უკუკავშირს ბიზნესის მფლობელებთან, მათ ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით და ეხმარება ფინანსური ანგარიშგების შედგენაში.

ივნისის თვის ფინანსური ანგარიშგების გამოყენებით გავაანალიზოთ ნიკოს ფინანსური ანგარიშგება და მოვამზადოთ მისი მოკლე პრეზენტაცია. განვიხილოთ ეს საკითხი მფლობელის პერსპექტივიდან. აღვწეროთ სანარმოს ფინანსური გეგმის შესრულება და მდგომარეობა. საქმიანობის რომელი მიმართულებების ანალიზი გასურთ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად? რა ცვლილებების განხილვა გასურთ, თუკი ეს საჭირო იქნება და რატომ?

## **ეთიკის საკითხები**

### **ფინანსური ანგარიშგებით მანიპულაციები „Waste Management“ კომპანიაში**

ბუღალტრებს აკისრიათ ეთიკური ვალდებულება, რომ ობიექტურად და სამართლიანად წარადგინონ კომპანიების ფინანსური შედეგები და უზრუნველყონ დაინტერე-

სებულ მხარეთა სათანადო ინფორმირება წლიური ანგარიშგებით. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა სერიოზული ფინანსური სანქციები დაეკისროს.

მაგალითად, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიამ (SEC) 1,7 მილიარდი დოლარის ჯარიმა დააკისრა Waste Management, Inc.-ის უმაღლეს მენეჯმენტს მოგების გაყალბებისათვის. კომისიის პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ „ბრალდებულები თაღლითურად მანიპულირებდნენ სანარმოს ფინანსური შედეგებით, რათა მიეღწიათ წინასწარ დაგეგმილი მოგების ოდენობისათვის. ისინი არასათანადო ფინანსური აღრიცხვის პრაქტიკას იყენებდნენ ამ მიზნის მისაღწევად. ამ საქმეში მოპასუხეები მანიპულირებდნენ კომპანიის ფინანსური ანგარიშებით, რათა დაემაღლათ თაღლითობის გზით გაზრდილი ხარჯები და ხელფასები. ამ უზუსტობების გამოვლენის შედეგად სანარმოს მენეჯმენტსა და ბუღალტრებს ბრალი წაეყენათ“.

ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის სააღსრულებო განყოფილების დირექტორის მოადგილე აღნიშნავდა, რომ „მოპასუხეები წლების განმავლობაში „აცხობდნენ“ ბუღალტრულ ჩანაწერებს, მდიდრდებოდნენ, ინარჩუნებდნენ სამუშაო ადგილებს, ატყუებდნენ აქციონერებს, რომლებიც ვერაფერს საეჭვოს ვერ ხედავდნენ. ბრალდებულები, რომელთა შორის იყვნენ სანარმოს დირექტორთა საბჭოს წევრები და ხელმძღვანელები, თაღლითობით პირადად იღებდნენ მილიონობით დოლარის სარგებელს, პრემიალური თანხების მიღების, საქველმოქმედო ღონისძიებების მონაწილის, კომპანიის აქციების გაყიდვით. სანარმოს ფინანსური აღრიცხვის სისტემა ხელს უწყობდა ამ თაღლითობას, რადგან ხედავდა დარღვევებს, მაგრამ არაფერს აკეთებდა მათ აღსაკვეთად“.

# ტესტები, კითხვები, სავარჯიშოები, ამოცანები

## ტესტები

1. ქვემოთ ჩამოთვლილი ანგარიშგებებიდან რომელი არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს?
  - ა. მოგება-ზარალის ანგარიშგება
  - ბ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
  - გ. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
  - დ. მოგების განაწილების ანგარიშგება
2. დაინტერესებული მხარეების საქმიანობაში არ ღებულობენ მონაწილეობას:
  - ა. მფლობელები
  - ბ. თანამშრომლები
  - გ. ლიდერები
  - დ. კონკურენტები
3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტები?
  - ა. შემოსავალი, ზარალი, ხარჯი და მოგება
  - ბ. აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
  - გ. შემოსავალი, ხარჯი, მფლობელის ინვესტიცია, დივიდენდები
  - დ. აქტივები, ვალდებულებები და დივიდენდები
4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ელემენტებია ასახული ბალანსში?
  - ა. აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
  - ბ. შემოსავალი, ხარჯი, მოგება და ზარალი
  - გ. აქტივები, ვალდებულებები და მფლობელის ინვესტიცია
  - დ. შემოსავალი, ხარჯი, ზარალი და მფლობელებზე განაწილება
5. საწარმო ყიდის საქონელს კრედიტით (შემდგომი გადახდის პირობით) 350 ფე. სად აისახება ტრანზაქცია, თუ საწარმო იყენებს დარიცხვის მეთოდს?
  - ა. 350 ფულადი ერთეული აისახება ხარჯების ანგარიშზე
  - ბ. 350 ფულადი ერთეული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც შემოსავალი
  - გ. 350 ფულადი ერთეული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აისახება როგორც ფულადი სახსრების შემოღინება
  - დ. გარიგების შესახებ ინფორმაცია არ აისახება, რადგანაც ფული არ არის მიღებული.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი მტკიცებულებაა სწორი?
  - ა. მატერიალურ აქტივს არ გააჩნია ფიზიკური ფორმა
  - ბ. მატერიალური აქტივები მოიხმარება ერთ საანგარიშგებო ან უფრო ნაკლები პერიოდის განმავლობაში
  - გ. მატერიალურ აქტივს გააჩნია ფიზიკური ფორმა
  - დ. მატერიალური აქტივის ხარჯვა არ ხდება წლის განმავლობაში
  
7. რომელ ორ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მფლობელებს არ ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა?
  - ა. სააქციო საზოგადოება
  - ბ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
  - გ. ინდივიდუალური მენარმე
  - დ. პასუხისმგებლობა არსებობს ყველა ბიზნეს-სტრუქტურაში
  
8. სააღრიცხვო ტოლობა გამოისახება როგორც:
  - ა. აქტივებს + ვალდებულებები = საკუთარი კაპიტალი
  - ბ. აქტივებს - მიმდინარე აქტივები = ვალდებულებები
  - გ. აქტივები = ვალდებულებებს + მფლობელის ინვესტიცია
  - დ. აქტივები = ვალდებულებებს + საკუთარი კაპიტალი
  
9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ამცირებს მფლობელის კაპიტალს?
  - ა. მფლობელის ინვესტიცია
  - ბ. ზარალი
  - გ. მოგება
  - დ. მოკლევადიანი სესხი
  
10. აქტივების აქტივებზე გაცვლა რა გავლენას ახდენს კაპიტალზე?
  - ა. ზრდის კაპიტალს
  - ბ. არ ახდენს გავლენას
  - გ. ამცირებს კაპიტალს
  - დ. აქტივებსა და კაპიტალს შორის არ არსებობს არანაირი კავშირი
  
11. ყველა ჩამოთვლილი ზრდის მფლობელის კაპიტალს, გარდა?
  - ა. მოგების
  - ბ. მფლობელის ინვესტიციის
  - გ. შემოსავლების
  - დ. ვალდებულებების ზრდით აქტივების შესყიდვისა
  
12. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ელემენტს?
  - ა. მფლობელის ინვესტიცია
  - ბ. საკუთარი კაპიტალი
  - გ. ვალდებულებები
  - დ. მფლობელის ინვესტიცია

- ა. მარაგის სარეალიზაციო ფასი
- ბ. აქტივები
- გ. ვალდებულებები
- დ. კაპიტალი

13. ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების თანმიმდევრობას?

- ა. ბალანსი, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, მოგება-ზარალის ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
- ბ. ბალანსი, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება, მოგება-ზარალის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- გ. ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- დ. ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

14. ჩამოთვლილთაგან რომელ სამ ძირითად ინფორმაციას მოიცავს ფინანსური ანგარიშგება?

- ა. სანარმოს დასახელება, ანგარიშგების სათაური, ანგარიშგების პერიოდი
- ბ. სანარმოს დასახელება, ანგარიშგების სათაური, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი
- გ. ანგარიშგების სათაური, ანგარიშგების პერიოდი და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი
- დ. აუდიტორის დასახელება, ანგარიშგების სათაური, ფინანსური წლის მითითება

15. ფინანსური ანგარიშგების რომელი კომპონენტი აჩვენებს სანარმოს ფინანსურ შედეგს საკასო მეთოდით მუშაობის შემთხვევაში?

- ა. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- ბ. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
- გ. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- დ. მოგება-ზარალის ანგარიშგება

16. ფინანსური ანგარიშგების რომელი კომპონენტი ასახავს სანარმოს ფინანსურ მდგომარეობას?

- ა. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- ბ. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
- გ. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- დ. მოგება-ზარალის ანგარიშგება

17. საკუთარი კაპიტალი არის სანარმოს \_\_\_\_\_ მაჩვენებელი.
- ა. აქტივების გამოყენების
  - ბ. ვალდებულებების დაფარვის
  - გ. ლიკვიდურობის
  - დ. ძირითადი აქტივების ეფექტიანობის

## კითხვები

1. ჩამოთვალეთ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ჩამოაყალიბეთ თითოეული კომპონენტის მიზანი.
2. განმარტეთ დაინტერესებული მხარეები/პირები. ჩამოაყალიბეთ დაინტერესებული მხარის ორი ჯგუფი და განმარტეთ თუ როგორ შეუძლია თითოეულს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის გამოყენება.
3. დაასახელეთ მოგებისა და შემოსავლების საერთო და განმასხვავებელი ერთი ნიშანი მაინც. რატომ არის ეს განსხვავება მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეებისათვის.
4. დაასახელეთ ხარაღისა და ხარჯების საერთო და განმასხვავებელი ერთი ნიშანი მაინც. რატომ არის ეს განსხვავება მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეებისათვის.
5. ახსენით კაპიტალის მნიშვნელობა და მოიყვანეთ კაპიტალის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების მაგალითები.
6. განმარტეთ გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა. რატომ არის ეს განსხვავება მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეებისათვის.
7. დაასახელეთ მატერიალური და არამატერიალური აქტივების საერთო და განმასხვავებელი ერთი ნიშანი მაინც.
8. ჩამოთვალეთ სანარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მოიყვანეთ თითოეულის დადებითი და უარყოფითი მხარეები.
9. რა არის სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობა? მოიყვანეთ მაგალითი და ახსენით, როგორ ახდენს ტრანზაქციები გავლენას სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობაზე.
10. ჩამოთვალეთ ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპების თანმიმდევრობა და მიუთითეთ, რომელი სამი ანგარიშგებაა ერთმანეთთან დაკავშირებული?
11. ახსენით, შემოსავლების, ხარჯების, მფლობელის ინვესტიციის და მოგების მფლობელებზე განაწილებას რა გავლენა აქვს კაპიტალზე?
12. ახსენით ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზანი და განმარტეთ ამ ანგარიშგების საჭიროება.

# სავარჯიშოები

1. ქვემოთ მოყვანილი თითოეული სიტუაციისთვის გამოიანგარიშეთ შესაბამისი მნიშვნელობა (ფე).

ქვოსაღებები	- ბარები	შეგ ქვოსაღებები	სხვა ბარები	= მზინა მცხოვრავალი/ბარები
1,550	1,100	125	75	?
?	150,755	0	1,550	- 785
77,560	65,600	?	1,575	8,485
25,390	?	420	500	- 990
875,300	856,995	12,000	?	26,705

2. ქვემოთ მოყვანილი თითოეული სიტუაციისთვის გამოიანგარიშეთ საკუთარი კაპიტალის შესაბამისი მნიშვნელობა (ფე).

საწესი ნაწილი	შესაბამისი	განაწილება მფლობელებზე	ნაწილი მფლობელის ბილეთს
?	23,000	11,750	29,250
17,650	?	7,480	66,350
?	75,300	163,100	139,000
0	175,300	?	158,530
85,700	63,750	42,900	?

3. ქვემოთ მოყვანილი თითოეული სიტუაციისთვის გამოიანგარიშეთ შესაბამისი მნიშვნელობა (ფე).

ქვადები	დადგენილებები	= საკუთარი კაპიტალი
32,000	16,000	?
167,700	?	145,300
?	235,200	335,700
17,500	16,830	?
383,160	?	123,280

4. ქვემოთ მოყვანილი თითოეული სიტუაციისათვის მონიშნეთ ის ტრანზაქციები რომლებიც აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში

ტრანზაქცია	აისახება ფულადი ნაკადებს ანგარიშგებაში
რელიზებული საქონელი შემდგომი გადახდის პირობით	
გამოიწერა ქვითარი კომუნალურ მომსახურებაზე	
მფლობელის მიერ განხორციელებული ფულადი ინვესტიცია	
დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გადახდა	
მიღებულია რეკლამის ხარჯის ანგარიში	

5. ქვემოთ მოყვანილ თითოეულ ელემენტზე მიუთითეთ და ახსენით მიმდინარე თუ გრძელვადიანი.

ელემენტი	მიმდინარე თუ გრძელვადიანი
ფული	
მარაგები	
ავტოსატრანსპორტო საშუალება	
სავაჭრო ნიშანი	
კრედიტორული დავალიანება	
შრომის ანაზღაურების ვალდებულება	
დებიტორული დავალიანება	
კაპიტალი	

6. ქვემოთ მოყვანილ ელემენტებს რა გავლენის მოხდენა შეუძლია კაპიტალზე?

ელემენტი	ზრდის? ანგრძობს? ან ახდებს გავლენას?
ხარჯები	
აქტივები	
მოგება	
ვალდებულებები	
დივიდენდები	

7. ხე-ტყის მწარმოებელ საწარმოს დეკემბერში ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები. განსაზღვრეთ ფულადი სახსრების ნაშთი 31 დეკემბრისთვის (ფე):

გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით	4,250
მარაგების შესყიდვა გადარიცხვით	2,760
მფლობელის მიერ ინვესტიციის განხორციელება	4,000
მარაგების ხარჯვა	275
იჯარის ქირის გადახდა ნაღდი ანგარიშსწორებით	360
მარაგი შეძენილია შემდგომი გადახდის პირობით	3,500
შრომის ანაზღაურების გადახდა	3,390
ფულადი სახსრების ნაშთი 1 დეკემბრისთვის	6,990

8. მოცემულია ერთ-ერთი საწარმოს დეკემბრის მონაცემები (ფე):

საკუთარი კაპიტალი 1 დეკემბრისთვის	178,300
დეკემბერში მიღებული შემოსავალი	57,400
დეკემბერში განეული ხარჯი	60,800

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ, რამდენი იქნება საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის ბოლოს?

9. ქვემოთ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ საწარმოს მიმდინარე წლის ივლისის მოგება-ზარალის ანგარიშგება (ფე).

გაყიდვები	63,500
შემოსავალი იჯარიდან	17,300
წარმოებული პროდუქციის ხარჯი	53,200
შრომის ანაზღაურების ხარჯი	19,900
მფლობელის ინვესტიცია	13,000
მონყობილობის შესყიდვა	57,000
კომუნალური მომსახურების ხარჯი	2,800
გადასახადები (საგადასახადო)	500

10. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ საწარმოს მიმდინარე წლის ოქტომბრის კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (ფე):

ფული	15,500
მფლობელის კაპიტალი 1 ოქტომბრისთვის	57,000
2019 წლის ოქტომბრის წმინდა ზარალი	8,800
მფლობელის ინვესტიცია	2,500
შრომის ანაზღაურების გადახდა	4,250
სახარჯი მასალა (კარტრიჯები)	850
მფლობელებზე გადახდა	200

11. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) მიმდინარე წლის 31 მარტის მდგომარეობით (ფე).

კრედიტორული დავალიანება	1,730
ფული	11,050
საკუთარი კაპიტალი 1 მარტისთვის	17,300
მარაგები	8,230
გადასახდელი ხელფასი	2,150
გაყიდვები	13,600
წარმოებული პროდუქციის ხარჯი	8,200
საკუთარი კაპიტალი 31 მარტისათვის	22,700
აღჭურვილობა	7,300

12. ქვემოთ მოყვანილი თითოეული სიტუაციისთვის გამოიანგარიშეთ გამოტოვებული მნიშვნელობა (ფე).

გემოსხადები	- სარგები	+ სხვა გემოსხადები	- სხვა სარგები	= წმინდა გემოსხადები/ზარალი
2,813	2,595	281	209	?
?	246,095	0	3,248	-1,703
109,562	100,470	?	3,429	10,403
39,266	?	564	870	-2,436
2,264,834	2,242,643	16,950	?	39,141

13. ქვემოთ მოყვანილი თითოეული სიტუაციისთვის გამოიანგარიშეთ საკუთარი კაპიტალის შესაბამისი მნიშვნელობა (ფე).

აქვები ნაშთი	= ინვესტიცია	= განაწილება მფლობელებზე	ნაშთი პერიოდის ბოლოს
?	15,333	8,560	26,773
12,107	?	5,725	42,788
?	48,439	202,816	88,507
0	210,439	?	200,504
55,054	40,533	28,657	?

14. ქვემოთ მოყვანილი თითოეული სიტუაციისთვის გამოიანგარიშეთ შესაბამისი მნიშვნელობა (ფე).

აქტივები	= ვალდებულებები	= საკუთარი კაპიტალი
82,600	18,000	?
530,185	?	473,065
?	691,600	943,285
45,625	43,917	?
874,534	?	219,349

15. ქვემოთ მოყვანილი თითოეული სიტუაციისათვის მონიშნეთ ის ტრანზაქციები რომლებიც აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში

ტრანზაქცია	აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში
შეძენილია საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით	
მარაგების შესყიდვა შემდგომი გადახდით	
მფლობელზე გადახდილია თანხა	
საქველმოქმედო ფონდში თანხის გადახდა	
მიღებულია კომუნალური მომსახურების ანგარიში	

16. ქვემოთ მოყვანილ თითოეულ ელემენტზე მიუთითეთ და ახსენით მიმდინარე თუ გრძელვადიანი.

დასახელება	მიმდინარე თუ გრძელვადიანი
მარაგები	
შენობები	
ვალდებულებები	
ფული	
სავაჭრო ნიშანი	
კრედიტორული დავალიანება	
გადასახდელი ხელფასი	
ჩვეულებრივი აქციები	

17. ქვემოთ მოყვანილ ელემენტებს რა გავლენის მოხდენა შეუძლია კაპიტალზე?

ელემენტი	ზრდის? ამცირებს? არ ახდენს გავლენას?
შემოსავლები	
სხვა შემოსავალი	
სხვა ხარჯები	
მოგების განაწილება	
ინვესტიცია	

18. სანარმოს დეკემბერში ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები. განსაზღვრეთ ფულადი სახსრების ნაშთი 31 დეკემბრისთვის (ფე):

დივიდენდების გადახდა	321
კრედიტით გაყიდვა	149
საოფისე აღჭურვილობის შესყიდვა გადარიცხვით	2,496
გადასახადების გადახდა	3,032
ჩვეულებრივი აქციების გაყიდვა	3,550
მარაგების შექმნა შემდგომი გადახდის პირობით	3,125
გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით	3,763
ფულადი სახსრების ნაშთი 1 დეკემბრისთვის	10,869

19. მოცემულია ერთ-ერთი საწარმოს იანვრის მონაცემები (ფე):

საკუთარი კაპიტალი 1 იანვრისთვის	62,355
დეკემბერში მიღებული შემოსავალი	25,340
დეკემბერში განეული ხარჯი	22,930

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ, რამდენი იქნება საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის ბოლოს?

20. ქვემოთ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ საწარმოს მიმდინარე წლის თებერვლის მოგება-ზარალის ანგარიშგება (ფე).

გაყიდვები	28,250
შემოსავალი იჯარიდან	8,426
ნარმოებული პროდუქციის ხარჯი	23,924
შრომის ანაზღაურების ხარჯი	9,938
მფლობელის ინვესტიცია	7,040
მონყობილობის შესყიდვა	25,520
კომუნალური მომსახურების ხარჯი	950
გადასახადები(საგადასახადო)	368

21. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ საწარმოს მიმდინარე წლის სექტემბრის კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (ფე):

ფული	52,040
მფლობელის კაპიტალი 1 სექტემბრისთვის	199,120
2019 წლის სექტემბრის წმინდა მოგება	29,456
მფლობელის ინვესტიცია	7,280
შრომის ანაზღაურების გადახდა	13,440
სახარჯი მასალა (კარტრიჯები)	4,640
მფლობელებზე გადახდა	552

22. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) მიმდინარე წლის 31 იანვრის მდგომარეობით (ფე).

კრედიტორული დავალიანება	1,570
ფული	5,646
საკუთარი კაპიტალი 1 იანვრისთვის	7,709
მარაგები	4,716
გადასახდელი ხელფასი	3,710
გაყიდვები	6,488
წარმოებული პროდუქციის ხარჯი	4,706
საკუთარი კაპიტალი 31 იანვრისათვის	9,491
აღჭურვილობა	4,409

## ა მოცანები

1. ქვემოთ მოცემულია სამი დამოუკიდებელი საწარმოს საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლები.

(ფე)

	საწყისი წამთი	+ მშენა მოგება	- მშენა მარჯალი	+ ინვესტიცია	- დივიდენდების გაცემა	= წამთი
საწარმო #1	?	18,500	0	24,300	2,750	41,050
საწარმო #2	65,180	0	14,000	0	?	46,880
საწარმო #3	277,300	?	0	0	26,100	301,400

ა. გაიანგარიშეთ გამოტოვებული მაჩვენებლები;

ბ. თქვენს მიერ გაცემებული კალკულაციის შედეგად გააკეთეთ საკუთარი კომენტარი თითოეულ საწარმოზე.

2. მოცემულია სანარმოს სამი წლის მაჩვენებლები. განმარტეთ ანგარიშებზე ყოველწლიური ცვლილებები და რესურსებისა და შესაბამისი წყაროების გამოყენების შესაძლებლობები (როგორ იყო ეს საშუალებები მიღებული და გამოყენებული).

(ფე)

წელი	აქტივები	= ვალდებულებები	= საფუძვლიანი კაპიტალი
1-ლი	245,000	120,000	125,000
მე-2	286,000	150,000	136,000
მე-3	212,000	80,000	132,000

3. მოცემულია ოთხი განსხვავებული სანარმოს მაჩვენებლები (ფე).

		A	B	C	D
1	შემოსავლები	18,500	169,320	?	237,000
2	ხარჯები	10,400	?	70,300	239,000
3	სხვა შემოსავალი	0	2,350	0	?
4	სხვა ხარჯები	1,900	0	7,200	0
5	ნმინდა შემოსავალი/ზარალი	?	(11,250)	5,100	8,300

- ა. გაიანგარიშეთ და ჩასვით გამოტოვებული მაჩვენებლები;  
 ბ. ახსენით, როგორ შეათვასებს დაინტერესებული პირი თითოეული სანარმოს ფინანსურ მაჩვენებლებს.

4. ახსენით თითოეული ტრანზაქციის გავლენა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებზე.

ტრანზაქცია	აქტივები	ვალდებულებები	საფუძვლიანი კაპიტალი
ხარჯების დაფარვა ნაღდი ანგარიშსწორებით			
ჩვეულებრივი აქციების გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით			
მფლობელისთვის დივიდენდის გადახდა			
მომწოდებლისათვის არსებული დავალიანების გადახდა			
აქტივის შეძენა შემდგომი გადახდით			

5. მოცემულია ინფორმაცია საწარმოს სექტემბრის ტრანზაქციების შესახებ (ფე).

ტრანზაქცია	თანა (ფე)	აქტივები	- დადებულ დებტები	= საერთო კაპიტალი
შეძენილია მიწის ნაკვეთი კრედიტით	52,000	52,000	52,000	0
გაყიდვები: ნაღდი	5,000			
გაყიდვები: კრედიტით	8,000			
სხვა გაყიდვები: კრედიტით	6,000			
ოფისის აღჭურვილობის შესყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით	12,000			
მფლობელის მიერ განხორციელებული ინვესტიცია	27,000			
გადახდილია სახელფასო დავალიანება	8,000			
გადახდილია კომუნალური გადასახადების დავალიანება	3,000			
ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილია სანავი	600			
სულ				

შეავსეთ ცხრილი და განსაზღვრეთ საბოლოო ნაშთები პირველი ტრანზაქციის მიხედვით. შენიშვნა: უარყოფითი თანხები აღნიშნეთ მინუსი (-) ნიშნით, ხოლო ცვლილების გარეშე ოპერაციასთან მიუთითეთ 0.

მინიშნება: თითოეული ტრანზაქცია მოიცავს ფინანსური ანგარიშგების ორ ელემენტს და შესაძლებელია მისი წმინდა გავლენა იყოს ნულის ტოლი.

6. მეხუთე ამოცანაში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით განსაზღვრეთ საწარმოს სექტემბრის შემოსავლები და ხარჯები.

7. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ივლისში განხორციელებული ათი ტრანზაქციის შესახებ. აღნიშნულ ოპერაციებს ადგილი ჰქონდა საკონდიტრო საწარმოს სადღესასწაულო გახსნის დროს. დავუშვათ, რომ ყველა ოპერაცია მოგების გათვალისწინებით საკონდიტრო საწარმოს ძირითად საქმიანობას ეხება.

(ფე)

	აქცეზები			აბღღებულებები		საკუთარი კაპიტალი	
	ფული	მარაგები	ხაჯუნა-აღბ	კრედიტ-რეკლ და-ღაღაღა	გაღასხდელი იღღღღა	მეფეღღღღი აქცეზები	გეზბაღღღღი მღღღღა
1	52,000					52,000	
2	(8,000)	8,000					
3			24,000	24,000			
4	3,250						3,250
5	(2,750)						(2,750)
6				600			(600)
7					5,000		(5,000)
8	5,200						5,200
9				275			(275)
10	(1,000)		1,000				
ნაშთი							

- ა. გაიანგარიშეთ თითოეული ელემენტის საბოლოო ნაშთი;
- ბ. შეადგინეთ მოგება-ზარალის ანგარიშგება;
- გ. შეადგინეთ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება;
- დ. შეადგინეთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

8. ქვემოთ მოცემული თითოეული მაჩვენებელი ეკუთვნის სამი დამოუკიდებელი საწარმოს საკუთარ კაპიტალს. ( ფე)

	საწესი ნაშთი	ზღონღა მღღღა	ზღონღა ზარალი	ინვესტიცია	დაღიღღღღი ეღღღა	ნაშთი
საწარმო #1	165,800	18,500	0	?	3,750	256,150
საწარმო #2	64,180	0	15,000	0	53,180	?
საწარმო #3	0	0	?	155,000	0	103,400

- ა. გაიანგარიშეთ გამოტოვებული მაჩვენებლები;
- ბ. თქვენს მიერ გაკეთებული კალკულაციის შედეგად გააკეთეთ საკუთარი კომენტარი თითოეულ სანარმოზე.

9. მოცემულია სანარმოს სამი წლის მაჩვენებლები. განმარტეთ ანგარიშებზე ყოველწლიური ცვლილებები და რესურსებისა და შესაბამისი წყაროების გამოყენების შესაძლებლობები (როგორ იყო ეს საშუალებები მიღებული და გამოყენებული). (ფე)

წელი	აქტივები	ვალდებულებები	= საკუთარი კაპიტალი
1-ლი	139,000	64,000	75,000
მე-2	150,000	59,000	91,000
მე-3	170,000	82,000	88,000

10. მოცემულია ოთხი განსხვავებული სანარმოს მაჩვენებლები (ფე).

		A	B	C	D
1	შემოსავლები	?	148,050	101,950	105,400
2	ხარჯები	455,490	151,800	77,120	?
3	სხვა შემოსავალი	0	?	4,750	10,505
4	სხვა ხარჯები	34,760	0	7,200	0
5	წმინდა შემოსავალი/ზარალი	34,130	41,690	?	(60,275)

- ა. გაიანგარიშეთ და ჩასვით გამოტოვებული მაჩვენებლები;
- ბ. ახსენით, როგორ შეაფასებს დაინტერესებული პირი თითოეული სანარმოს ფინანსურ მაჩვენებლებს.

11. ახსენით თითოეული ტრანზაქციის გავლენა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებზე.

ტრანზაქცია	აქტივები	ვალდებულებები	საკუთარი კაპიტალი
მიღებულია ფული აქტივების რეალიზაციიდან			
მფლობელისთვის დივიდენდის გადახდა			
ამონაგები რეალიზაციიდან (ნაღდი ანგარიშსწორებით)			
მფლობელის მიერ განხორციელებული ინვესტიცია			
მარაგების შექმნა შემდგომი გადახდით			

12. მოცემულია ინფორმაცია სანარმოს იანვრის ტრანზაქციების შესახებ (ფე).

ტრანზაქცია	თანა	უტყვევები	ინვალუდები	= საფუთარი ვაჭიტბდი
გაყიდა ჩვეულებრივი აქციები	5,000	5,000	0	5,000
გადახდილია სახელმწიფო გადასახადები	2,950			
გადახდილია დამლევვის ხარჯი	1,750			
გაყიდვები: ნაღდი	15,000			
გაყიდვები: კრედიტით	8,000			
გადახდილია დივიდენდები	1,500			
სხვა გაყიდვები: კრედიტით	2,700			
ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია საკანცელარიო საქონლის ღირებულება	250			
ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია კრედიტორული დავალიანება	2,600			
გადახდილია კომუნალური მომსახურების ხარჯი	400			
გადახდილია გადასახადები (საგადასახადო)	800			
სულ				

შეავსეთ ცხრილი და განსაზღვრეთ საბოლოო ნაშთები ჰირველი ტრანზაქციის მიხედვით.  
შენიშვნა: უარყოფითი თანხები აღნიშნეთ მინუსი (-) ნიშნით, ხოლო ცვლილებების გარეშე  
ოპერაციასთან მიუთითეთ 0.

მინიშვნება: თითოეული ტრანზაქცია მოიცავს ფინანსური ანგარიშგების ორ ელემენტს და  
შესაძლებელია მისი წმინდა გავლენა იყოს ნულის ტოლი.

13. მეთორმეტე ამოცანაში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით განსაზღვრეთ სანარ-  
მოს იანვრის შემოსავლები და ხარჯები.

14. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მარტში განხორციელებული ათი ტრანზაქციის შესახებ. (ფე)

	აქტივები			ვალდებულებები		საკუთარი ვაჭიბალი	
	ფული	მარაგები	აღსრულებადობა	კრედიტორული დაავალიანება	გადასაბდელო ხელფასი	ჩვეულებრივი აქციები	გაუნაღებელი ნივთები
1	155,000					155,000	
2	(28,000)	28,000					
3			44,000	44,000			
4	3,750						3,750
5	(5,550)						(5,550)
6				1,600			(1,600)
7					4,000		(4,000)
8	8,500						8,500
9				575			(575)
10	(2,000)		2,000				
ნაშთი							

- ა. გაიანგარიშეთ თითოეული ელემენტის საბოლოო ნაშთი;
- ბ. შეადგინეთ მოგება-ზარალის ანგარიშგება;
- გ. შეადგინეთ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
- დ. შეადგინეთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

## სიტუაციური ამოცანები

- შეარჩიეთ სამი დაინტერესებული პირი ან დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი სანარმო „ისანისათვის“ და მოამზადეთ წერილობითი პასუხი თითოეული დაინტერესებული სუბიექტისათვის. თქვენ წერილში განიხილეთ ბიზნესის ყველა ფაქტორი, რომელიც შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს თითოეული დაინტერესებული მხარისათვის. განიხილეთ წებისმიერი ფინანსური და არაფინანსური ფაქტორი, რომელსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს დაინტერესებულ მხარესთან. ახსენით, რატომ არის ეს ფაქტორები მნიშვნელოვანი.

2. დავუშვათ, რომ თქვენ შეიძინეთ საქართველოს რკინიგზის 10 აქცია, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების საწარმოს. ახსენით, რატომ შეიძლება თქვენი ეს დაბანდება ჩაითვალოს ხელსაყრელად. მიუთითეთ ფაქტორებზე, რომლის გავლენითაც თქვენ მოვლით სარგებელს განხორციელებული ინვესტიციებიდან.
3. სავაჭრო ნიშანი წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის წარმატებისათვის. დავუშვათ, რომ თქვენ ხართ ბუღალტერი, რომლის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს ისეთი ცნობილი სავაჭრო ნიშნების შეფასება, როგორცაა Nike ან McDonald's. რა დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს თითოეულს საკუთარი კომპანიისთვის, რაც მას უნიკალურს ხდის და ღირებულია კომპანიისათვის? მიუხედავად იმისა, რომ თითოეული კომპანიის ბალანსში საკუთარი სავაჭრო ნიშნის ასახვა არ არის სავალდებულო, იმსჯელეთ, რა ფაქტორებს შეუძლია კომპანიის სავაჭრო ნიშნის ღირებულების გაზრდა ან შემცირება? თქვენი პასუხი წარმოადგინეთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პოზიციიდან.
4. ქვემოთ მოცემული თითოეული ტრანზაქციისათვის წარმოადგინეთ წერილობითი ახსნა იმისა, თუ რა მოხდა თითოეული მოვლენის განხორციელებისას.

	აქტივები			ვალდებულებები		საერთო კაპიტალი	
	სულა	წარმო- ბი	სავაჭრო- ნიშნები	კრედიტო- რული და გადახსნა	გადახს- ნად ხელახალი	ჩვეულებრივი აქციები	გაუნაწილებე- ლი მოგება
1	55,500					55,500	
2	(4,900)	4,900					
3			23,300	23,300			
4	1,450						1,450
5	(865)						(865)
6				470			(470)
7					2,450		(2,450)
8	2,680						2,680
9				575			(575)
10	(1,000)		1,000				
ნაშთი							

# ფინანსური ანგარიშგების

## ქართული

### მასწავლებლის მონაცემები

### და ინფორმაციის

### ხარისხობრივი

### მახასიათებლები

3.1 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

3.2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების მონაცემები

3.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

» კითხვები განსჯისათვის

» სიტუაციური ამოცანები

თქვენ უკვე გაქვთ წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებზე, მათ ელემენტებსა და დანიშნულებაზე. მაგრამ არ იცით ყველა გარიგება და მოვლენა უნდა იქნეს ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში თუ არა? ან როგორ შევაფასოთ, მაგალითად, თუ ბიზნესის მფლობელი თავის თანამშრომლებს შესვენებაზე გაუმასპინძლდა ყავით და ხაჭაპურებით? ესეც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში? ბუღალტერს მიაჩნია, რომ იმის მიუხედავად, რომ გამასპინძლება მოხდა სანარმოს სალაროდან აღებული თანხით, მისი მცირე სიდიდის გამო (რალაც 5-7 ფე), ეს ფაქტი არ უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. მოლარემ გამოთქვა საპირისპირო მოსაზრება და დაასაბუთა იმით, რომ ის პასუხისმგებელია გაცემულ თანხაზე და შესაბამისად, ეს ფაქტი უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

თქვენ როგორ ფიქრობთ, შესვენებაზე გამასპინძლება უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში? რომელია მართალი, ვის დავუჭეროთ? ვის ვკითხოთ? ან საერთოდ, საინტერესო იქნება ვინმესთვის ჩვენი ხაჭაპურების ამბავი?

ან, კიდევ ასეთი კამათი გაიმართა ბუღალტერსა და მის ასისტენტს შორის კომპიუტერების თაობაზე. კომპანიამ 7 წლის წინ შეიძინა კომპიუტერები 2,000 ფე-ად. ბუღალტრის ასისტენტი უმტკიცებს მას, რომ დღეს ამ კომპიუტერების ღირებულებაა საუკეთესო შემთხვევაში 400 ფე. როგორ ფიქრობთ, რა ღირებულებით უნდა აისახოს კომპიუტერები ფინანსურ ანგარიშგებაში - 2,000 ფე-ად თუ 400 ფე-ად? დოკუმენტების მიხედვით მათი ღირებულებაა 2,000 ფე, ხოლო რეალურად - სავარაუდოდ 400 ფე. რომელია მართალი?

ამ კითხვებზე პასუხს მივიღებთ იმის შემდეგ, როდესაც:

- » გავეცნობით ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმებს;
- » გავიგებთ თუ ვინ განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესებს;
- » შევისწავლით რას ნიშნავს ხარისხიანი ინფორმაცია, რომელიც სჭირდებათ მათ მომხმარებლებს.

### 3.1 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

- » ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება

ფინანსური ანგარიშგებაში ელემენტების აღიარება არის სანარმოს ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ მუხლის სიტყვიერად და თანხობრივად ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ელემენტის განმარტებას და აღიარების კრიტერიუმებს.

განვიხილოთ ელემენტების აღიარების კრიტერიუმები. ჯერ განვიხილოთ ბალანსის ელემენტები - აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. აქტივი არის არსებული ეკონომიკური რესურსი, რომელსაც სანარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად. ეკონომიკური რესურსები არის უფლება, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი. აქტივების განმარტებას საფუძვლად უდევს შემდეგი კრიტერიუმები: ეკონომიკური რესურსი; ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი; რესურსების კონტროლი. აქტივების ასეთი განმარტება ეფუძნება შემდეგ ასპექტებს: აქტივებში განივთებულია ეკონომიკური რესურსი (პოტენციური სარგებელი), რომელიც არის წარსული მოვლენის შედეგი; სანარმოს უნდა ჰქონდეს მისი კონტროლის უფლება, რათა მიიღოს ეს სარგებელი. სანარმო იმ შემთხვევაში აკონტროლებს ეკონომიკური რესურსს, თუ მას გააჩნია შესაძლებლობა, განსაზღვროს ეკონომიკური რესურსის გამოყენების წესი და მიიღოს ეკონომიკური სარგებელი, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ ეკონომიკური რესურსიდან (იხ. ილუსტრაცია 3.1).

### ილუსტრაცია 3.1



ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლებებს აქვს სხვადასხვა ფორმა და ყოველი მათგანი არის დამოუკიდებელი აქტივი:

- » ფულადი სახსრების მიღების უფლება;
- » საქონლის ან მომსახურების მიღების უფლება;
- » სხვა მხარესთან ეკონომიკური რესურსების გაცვლის უფლება ხელსაყრელი პირობებით;
- » ფიზიკური ობიექტების გამოყენების უფლება და სხვა.

მრავალ აქტივს, მაგალითად შენობას, მინის ნაკვეთს, საქონელს ფიზიკური ფორმა გააჩნია, მაგრამ აქტივების ერთადერთი განმსაზღვრელი თვისება ფიზიკური ფორმა არაა. მთავარია ეკონომიკური სარგებლის პოტენციალი - მისი მიღების უფლება. მაგალითად, ლიცენზიებს, პატენტებს და სავაჭრო ნიშნებს არ გააჩნია ფიზიკური ფორმა, მაგრამ მიიჩნევა აქტივად, თუ საწარმოს განკარგულებაში იმყოფება და ივარაუდება მისი პოტენციალის გამოყენება, რაც გამოიწვევს ფულადი სახსრების შემოსვლას საწარმოში.

ზოგიერთი აქტივი, მაგალითად მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება) და ქონება დაკავშირებულია სამართლებრივ და, მათ შორის, საკუთრების უფლებებთან. აქტივის საკუთრების უფლება არ არის აღიარების კრიტერიუმი. მაგალითად, იჯარით აღებული ქონება მიიჩნევა აქტივად, თუ საწარმო აკონტროლებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც ივარაუდება ამ ქონების გამოყენებით.

### მაგალითი 3.1 აქტივები

კომპანიამ შეიძინა ავტომანქანები გადაზიდვებისათვის და შენობა სასაწყობო მეურნეობისათვის. არის თუ არა ავტომანქანები და შენობა აქტივები, კმაყოფილდება აქტივების აღიარების კრიტერიუმები?



ვიმსჯელოთ:

- » ავტომანქანები და შენობა არის ეკონომიკური რესურსი, კომპანიას აქვს ამ რესურსებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება. ეს კომპანიის რესურსებია და მას აქვს მათი გამოყენების განკარგვის უფლება. ვინაიდან ავტომანქანები და შენობა კომპანიის განკარგულებაშია და განკარგავს მათი გამოყენების წესს, კომპანია იღებს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მოტანის უნარი მათ გააჩნიათ;
- » წარსული მოვლენის შედეგია - ავტომანქანები და შენობა არის ადრე განხორციელებული გარიგების შედეგი, ისინი არ არიან შექმნის ან მიწოდების სტადიაზე, კომპანიას დღესვე შეუძლია მათი გამოყენება;
- » კომპანია აკონტროლებს მათ, ღებულობს გადანყვეტილებას სად და როგორ გამოიყენოს ეს რესურსები, რათა მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი (ფულის, საქონლის ან სხვა ფორმით). სხვას არავის არ აქვს მათი გამოყენების და ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება.


ამდენად, ავტომანქანები და შენობა აკმაყოფილებენ აქტივების აღიარების კრიტერიუმებს.

ვალდებულება არის საწარმოს ეკონომიკური რესურსების გადაცემის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად. მიმდინარე მოვალეობა არის საწარმოს ეკონომიკური რესურსების გადაცემის პასუხისმგებლობა, რომლის თავიდან აცილების პრაქტიკული შესაძლებლობა საწარმოს არ გააჩნია. მოვალეობა ყოველთვის სხვა მხარის (ან მხარეების) მიმართ არსებობს. სხვა მხარე შესაძლოა იყოს ფიზიკური პირი ან სხვა საწარმო, ან ადამიანების ან სხვა საწარმოთა ჯგუფი, ან მთლიანად საზოგადოება. საწარმოს მოქმედი კანონმდებლობით, გაფორმებული ხელშეკრულებებით, საქმიანი პრაქტიკით, გამოქვეყნებული პოლიტიკით, კონკრეტული განცხადებებით წარმოიქმნება ისეთი მოვალეობები და ვალდებულებები, რომლის თავიდან აცილების პრაქტიკული შესაძლებლობა არ გააჩნია. მაგალითად, თავიდან ვერ აიცილებს საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებულ საგადასახადო ვალდებულებებს; შრომითი კონტრაქტებით გაფორმებულ შრომის ანაზღაურების ვალდებულებას; სასესხო ხელშეკრულებით დადებულ სასესხო ვალდებულებას.

ამდენად, ვალდებულებების აღიარებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი სამი კრიტერიუმები (იხ.ილუსტრაცია 3.2):

- » არსებობს მიმდინარე მოვალეობა;
- » მიმდინარე მოვალეობა წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად;
- » ითვალისწინებს ეკონომიკური რესურსების გადაცემის პასუხისმგებლობას.

## ილუსტრაცია 3.2



ვალდებულება უმრავლეს შემთხვევაში წარმოიქმნება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესასრულებელი ხელშეკრულების ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. ვალდებულების დაფარვა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოდან ეკონომიკური რესურსების გადაცემას. ეკონომიკური რესურსების გადაცემა - ვალდებულების დაფარვა ხდება სხვადასხვა გზით, მაგალითად:

- » ფულადი სახსრების გადახდით;
- » სხვა აქტივების გადაცემით;
- » მომსახურების განწევით;
- » ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით; ან
- » ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით და სხვა.

### მაგალითი 3.2 ვალდებულება

კომპანიამ ორი წლის წინ ბანკში აიღო 2 მილიონი ფე სესხი ათი წლით ქალაქის გარეუბანში გასართობი ცენტრის ასაშენებლად. ხელშეკრულებით მიმდინარე თარიღისათვის გადასახდელია 210 ათასი ფე.




აქვს თუ არა კომპანიას ვალდებულება? დიახ აქვს, გადასახდელი 210 ათასი ფე იდენტიფიცირდება ვალდებულებად, ვინაიდან ის აკმაყოფილებს ვალდებულების აღიარების ყველა კრიტერიუმს:

- » არის მიმდინარე ვალდებულება, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით;
- » წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად - ხელშეკრულება დაიდო ორი წლის წინ;
- » ითვალისწინებს ეკონომიკური რესურსების გადაცემას - მოცემული მომენტისათვის გადასახდელია 210 ათასი ფე.


საკუთარი ვაპიტალი არის სანარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულებების გამოკლების შემდეგ. ბალანსში იგი შეიძლება ქვეჯგუფებად დაიყოს. მაგალითად, სანესდებო ვაპიტალი ან სააქციო ვაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება. ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადანყვეტილებების მისაღებად, როდესაც კლასიფიკაცია ასახავს სანარმოს მიერ საკუთარი ვაპიტალის განაწილების ან სხვაგვარი გამოყენების სამართლებრივ ან სხვა სახის შეზღუდვებს. ამგვარი სტრუქტურა შეიძლება ასევე ასახავდეს მესაკუთრეთა განსხვავებულ უფლებებს, დივიდენდების მიღებისა და ვაპიტალის ამოღებასთან მიმართებით (იხ.ილუსტრაცია 3.3).

### ილუსტრაცია 3.3



გარდა აღნიშნული ელემენტებისა, მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელემენტებია შემოსავლები და ხარჯები. შემოსავალი არის აქტივების ზრდა ან ვალდებულებების შემცირება, რაც იწვევს საკუთარი ვაპიტალის ზრდას, რომელიც დაკავშირებული არაა მფლობელთა მიერ საკუთარ ვაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან. ხარჯი არის აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა, რაც იწვევს საკუთარი ვაპიტალის შემცირებას, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა შორის ვაპიტალის განაწილებასთან. შემოსავლებისა და ხარჯების ამ განმარტებებიდან ჩანს, რომ მესაკუთრეთა შენატანები არ წარმოადგენს შემოსავალს, ხოლო განაწილება მესაკუთრეთა შორის არ არის ხარჯი. შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებს საფუძვლად უდევს მათი გავლენა აქტივებზე, ვალდებულებებსა და ვაპიტალზე (იხ.ილუსტრაცია 3.4).

ილუსტრაცია 3.4



განსხვავებული ტრანზაქციები (გარიგებები) და სხვა მოვლენები შემოსავლებსა და ხარჯებს წარმოქმნიან სხვადასხვა მახასიათებლებით. ამ მახასიათებლებით შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ცალკე ინფორმაციის მიწოდებას შეუძლია დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საწარმოს ფინანსური შედეგების გარკვევაში.

### მაგალითი 3.3 შემოსავლები და ხარჯები

მიმდინარე პერიოდში კომპანიაში მოხდა შემდეგი ტრანზაქციები:

- » ნაღდი ანგარიშსწორებით 400 ფე-ად გაიყიდა საქონელი, რომლის ღირებულება 250 ფე;
- » ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია 100 ფე ინტერნეტმომსახურებისათვის.

გავაკეთოთ ამ მოვლენების გავლენის ანალიზი შემოსავლებსა და ხარჯებზე:

1. საქონლის გაყიდვით კომპანიას გაეზარდა აქტივი ფულის სახით 150 ფე ოდენობით (400-250), ანუ მიიღო შემოსავალი, რამაც გაზარდა კაპიტალი;
2. ინტერნეტმომსახურებისათვის 100 ფე გადახდით კომპანიას შეუმცირდა აქტივი ფულის სახით, ანუ გასწია ხარჯი, რამაც შეამცირა კაპიტალი.

### მაგალითი 3.4 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის მიმდინარე წლის შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია: შემოსავალი - 7,000 ფე; ხარჯები - 4,300 ფე; დაფინანსება (შენატანები) დამფუძნებლების მიერ - 10,000 ფე და დივიდენდები (ამოღება) - 1,700 ფე.

ამ მონაცემების საფუძველზე დავადგინოთ კაპიტალის სიდიდე.

ვიცით, რომ შემოსავალი და დამფუძნებელთა შენატანები ზრდის კაპიტალს, ხოლო ამოღება - ამცირებს. ამ მახასიათებლების გათვალისწინებით მივიღებთ კაპიტალის შემდეგ ოდენობას (ცხრილი 3.1):


ცხრილი 3.1

კაპიტალი (ფე)

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები	კაპიტალი (ფე)
შემოსავალი	+7,000
ხარჯები	-4,300
დაფინანსება	+10,000
ამოღება	-1,700
სულ	11,000

ამავდროულად, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარებისათვის მათი განმარტებებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით, რომელსაც უფრო დეტალურად გავეცნობით მომდევნო ქვეთავში, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება მოთხოვნილია მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების, ხარჯებისა და კაპიტალის შესახებ მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციის წარდგენა თუ ის არის შესაბამისი (რელევანტური) და სამართლიანად წარდგენილი. ეს მოთხოვნილია იმიტომ, რომ ფინანსური ანგარიშგების მიზანია მომხმარებლებისათვის სასარგებლო ინფორმაციის წარდგენა. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების განმარტებების კრიტერიუმებთან ერთად, აღიარების კრიტერიუმებია ამ ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები - რელევანტურობა და სამართლიანი წარდგენა. ეს დაკავშირებულია იმისთან, რომ არ მოხდეს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომზადებაზე განეული დანახარჯების შეტობა მათ სარგებლიანობაზე. ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს თქვენ გავეცნობით შემდგომ ქვეთავში (იხ.ილუსტრაცია 3.5).

ილუსტრაცია 3.5




## » ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასება

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები უნდა შეფასდეს ფულადი გამოსახულებით, რომლის მიხედვითაც ისინი აღიარდება და აისახება საწარმოს ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. შეფასების პროცესი გულისხმობს შეფასების გარკვეული მეთოდის/საფუძვლის შერჩევას. შეფასების მეთოდების შერჩევისას, მნიშვნელოვანია შესაფასებელი ინფორმაციის ბუნების გათვალისწინება, რომლითაც იგი ასახული იქნება ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში. შესაფასებელი ობიექტების ბუნება, დანიშნულება, შეფასების მიზნები, ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების და დანახარჯების შეზღუდვების გათვალისწინება განაპირობებს შეფასების სხვადასხვა მეთოდების შერჩევას, ხოლო ზოგჯერ კომბინაციასაც. ასევე, შეფასებულ ინფორმაციას უნდა ჰქონდეს საპროგნოზო თვისებები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლებით დადგენილია შეფასების შემდეგი მეთოდები: 1. ისტორიული ღირებულება (Historical cost); 2. მიმდინარე ღირებულება (Current value). მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძველია სამართლიანი ღირებულება (Fair value), აქტივების გამოყენების და ვალდებულების შესრულების ღირებულება (value in use for assets and fulfilment value for liabilities); დანახარჯების მიმდინარე ღირებულება (Current cost) (იხ.ილუსტრაცია 3.6).

ისტორიული ღირებულება ასახავს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ფულად შეფასებას, რომლის ინფორმაცია მიღებულია ტრანზაქციის ან სხვა მოვლენების ფასებიდან. ისტორიული ღირებულება არის ფაქტიური ღირებულება - აქტივების შეძენის დროს გადახდილი ფულადი სასხრები. ვალდებულებები ფასდება ვალდებულების სანაცვლოდ მისაღები თანხებით, ან დავალიანების დასაფარავად დარიცხული ან გადახდილი თანხებით.

ილუსტრაცია 3.6



### საილუსტრაციო მაგალითი 3.1 ისტორიული ღირებულება



კომპანიამ სამი წლის წინ ოფისის ავეჯის შესაძენად გადაიხადა 130 ფე, ხოლო მიმდინარე წელს შეიძინა ავეტომანქანა და გადაიხადა 360 ფე. 130 ფე და 360 ფე არის ისტორიული ღირებულება.

ასევე, კომპანიამ მიიღო მოხმარებული ელექტროენერჯის ქვითარი, რომლის თანახმად გადასახდელი

აქვს 55 ფე. დადებული ხელშეკრულების თანახმად ყოველთვიურად გადასახდელი აქვს 25 ფე ინტერნეტმომსახურებისათვის. გარდა ამისა, მიმდინარე წლის დასაწყისში მან აიღო ხუთწლიანი სესხი 500 ფე ოდენობით.

კომპანიის ვალდებულებების ისტორიული ღირებულებაა 55 ფე, 25 ფე, 500ფე.

ისტორიულ ღირებულებას კიდევ უნოდებენ პირვანდელ ღირებულებას და თვითღირებულებას.

შეფასება ისტორიული ღირებულებით მარტივია, რადგან ეფუძნება დოკუმენტებში ასახულ გარიგების და ანგარიშსწორების მონაცემებს და არ მოითხოვს რთულ გათვლებს. თავდაპირველი აღიარების დროს ისტორიული ღირებულება ტოლია სამართლიანი ღირებულების. დროთა განმავლობაში იცვლება საბაზრო და ეკონომიკური პირობები და ისტორიული ღირებულება არ ასახავს ღირებულებების ცვლილებებს, ხშირად აღარ შეესაბამება რეალურ ვითარებას და საჭირო ხდება არსებული ინფორმაციის განახლება. ასე, მაგალითად კომპანიის მიერ სამი წლის წინ შეძენილი ავეჯი დღეს სავარაუდოდ ნაკლები ეღირება, ასევე სავსებით შესაძლებელია, რომ წლის ბოლოსათვის შეიცვლება ავეტომანქანის ღირებულებაც.

ამიტომ სანარმო თავისი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ რეალური სურათის შესაქმნელად მიმართავს მათ შეფასებას მიმდინარე ღირებულებით. ანუ, ისტორიული ღირებულებით შეფასებული აქტივები შემდგომ ფასდება მიმდინარე ღირებულებით.

#### მიმდინარე ღირებულება

არის ღირებულება, რომელიც აქვთ აქტივებს და ვალდებულებებს შეფასების დღეს.

მიმდინარე ღირებულება ეფუძნება დროის ფაქტორს „ანშყოს“, „მოცემულ მომენტს“. შეფასების საფუძველია მიმდინარე (შეფასების) დროს ბაზარზე მოქმედი ფასები. მიმდინარე ღირებულების მაჩვენებლები აქტივების, ვალდებულებებისა და დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ გვაძლევს ფულად ღირებულებაში გამოხატულ ინფორმაციას

ისეთი ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც განახლებულია შეფასების თარიღისთვის არსებული პირობების ასახვის მიზნით.

როგორც უკვე აღინიშნა, აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებით შეფასების საფუძვლებია: სამართლიანი ღირებულება; აქტივების გამოყენების და ვალდებულებების შესრულების ღირებულება; დანახარჯების მიმდინარე ღირებულება.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. სამართლიანი ღირებულება შეიძლება განისაზღვროს უშუალოდ აქტიური ბაზრის დაკვირვებადი ფასების მეშვეობით.



### საილუსტრაციო მაგალითი 3.2 სამართლიანი ღირებულება

კომპანიის ხელმძღვანელობა ფიქრობს ავტომანქანების შეძენას. როგორ გავიგოთ დღეს რა ღირს კომპანიისათვის საჭირო მარკის და მოდელის ავტომანქანები? რა არის მათი სამართლიანი ღირებულება?


ამისათვის უნდა მივმართოთ ბაზარს: ან, წავიდეთ ავტომანქანების სალონში და იქ გავარკვიოთ ახალი მანქანების ფასი; ან, წავიდეთ ავტომანქანების მეორად ბაზარზე და იქ გავარკვიოთ ექსპლუატაციაში ნამყოფი მანქანების ფასი. ორივე შემთხვევაში მივმართავთ ბაზარს. ამ ფასების დადგენა ასევე შესაძლებელია ინტერნეტით.

გავიხსენოთ ბუღალტრის და მისი დამხმარის კამათი 7 წლის წინ 2,000 ფე-ად შეძენილი კომპიუტერების შესახებ. ბუღალტრის დამხმარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დღეს ამ კომპიუტერების ღირებულება საუკეთესო შემთხვევაში არის 400 ფე. ამის გარკვევა მარტივად შეიძლება, ვინაიდან არსებობს კომპიუტერული ტექნიკის მეორადი ბაზარი.

როდესაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების დადგენა უშუალოდ აქტიური ბაზრის დაკვირვებადი ფასების მეშვეობით, ის განისაზღვრება არაპირდაპირი გზით შეფასების ტექნიკის გამოყენებით, მაგალითად, ფულად ნაკადებზე დაფუძნებული შეფასების ტექნიკის გამოყენებით. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია აქტივების შეფასება მათი გამოყენების ღირებულებით, ხოლო ვალდებულებების - შესრულების ღირებულებით.

გამოყენების ღირებულება არის ფულადი ნაკადების ან სხვა ეკონომიკური სარგებელის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც სანარმო მოელის აქტივის გამოყენებიდან და მისი საბოლოო გასვლიდან. შესრულების ღირებულება არის ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის დღევანდელი ღირებულება, რომლის გადაცემის აუცილებლობასაც სანარმო ვარაუდობს ვალდებულების შესრულებისას.

### საილუსტრაციო მაგალითი 3.3 აქტივების გამოყენებისა და ვალდებულებების შესრულების ღირებულება



კომპანია ფლობს 25 წლის წინ შეძენილ სამაცივრე დანადგარს, რომლის სადრიცხოვო ღირებულებაა 360 ფე. კომპანიის მენეჯმენტს აინტერესებს ამ დანადგარების სამართლიანი ღირებულება. მაგრამ ამ ტიპის სამაცივრე დანადგარების ბაზარი

დღეს აღარ არსებობს. ვინაიდან ბაზარზე მათი ფასის დადგენა შეუძლებელია, გადანყვითეს მიმდინარე ღირებულების განსაზღვრა ამ აქტივების გამოყენებისა და რეალიზაციის ღირებულებით. ამისათვის გაიანგარიშეს თუ რა ფულადი ნაკადების შემოდინებას ექნება ადგილი მათი მომდევნო 3 წლის გამოყენების და რეალიზაციის შემთხვევაში. დაუშვათ, გათვლებით მიიღეს, რომ აქტივების გამოყენებით სანარმოში მოხდება 120 ფე შემოდინება, ხოლო მათი გაყიდვით - 50 ფე. ამდენად, გამოყენების ღირებულებაა 120 ფე, ხოლო სარეალიზაციო - 50 ფე. კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო ინფორმაცია აქტივების მიმდინარე (იგივე ამ აქტივებისათვის სამართლიანი) ღირებულების შესახებ შეფასების გზით და ამ ინფორმაციის საფუძველზე გააკეთებს სათანადო დასკვნებს და მიიღებს შესაბამის გადანყვითილებას.

კომპანიამ აიღო 500 ათასი ფე სესხი 5 წლით, რომლის დასაფარავად სანარმოდან ხუთი წლის განმავლობაში მოხდება 750 ათასი ფე გადინება. 750 ფე არის ვალდებულების შესრულების ღირებულება.

### მაგალითი 3.5 შეფასება ისტორიული და მიმდინარე სარეალიზაციო ღირებულებით

ხუთი წლის წინ სანარმომ შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა, რომელშიც გადაიხადა 190 ფე. მიმდინარე წელს სანარმოს მენეჯმენტს აინტერესებს ამ ტექნიკის ღირებულების შესახებ რეალური ინფორმაცია. დადგინდა, რომ ტექნიკის რეალიზაციის შემთხვევაში სანარმო მიიღებს 80 ფე, ანალოგიური ახალი თაობის ტექნიკის ღირებულებაა 220 ფე.

ამდენად, კომპიუტერული ტექნიკის ისტორიული ღირებულებაა 190 ფე, რაც დასტურდება საბუთებით, მიმდინარე სარეალიზაციო ღირებულება - 80 ფე, ხოლო ახლის სამართლიანი ღირებულება - 220 ფე.


ამ ინფორმაციის საფუძველზე მენეჯმენტის მიერ გაკეთდა შეფასება და პროგნოზი, რომ ტექნიკა სწრაფად უფასურდება - ეცემა მისი ღირებულება და საჭიროა გადანყვითილების მიღება მათი დროულად გაყიდვისა და ახლის შესაძენად სახსრების მოძიების შესახებ.

## დღევანდელი ღირებულება

აქტივების გამოყენებისა და ვალდებულებების შესრულების განმარტებები მოიცავს დღევანდელი ღირებულების ცნებას. დღევანდელი ღირებულება წარმოადგენს ინსტრუმენტს/ მეთოდს, რომელიც გამოიყენება მომავალი პერიოდების თანხების (მაგალითად, ფულადი ნაკადები, ან ღირებულებები) არსებულ თანხასთან დასაკავშირებლად.

დღევანდელი ღირებულება (Present value - PV) არის აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების (Future Value - FV) მიმდინარე ღირებულება (PV).

დღევანდელ ღირებულებას საფუძვლად უდევს ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ დღეს მიღებულ ნებისმიერ თანხას აქვს უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე იგივე თანხას მიღებულს მომავალში, რადგან მისი რეინვესტირება შესაძლებელია შემოსავლის გაზრდის მიზნით. მაგალითად, საქონელი იმავდროული გადახდით იყიდება 90 ფე-ად, 6 თვის შემდეგ გადახდის შემთხვევაში - 105 ფე-ად, ხოლო ერთი წლის შემდეგ გადახდის შემთხვევაში - 125 ფე-ად. ვინაიდან გამყიდველი დროულად არ ღებულობს კუთვნილ თანხებს, დღევანდელი 90 ფე 6 თვის შემდეგ ეღირება 105 ფე, ხოლო ერთი წლის შემდეგ - 125 ფე. მყიდველი ახდენს გამყიდველისათვის იმ შემოსავლების ანაზღაურებას, რომელსაც ის კარგავს თანხების დაგვიანებით მიღების გამო.



დღევანდელი ღირებულების მისაღებად მომავალი ფულადი ნაკადები კორექტირდება ფულის დროის ღირებულების კოეფიციენტებით - დისკონტირების კოეფიციენტით<sup>1</sup>, ამიტომ ზოგჯერ მას უწოდებენ დისკონტირებულ ღირებულებას. ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფცია ფინანსებში და ის საფონდო

<sup>1</sup> დისკონტირების კოეფიციენტებს გავცნობით საგანში „ფინანსური აღრიცხვა“.

ფასების, ობლიგაციების ფასების, ფინანსური მოდელირების, ბანკების, დაზღვევის და ა.შ. საფუძველია.

აღრიცხვაში აქტივების შეფასება ხდება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების დღევანდელი ღირებულებით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია მოცემული აქტივიდან. საწარმოს ვალდებულებები აისახება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების გადინების დღევანდელი ღირებულებით, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია და აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად.

### მაგალითი 3.6 დღევანდელი ღირებულება

საწარმომ თავისუფალი ფულადი სახსრები 100 ფე განათავსა საბანკო დეპოზიტზე 2 წლით 10%-იანი განაკვეთით. ძირითადი თანხა და საპროცენტო შემოსავალი მიიღება მე-2 წლის ბოლოს.

რა თანხას მიიღებს საწარმო ორი წლის შემდეგ?

1-ლი წელი:  $(100 * 10\%) = 10$ ;  $100 + 10 = 110$  ფე;


მე-2 წელი:  $(110 * 10\%) = 11$ ;  $110 + 11 = 121$  ფე.

100 ფე ინვესტირებით ორი წლის შემდეგ საწარმო მიიღებს 121 ფე. ამდენად:

121 ფე არის მომავალი ღირებულება (FV);

121 ფე-ის დღევანდელი (მიმდინარე) ღირებულებაა 100 ფე (PV);

21 ფე არის 100 ფე-ის ინვესტირებით მიღებული შემოსავალი  $(121-100)$ .



### დანახარჯების მიმდინარე ღირებულება

აქტივის დანახარჯების მიმდინარე ღირებულება არის ეკვივალენტური აქტივის თვითღირებულება შეფასების თარიღისთვის, რომელიც მოიცავს ანაზღაურებას, რომელიც გადახდილი იქნებოდა შეფასების თარიღისთვის და ასევე გარიგების იმ დანახარჯებს, რომლებიც განეული იქნებოდა ამ თარიღისთვის. ვალდებულების მიმდინარე ღირებულება არის ანაზღაურება, რომელიც მიღებული იქნებოდა ეკვივალენტური ვალდებულებისთვის შეფასების თარიღისთვის, გარიგების იმ დანახარჯების გამოკლებით, რომლებიც განეული იქნებოდა ამ თარიღისთვის. დანახარჯების მიმდინარე ღირებულება, პირვანდელი ღირებულების მსგავსად არის შემოსვლის ღირებულება: იგი ასახავს იმ ბაზრის ფასს, სადაც

სანარმო შეიძენდა ამ აქტივს ან აიღებდა ამ ვალდებულებას. მაშასადამე, დანახარჯების მიმდინარე ღირებულება განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან, გამოყენების ღირებულებისა და შესრულების ღირებულებისგან, რომლებიც გვიჩვენებს გასვლის ფასებს. თუმცა, დანახარჯების მიმდინარე ღირებულება, პირვანდელი ღირებულებისგან განსხვავებით, ასახავს შეფასების თარიღისთვის არსებულ პირობებს.

ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია მიმდინარე ღირებულების პირდაპირ განსაზღვრა აქტიური ბაზრის ფასების მეშვეობით და უნდა განისაზღვროს არაპირდაპირ სხვა საშუალებებით. მაგალითად, თუ ფასები ხელმისაწვდომია მხოლოდ ახალი აქტივების შესახებ, უკვე გამოყენებული აქტივის მიმდინარე ღირებულება უნდა შეფასდეს ახალი აქტივის მიმდინარე ფასის კორექტირებით, რათა აისახოს სანარმოს განკარგულებაში მყოფი აქტივის მიმდინარე ასაკი და მდგომარეობა.

ამდენად, იმ აქტივების და ვალდებულებების შეფასება, რომელთა ბაზარი არ არსებობს, ხდება დანახარჯების მიმდინარე ღირებულების მეთოდით. შეფასების ეს მეთოდი ასახავს მიმდინარე დანახარჯებს, რომელიც გადახდილი იქნება ანალოგიური აქტივის შესაქმნელად ან შესაძენად და მიღებული ანალოგიური ვალდებულებების აღებისას.

დანახარჯებით შეფასება უნდა მოხდეს შეფასების თარიღისათვის არსებული პირობებით. ასე, აქტივების დანახარჯების მიმდინარე ღირებულება ასახავს ანალოგიური ობიექტების, თანამედროვე მასალებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნაზე განეულ დანახარჯებს, შეფასების თარიღისათვის არსებული საბაზრო ფასებით.

### **საილუსტრაციო მაგალითი 3.4 შენობის დანახარჯების მიმდინარე ღირებულება**



ბანკს აქვს შენობა, რომელიც შეძენილია 30 წლის წინ და რომლის სააღრიცხვო ღირებულება მოცემული მომენტისათვის 300 ფე. შენობა არ არის სტანდარტული, მას აქვს უნიკალური არქიტექტურული ელემენტები და ბაზარზე ანალოგიური შენობა პრაქტიკულად არ არსებობს. კომპანიის მენეჯმენტს ესაჭიროება

ინფორმაცია მისი სამართლიანი ღირებულების შესახებ, რისთვისაც მიმართეს უძრავი ქონების შემფასებელს.

შემფასებელმა შენობის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა მიმდინარე დანახარჯებით - შენობის აშენებაზე გასაწევი ყველა ხარჯების შეფასებით მიმდინარე ფასებში. შემფასებლის დასკვნით ასეთი შენობის მშენებლობის დანახარჯების მიმდინარე ღირებულება (თვითღირებულება) შეადგენს 510 ფე. შენობის სამართლიანი ღირებულება შეფასდა მხოლოდ მიმდინარე დანახარჯებით (თვითღირებულებით), არ იქნა გათვალისწინებული მისი ადგილმდებარეობის ფასი და არქიტექტურული ფასეულობა.

## სილუსტრაციო მაგალითი 3.5 ვალდებულების დანახარჯების მიმდინარე ღირებულება



კომპანიის მენეჯმენტი ბანკთან აწარმოებს მოლაპარაკებას ნანოტექნოლოგიების შექმნის დაფინანსების თაობაზე, რომლის ღირებულებაა 10,800 ფე. მოლაპარაკების შედეგად დაიდო არასტანდარტული (პერსონალური) 10 წლიანი სასესხო ხელშეკრულება - სესხის დაფარვის განსაკუთრებული გრაფიკით. აღნიშნულ პერიოდში სესხის დასაფარავად კომპანიას

მოუწევს 15,000 ფე გადახდა, რაც არის ვალდებულების დანახარჯების მიმდინარე ღირებულება.

მიმდინარე დანახარჯებით შეფასებული ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ შეიძლება იყოს აქტუალური, რადგან მიმდინარე ღირებულება ასახავს ღირებულებას, რომლითაც შესაძლებელია ეკვივალენტური აქტივის შექმნა ან შექმნა შეფასების თარიღისათვის, ან ანაზღაურების შეფასება, რომელიც იქნება მიღებული ეკვივალენტური პასუხისმგებლობის ვალდებულების აღებაზე.

## 3.2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

ფინანსური ინფორმაციის მნიშვნელობა განაპირობებს მათი მომზადებისა და წარდგენის წინაშე არსებულ შესაბამის მოთხოვნებს. იმისათვის, რათა წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია იყოს მაღალი ხარისხის და შესაბამისად, საიმედო, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს -IASB) მიერ შემუშავებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის კონცეპტუალური საფუძვლები (შემდგომში - კონცეპტუალური საფუძვლები).

### კონცეპტუალური საფუძვლები არის

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საბაზო პრინციპებისა და წესების ნაერთი/ნაკრები, რომელიც საფუძვლად უდევს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას. მასში ჩამოყალიბებულია ფინანსური ანგარიშგების მიზანი, განსაზღვრულია მისი კომპონენტები (სახეები), ელემენტები, მათი აღიარების კრიტერიუმები და შეფასების წესები.

ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციას იძლევა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ანუ ინფორმაციას საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების შესახებ. გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგებაში განზოგადოებულია ინფორმაცია ისეთი ოპერაციებისა და სხვა მოვლენების შედეგების შესახებ, რომლებიც იწვევს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ცვლილებას. ორივე ტიპის ინფორმაცია მოიცავს საწარმოსთვის რესურსების მიწოდების შესახებ გადამწყვეტილებების მისაღებად სასარგებლო ამოსავალ მონაცემებს.

### **ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი**

არსებულ და პოტენციურ ინვესტიორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მიწოდოს ისეთი ფინანსური ინფორმაცია, რომელიც გამოადგებათ მოცემული საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ გადამწყვეტილებების მისაღებად.

ინფორმაცია საწარმოს რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნებისა და მათი ცვლილებების შესახებ სისტემატიზებულია ფინანსურ ანგარიშგების სახით ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესების შესაბამისად. ანგარიშგება, რომელშიც წარდგენილია საწარმოს ეკონომიკური რესურსები (აქტივები) და საწარმოს მიმართ მოთხოვნები (ვალდებულებები და კაპიტალი), რეალურად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. ანუ, ერთის მხრივ, რამდენი აქვს საწარმოს ეკონომიკური რესურსები და, მეორეს მხრივ, რამდენი აქვს ვალდებულებები. ამიტომ ინფორმაცია საწარმოს ეკონომიკური რესურსების და მის მიმართ მოთხოვნების (ვალდებულებების) შესახებ სისტემატიზებულია ანგარიშგებაში, რომლის სახელწოდებაცაა „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“, რომელსაც მარტივად „ფინანსურ ბალანს“ უწოდებენ.

ცვლილებები ეკონომიკურ რესურსებში ხდება სამეურნეო გარიგებების შედეგად (მაგალითად, საქონლის შექმნა და შემდეგ მისი გაყიდვა), რაც თავის მხრივ, იწვევს მათი სიდიდეების ცვლილებებს. ცვლილებები, რომელიც ხდება ეკონომიკურ რესურსებში ხასიათდება შემოსავლებით და ხარჯებით. ეს უკანასკნელი აისახება „მოგება-ზარალის ანგარიშგებაში“. ყველა ტრანზაქციას, როგორ წესი, მოყვება ფულადი ნაკადების ცვლილება - შემოდინება და გადინება, რაც აისახება „ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგებაში“. ასევე, ტრანზაქციების შედეგად ეკონომიკურ რესურსებში მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს საწარმოს კაპიტალის სიდიდეზე, რაც ასახავს პოვნებს „კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში“. გარდა ამისა, საწარმო ახდენს აღნიშნულ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაციის დამატებით გამჟღავნებას და ახსნას ე.წ. „ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში“. ამდენად, ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებების და მათი ცვლილებების შესახებ სისტემატიზებულია შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებებში.

ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების

კეთილსინდისიერად ასახვას, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ეფუძნება მრავალ პრინციპს. ბას 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენით“ და საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია შემდეგი პრინციპები:

- » ფუნქციონირებადი საწარმოს (Going concern);
- » დარიცხვის მეთოდის (Accruals concept);
- » სამეურნეო ერთეულის/სუბიექტის (Business entity concept; Economic entity assumption);
- » საანგარიშგებო პერიოდის (დროის ინტერვალის) პრინციპი (Time interval concept; Time period, Reporting period);
- » ფულადი შეფასების (Money measurement concept);
- » პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების (Historical cost concept);
- » თანმიმდევრულობის/წარდგენის უცვლელობის (Consistency of presentation);
- » იურიდიულ ფორმაზე ეკონომიკური შინაარსის უპირატესობის (Substance over form);
- » წინდახედულობის/სიფრთხილის (Prudence);
- » ორმხრივობის (Double-entry).

განვიხილოთ ეს პრინციპები.

#### 1. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს.

### **ფუნქციონირებადი საწარმო**

ნიშნავს იმას, რომ ბიზნესის საქმიანობა გაგრძელდება უახლოეს მომავალში და არ არსებობს იმის ვარაუდი, რომ მოხდება მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს მომავალშიც. ე.ი. იგულისხმება, რომ საწარმო არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას, ან თავისი საქმიანობის მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას. ხოლო თუ ასეთი განზრახვა ან აუცილებლობა არსებობს, მაშინ შესაძლოა საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადება სხვა საფუძველზე, რომელიც აღწერილი იქნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

### მაგალითი 3.7 ფუნქციონირებადი სანარმო

სანარმოს ხელმძღვანელობისთვის ცნობილი გახდა მის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემები, რამაც მისი, როგორც ფუნქციონირებადი სანარმოს, საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის საფუძვლიანი ეჭვი დაბადა.

როგორ უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგება?

თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, სანარმომ შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და საფუძველი, რის მიხედვითაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება. ხელმძღვანელობამ განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას ეს პრობლემები, მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც სანარმო არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონირებად სანარმოდ.

ფუნქციონირებადი სანარმოს კონცეფციით კეთდება დაშვება, რომ სანარმოს საქმიანობა გაგრძელდება საკმაოდ ხანგრძლივად და ის გააგრძელებს თავისი რესურსების - მარაგების, შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარების და სხვა, გამოყენებას დანიშნულებისამებრ. ამიტომ მართებულია ამ რესურსების შეფასება მათი ისტორიული ღირებულებით. სანარმოს ფუნქციონირებადობის საპირისპიროდ შესაძლებელია ბიზნესის საქმიანობის შეწყვეტა - ნყდება ეკონომიკური რესურსების გამოყენება, რომელიც უნდა გაიყიდოს. ასეთ შემთხვევაში მართებულია ასეთი რესურსების შეფასება მიმდინარე ფასებით - შესაძლო გასაყიდი ფასებით.

### მაგალითი 3.8 ფუნქციონირებადი სანარმო

სავაჭრო ცენტრს აქვს ფინანსური პრობლემები, მას გააჩნია ბანკის სესხი 220 ფე და შემდეგი ეკონომიკური რესურსები (იხ.ცხრილი 3.2):

ცხრილი 3.2

სანარმოს ეკონომიკური რესურსები (ფე)

ეკონომიკური რესურსები	ისტორიული (პირველადელი) ღირებულება	მიმდინარე საბაზრო ღირებულება
მინის ნაკვეთი	100	110
საწყობის შენობა	50	30
საქონელი	80	40
ფულადი სახსრები	0	0
	230	180

შევაფასოთ სანარმოს ფუნქციონირებადობა.

სავარაუდოა, რომ სანარმო ვერ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას, ეკონომიკური რესურსების გაყიდვის შემთხვევაშიც (180 ფე), ის ვერ დაფარავს ბანკის სესხს (220 ფე). სანარმო არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონირებად სანარმოდ და სანარმოს ხელმძღ-

ვანელობამ ფინანსური ანგარიშგება არ უნდა მოამზადოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.


## 2. დარიცხვის მეთოდის პრინციპი Accruals (matching) concept

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა. დარიცხვის მეთოდი არეგულირებს შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების პრინციპებს.


**დარიცხვის მეთოდი ნიშნავს,**  
რომ შემოსავლები აღიარდება მაშინ, როდესაც ის წარმოიქმნა და არა როდესაც მიღებულია ფული, ხოლო ხარჯები მაშინ, როდესაც ის განეულია და არა მაშინ, როდესაც გადახდილია ფული.

ამ პრინციპის აქვს ორი შემადგენელი ნაწილი: შემოსავლების აღიარების (რეალიზაციის) პრინციპი და შესაბამისობის პრინციპი (იხ.ილუსტრაცია 3.7).

ილუსტრაცია 3.7



შემოსავლების აღიარების პრინციპი ნიშნავს იმას, რომ შემოსავლები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იქნა გამოშვებული, ანუ მაშინ, როდესაც საწარმომ დაასრულა თავისი ყველა ქმედება შემოსავლების გამოსამუშავებლად - მოხდა პროდუქტების გაცვლა (საქონლის, მომსახურების, სხვა აქტივის და ა.შ.). მაგალითად, საწარმომ 31 მარტს გაყიდა საქონელი, ფული გადახდილი იქნება 6 აგვისტოს. იმის მიუხედავად, რომ გაყიდული საქონლის ღირებულება არ არის მიღებული, საწარმომ შემოსავალი გამოიმუშავა და მარტში აღიარებს მას.




შესაბამისობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ საანგარიშგებო პერიოდში აისახება მხოლოდ ის ხარჯები, რომელთა განევით გამომუშავებულია შემოსავალი. ზოგიერთი ხარჯი მიეკუთვნება საანგარიშგებო პერიოდს, ეს არის ე.წ. პერიოდის ხარჯები. ზოგიერთი ხარჯი ნაწილდება დროში, ანუ მიეკუთვნება სხვადასხვა პერიოდებს, ვინაიდან დაკავშირებულია იმ პერიოდის შემოსავლებთან.


ხარჯების აღიარების პრინციპია:

- » თუ ხარჯები დაკავშირებულია მიმდინარე პერიოდის შემოსავლების მიღებასთან, ისინი მიეკუთვნებიან მიმდინარე პერიოდს;
- » თუ ხარჯები დაკავშირებულია მომავალში მისაღებ შემოსავლებთან, ისინი მიეკუთვნებიან მომავალი პერიოდის ხარჯებს და აღიარდებიან აქტივად;
- » თუ ხარჯები არ არის დაკავშირებული შემოსავლებთან, ისინი აღიარდებიან მიმდინარე პერიოდის ზარალად/ხარჯად.

მაგალითად, მიმდინარე წლის 30 სექტემბერს საწარმომ გადაიხადა ერთი წლის იჯარის ქირა (სექტემბრიდან დანყებული). იმის მიუხედავად, რომ ერთი წლის ქირა მთლიანად არის გადახდილი, მიმდინარე წლის ხარჯი იქნება გადახდილი თანხის 4/12, ხოლო წინასწარ განეული ხარჯი იქნება ამ თანხის 8/12.



მაგალითად, საწარმომ 5 ოქტომბერს ერთი წლით იქირავა ოფისის შენობა, რომლის ღირებულება მთლიანად, მომდევნო წლის პირველ აპრილს გადაიხადა. იმის მიუხედავად, რომ იჯარის ქირა არ არის გადახდილი მიმდინარე წელს, წლის ბოლომდე ხარჯი მაინც იქნება დარიცხული - აღიარდება 3 თვის იჯარის ხარჯი.



### მაგალითი 3.9 დარიცხვის მეთოდი

საწარმომ მარტში განახორციელა შემდეგი ოპერაციები:

- ერთი წლით იქირავა საწყობი თვეში 100 ფე-ად და გადაიხადა 1,200ფე;
- იყიდა მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულებას 2,000 ფე გადაიხდის ორი წლის შემდეგ;
- გაყიდა 170 ფე-ად საქონელი შემდგომი გადახდის პირობით;
- ელექტროენერგიის ქვითარი 50 ფე დარჩა გადაუხდელი.

დარიცხვის მეთოდის გამოყენებით რა ცვლილებები მოხდა მარტში საწარმოს ეკონომიკურ რესურსებსა და მის მიმართ არსებულ მოთხოვნებში?

### ცხრილი 3.3

ცვლილებები საწარმოს ეკონომიკურ რესურსებსა და მის მიმართ არსებულ მოთხოვნებში (ფე)

#	ეკონომიკური რესურსები (აქტივები)	მოთხოვნები საწარმოს მიმართ (დავალდებულებები)	რესურსების და მოთხოვნების ცვლილებების შედეგები	
			შემოსავლები	ხარჯები
1	ფული -1,200			იჯარის ხარჯი +100
	წინასწარ განუღი ხარჯი + 1,100			
2	მიწა +2,000	კრედიტორული დავალიანება +2,000		
3	დებიტორული დავალიანება + 170		შემოსავალი გაყიდვიდან +170	
4		კრედიტორული დავალიანება +50		ელენერგიის ხარჯი +50

ოპერაციები განხორციელდა მარტში და დარიცხვის მეთოდით უნდა აღიარდეს მხოლოდ ამ პერიოდის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობის მიუხედავად:

1. ერთი წლის (12 თვის) იჯარის ქირის გადახდის მიუხედავად (მოხდა ეკონომიკური სარგებლის შემცირება ფულადი სახსრების გადინებით), პერიოდის ხარჯად აღიარდება მხოლოდ მარტის (ერთი თვის) გადასახადი 100 ფე, ხოლო დარჩენილი გადახდილი თანხა 1,100 ფე ხარჯად აღიარდება მომდევნო პერიოდებში გაყიდვების მიხედვით 11 თვის განმავლობაში;
2. მიწის ნაკვეთის კრედიტით (არ მომხდარა ფულადი სახსრების გადინება) შეძენით სანარმოში გაიზარდა ეკონომიკური რესურსი მიწის სახით და მოთხოვნა სანარმოს მიმართ კრედიტორული დავალიანების სახით;
3. იმის მიუხედავად, რომ საქონელი გაიყიდა შემდგომი გადახდის პირობით (ფულადი სახსრების შემოღინება არ მომხდარა), სანარმოში გაიზარდა რესურსი დედიტორული დავალიანების, ანუ მოთხოვნის სახით და აღიარდა შედეგი - შემოსავალი;
4. მარტში სანარმომ მოიხმარა ელექტროენერგია და იმის მიუხედავად, რომ მისი ღირებულება არ იქნა გადახდილი, დარიცხვის მეთოდით აღიარდა ცვლილება ხარჯისა და სანარმოს მიმართ მოთხოვნის ზრდის სახით.

ამდენად, პერიოდში გამომუშავებულ შემოსავლებს უპირისპირდება მის მისაღებად განეული ხარჯები, იმის მიუხედავად ფულადი სახსრები იქნა მიღებული, თუ გადახდილი. საპირისპიროდ, შესაძლებელია ფულადი სახსრები მიღებულია ან გადახდილია, მაგრამ შემოსავალი არაა გამომუშავებული და შესაბამისად, არც მის მისაღებად ანაზღაურებული (გადახდილი) ხარჯები არ აღიარდება ხარჯად მოცემულ პერიოდში. ამიტომ, დარიცხვის მეთოდს კიდევ შესაბამისობის მეთოდსაც უწოდებენ.

დარიცხვის საფუძვლის ალტერნატივაა შემოსავლების და ხარჯების აღიარება საკასო მეთოდით. ამ მეთოდით შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება მათი ფულადი სახსრების შემოსვლის ან გადინების საფუძველზე. ეს მეთოდი ჩვეულებრივ გამოიყენება საგადასახადო მიზნებისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და ა.შ.

### 3. სამეურნეო ერთეულის პრინციპი

სამეურნეო ერთეული (სუბიექტი) ნიშნავს ეკონომიკური საქმიანობის იდენტიფიცირებას ცალკე დამოუკიდებელ ანგარიშვალდებულ ერთეულად - სანარმოდ, რომელსაც მოეთხოვება ანგარიშგების მომზადება ან თვითონ გადანყვეტს ამის გაკეთებას. სანარმო ინარჩუნებს თავის საქმიანობას ცალკე მისი მფლობელებისგან და სხვა ბიზნეს-ერთეულებისაგან. ბიზნესის მესაკუთრის საქმიანობა სრულად განცალკევებულია მისი არაეკონომიკური საქმიანობისგან ან მისი სხვა ბიზნესებისაგან. სანარმოს ფინანსური ინფორმაცია ასახავს მხოლოდ მოცემულ ბიზნეს-ერთეულში მომხდარ ოპერაციებს და არანაირ კავშირში არ არის სანარმოს მფლობელის მიერ ამ ბიზნესის გარეთ სხვა რაიმე საქმიანობასთან, პირად მეურნეობასთან ან სხვა ერთეულებთან.

### სამეურნეო ერთეულის პრინციპი

ნიშნავს, რომ ბიზნესთან დაკავშირებული გარიგებები ცალკე უნდა იყოს აღრიცხული მისი მფლობელების ან სხვა ბიზნესის გარიგებებისაგან.

ბიზნესის მფლობელის კომერციული საქმიანობა დამოუკიდებელია (ავტონომიურია) და ბიზნესიდან ეკონომიკური რესურსების გატანა პირადი მოხმარებისათვის არის ინვესტიციების შემცირება და არა ხარჯი. ასე, მესაკუთრის მიერ ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების გატანა არ არის სანარმოს ხარჯი, ეს არის ამოღება - ინვესტიციის შემცირება. ამდენად, ბიზნესის ჩანაწერები არ შეიცავს მესაკუთრის პირად ფინანსებს.

კორპორაციებში მესაკუთრეთა განცალკევება საქმიანობისაგან ამჟღავნებს - აქციონერებს არ აქვთ სანარმოს მართვის უფლება. ამ სიტუაციის გამო აქციონერებს აქვთ ყველაზე დიდი რისკები და ინფორმაციის მომხმარებლებიდან ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციით.

### მაგალითი 3.10 სამეურნეო ერთეულის ავტონომიურობა

1. სურსათის მაღაზიის მფლობელის ინვესტიცია თვის დასაწყისში შეადგენდა 500 ფე, მიმდინარე თვის მოგება კი - 100 ფე. ამ თვეში მან პირადი მოხმარებისათვის გამოიყენა 20 ფე-ის სურსათი.

რას უდრის მაღაზიის მფლობელის ინვესტიცია თვის ბოლოს?

მფლობელის მიერ პირადი მიზნებისათვის გამოყენებული სურსათი არ შეიძლება აღიარდეს სანარმოს ხარჯად, ამდენად მფლობელის ინვესტიცია თვის ბოლოს იქნება (ფე):

ინვესტიცია თვის დასაწყისში	500
მიმდინარე თვის მოგება	100
სურსათის პირადი მოხმარება (ამოღება)	(20)
მფლობელის ინვესტიცია თვის ბოლოს	580

2. სანარმოს ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში შეადგენს 750 ფე. მიმდინარე პერიოდის მოგებამ შეადგინა 500 ფე, შემდეგი ხარჯების აღიარების გათვალისწინებით: ხელფასი - 80 ფე, ინტერნეტმომსახურება - 20 ფე, ელექტროენერგია - 25 ფე, მფლობელის დასასვენებლად გამგზავრების ხარჯები - 30 ფე. ყველა ოპერაცია განხორციელდა ნაღდი ანგარიშსწორებით.

რამდენია სანარმოს მოგება და ფულადი სახსრები წლის ბოლოს?

მფლობელის მიერ პირადი მიზნებისათვის განეული მგზავრობის ხარჯები არ შეიძლება აღიარდეს საწარმოს ხარჯად, ამდენად საწარმოს მაჩვენებლები იქნება (ფე):

საწარმოს მოგება (500+30)		530
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	750	
მიმდინარე პერიოდში მიღებული ფულადი სახსრები	530	
ამიღება პირადი მიზნებისათვის	(30)	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		1,250

სამეურნეო ერთეულის განსაზღვრა ხდება ფინანსური ანგარიშგების სახეების მიხედვით: ეკონომიკური ერთეულის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფორმირების მიზნით, აღიარდება ცალკე საწარმო (ფირმა, კომპანია), კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნით - საწარმოთა ჯგუფი, რომლის ანგარიშგება უნდა იყოს კონსოლიდირებული (გაერთიანებული ერთ სამეურნეო სუბიექტად).

**სამეურნეო ერთეული (სუბიექტი) არის ანგარიშვალდებული საწარმო ან საწარმოთა ჯგუფი.**

#### 4. საანგარიშგებო პერიოდის (დროის ინტერვალის) პრინციპი

საწარმოს საქმიანობა არის უწყვეტი პროცესი და მისი შედეგების შესაფასებლად საჭიროა დადგინდეს დროის მომენტი (საანგარიშგებო თარიღი), როდესაც განისაზღვრება საწარმოს ფინანსური შედეგები. ორ საანგარიშგებო თარიღს შორის პერიოდში შესაძლებელია განისაზღვროს მოცემულ პერიოდში მიღწეული ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობის ცვლილება.

**საანგარიშგებო პერიოდი**  
არის დროის მონაკვეთი, რომლის შესახებ მზადდება ანგარიშგება. ეს პრინციპი განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების რეგულარულად წარდგენას.

ძირითადად, საანგარიშგებო პერიოდად ითვლება წელი, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა მოამზადოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც. საანგარიშგებო თარიღად შეიძლება ჩაითვალოს კალენდარული წლის ნებისმიერი თარიღი.

#### **მაგალითი 3.11 საანგარიშგებო პერიოდი**

საწარმომ მოამზადა 2020 წლის ანგარიშგება, რომელშიც აისახა ამ წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში მომხდარი ყველა ტრანზაქცია და მისი შედეგები.

ამ შემთხვევაში საწარმოს ანგარიშგების პერიოდია ერთი წელი - 2020 წელი, ხოლო საანგარიშგებო თარიღი - 2020 წლის 31 დეკემბერი.

#### 5. ფულადი შეფასების პრინციპი

ფულადი შეფასება ინფორმაციის მომხმარებლებისათვის არის ბიზნეს-აქტივობის განზოგადების ეფექტური, მარტივი და ხელმისაწვდომი საშუალება. ფულადი ერთეულის უპირატესობა ისაა, რომ ის იძლევა ბიზნეს-პროცესების მთელი რიგი მნიშვნელოვნად განსხვავებული მოვლენებისა და ოპერაციების საერთო საზომით გამოხატვის საშუალებას (საქონლის შეძენა, გაყიდვა, ხარჯების განწევა, კაპიტალის ცვლილებების ასახვა და სხვა) და ეხმარება მათ გადაწყვეტილებების მიღებაში.

#### **ფულადი შეფასების კონცეფცია**

მოითხოვს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახოს მხოლოდ ის გარიგებები, მოვლენები და მათი შედეგები, რომელთა ფულადი შეფასება შესაძლებელია.

ეს ნიშნავს, რომ გარიგებების აღრიცხვაში ყურადღება გამახვილებულია რაოდენობრივ და არა ხარისხობრივ ინფორმაციებზე. ამრიგად, გარკვეულ მოვლენებთან დაკავშირებული მონაცემები არასდროს არ აისახება კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არასოდეს აისახება მათ ფინანსურ ანგარიშგებაში. მაგალითად მონაცემები, რომელიც ვერ იქნება ასახული კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებში იმიტომ, რომ შეუძლებელია მათი ფულადი შეფასება, არის თანამშრომელთა კვალიფიკაცია, სამუშაო პირობები, კომპანიის იმიჯი (საფირმო სახელი), კლიენტების მომსახურების ხარისხი, პროცესების მართვის ეფექტურობა და სხვა. იმის მიუხედავად, რომ ჩამოთვლილი ფაქტორები ირიბად გავლენას ახდენენ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე, ისინი ვერ ჰპოვენ ასახვას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მათი შეფასება შეუძლებელია.

#### **მაგალითი 3.12 ფულადი შეფასება**

საწარმომ მიმდინარე წელს: შეიძინა 100 ფე კომპიუტერები და საქონელი 200 ფე; გასწავლა სხვადასხვა ხარჯები - 220 ფე; გაყიდა საქონელი -780 ფე; ბანკიდან აიღო სესხი - 370 ფე. ასევე, საწარმოს ყავს ძალიან გამოცდილი და მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელთა პროფესიონალიზმით და ინტელექტუალური შესაძლებლობებით ყოველწლიურად იზრდება საწარმოს მოგება.

საწარმოს მონაცემებში დაფიქსირებულია მხოლოდ ის ფაქტები, რომელთა ფულადი შეფასება შესაძლებელია, იმის მიუხედავად, რომ ეს ეხება ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ მოვლენებს და ფაქტებს. ამავდროულად, საწარმოს ანგარიშგებაში არ არის ასახული საწარმოს პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი, ვინაიდან ასეთი მოვლენები ვერ იზომება ფულადი ერთეულებით.

## 6. ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების პრინციპი

ისტორიული ღირებულება არის თანხა, რომელიც თავდაპირველად გადახდილია აქტივის შეძენასა და ვალდებულებების გაცემაში.

### **ისტორიული ღირებულების კონცეფცია**

მოითხოვს ბიზნესის აქტივების და ვალდებულებების ასახვას სააღრიცხვო ჩანაწერებში მათი ისტორიული ღირებულებით.

ჩვეულებრივ, საწარმოს აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი შეძენის, ანუ პირვანდელი ღირებულებით. ეს მიდგომა არის ობიექტური იმიტომ, რომ ის დაფუძნებულია ფაქტებსა და დოკუმენტებზე. მაგალითად, როდესაც საწარმო 50 ფე-ად იძენს დანადგარებს, ის ღებულობს გამყიდველისაგან ამ თანხაზე ანგარიშ-ფაქტურას (ინვოის, ქვითარს ან სხვა), რაც ადასტურებს აქტივების შეძენის ღირებულებას და ამ თანხით იქნება აღრიცხული. თუმცა, დროთა განმავლობაში, ბაზრის სწრაფი განვითარების შედეგად, სავარაუდოა, რომ ასეთი აქტივების საბაზრო ღირებულება შეიცვლება.

იგივე ეხება ვალდებულებებს. კომპანიებში საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ წარმოიქმნება სხვადასხვა ვალდებულებები (მაგალითად, კრედიტორული დავალიანება, გადასახდელი გადასახადები, გადასახდელი სესხები და ა.შ.). ეს ვალდებულებები, ჩვეულებრივ, აისახება მათი ღირებულებით. მაგალითად, კომპანია იძენს მინის ნაკვეთს შეთანხმებულ ფასად - 300 ფე-ად, რისთვისაც იღებს ბანკის სესხს 300 ფე-ის ოდენობით. სააღრიცხვო ჩანაწერებში ვალდებულება აღიარდება 300 ფე-ად.

### **მაგალითი 3.13 ისტორიული ღირებულება**

1. კომპანიამ მომწოდებლისაგან, რომელიც გადის ბიზნესიდან, 350 ფე-ად შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა. ამ ტექნიკის ღირებულება სხვა მომწოდებლებთან მერყეობს 390-400 ფე-ის ფარგლებში.

რა იქნება შეძენილი ტექნიკის ისტორიული ღირებულება?

ისტორიული ღირებულების პრინციპი მოითხოვს, რომ მონყობილობა შეფასდეს მისი ფაქტური, ანუ მის შეძენაში გადახდილი თანხით - 350 ფე-ად.

2. კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებას შენობის შეძენასთან დაკავშირებით. შენობა, რომელიც გამყიდველთან ირიცხება 490 ფე-ად, იყიდება 750 ფე-ად. კომპანია შენობის შეძენაში გამყიდველს სთავაზობს 720 ფე, საბოლოოდ შეთანხმდნენ 730 ფე-ზე.

რა იქნება შეძენილი შენობის ისტორიული ღირებულება?

ისტორიული ღირებულების პრინციპი მოითხოვს, რომ შენობა შეფასდეს მის შეძენაში ფაქტობრივად გადახდილი თანხით - 730 ფე.

3. კომპანიამ სამი წლით აიღო 260 ფე სესხი, რომლის დასაფარავად სასესხო პერიოდის განმავლობაში მას მოუწევს 300 ფე გადახდა.

რა იქნება ვალდებულების ისტორიული ღირებულება?

ვალდებულების ისტორიული ღირებულებაა 260 ფე, რომლის დაფარვაში სანარმოს მოუწევს 300 ფე გადახდა (მოიცავს საპროცენტო თანხას).

### **ისტორიული ღირებულების კონცეფციის**

უპირატესობა ისაა, რომ მის საფუძველზე გაკეთებული ჩანაწერები შესადარი, შემონმებადი და საიმედოა.

#### **7. თანმიმდევრულობის (წარდგენის უცვლელულობის) პრინციპი**

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა იყოს უცვლელი, ე.ი. შენარჩუნდეს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში.

### **ინფორმაციის თანმიმდევრულობა**

ნიშნავს, რომ ინფორმაცია წლიდან წლამდე ერთნაირად მზადდება - ერთნაირი მიდგომებით, დაშვებებით და წესებით. ინფორმაციის მომზადების შერჩეული მეთოდი ყველა პერიოდში უნდა იქნეს შენარჩუნებული.

ინფორმაცია არ არის შესადარისი, როდესაც სანარმო ყოველწლიურად ცვლის ინფორმაციის მომზადების მიდგომებს და წესებს. აღრიცხვის პრინციპის ან მეთოდების შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი ვერსია სამართლიანად ასახავს ანგარიშგების ფინანსურ შედეგებს და მომხმარებლებს უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას მიწოდებს და შემდგომშიც ისე იქნება გამოყენებული, რომ უარყოფით გავლენას არ იქონიებს შესადარისობაზე.

### **ინფორმაციის თანმიმდევრულობა საჭიროა**

სხვადასხვა პერიოდების ინფორმაციის შედარებისათვის.

### **მაგალითი 3.14 ინფორმაციის თანმიმდევრულობა**

სანარმოს აქვს ხარჯების პერიოდის ხარჯად აღიარების, ან აქტივის თვითღირებულებაში ჩართვის ალტერნატივა. ეს ხარჯებია:

1. დანადგარის ექსპლუატაციის;
2. საპროცენტო ხარჯი (მინის შექმნის);
3. საწყობის შენახვის.

ყველა აღნიშნული ხარჯი წინა წლებში აღიარდებოდა პერიოდის ხარჯად. მიმდინარე წელს სანარმოს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩართოს:

» დანადგარის ექსპლუატაციის ხარჯები - წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში;

» სესხზე გადასახდელი პროცენტი - მინის თვითღირებულებაში;

» საქონლის საწყობის შენახვის ხარჯები - საქონლის თვითღირებულებაში.

ხელმძღვანელობის ამ გადანყვეტილებით ზიანდება ინფორმაციის უცვლელობა და შესადარისობა. მიმდინარე პერიოდის შესაბამისი ხარჯები ვერ იქნება შესადარისი წინა პერიოდების ხარჯებთან.

8. ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის იურიდიულ ფორმაზე უპირატესობის პრინციპი

შესაძლებელია გარიგების იურიდიული ფორმა განსხვავდებოდეს მისი რეალური ეკონომიკური შინაარსისაგან. როდესაც გარიგების ეკონომიკური შინაარსი განსხვავდება მისი იურიდიული ფორმისაგან, უპირატესობა ენიჭება ეკონომიკურ შინაარსს. ასეთ შემთხვევაში გარიგება აისახება სანარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე კომერციული გავლენით, თუნდაც ზუსტად არ იყოს გათვალისწინებული მისი იურიდიული მხარე.

ეკონომიკური შინაარსის უპირატესობის პრინციპის მთავარი ამრია ის, რომ გარიგება არ უნდა იყოს ჩანერილი ისე, რომ დაიმალოს გარიგების ნამდვილი განზრახვა, რასაც შეუძლია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

### მაგალითი 3.15 სუსხით შექმნილი დანადგარები

სანარმომ ბანკის დაფინანსებით შეიძინა დანადგარები. ხელშეკრულების თანახმად სანარმო ხუთი წლის განმავლობაში იხდის დანადგარების ღირებულებას და მხოლოდ ღირებულების სრული დაფარვის შემდეგ, დანადგარები გადადის სანარმოს საკუთრებაში.

როგორ უნდა ასახოს სანარმომ დანადგარები?

დანადგარები სანარმოს იურიდიულად არ ეკუთვნის იმ დრომდე, ვიდრე სრულად არ დაფარავს მათ ღირებულებას, ანუ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ. მაგრამ, რეალურად სანარმომ დაიწყო დანადგარების გამოყენება და ეკონომიკური სარგებლის მიღება იმ დროიდან და ისე, თითქოს გადახდილი ჰქონოდა მათი ღირებულება. ეკონომიკური შინაარსის უპირატესობის პრინციპით, სანარმომ თავის ფინანსურ ანგარიშგებაში ისე უნდა ასახოს დანადგარები, თითქოს მისი იურიდიული საკუთრებაა.

9. წინდახედულობის პრინციპი

წინდახედულობის პრინციპი არის განუსაზღვრელობის პირობებში მოვლენების შეფასების სახელმძღვანელო მითითება. განუსაზღვრელობა არის სიტუაცია, რომელზეც არასაკმარისი ცოდნაა მოვლენების შედეგების, მასშტაბების და ალბათობის შესახებ. ეს პრინციპი გამოიყენება განსჯის დროს, როცა საჭიროა ისეთი სიტუაციის შეფასება, რომლის შესახებ არ არის საკმარისი ინფორმაცია.

### **წინდახედულობის პრინციპის თანახმად**

როდესაც არსებობს შედეგებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, ხარჯები და ვალდებულებები უნდა აღიარდეს რაც შეიძლება უფრო ადრე, ხოლო შემოსავლები და აქტივები მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მათი მიღების რწმუნება. აქტივები უნდა შეფასდეს ყველაზე დაბალი, ხოლო ვალდებულებები - შესაძლო მაღალი ღირებულებით.

წინდახედულობის პრინციპით ყოველთვის უნდა იყოს მზადყოფნა უფრო პოტენციური მარალისთვის, ვიდრე პოტენციური მოგებისთვის.

### **მაგალითი 3.16 დებიტორული დავალიანების შეფასება**

სანარმოს დებიტორული დავალიანება შეადგენს 200 ფე. მისი ანალიზით შეიქმნა დასაბუთებული მოლოდინი, რომ 50 ფე ვერ იქნება ამოღებული.

როგორ უნდა შეფასდეს დებიტორული დავალიანება წინდახედულობის პრინციპით?

ვინაიდან მოსალოდნელია მარალი, სანარმომ დებიტორული დავალიანება უნდა შეაფასოს 150 ფე და 50 ფე აღიაროს მარალად.

#### **10. ორმხროვობის პრინციპი**

ბიზნეს-აქტივობა მოიცავს მრავალი სახის მოვლენას: საქონლის შექმნა, მისი ღირებულების გადახდა, საქონლის გაყიდვა, ვალების გადახდა და სხვა. მოვლენა (event) ზოგადად არის აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის ცვლილებების მიზეზი. მოვლენები შეიძლება იყოს გარე ან შიდა. ტრანზაქცია (transaction) არის გარე ღონისძიება, რომელიც მოიცავს გადაცემას ან გაცვლას ორ ან მეტ სუბიექტს შორის. ყველა მოვლენა სულ მცირე ორ გავლენას ახდენს აღრიცხვის ობიექტებზე - ზრდის და ამცირებს მათ. ეკონომიკური მოვლენების ორივე ასპექტი უნდა იყოს დაფიქსირებული აღრიცხვაში.

### **ორმხრივობის პრინციპი**

არის სამეურნეო მოვლენის განხილვა ორ ასპექტში.

### **მაგალითი 3.17 სამეურნეო მოვლენების ორი ასპექტი**

სანარმოში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

1. ბიზნესის მფლობელებმა დააბანდეს ფულადი სახსრები;
2. შექმნილია საქონელი იმავდროული გადახდით;
3. შექმნილია კომპიუტერები შემდგომი გადახდის პირობით;
4. მიღებულია მოხმარებული ინტერნეტმოსახურების საბუთი (დარიცხული ხარჯი - აღიარებული და გადაუხდელი);
5. გადახდილია საიჯარო ვალდებულება ;

6. გაიყიდა საქონელი იმავდროული გადახდით;
7. გაიყიდა საქონელი შემდგომი გადახდის პირობით (დარიცხული შემოსავალი - აღიარებული, ფულადი სახსრები არ არის მიღებული).

რა ორი ცვლილება მოხდა სამეურნეო მოვლენების შედეგად?

### ცხრილი 3.4

სამეურნეო მოვლენებით გამოწვეული ცვლილებები

#	აღიკვების აბიექტები		
	აქტივები	ვალდებულებები	საკუთარი კაპიტალი
1	+ ფული		+ კაპიტალი
2	+ საქონელი - ფული		
3	+ კომპიუტერები	+ კრედიტორული დავალიანება	
4	+ ინტერნეტის ხარჯი	+ კრედიტორული დავალიანება	
5	- ფული	- კრედიტორული დავალიანება	
6	+ ფული		+ შემოსავალი
7	+ დებიტორული დავალიანება		+ შემოსავალი

## 3.3 სასარგებლო ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს ესაჭიროება ფინანსური ინფორმაცია სანარმოების შესახებ უპირველესად იმისათვის, რათა შეაფასონ სანარმოს საქმიანობა, გააკეთონ პროგნოზები და მიიღონ სათანადო გადანყვეტილებები რესურსების შესახებ. ყოველივე ეს დიდ მოთხოვნებს უყენებს ფინანსური ინფორმაციის ხარისხს, რაც მას გადანყვეტილებების მიღებისას მომხმარებლებისათვის სასარგებლოს გახდის. ინფორმაციის ხარისხი განიხილება ინფორმაციის მომხმარებლის პოზიციიდან.

## ინფორმაციის ხარისხი

არის ინფორმაციის მახასიათებელი და თვისება, რაც მას მომხმარებლისთვის სასარგებლოს გახდის.

როგორი ინფორმაცია უნდა აისახოს ანგარიშგებაში, როგორ უნდა მომზადდეს ინფორმაცია, იმისათვის რომ იყოს სასარგებლო? რა ხდის ინფორმაციას მომხმარებლისთვის სასარგებლოს? რა თვისებები ხდის ინფორმაციას სასარგებლოს?

განვიხილოთ ფინანსური ინფორმაციის ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები (ილუსტრაცია 3.8)

ილუსტრაცია 3.8



ფინანსური ინფორმაციის ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები, რომელიც უნდა გააჩნდეს ფინანსურ ინფორმაციას იმისათვის, რომ ის სასარგებლო იყოს, არის შესაბამისობა და სამართლიანი წარდგენა.

## ინფორმაციის სარგებლიანობა

არის მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობა.

### 1. შესაბამისობა (Relevance)

ფინანსური ინფორმაცია შესაბამისია მაშინ, როდესაც მას მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ის ეხმარება მათ წარსულის, აწმყოს და მომავალი მოვლენების შეფასებაში, უდასტურებს მას (შეფასებას) ან ეხმარება შეცდომების გამოსწორებაში.

### **ინფორმაციის შესაბამისობა**

არის ინფორმაციის მომხმარებლების გადანყვეტილებებზე გავლენის მოხდენის უნარი (თვისება).

ფინანსურ ინფორმაციას მომხმარებლების გადანყვეტილებებზე გავლენის მოხდენა მაშინ შეუძლია, თუ ის არსებითია, გააჩნია საპროგნოზო ან დამადასტურებელი თვისება (ღირებულება), ან ორივე ერთად.

» არსებობა (Materiality)

ინფორმაციის შესაბამისობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი ბუნება და არსებობა (მატერიალურობა).

### **ინფორმაცია ითვლება არსებითად, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი,**

რომ მის გამოტოვებას, არასწორად წარდგენას ან აღქმის სირთულეს შეუძლია გავლენის მოხდენა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ძირითადი მომხმარებლების იმ გადანყვეტილებებზე, რომელსაც ისინი იღებენ კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

არ არსებობს განმარტება ან მითითება თუ რომელი ინფორმაციაა არსებითი და რომელი არაა არსებითი, ამიტომ აუცილებელია გადანყვეტილების მიღება განსჯის საფუძველზე.

არსებობა ამა თუ იმ საწარმოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ასპექტია, რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტის (ობიექტის) ხასიათიდან, ან სიდიდიდან (ან ორივე აღნიშნული ფაქტორიდან), რომელსაც ეხება მოცემული ინფორმაცია, მთლიანად კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშის კონტექსტში. არსებობის (მატერიალურობის) დადგენა ნიშნავს ზღრუბლის, ათვლის წერტილის დადგენას, საიდანაც ინფორმაცია ხდება არსებითი. შეუძლებელია არსებობისთვის ერთიანი რაოდენობრივი ზღვარის დადგენა, ან წინასწარ განსაზღვრა, რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში. ასევე, განსჯა ინფორმაციის შესაბამისობის შესახებ უნდა ხდებოდეს ინფორმაციის გამოტოვების და უზუსტობის კონკრეტულ პირობებში.

### **მაგალითი 3.18 ინფორმაციის არსებითობა ობიექტის რაოდენობრივი სიდიდის მიხედვით**

აუდიტორული კომპანია ამზადებს ტექნიკით მოვაჭრე საწარმოს წლიური ფინანსური შედეგების აუდიტის დასკვნას. ხარჯებმა შეადგინა 700 ფე, რაც დასტურდება სათანადო საბუთებით, გარდა საოფისე ხარჯების 7 ფე.

მოახდენს თუ არა ინფორმაციის უზუსტობა გავლენას აუდიტორული კომპანიის მოსაზრებაზე, რომ ტექნიკით მოვაჭრე საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასის შესაბამისად და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს?

აუდიტორებმა მიიჩნიეს, რომ ტექნიკით მოვაჭრე სანარმოსათვის ეს ხარჯი ბუნებით და სიდიდით არაარსებითი ხარჯია. ამდენად, ინფორმაციის კონკრეტული დამახინჯება კონკრეტული სანარმოს ასპექტში უნდა იქნეს მიჩნეული არაარსებითად და არ უნდა მოახდინოს უარყოფითი გავლენა აუდიტორული კომპანიის დადებითი დასკვნის გაცემაზე.

არსებითობის (მატერიალურობის) რაოდენობრივი განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი რაოდენობრივი შეფასება, რადგან არსებითობის რაოდენობრივი ზღრუბლი (ზღვარი) შეიძლება არ იყოს ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობას. ანგარიშგების მომხმარებლებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მაგალითად, ინფორმაცია შემოსავლის მიღების და სტაბილურობის შესახებ და არა მხოლოდ ინფორმაცია მათი ხვედრითი წილის შესახებ შემოსავალში.

ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაციის მხოლოდ შინაარსი საკმარისია იმისთვის, რომ დადგინდეს მისი შესაბამისობა. მაგალითად, ერთ-ერთი საამქროს დახურვამ შეიძლება გავლენა იქონიოს სანარმოს რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებაზე, მიუხედავად საანგარიშგებო პერიოდში საამქროს დახურვის შემდეგ მიღწეული შედეგებისა. ანუ, თავად დახურვის ფაქტი შესაძლებელია საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რათა გავლენა მოახდინოს ინფორმაციის მომხმარებლის გადანყვეტილებაზე. სხვა შემთხვევებში, შესაძლებელია ინფორმაციის ბუნება და მატერიალურობა იყოს მნიშვნელოვანი. მაგალითად, ინფორმაცია სანარმოს სანცობში მარაგების მოცულობის შესახებ.

### **მაგალითი 3.19 ინფორმაციის არსებითობა ობიექტის შინაარსის მიხედვით**

მიმდინარე წელს სანარმოს პროდუქციის მომხმარებელმა სანარმოს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა სასამართლოში მისი უხარისხო პროდუქციის თაობაზე, რომელმაც მის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენა. სასამართლო პროცესი იყო რეზონანსული - ფართოდ გაშუქებული მედია საშუალებებით, რასაც მოყვა საზოგადოების მხრიდან უარყოფითი განწყობა სანარმოს პროდუქციის მიმართ.

სასამართლომ სანარმოს დააკისრა მოსარჩელისთვის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია. აღნიშნული თანხა წლის დამთავრებისათვის იყო გადაუხდელი და ვალდებულებად იქნა აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოსარჩელესთვის გადასახდელი თანხა (ვალდებულება) იყო საკმაოდ უმნიშვნელო და ვერანაირ უარყოფით გავლენას ვერ მოახდენდა მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად სახსრებზე.

მოახდენს თუ არა გავლენას ინფორმაციის მომხმარებლების გადანყვეტილებაზე აღნიშნული ვალდებულება?

როგორც ირკვევა, რაოდენობრივად ვალდებულება არ არის არსებითი. მაგრამ არსებითია მისი შინაარსი, ვინაიდან აღნიშნულმა პროცესმა გამოიწვია მომხმარებელთა უარყოფითი განწყობა სანარმოს პროდუქციის ხარისხის მიმართ, რამაც შელახა მისი რეპუტაცია. ინფორმაციის მომხმარებლები ვარაუდობენ, რომ ეს ფაქტი უარყოფით გავლენას მოახდენს სანარმოს მომავალ გაყიდვებზე და შესაბამისად, ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

## **არსებითობა და აგრეგირება**

ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად საჭიროა დიდი რაოდენობის ინფორმაციის დამუშავება და დაჯგუფება შინაარსის ან ფუნქციის მიხედვით. არსებითი ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით, ხოლო არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა. თუ ცალკე აღებული რომელიმე ინფორმაცია არაა არსებითი, იგი აგრეგირდება (გაერთიანდება) სხვა ინფორმაციასთან. მაგრამ, შესაძლებელია რომ ნაკლებად არსებითი მუხლი, რომლის ცალკე ასახვა არ მოითხოვება უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა იმდენად არსებითი შინაარსის მქონე იყოს, რომ განმარტებით შენიშვნებში იმსახურებდეს ცალკე წარმოდგენას.

ინფორმაცია უნდა იყოს არსებითი ინფორმაციის მომხმარებლის პოზიციიდან. არ არსებობს არსებითობის წინასწარ განსაზღვრული დონე. საწარმო თავად განსაზღვრავს მის სიდიდეს, ზოგიერთისთვის ეს შეიძლება იყოს 100 ფე, ხოლო ზოგიერთისთვის - 500 ფე და ნაკლები თანხებით შექმნილი აქტივები, მათი გრძელვადიანობის მიუხედავად, შეიძლება აღიარდეს ხარჯად შექმნის პერიოდში ან გაერთიანდეს ერთ ჯგუფად.

## **მაგალითი 3.20 ინფორმაციის არსებითობა და აგრეგირება**

საწარმოს პოლიტიკით არსებითობის ზღვარი დადგინდა 50 ფე ოდენობით. მიმდინარე პერიოდში საწარმოს მუშებისათვის შექმნილია 50 ცალი სახრაბნისი, ერთი ცალის ფასია 5 ფე, ხოლო ბუღალტრებისათვის - ორი ცალი სკამი, რომლის ერთეულის ფასია 40 ფე და საკანცელარიო ნივთები (სტეპლერები, კალკულატორები, საქაღალდეები და სხვა) - 60 ფე.

როგორ უნდა ასახოს საწარმომ შენაძენი?

1. სახრაბნისის და სკამის ერთეულის ფასი არ აღემატება არსებითობის ზღვარს, მაგრამ აღემატება აგრეგირებულად (ჯამურად). ამ შემთხვევაშიც ეს თანხა არის არსებითი.
2. იმის მიუხედავად, რომ საკანცელარიო ნივთები სააღრიცხვო პოლიტიკით არ მიიჩნევა გრძელვადიან რესურსად, განხორციელებული შენაძენი საწარმოსათვის არსებითი თანხისაა.

მომავალში საწარმომ უნდა დააკონკრეტოს არსებითობის ზღვარი: დადგენილია იგი ერთ ერთეულზე, თუ აგრეგირებულ თანხაზე; ზღვარი გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივებისათვის.

არსებითობა უფრო არის ზღრუბლი (ბარიერი) ან ათვლის წერტილი და არ არის ინფორმაციის მთავარი ხარისხობრივი მახასიათებელი, რომლითაც უნდა ხასიათდებოდეს ინფორმაციის სარგებლიანობა.

ინფორმაცია რომ იყოს შესაბამისი, მას უნდა ჰქონდეს სარგებლიანობის საპროგნოზო ან დამადასტურებელი თვისებები, ან ორივე ერთად.

» ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია საპროგნოზო თვისება ( predictive value) , თუ მისი გამოყენება შესაძლებელია ამოსავალ ბაზად მომავალი შედეგების პროგნოზირებისთვის. ეს არ ნიშნავს, რომ თვითონ ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი პროგნოზის ფორმით, ასეთ ინფორმაციას მომხმარებლები იყენებენ საკუთარი პროგნოზების გამოსათვლელად.

» ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია დამადასტურებელი თვისება (confirmatory value). თუ ის უზრუნველყოფს მტკიცებულებებს (ადასტურებს ან ცვლის) ადრე გაკეთებულ შეფასებებზე. ფინანსური ინფორმაციის საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისებები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ინფორმაციას, რომელსაც გააჩნია საპროგნოზო თვისება, ხშირად გააჩნია ასევე დამადასტურებელი თვისებაც. მაგალითად, ინფორმაცია მიმდინარე წლის ამონაგების შესახებ, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მომავალი წლების ამონაგების პროგნოზირების საფუძვლად, შეიძლება ასევე შევუდაროთ მიმდინარე წლის ამონაგების პროგნოზს, რაც გამოთვლილი იყო წინა წლებში. ამგვარი შედარების შედეგები მომხმარებელს ეხმარება იმ პროცესების/შეთოდების შეცვლასა და გაუმჯობესებაში, რომლებიც წინა პერიოდებში გამოიყენებოდა პროგნოზების გამოსათვლელად.

### **მაგალითი 3.21 ინფორმაციის საპროგნოზო თვისებები**

ბანკი განიხილავს ერთ-ერთი სანარმოს განაცხადს სესხის გაცემაზე, რომლითაც მოთხოვნილია 500 ფე სამწლიანი ვადით შენობის უზრუნველყოფით. სანარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლით, ბანკმა სანარმოს შესახებ მოიპოვა შემდეგი შესაბამისი ინფორმაცია: შენობის სამართლიანი ღირებულება 300 ფე, ფული - 70 ფე, კრედიტორული დავალიანება - 100 ფე.

რა გავლენას მოახდენს აღნიშნული ინფორმაცია ბანკის გადაწყვეტილებაზე?

მოძიებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სანარმო პრაქტიკულად არ არის გადამხდელუნარიანი: მისი ვალდებულებები 30 ფე-ით ელემატება არსებულ ფულად სახსრებს (70-100); სესხის უზრუნველსაყოფად ჩასადები შენობის სამართლიანი ღირებულება ნაკლებია მოთხოვნილ თანხაზე. საქონლის სრული რეალიზაციის შემთხვევაშიც კი, საეჭვოა რომ სანარმო შეძლებს დაგროვილი ვალების გადახდას. ამდენად, ამ ინფორმაციის საფუძველზე ბანკის პროგნოზი, და შესაბამისი გადაწყვეტილებაც, სესხის გაცემაზე სავარაუდოდ იქნება უარყოფითი.

### **მაგალითი 3.22 საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისებების ინფორმაცია**

სანარმოს მენეჯმენტმა არაერთხელ მიმართა ხელმძღვანელობას ჩარხების შეცვლის თაობაზე მათი ფიზიკური და მორალური სიძველის გამო. ჩარხები შექმნილია 20 წლის წინ, მათი ისტორიული ღირებულება 80 ფე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ახალი თაობის ჩარხს აქვს მაღალი წარმადობა, უშვებს მაღალი ხარისხის პროდუქციას და ზოგავს მასალებს, რაც

ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. ხელმძღვანელობა არ ეთანხმებოდა მათ ამ მოსაზრებაში.

თავისი პოზიციის დასადასტურებლად მენეჯმენტმა იქირავა ახალი ჩარხი, ჩაატარა ექს-პერიმენტი - ანარმოა იგივე პროდუქცია, იგივე მასალებით. მიღებული ინფორმაცია ტექ-ნიკურ-ეკონომიკურ შედეგებზე მიაწოდა ხელმძღვანელობას განსახილველად და გადანყ-ვეტილების მისაღებად.

ხელმძღვანელობამ გაანალიზა მიღებული ინფორმაცია და გააკეთა შემდეგი პროგნო-ზი: ინვესტიცია გახდის სანარმოს კონკურენტუნარიანს და გაზრდის გაყიდვებს 35%, ხოლო მოგებას - 25%-ით; ჩარხებში ინვესტიციის ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 450 ფე.

არის თუ არა მენეჯმენტის მიერ მომზადებული ინფორმაცია შესაბამისი ხელმძღვანელო-ბის მიერ გადანყვეტილებების მისაღებად?

მენეჯმენტის მიერ მომზადებული ინფორმაცია არის გადანყვეტილებების მისაღებად შე-საბამისი, ვინაიდან ამისათვის მას აქვს ორი თვისება:

- » დამადასტურებელი - მენეჯმენტმა გაანალიზა სიტუაცია და მიღებულ იქნა სათანადო მტკიცებულებები;
- » საპროგნოზო - ხელმძღვანელობა მიღებულ ინფორმაციას, შეადარებს წინა პერი-ოდების მონაცემებთან, გააკეთებს პროგნოზებს და მიიღებს შესაბამის გატანყვეყილე-ბას ჩარხების შექმნის თაობაზე;

აღსანიშნავია, რომ გადანყვეტილების მისაღებად ისტორიული ღირებულება (80 ფე) არ არის რელევანტური, არსებითია ახალი საბაზრო ფასი - 450 ფე და მისი ტექნიკურ-ეკონო-მიკური მაჩვენებლები.

## 2. სამართლიანი წარდგენა (Faithful representation)

ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, ის არა მარტო შესაბამისი ეკონომი-კური მოვლენების შესახებ უნდა გვიქმნიდეს წარმოდგენას, არამედ ასევე სამართლიანად უნდა ასახავდეს იმ ეკონომიკურ მოვლენებს, რომლის ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. ფინანსური ინფორმაციის გარკვეული ნაწილი ექვემდებარება არც თუ ისე სამართლიანად ასახვის რისკს. ეს შეიძლება იყოს არა ინფორმაციის დამახინჯების შედეგი, არამედ უფრო ოპერაციებისა და მოვლენების იდენტიფიცირების, შეფასების და წარდგენის მეთოდების შერჩევის სირთულეები.

ხშირ შემთხვევაში მოვლენის ეკონომიკური შინაარსი და მისი სამართლებრივი ფორმა ერთნაირია. მაგრამ, თუ ისინი არ არის ერთნაირი, მხოლოდ სამართლებრივი ფორმით ინფორმაციის წარდგენა არ უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენის შესახებ ინფორმა-ციის სამართლიან წარდგენას. ზოგჯერ შესაძლებელია ობიექტის ფინანსური ზემოქმედების სიდიდე იმდენად განუსაზღვრელი იყოს, რომ სანარმოს შეუძლია საერთოდ არ ასახოს ის ფინანსურ ანგარიშგებაში. მაგალითად, სანარმოთა უმრავლესობა დროთა განმავლობაში ქმნის საქმიან რეპუტაციას (გუდვილს), რომლის საიმედოდ შეფასება, როგორც წესი, შეუძ-ლებელია.

იმისთვის, რომ ინფორმაცია იდეალური იყოს მოვლენების სამართლიანი ასახვის თვალსაზრისით, მას უნდა გააჩნდეს სამი მახასიათებელი: უნდა იყოს სრული, ნეიტრალური და არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს.

» ინფორმაციის სრული (complete) ასახვა გულისხმობს ყველანაირი ინფორმაციის მიწოდებას, ყველა აუცილებელი აღწერილობისა და განმარტების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მომხმარებელმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმ ეკონომიკური მოვლენების შესახებ, რომელიც უნდა ასახოს ამ ინფორმაციაში. მაგალითად, ინფორმაციის გამოტოვებამ შეიძლება გამოიწვიოს მცდარი ან დეზორიენტირებული ანგარიშგების წარდგენა, რის გამოც ინფორმაცია არ ჩაითვლება სამართლიანად წარდგენილად. ან, თუ კომპანია აღიარებს, რომ მისი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 120 ფე და არ არის განმარტებული მისი დაფარვის ვადა, ასეთი ინფორმაცია ვერ ჩაითვლება სრულად.

### **სრული ინფორმაცია ნიშნავს**

ამომწურავ ინფორმაციას.

#### **მაგალითი 3.23 ინფორმაციის სისრულე**

სურსათით მოვაჭრე სანარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახა საქონელი 480 ფე ოდენობით. სანარმომ საქონელთან დაკავშირებით განმარტებით შენიშვნებში ასახა შემდეგი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია საქონლის ნაშთის დადგენისას:

- » გამოყენების ვადის გასვლის მიახლოებასთან დაკავშირებით რამდენიმე დასახელების მარაგის, რომელთა თვითღირებულება 50 ფე, შესაძლო გასაყიდი ფასით შეფასდა 20 ფე-ად;
- » ვადაგადასული, გასაყიდად გამოუსადეგარი და უტილიზებისთვის გამზადებული საქონლის თვითღირებულებაა 40 ფე. ეს საქონელი არ იქნა ჩათვლილი ნაშთებში;
- » ვადაგადასული და გაყიდული საქონლის თვითღირებულებაა 40 ფე;
- » საქონლის დანაკლისი 25 ფე კომპენსირებულია მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ გასაყიდ ფასებში - 35 ფე;
- » მარაგის ნორმატიული დანაკარგი 15 ფე;
- » საპასუხისმგებლო შესანახად მიღებული მარაგი - 18 ფე;
- » დილერებზე გაცემული საქონელი - 35 ფე.

რამდენად სრულადაა აღწერილი მარაგის ნაშთთან დაკავშირებული ინფორმაცია?

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგის შესახებ ასახული ინფორმაცია (480 ფე) სრულადაა აღწერილი და განმარტებული შენიშვნების სახით, რაც ინფორმაციის მომხმარებლებს სათანადო წარმოდგენას შეუქმნის ამ სანარმოს შესახებ.

» ინფორმაციის ნეიტრალობა/მიუკერძოებლობა (neutral)

ნეიტრალობა ნიშნავს ობიექტურობას და გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის მიუკერძოებლად შერჩევას ან წარმოდგენას. ის არ გულისხმობს ტენდენციურობას, ორიენტაციას იმაზე, რომ მომხმარებლების ყურადღება მიმართოს რომელიმე მიმართულებით, წინასწარგამიზნულად რაიმეზე გაამახვილოს, ან პირიქით შეასუსტოს მათი ყურადღება, ან რაიმე სხვა გზით მოახდინოს ზემოქმედება მომხმარებლის მოსაზრებებზე, რათა გაიზარდოს იმის ალბათობა, რომ ფინანსურ ინფორმაციას მომხმარებლები მიიჩნევენ ხელსაყრელად ან არახელსაყრელად.

**ნეიტრალობა ნიშნავს,**

რომ საწარმოს არ შეუძლია მოამზადოს ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთა შორის რომელიმე ერთის სასარგებლოდ.

ნეიტრალობას უზრუნველყოფს წინდახედულება/სიფრთხილე (prudence).

**წინდახედულობა** ნიშნავს სიფრთხილის გამოჩენას განუსაზღვრელ

გარემოებებში განსჯისა და გადაწყვეტილებების მიღებისას. ხოლო განუსაზღვრელობა ნიშნავს სიტუაციას, როდესაც სათანადო ინფორმაციისა და ცოდნის შეზღუდულობის გამო, რთულია მოვლენების შედეგების პროგნოზირება.

წინდახედულება მოითხოვს, რომ აქტივები და შემოსავალი არ იყოს გადაჭარბებულად, ხოლო ხარჯები და ვალდებულებები შემცირებულად შეფასებული. მაგალითად, შემოსავალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მისი მიღების დასაბუთებული რწმუნება, ხოლო ზარალი კი - წარმოშობის ვარაუდის მომენტში. ამავდროულად, სიფრთხილე არ ნიშნავს აქტივებისა და შემოსავლების შემცირებას, ან ვალდებულებებისა და ხარჯების ზრდას. ინფორმაციის ასეთმა დამახინჯებამ შესაძლებელია მომავალში გამოიწვიოს შემოსავლების და ხარჯების ზრდა ან შემცირება.

**მაგალითი 3.24 ნეიტრალური ინფორმაცია**

საწარმოს აქვს შემდეგი რესურსები (ფე):

ავტომანქანა	350
დებიტორული დავალიანება	100
საქონელი	<u>150</u>
	600

რესურსების შესახებ ასევე არსებობს შემდეგი ინფორმაცია: ავტომანქანის სამართლიანი ღირებულება 200 ფე; არსებობს დებიტორული დავალიანების 40 ფე ამოღების რისკი; 50 ფე საქონელი მიჩნეულია ვადაგასულად.

რესურსების შესახებ რომელი ინფორმაცია არის/იქნება სამართლიანი?

სანარმოს რესურსების შესახებ სამართლიანი ინფორმაციის წარსადგენად გაითვალისწინება ყველა რისკი და განუსაზღვრელობა, ინფორმაცია უნდა იყოს მიუკერძოებლად მომზადებული. სანარმომ არ უნდა გაზარდოს რესურსები მოსალოდნელი რისკებით (ზარალით) და არ გადადოს მისი (ხარჯის) აღიარება. რესურსები და ხარჯი შემდეგნაირად უნდა შეფასდეს (იხ.ცხრილი 3.5):

ცხრილი 3.5 რესურსების და ხარჯების შეფასება (ფე)

	რესურსები	ხარჯები
ავტომანქანა	200	150 (350-200)
დებიტორული დავალიანება	60	40
საქონელი	<u>100</u>	50
	360	240

» ინფორმაცია შეცდომების გარეშე (Free from error)

ფინანსური ინფორმაციის სამართლიანობას, სხვა აღნიშნულ მახასიათებლებთან ერთად, განსაზღვრავს ის, თუ რამდენად არის ინფორმაცია თავისუფალი შეცდომებისაგან.

**შეცდომა არის**  
ინფორმაციის უზუსტობა, დამახინჯება.

ძირითადად ცნობილია ფინანსური ინფორმაციის შეცდომის სამი ტიპი: ინფორმაციის გამოტოვება და აღურიცხავობა; ოპერაციების, ფაქტების, მოვლენების აღრიცხვის პრინციპების დარღვევა; ფაქტების გაყალბება. უმრავლეს შემთხვევაში შეცდომების დაშვების მიზეზებია: პროფესიული არაკომპეტენტურობა, უპასუხისმგებლობა, წინასწარი განზრახვა.

სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს სიზუსტეს ყველა ასპექტში. შეცდომების არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური მოვლენების ასახვაში საერთოდ არ იარსებებს შეცდომა, ან არაფერი იქნება გამოტოვებული, ან წარმოდგენილი ინფორმაციის მისაღებად პროცესი უშეცდომოდ იყო შერჩეული და გამოყენებული. ამ თვალსაზრისით, შეცდომების

არარსებობა არ ნიშნავს აბსოლუტურ სიმუსტეს ყველა ასპექტში. მაგრამ არსებობს რისკი, რომ შეცდომა ინფორმაციის მომხმარებელს გააკეთებინებს არაადეკვატურ პროგნოზებს და მიაღებინებს არასწორ/არასასურველ გადაწყვეტილებებს. ის თუ რამდენად შეუძლია შეცდომას უარყოფითი გავლენის მოხდენა გადაწყვეტილებაზე და საჭიროებს თუ არა ის კორექტირებას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არსებითია შეცდომა. არსებითობა უნდა შეფასდეს ყოველი შეცდომისათვის და პერიოდის მთლიანი ერთობლიობისათვის მისი მოცულობისა და ხასიათის გათვალისწინებით. შეცდომის არსებითობა განიხილება ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის და ფასდება არასწორი გადაწყვეტილების მიღების ალბათობით, რაც მოითხოვს პროფესიულ განსჯას.

### **მაგალითი 3.25 ინფორმაციის გამოტოვება**

საწარმოს მარაგის ნაშთის დათვლის დროს გამორჩენილია რამდენიმე ერთეულის ჩართვა მარაგის საერთო რაოდენობაში. ამ შეცდომამ გავლენა მოახდინა მოგებაზე - შეამცირა 0,5%-ით.

შეუძლია თუ არა ამ შეცდომას გავლენის მოხდენა ინფორმაციის მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე და საჭიროა თუ არა მისი კორექტირება?

ეს არის ინფორმაციის გამოტოვების შეცდომა. მოგების შემცირება 0,5%-ით შეიძლება მიჩნეული იყოს არაარსებით სიდიდედ. შესაბამისად, ის ვერ მოახდენს გავლენას ინფორმაციის მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე და შესაძლებელია არ იყოს საჭირო ამ შეცდომის კორექტირება.

### **მაგალითი 3.26 აღრიცხვის პრინციპის დარღვევა**

კომპანია მოლაპარაკებას აწარმოებს ბანკთან სესხის თაობაზე. სესხის გაცემამდე ბანკმა ჩაატარა აუდიტი. აღმოჩნდა, რომ მიმდინარე წელს კომპანიამ 2 წლის ვადით იჯარით აიღო სამშენებლო მონყობილობები და საიჯარო ქირას გადაიხდის ხელშეკრულების ბოლოს 850 ფე-ის ოდენობით. კომპანიას მიმდინარე წელს არ ჰქონია აღიარებული საიჯარო ხარჯი და საიჯარო ვალდებულება.

აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საიჯარო გარიგება არასწორად იქნა იდენტიფიცირებული - ხელშეკრულებით მკაფიოდ განსაზღვრულია იჯარით აღებული აქტივების გამოყენების ვადები და გადახდის პირობები,

შეუძლია თუ არა ამ შეცდომას გავლენის მოხდენა ინფორმაციის მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე და საჭიროა თუ არა მისი კორექტირება?


საწარმომ დაარღვია გარიგების აღრიცხვის ერთ-ერთი პრინციპი - შემოსავლების და ხარჯების აღიარება დარიცხვის მეთოდით. შედეგად, არსებითია არა მხოლოდ შეცდომის თანხა, არამედ შინაარსიც - საწარმომ „დამალა“ (არაკომპეტენტურობის გამო ან თაღლითობის მიზნით) სავსაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია - ვალდებულება, რომ-

ლის დატარვა მომავალში მოითხოვს ფულადი სახსრების გადინებას, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ფინანსური სირთულეები. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღმოჩენილი შეცდომა უარყოფით გავლენას მოახდენს ბანკის მოსაზრებებზე. ასევე, საჭირო გახდება ანგარიშგების კორექტირება.

### ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება

შესადარისობა (Comparability), შემონმებადობა (verifiability), დროულობა (timeliness) და აღქმადობა (understandability) ხარისხობრივი მახასიათებლებია, რომლებიც აუმჯობესებს შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი ინფორმაციის სარგებლიანობას. გარდა ამისა, აღნიშნული ხარისხობრივი მახასიათებლები იმის დასადგენადაც გამოიყენება, ორი მეთოდიდან რომელი უნდა შეირჩეს ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის ასახვისთვის, თუ მიიჩნევა, რომ ორივე მეთოდი ერთნაირად შესაბამისია და უზრუნველყოფს სამართლიან წარდგენას.

ილუსტრაცია 3.9



#### » შესადარისობა (Comparability)

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად. შესადარისი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს თხრობითი და აღწერილობითი ხასიათის ინფორმაციასაც, თუ ამის გაკეთება აუცილებელია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად.

მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ შეადარონ საწარმოს სხვადასხვა პერიოდის ფინანსური ანგარიშგება, რათა განისაზღვროს მისი ფინანსური მდგომარეობისა და შედეგების ტენდენციები. მომხმარებლებს ასევე უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა საწარმოების ფინანსური ანგარიშგების შედარების შესაძლებლობა. ამისათვის ანალოგიური ოპერაციების და სხვა მოვლენების ფინანსური შედეგების შეფასება და ასახვა მოცემული და სხვა საწარმოებისათვის მათი არსებობის მანძილზე უნდა ხდებოდეს ერთიანი მიდგომებით და მეთოდოლოგიით.

მომხმარებლების მიერ გადანყვეტილებების მიღების პროცესი მოიცავს ალტერნატიულ ვარიანტებს შორის არჩევანის გაკეთების საშუალებას. მაგალითად, ინვესტიცია უნდა გაყიდოს, თუ შეინარჩუნოს, ან ინვესტიცია რომელიმე ერთ სანარმოში განახორციელოს, თუ სხვაში. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია ანგარიშვალდებული სანარმოს შესახებ უფრო სასარგებლოა, თუ შესაძლებელია მისი შედარება სხვა სანარმოთა შესახებ არსებულ ანალოგიურ ინფორმაციასთან და იმავე სანარმოს სხვა პერიოდის, ან თარიღის ანალოგიურ ინფორმაციასთან.

### **ინფორმაციის შესადარისობა გულისხმობს**

ფინანსური ანგარიშგების შედარების შესაძლებლობას დროში (რამდენიმე პერიოდისთვის) და სივრცეში (სხვა სანარმოების ანგარიშგებასთან).

ფინანსური ანგარიშგების დროში შედარება მიიღწევა აღრიცხვის მეთოდების მუდმივობით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სანარმო ვალდებულია მუდმივად გამოიყენოს ერთი და იგივე მეთოდები.

### **მაგალითი 3.27 შესადარისობა დროში**

კომპანია თავის მარაგებს ყოველთვის აფასებდა მარაგების შეფასების ერთ-ერთი მეთოდით. მიმდინარე წელს მან შეცვალა წინა წლებში გამოყენებული შეფასების მეთოდი ახალი მეთოდით. წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე მენეჯერი აპირებს მარაგის ანალიზის ჩატარებას დინამიკაში.

არის თუ არა მარაგის ანალიზის ჩასატარებლად ინფორმაცია შესადარისი?

ინფორმაცია არ არის შესადარისი, ვინაიდან ის დროში (წინა წლები და მიმდინარე წელი) განსხვავებული მეთოდებით არის შეფასებული.

### **მაგალითი 3.28 შესადარისობა სივრცეში**

A-ს სააფთიაქო ქსელის მენეჯმენტს სურს ერთ-ერთი დასახელების წამლის თვითღირებულება შეადაროს წინა წლის და კონკურენტი B-ს სააფთიაქო ქსელის მაჩვენებლებს. ამ წამლის გასაყიდად ის ყოველწლიურად ყიდულობს ლიცენზიას. პირველ წელს ლიცენზიის ღირებულება ჩართული იყო წამლის თვითღირებულებაში, მეორე წელს კი, აღიარდა პერიოდის ხარჯად. კონკურენტი სანარმო ლიცენზიის ღირებულებას ყოველთვის აღიარებდა პერიოდის ხარჯად.

სააფთიაქო ქსელმა მოიპოვა შემდეგი ინფორმაცია (ფე):

სააფთიაქო ქსელი	წამლის თვითღირებულება	
	1-ლი წელი	მე-2 წელი
ქსელი A	2,600	2,000
ქსელი B	2,100	1,700

არის თუ არა ინფორმაცია შესადარისი?

საწარმოსთვის ინფორმაცია არ არის შესადარისი წინა პერიოდთან, რისი მიზეზიცაა განსხვავებული მეთოდით მომზადებული ინფორმაცია - წლების მიხედვით საქონლის თვითღირებულების განსხვავებულად შეფასება. მაგრამ მას შეუძლია მიმდინარე წლის ინფორმაცია შეუდაროს კონკურენტ საწარმოს მიმდინარე (და არა წინა წლის) ინფორმაციას, ვინაიდან ისინი ერთნაირი მეთოდოლოგიით არის მომზადებული.

#### » შემონმებადობა (Verifiability)

ინფორმაციის შემონმების შესაძლებლობის თვისება მომხმარებელს ეხმარება დარწმუნდეს იმაში, რომ ინფორმაცია სამართლიანად ასახავს იმ ეკონომიკურ მოვლენებს, რომლის ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. როდესაც ხდება ინფორმაციის შემონმება, შემონმებელმა უნდა მიიღოს იგივე მაჩვენებელი, რაც ასახული აქვს საწარმოს.

### **შეამოწმებლობა ნიშნავს,**

რომ შესაძლებელია მესამე მხარის მიერ (აუდიტორი, დამოუკიდებელი ბუღალტერი) იგივე შედეგების მიღება, რაც ასახულია საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში, იმავე ფაქტებისა და დაშვებების გათვალისწინებით.

მაგალითად, გარე აუდიტორმა უნდა შეძლოს ფინანსური ანგარიშგების იგივე შედეგების მიღება, რაც დამკვეთის მიერ ფინანსური ჩანაწერებისა და დაშვებების გამოყენებითაა მიღებული. შემონმებადობის მიღწევა შეუძლებელია საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული დაშვებების ცოდნის გარეშე. მაგალითად, მესამე მხარის მიერ გამოყენებული მარაგების შეფასების მეთოდი არ უნდა განსხვავდებოდეს საწარმოს მიერ გამოყენებული მეთოდისაგან ან, ძირითადი საშუალებების აღრიცხვის წესისაგან. მაგალითად, თუ სააღრიცხვო ჩანაწერებით მოთხოვნები 520 ფე, შემონმებელმა უნდა მიიღოს ეს სიდიდე.

შემონმებადობა შეიძლება იყოს პირდაპირი, ან არაპირდაპირი. პირდაპირი შემონმებადობა იმას ნიშნავს, რომ რიცხობრივი მონაცემის, ან სხვა ინფორმაციის შემონმება შესაძლებელია უშუალო დაკვირვების გზით, მაგალითად, თანხის დამტკიცება ფულადი სახსრების დათვლით. არაპირდაპირი შემონმებადობა ნიშნავს სხვა მონაცემების გამოყენებით საჭირო ინფორმაციის შემონმებას. მაგალითად, წლის ბოლოსათვის მარაგის საბალანსო ღირებულების შემონმება შეიძლება დაინყოს წლის დასაწყისისათვის არსებული მარაგით, რომელსაც დაემატება შესყიდვები და გამოაკლდება გაყიდული მარაგის ღირებულება.

### **მაგალითი 3.29 მარაგის ნაშთის შეამოწმება**

წლის ბოლოს სავაჭრო საწარმოს ერთ-ერთი დასახელების საქონლის ნაშთის რაოდენობა იყო 50 ერთეული, შეფასებული 110 ფე. ეს ინფორმაცია არის შემონმებადი. კერძოდ,

სანარმო მარაგის ნაშთის რაოდენობას ამონებს ინვენტარიზაციის (ფიზიკურად დათვლის) გზით, მის თვითღირებულებას - შესყიდვისა (ანგარიშ-ფაქტურით, სასაქონლო-გედნადე-ბით) და სატრანსპორტო საბუთებით (ინვოისი), ხოლო გაყიდვას - სალაროს ჩეკებით, სა-ბანკო გადარიცხვებით.

ინვენტარიზაციით დადასტურდა საქონლის რაოდენობა - სანცობში იყო 50 ერთეული. შესყიდვების საბუთებით დასტურდება საქონლის 200 ერთეულის შეძენა, ერთი ერთეულის ფასია 2 ფე, სულ 400 ფე (200 ერთეული \* 2 ფე). სატრანსპორტო ორგანიზაციის ინვოისით დასტურდება 40 ფე გადაზიდვის ხარჯები. ამდენად, ამ საქონლის შეძენის დანახარჯებია 440 ფე (400+40), ერთეულის თვითღირებულებაა 2.20 ფე (440ფე/200). სალაროს ჩეკებით დასტურდება ამ საქონლის 150 ერთეულის გაყიდვა. ამდენად, ინფორმაცია საქონლის ნაშთის შესახებ შემონმებით დადასტურებულია და შეადგენს: 50 ერთეულს (200-150) შეფასებული 110 ფე (50 \*2.20).

#### » დროულობა (Timeliness)

ინფორმაციის მომხმარებლების გადანყვეტილებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინ-ფორმაციის შესაბამისობა (რელევანტურობა), არამედ მისი დროულობაც. ინფორმაცია სა-სარგებლოა მაშინ, როდესაც ის დროული და ხელმისაწვდომია.

### **ინფორმაციის დროულობა**

იმას ნიშნავს, რომ გადანყვეტილებების მიმღებ პირებს ინფორმაცია ხელთ ექნებათ იმ დროს, როდესაც მას შეუძლია გავლენის მოხდენა მათ გადანყვეტილებებზე.

დროულობა არის ის, თუ რამდენად სწრაფად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მისი მომხმარებლებისათვის. ხელმისაწვდომობა არის ინფორმაციის თვისება, რომელიც ახასიათებს მოცემული მომხმარებლის მიერ მისი მიღების შესაძლებლობას.

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ იმ ინფორმაციას, რომელიც უფრო ადრე მიწოდდება მომხმარებლებს, აქვს აქტუალურობის უფრო მაღალი ხარისხი. ინფორმაციის დროულობა მომხმარებლების გადანყვეტილებებზე გავლენას ახდენს უკვე მიღებული გადანყვეტილე-ბის დადასტურებით, ან ახალი გადანყვეტილების მიღებით.

### **მაგალითი 3.30 ინფორმაციის დროულობა**

სანარმოს მენეჯმენტი აპირებს თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდებას ერთ-ერთი კომპანიის ობლიგაციებში. ინვესტირებამდე გადანყვიტა ამ კომპანიის ვალდებულებების ანალიზის ჩატარება, რისთვისაც მოითხოვა დეტალური ინფორმაცია ყველა ვალდებულე-ბის ხანდაზმულობის, დაფარვის ვადების და სხვა სათანადო პარამეტრების მიხედვით. კომ-პანიამ ასეთი ინფორმაციის მომზადებაზე მოითხოვა გარკვეული დრო.

ამკარაა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის დროული, რამაც შესაძლებელია არც

თუ ისეთი დადებითი განწყობა შეუქმნას პოტენციურ ინვესტორს მისი ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხზე და უარყოფითი გავლენაც კი მოახდინოს გადანაცვტილების მიღებაზე.

### **ინფორმაციის სისრულისა და დროულობის შეზღუდვები**

ერთის მხრივ, ინფორმაციის შესაბამისობა მოითხოვს, რომ ინფორმაცია ყველა სამეურნეო მოვლენების შესახებ სრულად იქნეს შეგროვებული. ინფორმაციის იმაზე ადრე წარდგენა, ვიდრე გაირკვევა ოპერაციის ყველა ასპექტები, ამცირებს მის დროულობას. მეორეს მხრივ, სრული ინფორმაციის შეგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშგების დაგვიანებით წარდგენა, რაც ამცირებს ინფორმაციის დროულობას. ამდენად, არსებობს ინფორმაციის შეზღუდვები - თანაფარდობა ინფორმაციის სისრულესა და დროულობას შორის. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს ინფორმაციის სისრულის და დროულობის დაბალანსება. ასეთი ბალანსის მისაღწევად საჭიროა გადანაცვტილების მიღება, თუ როგორ შეიძლება უკეთესად დაკმაყოფილდეს ინფორმაციის მომხმარებლის მოთხოვნები ეკონომიკური გადანაცვტილებების მიღებისას.

### **მაგალითი 3.31 სისრულე და დროულობა**

საწარმოს სასწრაფოდ დაჭირდა ფულადი სახსრები, რისთვისაც მიმართა ბანკს სესხის აღებაზე დებიტორული დავალიანების უზრუნველყოფის ქვეშ. პოტენციურმა კრედიტორმა მოითხოვა დეტალური ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ.

სრული ინფორმაციის წარსადგენად საწარმომ მოითხოვა დრო სათანადო ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისათვის. ამის შემდეგ საწარმოს მიერ მომზადებული და წარდგენილი ინფორმაცია იქნება სრული, მაგრამ ვერ იქნება დროული, რამაც შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს კრედიტის მიღების ვადასა და საწარმოს ფინანსურ პრობლემებზე.

#### **» აღქმადობა (Understandability)**

აღქმადი ინფორმაცია ნიშნავს იმას, რომ ის ინფორმაციის მომხმარებლისთვის არის გასაგები. ამისათვის ინფორმაცია კლასიფიცირდება და სისტემატიზდება, რათა ნათლად იქნეს წარმოდგენილი. ზოგიერთი ეკონომიკური მოვლენა, თავისი არსით, რთულია და შეუძლებელია მისი წარმოდგენა ადვილად გასაგები ფორმით. თუ ფინანსურ ანგარიშგებაში ამგვარი ეკონომიკური მოვლენების შესახებ ინფორმაცია არ აისახება, ასეთი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია შეიძლება უფრო ადვილად გასაგები გახდეს. მაგრამ, ასეთი ანგარიშგება არ იქნება სრულყოფილი და, მაშასადამე, პოტენციურად შეუძლია მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა.

ფინანსური ანგარიშგება მზადდება ისეთი მომხმარებლებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საკმარისი ცოდნა და ამ ინფორმაციას გულდასმით სწავლობენ და აანალიზებენ. ასევე, რთულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია გადანაცვტილებების მისაღებად, არ უნდა იქნეს გამორჩენილი ანგარიშგებაში მხოლოდ იმიტომ, რომ ის შეიძლება საკმაოდ რთული აღმოჩნდეს ინფორმაციის გარკვეული მომხმარებლებისათვის. ზოგჯერ მცოდნე და ყურადღებიან

მომხმარებლებსაც სჭირდებათ კონსულტანტის დახმარება, რათა გაერკვნენ რთული ეკონომიკური მოვლენების ამსახველ ინფორმაციაში.

**ინფორმაციის აღქმა ალბათობა ნიშნავს,**  
რომ წარდგენილი ინფორმაცია მათთვის ვისაც აქვს ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საკმარისი ცოდნა, ადვილად გასაგებია.

**მაგალითი 3.32 ინფორმაციის დაჯგუფება ალბათობისათვის**

მწარმოებელმა სანარმომ მომხმარებლებისათვის უკეთესად აღქმის მიზნით ინფორმაცია მარაგის შესახებ შემდეგნაირად დააჯგუფა (ფე):

მარაგი	
მასალები	200
დაუმთავრებელი წარმოება	1,000
მზა პროდუქცია	800
დამხმარე მასალები	100
ტარა	70
საწვავი	20

ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას კეთდება დაშვება, რომ ინფორმაციის მომხმარებელი ერკვევა მარაგის კატეგორიებში, შინაარსში და აქვს ცოდნა/წარმოდგენა თვითღირებულების კომპონენტების შესახებ.

ერთ-ერთმა ტელევიზიამ თავისი აპარატურის ფართო სპექტრი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვის მიზნებისათვის, დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირად დააჯგუფა:

**აპარატურა**

ტელემონყობილობები	ტელეკამერა, ტელეკინოპროექციის დანადგარი, საზომ-საკონტროლო აპარატები და ხელსაწყოები, გადამცემი და რეტრანსლაციის აპარატები
გამოსახულების ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატები	მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქსერული პულტი, აკუსტიკური სვეტი
გამანათებელი მონყობილობები	პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა
აპარატურა ვიდეომონტაჟისათვის და დამხმარე მონყობილობები	საათი, ქრონომეტრი, კომპასი, ობიექტივი, ფოტომეტრი, სამფეხა, ბატარეის დასატენი მონყობილობა, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ჰაერის გამათბობელი, კონდიციონერისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.

ასეთი დაჯგუფება ინფორმაციის მომხმარებლებისათვის არის კორექტული და აღქმადი.

**ინფორმაციის წარდგენის ხარჯებისა და სარგებლიანობის შეზღუდვაები**  
(The cost constraint on useful financial reporting)

ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენას ყოველთვის ესაჭიროება გარკვეული დანახარჯების გაწევა და მნიშვნელოვანია, რომ ეს დანახარჯები გამართლებული იყოს, მოცემული ინფორმაციის წარდგენით მიღებული სარგებლის თვალსაზრისით. სხვაგვარად, ინფორმაციისაგან მიღებული სარგებელი უნდა აღემატებოდეს მის მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

აღრიცხვაში ხარჯების შეზღუდვა წარმოიქმნება, როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში გარკვეული სახის ინფორმაციის წარდგენა მოითხოვს დიდ დანახარჯებს. როდესაც ამის გაკეთება ძალზე ძვირია, ანგარიშვალდებულ სუბიექტს შეუძლია თავიდან აირიდოს ასეთი ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენისაგან. ხარჯების შეზღუდვა არის ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიდგომა. ხარჯების შეზღუდვის მიზნია, ბიზნესს თავი აარიდებინოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებებისაგან იმ ნაწილში, რომელიც მოითხოვს ზედმეტ ხარჯებს, განსაკუთრებით იმ სარგებელთან შედარებით, რომელსაც მიიღებენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები.

ანალოგიურად, ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებიც ეწევიან დანახარჯებს მინოდებული ინფორმაციის გაანალიზებასა და ინტერპრეტაციაზე. თუ მომხმარებლებს აუცილებელი ინფორმაცია არ მიეწოდებათ, მათ მოუწევთ დამატებითი დანახარჯების გაწევა, რათა საჭირო ინფორმაცია მოიპოვონ რომელიმე სხვა წყაროდან.

### **ინფორმაციის წარდგენის ხარჯების შეზღუდვა**

ნიშნავს იმას, რომ წარდგენილი ინფორმაციის გამოყენებით მიღებულმა სარგებელმა უნდა გაამართლოს მისი მომზადების და გამოყენების ხარჯები.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ შეზღუდვების ღირებულებითი განსაზღვრა მარტივია. კერძოდ, ფინანსური ინფორმაციის წარდგენა მოითხოვს ხარჯებს ინფორმაციის შეგროვებაზე, დამუშავებაზე, შემონახვასა და გავრცელებაზე. მაგრამ განუვლი ხარჯებისაგან მისაღები სარგებლის განსაზღვრა უფრო რთულია.

თანაფარდობა ხარჯებსა და სარგებელს შორის მნიშვნელოვანწილად არის პროფესიული განსჯის საკითხი. იმის მიუხედავად, რომ ხშირად რთულია იმის განსაზღვრა თუ რამდენადაა გამართლებული წარდგენილ ინფორმაციაზე განუვლი ხარჯები, საჭიროა ცონდა ამ შეზღუდვების შესახებ.

### **მაგალითი 3.33 ინფორმაციის წარდგენის ხარჯები და სარგებლიანობა**

1. საწარმოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის ესაჭიროება ფინანსების მოძიება. დაფინანსების მისაღებად ბანკის მიერ მოთხოვნილია ფასს-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ამისათვის საწარმოს მოუწევს აუდიტორული კომპანიის მოწვევა და შესაბამისი ხარჯების განწევა.

საწარმოს მიერ მისაღები სარგებელია ფასს-ით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენით კრედიტორის ნდობა და დაფინანსების მოძიება, რაც განაპირობებს საწარმოს გაფართოებას, შემოსავლებისა და ბაზრის წილის ზრდას. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად აღემატება გასაწევ ხარჯებს.

2. საწარმო იწყებს ახალი პროდუქციის წარმოებას, რომლის თვითღირებულების დასადგენად საწარმოს მოუწევს დამატებითი სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი ხარჯების განწევა. პროდუქციის თვითღირებულების დადგენა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს პროდუქციის დანახარჯების კონტროლზე, გასაყიდი ფასისა და ფინანსური შედეგების შეფასებაზე.

განუვლი დანახარჯებით მიღებული სარგებელია უტყუარი ფინანსური ინფორმაცია, რაც კომპანიის ხელმძღვანელობისათვის სწორი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია. ამჟამად, რომ ინფორმაციის სარგებლიანობა აღემატება გასაწევ ხარჯებს.


ილუსტრაცია 3.10



თანაფარდობა ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს შორის (balance between qualitative characteristics) უნდა იყოს პროფესიული განსჯის საგანი, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის იერარქია

ილუსტრაცია 3.11



# კითხვები განსჯისათვის

## 3.1. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

1. რით ხასიათდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა - რა არის ბალანსის ელემენტები?
2. რით ხასიათდება საწარმოს ფინანსური შედეგები - რა არის მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტები?
3. როდის აღიარდება აქტივი - რა არის მისი აღიარების კრიტერიუმები?
4. როდის აღიარდება ვალდებულება - რა არის მისი აღიარების კრიტერიუმები?
5. რა არის შემოსავალი და რაში ვლინდება ის?
6. რა არის ხარჯები და რაში ვლინდება ის?
7. რა არის კაპიტალი?
8. როგორია კაპიტალის სტრუქტურა?
9. რა არის ისტორიული ღირებულება?
10. რისი დახასიათება შეიძლება მიმდინარე ღირებულებით?
11. რას გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულება?
12. როგორ გვსმით აქტივების გამოყენების და რეალიზაციის ღირებულება?
13. როდის გამოიყენება რეალიზაციის ღირებულება?
14. როდის გამოიყენება ვალდებულებების შესრულების ღირებულება?
15. რა შემთხვევაში შეიძლება დანახარჯების მიმდინარე ღირებულების გამოყენება?
16. როგორ გვსმით დღევანდელი ღირებულება?

## 3.2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

17. რა/ როგორი ინფორმაცია ვსაჭიროებათ ინფორმაციის მომხმარებლებს?
18. რა არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი?
19. რა არის კონცეპტუალური საფუძვლები?
20. ჩამოთვალეთ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით განმარტებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები.
21. რა არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი?
22. რას ნიშნავს ფუნქციონირებადი საწარმო?
23. რას ნიშნავს დარიცხვის მეთოდი?
24. რატომ უნდა იყოს გამოყენებული სამეურნეო ერთეულის პრინციპი?
25. რა მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის წარდგენის უცვლელობას?
26. რა მნიშვნელობა აქვს ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის იურიდიულ ფორმაზე უპირატესობის პრინციპს?

27. როგორ გესმით წინდახედულების/სიფრთხილის პრინციპი?
  28. მოიყვანეთ ორმხრივობის მაგალითი.
  29. შესაძლებელია დროის ინტერვალის პრინციპის გარეშე ფინანსური ანგარიშგების წარდგენა?
  30. შესაძლებელია ფულადი ერთეულის კონცეფციის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომზადება?
  31. ჩამოთვალეთ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით განმარტებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების რამდენიმე პრინციპი.
- 3.3. სასარგებლო ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები**
32. რისთვის ესაჭიროებათ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს?
  33. რის შესახებ ღებულობენ გადანყვეტილებებს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები?
  34. რას ნიშნავს „ინფორმაციის ხარისხი“?
  35. როგორი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებისათვის მომზადებული ინფორმაცია?
  36. რა ხდის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას სასარგებლოს?
  37. როდის არის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია ხარისხიანი?
  38. რა თვისებები უნდა ჰქონდეს შესაბამის ინფორმაციას?
  39. რა თვისებები უნდა ჰქონდეს სამართლიან ინფორმაციას?
  40. რა დამატებითი თვისებები უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას იმისათვის, რომ იყოს ხარისხიანი?
  41. რას ნიშნავს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შესაბამისობა?
  42. როდის არის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია არსებითი?
  43. რას ნიშნავს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სისრულე?
  44. რას ნიშნავს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ნეიტრალობა?
  45. რა არის წინდახედულება?
  46. რა არის შეცდომა?
  47. როდის გამოიყენება დარიცხის მეთოდი?
  48. რას ნიშნავს ალქმადი ინფორმაცია?
  49. რას ნიშნავს ინფორმაციის დროულობა?
  50. რა შეზღუდვები არსებობს ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს შორის?

# სიბუჯური ამოცანები

## 3.1 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

1. საწარმოს მაჩვენებლები წლის ბოლოსათვის: შენობა - 300 ფე; საქონელი - 55 ფე; მოთხოვნები - 12 ფე; კრედიტორული დავალიანება - 45 ფე; გრძელვადიანი სესხი - 23 ფე. რამდენია საწარმოს:
  - » მოკლევადიანი აქტივები;
  - » გრძელვადიანი ვალდებულებები;
  - » კაპიტალი.

2. საწარმოს მიმდინარე წლის მაჩვენებლები:
  - » კაპიტალის საწყისი ნაშთი - 120 ფე; ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში - 800 ფე.
  - » ნაღდი ანგარიშსწორებით 200 ფე-ად გაიყიდა საქონელი, რომლის თვითღირებულება 130 ფე;
  - » გადახდილია ხელფასი 50 ფე;
  - » გაცემულია დივიდენდები 70 ფე.

რამდენია საწარმოს:

- » მიმდინარე წლის მოგება;
- » კაპიტალის საბოლოო ნაშთი;
- » ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი.

3. საწარმომ 320 ფე-ად გაყიდა საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით.
  - » იდენტიფიცირდება თუ არა ოპერაცია შემოსავლის გამომუშავებად?
  - » რა კრიტერიუმებით დასტურდება შემოსავალი?
  - » რა ცვლილებები მოხდა აქტივებსა და ვალდებულებებში?

4. საწარმომ საქონელი, რომლის თვითღირებულება 150 ფე-ია, გაყიდა შემდგომი გადახდის პირობით 180 ფე-ად.
  - » იდენტიფიცირდება თუ არა ოპერაცია შემოსავლის გამომუშავებად?
  - » რა ცვლილებები მოხდა აქტივებსა და ვალდებულებებში?
  - » რა ცვლილებები მოხდა კაპიტალში?

5. გადახდილია მიმდინარე წლის იჯარის ქირა 157 ფე.
  - » იდენტიფიცირდება თუ არა ფულადი სახსრების გადახდის ტრანზაქცია ხარჯად?
  - » რა კრიტერიუმებით დასტურდება ხარჯი?
  - » რა ცვლილებები მოხდა აქტივებსა და ვალდებულებებში?

6. საწარმომ აღიარა მიმდინარე წლის იჯარის ქირა 90 ფე.
- » იდენტიფიცირდება თუ არა გადასახდელი იჯარის ქირა ხარჯად?
  - » რა ცვლილებები მოხდა კაპიტალში?
  - » რა ცვლილებები მოხდა ფულად სახსრებსა და ვალდებულებებში?
7. კაპიტალის საწყისი ნაშთია 120 ფე. წლის განმავლობაში მიღებულია მოგება 55 ფე, პირადი მიზნებისათვის გამოყენებულია საწარმოს ფულადი სახსრები 30 ფე. საქველმოქმედოდ გადარიცხულია 20 ფე.
- » რას უდრის კაპიტალის ნაშთი წლის ბოლოს?
  - » ახსენით პირადი მიზნებისათვის ამოღებული ფულადი სახსრები და მათი გავლენა კაპიტალზე;
  - » ახსენით საქველმოქმედო მიზნებისათვის გადარიცხული ფულადი სახსრები და მათი გავლენა კაპიტალზე.
8. საწარმომ შეიძინა საქონელი 55 ფე. ამ საქონლის ფასი ბაზარზე მერყეობს 50-60 ფე.
- » როგორ უნდა შეფასდეს საქონელი?
  - » რა ღირებულებაა 55 ფე?
  - » რა ღირებულებაა 50-60 ფე?
9. საწარმო ფლობს ხანდაზმულ ავტომანქანებს, რომლითაც ახორციელებს დისტრიბუციას. ამ მანქანების პირვანდელი (ისტორიული) ღირებულებაა 250 ფე, ხოლო შესაძლო სარეალიზაციო ღირებულება - 150 ფე. ახალი სადისტრიბუციო ავტომანქანების საბაზრო ღირებულებაა 450 ფე. მოცემულ მომენტში საწარმო განიცდის ფინანსურ პრობლემებს.
- » ავტომანქანები აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს?
  - » რა კრიტერიუმებით ადასტურებთ ავტომანქანების აქტივად აღიარებას?
  - » აღრიცხვაში რა შეფასებით უნდა აისახოს ავტომანქანები?
10. საწარმოს ორი ავტომანქანა გაუმართაობის გამო რამდენიმე წელია არ გამოიყენება. ტექნიკური სამსახურის დასკვნით მათი შეკეთება არც ტექნიკურად და არც ფინანსურად არ არის მიზანშეწონილი. მანქანების პირვანდელი ღირებულება 100 ფე, შესაძლო სარეალიზაციო ღირებულება 30 ფე, ანალოგიური მანქანების მიმდინარე საბაზრო ღირებულებაა 220 ფე.
- » ავტომანქანები აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს?
  - » აღრიცხვაში რა შეფასებით უნდა აისახოს ავტომანქანები?
  - » თქვენი მოსაზრებები მათი შემდგომი აღიარების შესახებ.

11. რომელი ფინანსური ანგარიშგების ელემენტია:

- » საპროცენტო ხარჯი და მიღებული დივიდენდები;
- » დარიცხული ხელფასის ხარჯი და მოგება;
- » გადასახდელი მოგების გადასახადი და იჯარის ხარჯი.

12. რომელი ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

- » საკანცელარიო ხარჯი და დარიცხული პროცენტი;
- » ავტომანქანა და გაუნაწილებელი მოგება;
- » კრედიტორული დავალიანება და წინასწარ გადახდილი იჯარის ქირა.

13. წლის ბოლოსათვის საწარმოს მოთხოვნები საქონლის მინოდებიდან შეადგენს 160 ფე.

- » მოთხოვნები აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს?
- » რაში ვლინდება ამ აქტივისაგან მისაღები ეკონომიკური სარგებელი?
- » რა ღირებულებით აისახება ანგარიშგებაში მოთხოვნები?

14. საწარმოს მოგების გადასახადი შეფასდა 430 ფე.

- » კმაყოფილდება ვალდებულების აღიარების კრიტერიუმები?
- » რა ფორმით მოხდება ეკონომიკური სარგებლის გადაცემა?
- » შეუძლია საწარმოს თავი აარიდოს ამ ვალდებულებას?

15. საწარმომ ორი წლის წინ შეიძინა დანადგარი 85 ფე, მიმდინარე წელს ანალოგიური დანადგარის შეძენა შესაძლებელია 95 ფე. საწარმოს დანადგარის გაყიდვა შესაძლებელია 65 ფე.

- » რა ღირებულებაა 85 ფე?
- » რა ღირებულებაა 95 ფე?
- » რა ღირებულებაა 65 ფე?

16. საწარმომ ორი წლის წინ შეიძინა დანადგარი 85 ფე, მიმდინარე წელს ანალოგიური დანადგარის შეძენა შესაძლებელია 95 ფე. საწარმოს დანადგარის გაყიდვა შესაძლებელია 65 ფე.

- » კონცეპტუალური საფუძვლებით რა ღირებულებით უნდა აისახოს დანადგარი?
- » რა ღირებულებაა 95 ფე?
- » დანადგარის მფლობელის ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? გაყიდვით ძველს და ახალს იყიდვით?

17. მიწის ნაკვეთი, რომელსაც მფლობელი ყიდდა 130 ფე, საწარმომ მოლაპარაკების შედეგად შეიძინა 120 ფე. შეძენიდან 6 თვის შემდეგ მიწის ნაკვეთის ღირებულება გახდა 150 ფე.

- » რომელი ღირებულებით უნდა შეფასდეს მიწის ნაკვეთი?
- » რა ღირებულებით იქნება შეფასებული მიწის ნაკვეთი შეძენის დროს?
- » რა ღირებულებით შეფასდება მიწის ნაკვეთი შეძენიდან 6 თვის შემდეგ?

18. გაქვთ შეფასების არჩევანი:

- » იმსჯელეთ პირვანდელი ღირებულებით შეფასების უპირატესობასა და ნაკლოვანებებზე;
- » იმსჯელეთ საბაზრო ღირებულებით შეფასების უპირატესობასა და ნაკლოვანებებზე;
- » იმსჯელეთ სარეალიზაციო ღირებულებით შეფასების შესაძლებლობებსა და შეზღუდვებზე.

19. თუ თქვენ ბანკიდან აიღებთ სესხს 200 ფე 3 წლით, თქვენ მოგიწევთ 230 ფე გადახდა.

- » ახსენით რატომ მოგიწევთ 230 ფე-ის გადახდა;
- » რა ღირებულებაა 200 ფე?
- » რა ღირებულებაა 230 ფე?

20. თქვენ ყიდულობთ ავტომანქანას, რომელიც იმავდროული გადახდით ღირს 450 ფე. თქვენ გადანყვიტეთ მისი შეძენა ორწლიანი განვადებით. როგორ ფიქრობთ:

- » რამდენის გადახდა მოგიწევთ?
- » რა ჰქვია იმ თანხას, რომლის გადახდა მოგიწევთ?
- » შეათვალეთ, რამდენად სწორია თქვენი გადანყვეტილება ავტომანქანის განვადებით შეძენის შესახებ?

### 3.2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

21. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის რომელ ხარისხობრივ მახასიათებელს გაიხსენებდით მოცემულ სიტუაციაში:

- » საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მზადდება ყოველ კვარტალში;
- » ფინანსური ანგარიშგება მონმდება შიდა აუდიტით;
- » 30 ფე ღირებულების საოფისე აღჭურვილობა აღიარდება პერიოდის ხარჯად.

22. საწარმომ 15 მარტს გაყიდა საქონელი. სასაქონლო ზედნადებში დაფიქსირებულია საქონლის ღირებულება - 95 ფე, გადახდის თარიღი - 17 მაისი. ოპერაციის მოხდენის დღეს:

- » ფინანსური ანგარიშგების მომზადების რომელი პრინციპები უნდა იყოს გამოყენებული მოცემულ სიტუაციაში?
- » როგორ შეიცვლება საწარმოს რესურსები?
- » ვინ იქნება ამ ინფორმაციის მომხმარებელი?

23. უბნის მოსახლეობამ შეიტყო, რომ მათ უბანში მდებარე სავაჭრო ცენტრს აქვს ფინანსური პრობლემები, რომლის გამო არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ რამდენიმე თვეში ის ან მთლიანად დაიხურება, ან უკიდურეს შემთხვევაში, დარჩება მხოლოდ სურსათის სექცია (განყოფილება). მოცემულ სიტუაციაში:

- » თუ ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს, რა პრინციპით უნდა მოამზადოს საწარმომ თავისი ფინანსური ანგარიშგება?
- » როგორი იქნება მოსახლეობის განწყობა ამ საწარმოს მიმართ?
- » რა გადანყვეტილებაა მოსალოდნელი მოსახლეობისაგან?

24. კრედიტორებმა შეიტყვეს, რომ სავაჭრო ცენტრს აქვს ფინანსური პრობლემები, რომლის გამო არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ რამდენიმე თვეში ის მთლიანად დაიხურება, მოცემულ სიტუაციაში:

- » კონცეპტუალური საფუძვლების რომელ პრინციპს გაიხსენებდით?
- » რა პრინციპით უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგება?
- » რა გავლენას მოახდენს ეს ინფორმაცია კრედიტორების გადანყვეტილებაზე?

25. კაფე-ბარის ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით დღის ბოლოსათვის დარჩენილი, გაუყიდავი საკვები მიენოდება მოხუცთა თავშესაფარს.

- » რომელ პრინციპს გამოიყენებდით საკვების აღრიცხვისათვის?
- » რა არის საკვების დანახარჯები კაფესთვის?
- » მოახდენს თუ არა გავლენას საწარმოს ფინანსურ შედეგებზე მოხუცთა თავშესაფარისათვის საკვების მიწოდება?

26. თვის ბოლოს მენარმის აქტივებია 500 ფე, ვალდებულებები 250 ფე. თვის განმავლობაში მენარმემ ამოიღო 150 ფე საქონელი.

- » რომელ პრინციპს გამოიყენებდით საქონლის აღრიცხვის მიმართ?
- » რამდენი იყო მოგება ამ თვეში?
- » რამდენია ამ თვის ბოლოს კაპიტალის სიდიდე?

27. მიმდინარე წელს საწარმომ შეცვალა მარაგის შეფასების და აღრიცხვის პრინციპი, რომელსაც იყენებდა დაარსების დღიდან.

- » ანგარიშგების მომზადების რომელი პრინციპია დარღვეული?

- » ამ პრინციპის დარღვევით რისი საშუალება არ ექნება ინფორმაციის მომხმარებლებს?
- » ჰქონდა თუ არა საწარმოს ხელმძღვანელობას აღრიცხვის მეთოდის შეცვლის უფლება?

28. საწარმოს პროდუქცია მრავალი წელია სარგებლობს დიდი პოპულარობით. მისი გაყიდვები ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარე წელს შემოსავალმა შეადგინა 780 ფე, მოგება 450 ფე, რაც მნიშვნელოვნად მეტია წინა წლებთან შედარებით. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარმატება ქმნის მის რეპუტაციას.

- » როგორ უნდა შეფასდეს საწარმოს რეპუტაცია?
- » ფინანსური ანგარიშგების მომზადების რომელ პრინციპს გამოიყენებდით რეპუტაციის შეფასებასთან დაკავშირებით?
- » დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით.

29. საწარმომ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს პერიოდს 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

- » ფინანსური ანგარიშგების მომზადების რომელი პრინციპი გამოიყენება?
- » მოცემულ სიტუაციაში რომელია საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი?
- » მოცემულ სიტუაციაში რომელია საწარმოს საანგარიშგებო თარიღი?

30. მიმდინარე წელს საწარმოს გაყიდვებია 800 ფე, საიდანაც მიღებული ფულადი სახსრები შეადგენს 530 ფე.

- » ფინანსური ანგარიშგების მომზადების რომელი პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული?
- » რას უდრის მიმდინარე წლის შემოსავალი?
- » რამდენი დარჩა მისაღები ფულადი სახსრები?

31. მიმდინარე წელს საწარმომ გადაიხადა 900 ფე დაზღვევის ხარჯი მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან მომდევნო წლის 31 აგვისტომდე. წელი სრულდება 31 დეკემბერს.

- » მოცემულ სიტუაციაში ფინანსური ანგარიშგების მომზადების რომელი პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული?
- » რას უდრის მიმდინარე წლის დაზღვევის ხარჯი?
- » რას უდრის წინასწარ განეული ხარჯი?

32. საწარმოს ხელმძღვანელობა დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე ვარაუდობს, რომ წინა კვარტალში გაყიდული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მყიდველების მიერ იქნება დანუნებული და მომავალი წლიდან მას მოუწევს მათი შეცვლა ახლით. სავარაუდო ზარალი შეფასდა 260 ფე.

- » მოცემულ სიტუაციაში ფინანსური ანგარიშგების მომზადების რომელი პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული?
- » უნდა აღიაროს თუ არა სანარმომ მიმდინარე წელს მოსალოდნელი ზარალი?
- » თუ სანარმო აღიარებს ზარალს, რაზე მოახდენს ის გავლენას?

33. სანარმომ 350 ფე-ად შეფასებული საქონელი გაყიდა 500 ფე-ად შემდგომი გადახდის პირობით:

- » ფინანსური ანგარიშგების მომზადების რომელი პრინციპები უნდა იქნეს გამოყენებული?
- » რა ცვლილებებს გამოიწვევს გაყიდვები სანარმოს ეკონომიკურ რესურსებში?
- » რა ცვლილებებს გამოიწვევს გაყიდვები კაპიტალში?

34. ბიზნესის შესაკუთრებმა კაპიტალში ჩადეს 750 ფე, მიმდინარე წლის მოგებამ შეადგინა 250 ფე, ხოლო ამოღებამ 100 ფე.

- » ფინანსური ანგარიშგების მომზადების რომელი პრინციპები უნდა იქნეს გამოყენებული?
- » რაზე მოახდენს გავლენას ამოღება?
- » რამდენი იქნება კაპიტალის სიდიდე?

35. აღრიცხვის რომელ პრინციპებს გაიხსენებდით მოცემულ სიტუაციაში, განმარტეთ ისინი:

- » სავარაუდოდ სანარმო შეწყვეტს საქმიანობას;
- » სანარმომ აღიარა შემოსავალი იმის მიუხედავად, რომ ფული არ მიუღია;
- » სანარმოს მენეჯმენტმა ვერ შესძლო საკუთარი რეპუტაციის შეფასება.

36. აღრიცხვის რომელ პრინციპებს გაიხსენებდით მოცემულ სიტუაციაში, განმარტეთ ისინი:

- » სანარმოს პოლიტიკით 20 ფე-მდე ღირებულების საოფისე აღჭურვილობა აღიარდება ხარჯად;
- » უიმედო დებიტორული დავალიანება აღიარდა ზარალად;
- » იჯარით აღებული აქტივი აღიარდა ბალანსში.

37. აღრიცხვის რომელ პრინციპებს გაიხსენებდით მოცემულ სიტუაციაში, განმარტეთ ისინი:

- » მიღებული ფულადი სახსრები მიეკუთვნა მომავალი პერიოდის შემოსავლებს;
- » გადაუხდელი ხარჯი აღიარდა პერიოდის ხარჯად;

- » მარაგებს და ძირითად საშუალებებს ყოველთვის ერთნაირი მეთოდით აღრიცხავენ.

38. აღრიცხვის რომელ პრინციპებს გაიხსენებდით მოცემულ სიტუაციაში, განმარტეთ ისინი:

- » იჯარით აღებული ავტომანქანა აღიარდა სანარმოს გრძელვადიან აქტივად;
- » განუული, მაგრამ გადაუხდელი ხარჯი აღიარდა მიმდინარე პერიოდის ხარჯად;
- » წინასწარ გადახდილი ხარჯი არ აღიარდა პერიოდის ხარჯად.

39. ახსენით სანარმოს მიერ განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

- » გადაიხადა ელექტროენერგიის ღირებულება 250 ფე, საიდანაც მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარდა 150 გე;
- » საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა 360 ფე, საიდანაც შემოსავლად აღიარა 300 ფე;
- » მარაგი, რომელიც შეფასებული იყო 290 ფე, თვის ბოლოს ჩამოათასა 210 ფე-მდე.

40. ახსენით სანარმოს მიერ განხორციელებული შემდეგი ოპერაციები აღრიცხვის პრინციპებით:

- » ჩამონერა უიმედო დებიტორული დავალიანება;
- » გადაუხდელი ხარჯი აღიარა პერიოდის ხარჯად;
- » ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ყოველთვიურად.

### 3.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

41. შეძენილია საქონელი. სასაქონლო ზედნადებით და გადახდის საბუთებით საქონლის ღირებულებაა 78 ფე. არის მოსაზრება, რომ ამ საქონლის ღირებულება გაიზრდება 90 ფე-დე.

- » შედგა თუ არა გარიგება (ტრანზაქცია)?
- » რა ხარისხობრივი თვისება აქვს ამ ინფორმაციას ?
- » რა ღირებულებაა 78 ფე?

42. სანარმომ წარადგინა შემდეგი ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის ერთეულის დანახარჯების შესახებ: მიმდინარე წელი- 15 ფე, წინა წელი - 10 ფე. ასევე მოიძია სხვა სანარმოს ანალოგიური პროდუქციის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: მიმდინარე წელი - 11 ფე, წინა წელი - 9 ფე. წარდგენილ ინფორმაციას არ ახლავს სანარმოების მიერ პროდუქციის დანახარჯების გაანგარიშების მეთოდოლოგია.

- » რა ხარისხობრივი მახასიათებელი აკლია ამ ინფორმაციას?
- » რა დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი?

- » მოახდენს თუ არა ინფორმაცია გავლენას სანარმოს მენეჯმენტის რაიმე ტიპის მოსაზრებებსა და გადანყვეტილებებზე.

43. სანარმომ სესხის უზრუნველსაყოფად ბანკს წარუდგინა ინფორმაცია (ანგარიში) სანყოფში არსებული მატერიალური ფასეულობების - დაძველებული სპირტისა და კონიაკის მასალის შესახებ, რომლის ღირებულებაა 450 ფე. სანყოფი იქნება დალუქული და გადავა ბანკის განკარგლებაში 8 თვით სესხის სრულ დაფარვამდე.

ანგარიშში გამორჩენილი იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მატერიალური ფასეულობების ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან და შენახვის პირობებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იქნება ბუნებრივი დანაკარგები სავარაუდოდ 50-80 ფე.

- » არის თუ არა ინფორმაცია სამართლიანად წარდგენილი?
- » მოახდენს თუ არა გამოტოვებული ინფორმაცია გავლენას ბანკის გადანყვეტილებაზე?
- » სესხის გაცემამდე უნდა ჩატარდეს თუ არა ბანკის მიერ სათანადო აუდიტი?

44. სანარმოს მიერ წარდგენილ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არანაირი ინფორმაცია არ იყო ასახული იმის შესახებ, რომ მისი წარმოება მავნე ნივთიერებებით აბინძურებს გარემოს.

- » რა ხარისხობრივი მახასიათებელი უნდა ჰქონდეს ამ ინფორმაციას?
- » არის თუ არა გამოტოვებული ინფორმაცია თავისი ბუნებით მნიშვნელოვანი?
- » ვისზე მოახდენს გავლენას გამჟღავნებული ინფორმაცია?

45. სანარმოს ხელმძღვანელობამ ფინანსურ ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში დეტალურად გაამჟღავნა ინფორმაცია ვადაგადასული დებიტორული დავალიანების შესახებ მათი თანხებისა და წარმოშობის თარიღების მიხედვით. ასევე დეტალურად აღწერა ინფორმაცია ვადადამდგარი ვალდებულებებისა და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი ჯარიმების შესახებ.

- » რა ხარისხობრივი თვისებები აქვს ამ ინფორმაციას?
- » უნდა აღიარდეს თუ არა დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ზარალი?
- » როგორ უნდა მოიქცეს ვადადამდგარ ვალდებულებებთან დაკავშირებით?

46. სანარმოს ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ გაამჟღავნა ინფორმაცია ვადაგადასული დებიტორული დავალიანების შესახებ და ვადადამდგარი ვალდებულებებისა და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი ჯარიმების შესახებ.

- » რა ხარისხობრივი მახასიათებელი აკლია ამ ინფორმაციას?

- » გააკეთეთ შეფასება გამოტოვებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
- » თქვენი რეკომენდაციები ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

47. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს აღმოჩნდა, რომ სანარმოს ბევრ ტრანზაქციაზე არ აქვს დამადასტურებელი საბუთები.

- » რა ხარისხობრივი მახასიათებელი აკლია ამ ინფორმაციას?
- » რა საბუთებით შეიძლება ტრანზაქციების მოხდენის დადასტურება?
- » რამდენად სწორად იქნა გამოყენებული ფულადი შეფასების პრინციპი ასეთ სიტუაციაში?

48. სანარმომ შემდეგნაირად წარადგინა ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ფე): აქტივები - 500, ვალდებულებები - 200, კაპიტალი - 300.

- » იმსჯელეთ რამდენად აღქმადია ინფორმაცია.
- » თქვენ როგორ წარმოადგენდით აქტივებს?
- » რა მუხლებით შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი კაპიტალი?

49. აღრიცხვის რომელ პრინციპებს გაიხსენებდით მოცემულ სიტუაციაში, განმარტეთ ისინი:

- » სანარმომ განმარტებით შენიშვნებში არ ასახა ინფორმაცია დანაკარგების შესახებ, ვინაიდან მისი მოძიება მოითხოვდა დიდ დანახარჯებს;
- » სანარმომ განმარტებით შენიშვნებში არ ასახა ინფორმაცია დანაკარგების შესახებ, ვინაიდან ამ კორექტირების გავლენა წმინდა შემოსავლის 2% -ს შეადგენს;
- » მარაგების თვითღირებულების შემონშების შედეგები არ დაემთხვა სააღრიცხვო მონაცემებს.

50. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის რომელ მახასიათებლებს გაიხსენებდით მოცემულ სიტუაციაში, განმარტეთ ისინი:

- » ბანკით მოთხოვნილი სანარმოს ფინანსური ანგარიშგება მიწოდებული იქნა ორთვიანი დაგვიანებით;
- » სანარმოს მიერ წარდგენილი ანგარიშგება არ მოიცავს ვალდებულებების შესახებ საჭირო განმარტებებს;
- » მოთხოვნების აუდიტით ვერ დასტურდება ბალანსში ასახული დებიტორული დავალიანების სიდიდე.

# თსუში 4

## ტრანზაქციების ჩანერა

### 4.1 ტრანზაქციები და სააღრიცხვო (საბალანსო) ტილობა

### 4.2 ტრანზაქციების ჩანერა ანგარიშებში

### 4.3 ტრანზაქციების ჩანერა მთავარ ჟურნალსა და მთავარ წიგნში

- » ვითხვები განსჯისათვის
- » სავარჯიშოები

ჩვენ უკვე ვიცით, რომ აღრიცხვის მიზანია ფინანსური ანგარიშგების მომზადება. ამისათვის საჭიროა ყოველდღიურად ბიზნეს-გარიგებებით გამოწვეული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ცვლილებების შეფასება, ჩანერა (აღრიცხვა), ამ ინფორმაციის დაგროვება, რათა პერიოდის ბოლოს განზოგადდეს ანგარიშგების სახით. როგორც ვხედავთ, ფინანსური ანგარიშგების მომზადება არის პროცესი, რომელიც მოიცავს რიგ თანამიმდევრულად განსახორციელებელ ქმედებებს, რომელიც მოითხოვს მისი შემსრულებლისაგან პროფესიულ ცოდნას და ხშირ შემთხვევაში - გამოცდილებას.

მაგალითად, დღეს კომპანიაში მოხდა 20 სხვადასხვა ბიზნეს-ოპერაცია, ეს ეხებოდა საქონლის შესყიდვებს, გაყიდვებს, ფულის მიღებას, გადარიცხვებს და სხვა. როგორ აღვრიცხოთ, რით უნდა დავინყოთ, სად და რანაირად ავსახოთ ეს ყველაფერი. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ ბიზნეს-ოპერაციების შინაარსი, შევძლოთ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებზე მათი გავლენის შეფასება და შემდეგ მიღებული ინფორმაციის ჩანერა, შენახვა და განზოგადოება. ამიტომ ამ ყველაფრის დასაუფლებლად ამ თავში განხილული იქნება:

- » ტრანზაქციების ცნება, სააღრიცხვო ტოლობა და მისი გამოყენება ბიზნეს-ოპერაციების აღრიცხვაში;
- » ანგარიშები და ტრანზაქციების ჩანერა ამ ანგარიშებში;
- » ტრანზაქციების აღრიცხვის პროცედურები - სააღრიცხვო ციკლი.

## 4.1 ტრანზაქციები და სალრიცხვო (საბალანსო) ტოლობა

ბიზნეს-საქმიანობის შემადგენელი ნაწილია ტრანზაქციები და მოვლენები. ტრანზაქცია (transaction) არის ნებისმიერი გარიგება და მოვლენა, რომელიც ფინანსურ გავლენას ახდენს ბიზნესზე (საწარმოს საქმიანობაზე) და რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია<sup>1</sup>. მაგალითად, გარიგება მყიდველსა და გამყიდველს შორის საქონლის, მომსახურების ან აქტივების გაცვლის შესახებ. ტრანზაქციას ყოველთვის მოყვება სუბიექტების ფინანსების მდგომარეობის ცვლილება. მაგალითად, A-მ საქონელი მიიღო B-ს, ხოლო B-მ ფული გადაუხადა A-ს და სხვა. აღრიცხვასთან დაკავშირებით განასხვავებენ ფინანსურ და არაფინანსურ ტრანზაქციებს. ფინანსური ტრანზაქციები არის მოვლენა, რომელიც აისახება აქტივის, ვალდებულების, ან კომპანიის მესაკუთრის კაპიტალის ღირებულებაზე და იწვევს მათ ცვლილებას. ფინანსური ტრანზაქცია ახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე. მოვლენა, რომელიც გავლენას არ ახდენს ბიზნესზე ფინანსურად ანუ ფულადი შეფასებით, არ აისახება აღრიცხვაში. ნებისმიერი ტრანზაქცია, რომლის ფულადი შეფასება შეუძლებელია, არის არაფინანსური ტრანზაქცია.

მოვლენა (event) არის გარკვეული გარე და შიდა ფაქტების შედეგი, მიზეზი ან წყარო. ის შეიძლება იყოს გარე ან შიდა. მაგალითად, გარე ფაქტებია ვალუტის კურსის ან საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და სხვა. ეს ფაქტები არ არის საწარმოს ოპერაციის შედეგი (გაცვლის) და მისი კონტროლის მიღმა.

ფინანსური ტრანზაქციები (გარიგებები და მოვლენები) გავლენას ახდენენ ბიზნესზე, კერძოდ, აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების ცვლილებებზე. ფინანსური ტრანზაქციები (შემდგომში, ტრანზაქციები) არის ბიზნეს-პროცესები ან მოვლენები, რომელიც მოითხოვს აღრიცხვას.

არსებობს ფინანსური ტრანზაქციების ოთხი ძირითადი ტიპი, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე, ეს არის: გაყიდვები, შესყიდვები, ფულადი სახსრების მიღება და ფულადი სახსრების გადახდა.

გაყიდვები არის ტრანზაქციები, რომლითაც მყიდველებს გადაეცემა აქტივები ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით. გაყიდვები არის იმ შემოსავლის ნაწილი, რომელსაც ბიზნესი ღებულობს მყიდველისათვის საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. გაყიდვების დროს კრედიტით განხორციელებული ტრანზაქცია აღიარდება საწარმოს მოთხოვნად - დებიტორულ დავალიანებად.

შესყიდვები არის ტრანზაქციები, რომლითაც საწარმო იძენს საქონელს ან მომსახურებას, შემდეგში მათი გამოყენების ან გაყიდვის მიზნით. შესყიდვები შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ფულით (ანგარიშსწორებით) ან შემდგომი გადახდის პირობით. ამ ტიპის ტრანზაქციები აღიარდება საწარმოს ვალდებულებად - კრედიტორულ დავალიანებად.

იმის მიუხედავად, რომ საქონლის და მომსახურების ყიდვა-გაყიდვა შეიძლება დროში არ

<sup>1</sup> Financial Accounting, 11th edition, Walter T. Harrison Jr.; Charles T. Rorngren, Wendy M. Tietz, Pearson, 2016. p.61.

დაემთხვეს ფულადი სახსრების მიღება-გადახდას, ეს არის გაცვლითი ოპერაცია და ამდენად, არის ფინანსური ტრანზაქცია.


ფულადი სახსრების გადახდები არის ტრანზაქციები, რომლითაც სხვა ბიზნესს ფულად სახსრებს უხდიან შექმნილი საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ფულადი სახსრების მიღება არის სხვა ბიზნესისაგან მიღებული ფულადი სახსრების ტრანზაქციები მიწოდებული საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ოთხი ძირითადი ტიპის გარდა რეალურად არსებობს კიდევ სხვა ტრანზაქციები, რომელიც დაკავშირებულია მომუშავეებთან, ბიუჯეტთან, სესხების გამცემებთან ან მიმღებთან, ბიზნესის მფლობელებთან განხორციელებული ანგარიშსწორებით. ეს არის ხელფასის, ბიუჯეტში გადასახადების, პროცენტების, დივიდენდების გადახდის ან მიღების და სხვა მსგავსი ტრანზაქციები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ტრანზაქციების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებას და რეგისტრაციას. სხვაგვარად, ყველა ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ტრანზაქციების შედეგად, უნდა აღირიცხოს (იხ. ილუსტრაცია 4.1).

ილუსტრაცია 4.1



ბიზნეს-საქმიანობისა და მისი შედეგების აღრიცხვამდე, უნდა მოხდეს ტრანზაქციების იდენტიფიცირება - დადგინდეს თუ რა მოხდა და რა შედეგები იქნა მიღებული. ტრანზაქციების იდენტიფიცირება და მათი აღრიცხვა ეფუძნება აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ამ პრინციპებიდან მოცემულ შემთხვევაში მთავარია ორმხრივობა და ფულადი შეფასება. ყველა ეკონომიკური მოვლენა სულ მცირე ორ გავლენას ახდენს აღრიცხვის ობიექტებზე - ზრდის ან ამცირებს მათ. ეკონომიკური მოვლენების ორივე ასპექტი უნდა იყოს დათქმირებული აღრიცხვაში და გამოსახული ფულადი საზომით. ორმხრივობა გამოიხატება სააღრიცხვო ტოლობაში (accounting equation):

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

ამ ტოლობაში აისახება აღრიცხვის მთავარი მიდგომა ეკონომიკური მოვლენებისადმი - ერთი და იგივე მოვლენა განიხილება ორ ასპექტში, ორი თვალსაზრისით: ერთის მხრივ, რა გაიზარდა; მეორეს მხრივ, რა შემცირდა. ამდენად, ეს ორი ასპექტი ყოველთვის ერთმანეთის ტოლია. ყოველი ტრანზაქციის შემდეგ საბალანსო ტოლობის ელემენტები იცვლება, მაგრამ ძირითადი ტოლობა უცვლელი რჩება.


ბიზნესის მიზანია კაპიტალის გაზრდა მოგების ხარჯზე. მოგება განისაზღვრება შემოსავლებიდან ხარჯების გამოკლებით. ამიტომ, მფლობელთა კაპიტალი იზრდება შემოსავლებით და მცირდება ხარჯებით. ამდენად, შესაძლებელია სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობის სხვანაირადაც წარმოდგენა<sup>2</sup> :

$$\text{საკუთარი კაპიტალი} + (\text{შემოსავლები}-\text{ხარჯები}) = \text{აქტივები} - \text{ვალდებულებები}$$

**მაგალითი 4.1 ტრანზაქციების გავლენა სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობაზე**


განვიხილოთ რამდენიმე ტრანზაქცია და მისი ორი ასპექტი, ორი ცვლილება და გავლენა სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობაზე.

ტრანზაქცია 1. სანარმოს დაფუძნებისათვის მფლობელმა ჩადო ბანკში 200 ფე.



ცვლილებების ანალიზი: გაიზარდა აქტივი ფულის სახით და იგივე თანხით მფლობელის კაპიტალი.


ტრანზაქცია 2. შეძენილია საქონელი საბანკო გადარიცხვით 50 ფე.



ცვლილებების ანალიზი: გაიზარდა ერთი აქტივი საქონლის სახით და შემცირდა მეორე აქტივი ფულის სახით.


<sup>2</sup> Financial Accounting, Paul E. Smith, University of Hertfordshire, 2012, p.27.

ტრანზაქცია 3. მთლიანად გაიყიდა საქონელი, საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა 190 ფე.




ცვლილებების ანალიზი: გაიზარდა აქტივი ფულის სახით და აღიარდა შემოსავალი, რაც ზრდის კაპიტალს.

ტრანზაქცია 4. ჩამოინერა გაყიდული საქონელი თვითღირებულებით 50 ფე.




ცვლილებების ანალიზი: შემცირდა აქტივი საქონლის სახით და გაიზარდა ხარჯი, რაც ამცირებს კაპიტალს.

ტრანზაქცია 5. მიღებულია ელექტროენერჯის გადასახდის ქვითარი 30 ფე.




ცვლილებების ანალიზი: გაიზარდა ვალდებულება კრედიტორული დავალიანების სახით და ელექტროენერჯის ხარჯი, რაც ამცირებს კაპიტალს.

ტრანზაქცია 6. შეძენილია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 80 ფე.




ცვლილებების ანალიზი: გაიზარდა აქტივი საქონლის სახით და ვალდებულება კრედიტორული დავალიანების სახით.

ტრანზაქცია 7. შეძენილი საქონლის ნახევარი გაიყიდა შემდგომი გადახდის პირობით 60 ფე.




ცვლილებების ანალიზი: გაიზარდა აქტივი მოთხოვნების სახით და გაიზარდა შემოსავლი, რაც ზრდის კაპიტალს.

ტრანზაქცია 8. ჩამოიწერა გაყიდული საქონელი თვითღირებულებით 40 ფე.




ცვლილებების ანალიზი: შემცირდა აქტივი საქონლის სახით და გაიზარდა ხარჯი, რაც ამცირებს კაპიტალს.

ტრანზაქცია 9. საბანკო გადარიცხვით დაიფარა კრედიტორული დავალიანება 80 ფე.



ცვლილებების ანალიზი: შემცირდა აქტივი ფულის სახით და ვალდებულება კრედიტორული დავალიანების სახით.

ტრანზაქცია 10. მოგების ხარჯზე გადაწყდა დივიდენდების გაცემა 35 ფე.



ცვლილებების ანალიზი: შემცირდა კაპიტალი მოგების სახით და გაიზარდა ვალდებულება გადასახდელი დივიდენდების სახით.

ტრანზაქციებით მომხდარი ცვლილებები განიხილება ბალანსის პოზიციიდან, როგორ შეცვალა მან ბალანსის მუხლები (ელემენტები). იმის მიხედვით, თუ რა გავლენას ახდენს ბალანსის მუხლებზე ტრანზაქციები, განასხვავებენ შემდეგი ოთხი ტიპის ცვლილებას, რომლის შედეგად:

1. ბალანსის ჯამი არ იცვლება - ცვლილება ხდება მხოლოდ აქტივებში, იზრდება აქტივის ერთი მუხლი და მცირდება მეორე;
2. ბალანსის ჯამი არ იცვლება - ცვლილება ხდება მხოლოდ კაპიტალსა და ვალდებულებებში, იზრდება კაპიტალის და ვალდებულებების ერთი მუხლი და მცირდება მეორე;
3. ბალანსის ჯამი იზრდება - ცვლილება ხდება აქტივშიც და კაპიტალსა და ვალდებულებებში, იზრდება აქტივის და კაპიტალისა და ვალდებულებების მუხლები;
4. ბალანსის ჯამი მცირდება - ცვლილება ხდება აქტივშიც და კაპიტალსა და ვალდებულებებში, მცირდება აქტივის, კაპიტალისა და ვალდებულებების მუხლები.

ჩვენს მიერ განხილული მაგალითების მიხედვით ბალანსში ტრანზაქციებით გამოწვეული ცვლილებები შეიძლება ასე დაჯგუფდეს (ცვლილებების ტიპის დანომვრა პირობითია) იხ.ცხრილი 4.1:

ცხრილი 4.1 ტრანზაქციების შედეგად ბალანსის ელემენტების ოთხი ტიპის ცვლილება

ცვლილებების ტიპი	გავლენა ბალანსის ჯამზე	აქტივის მუხლების ცვლილებები	ვალდებულებების და კაპიტალის მუხლების ცვლილებები	ტრანზაქციის ნომერი
I	ბალანსის ჯამი უცვლელია	ერთი იზრდება და მეორე მცირდება		2
II	ბალანსის ჯამი უცვლელია		ერთი იზრდება და მეორე მცირდება	5,10
III	ბალანსის ჯამი იზრდება	იზრდება	იზრდება	1,3,6,7
IV	ბალანსის ჯამი მცირდება	მცირდება	მცირდება	4,8,9

განვიხილოთ როგორ გავლენას ახდენენ ტრანზაქციები ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### მაგალითი 4.2 ტრანზაქციების გავლენა ფინანსურ ანგარიშგების ელემენტებზე.

მიმდინარე წლის სექტემბერში ადგილი ჰქონდა შემდეგ ტრანზაქციებს (ყველა ანგარიშსწორება განხორციელდა საბანკო გადარიცხვებით):

1. მფლობელებმა გააკეთეს 1,000 ფე-ის ინვესტირება ბიზნესში;
2. შეიძინეს საქონელი 300 ფე-ად;

3. საქონელი, რომლის თვითღირებულებაა 100 ფე, გაყიდეს 250 ფე-ად;
4. საქონელი, რომლის თვითღირებულებაა 50 ფე, გაყიდეს 90 ფე-ად შემდგომი გადახდის პირობით;
5. დარიცხულია იჯარის ხარჯი 20 ფე;
6. დარიცხულია თანამშრომლების ხელფასი 40 ფე;
7. დარიცხულია დივიდენდები 60 ფე.

აგსახოთ ტრანსაქციებით გამონვეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ცვლილებები და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოვამზადოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, ბალანსი და საკუთარი (მფლობელთა) კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (იხ. ცხრილი 4.2).

ცხრილი 4.2 სექტემბრის ტრანზაქციების ანალიზი - გავლენა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებზე

#	აქტივები			ვალდებულება	საკუთარი კაპიტალი		შენიშვნა
	ბანკი	საქონელი	მოსახება	კრედიტორული დაილაიანება	საზღვრო კაპიტალი	გაუნაწილე ტელი მოგება	
1	+1,000				+1,000		
2	-300	+300					
3	+250					+250	შემოსავალი
		-100				-100	ხარჯი
4			+90			+90	შემოსავალი
		-50				-50	ხარჯი
5				+20		-20	ხარჯი
6				+40		-40	ხარჯი
7				+60		-60	დივიდენდები
	950	150	90	120	1,000	70	
	1,190			1,190			

სექტემბრის თვის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ფე)  
(Income Statement)

შემოსავალი რეალიზაციიდან (250+90)		340
ხარჯები:		
გაყიდული საქონლის თვითღირებულება (100+50)	150	
იჯარის ხარჯი	20	
ხელფასის ხარჯი	<u>40</u>	
სულ ხარჯი		<u>210</u>
მოგება		130

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 30 სექტემბრის მდგომარეობით (ფე)  
(Statement of Changes in Equity for the period)

საკუთარი კაპიტალი (owners' equity)		
საწყისი კაპიტალი		1,000
მიმდინარე პერიოდის მოგება	130	
გადასახდელი დივიდენდები	<u>(60)</u>	
გაუნაწილებელი მოგება (retained earnings)		<u>70</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		1,070

ბალანსი 30 სექტემბრის მდგომარეობით (ფე)  
(Balance sheet)

აქტივები	
ბანკი	950
საქონელი	150
მოთხოვნები	<u>90</u>
	<u>1,190</u>
საკუთარი კაპიტალი	
საწყისი კაპიტალი	1,000
გაუნაწილებელი მოგება	<u>70</u>
	<u>1,070</u>
ვალდებულებები	
გადასახდელი იჯარა	20
გადასახდელი ხელფასები	40
გადასახდელი დივიდენდები	<u>60</u>
სულ ვალდებულებები	120
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,190

როგორც ვხედავთ მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან, სექტემბრის თვის მოგებამ შეადგინა 130 ფე, რაც შემცირდა 60 ფე გადასახდელი დივიდენდებით და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ასახულია საწყისი კაპიტალის ზრდა 70 ფე. როგორც ბალანსიდან ირკვევა, თვის ბოლოს საკუთარი კაპიტალი შეადგენს 1,070 ფე.

## 4.2. ტრანზაქციების ჩანერა ანგარიშებში

როგორც უკვე ვიცით, აღრიცხვა უნდა იყოს დროში უწყვეტი - ყველა ტრანზაქცია და მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესთან, მოითხოვს აღრიცხვას. აღრიცხვა ნიშნავს ინფორმაციის შეგროვებას და ჩანერას, რაც აუცილებელია ბიზნესის ყოველდღიური მართვის და ანგარიშების მომზადებისათვის. ამისათვის, ინფორმაცია ტრანზაქციებისა და მოვლენების შედეგად მომხდარი ცვლილებების შესახებ, უნდა დარეგისტრდეს და იქნეს შენახული, რისთვისაც კეთდება სააღრიცხვო ჩანაწერი. სააღრიცხვო ჩანაწერი არის აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებების ჩანერა. პრაქტიკაში ტრანზაქციების ქრონოლოგიის სააღრიცხვო ჩანაწერებს აკეთებენ ჟურნალებში, რომლის წარმოება შედგება სამი ეტაპისაგან: ტრანზაქციებით გამოწვეული ცვლილებების იდენტიფიცირება (ფინანსური ანგარიშების რომელი ელემენტი გაიზარდა და რომელი შემცირდა); ანგარიშების იდენტიფიცირება, რომელშიც აისახება ცვლილებები; ცვლილებების ჩანერა ანგარიშებზე ტრანზაქციის შინაარსის მოკლე აღწერით <sup>3</sup>.

სააღრიცხვო ჩანაწერების პირველი ეტაპი ჩვენ შესწავლილი გვაქვს და შეგვიძლია ტრანზაქციებით გამოწვეული ცვლილებების იდენტიფიცირება. ამის შემდეგ მიყვებით თანმიმდევრობას. ანუ, უნდა გავარკვიოთ:

სად უნდა ჩაიწეროს ფინანსური ანგარიშების ელემენტებში მომხდარი ცვლილებები?

წინა ქვეთავში ტრანზაქციები ჩავწერეთ პირდაპირ საბალანსო მუხლებში. მაგრამ პრაქტიკაში ამის გაკეთება შეუძლებელია ტრანზაქციების დიდი მოცულობის გამო. ამ პრობლემის გადასაჭრელად შემუშავებულია სააღრიცხვო ჩანაწერების სისტემა, რომლის თანახმად ბალანსის ყველა ელემენტის ცვლილება აისახება განცალკევებულად ანგარიშებში.

### რა არის ანგარიში?

ანგარიში არის ტრანზაქციების დაგროვების და შენახვის საინფორმაციო ერთეული. ინფორმაციის შენახვა შესაძლებელია ჩანერით. ანგარიშები არის ყველა სახის აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ინდივიდუალური ჩანაწერი, კონკრეტული ტრანზაქციის ჩანერილი ისტორია <sup>4</sup>. ზოგჯერ ანგარიშს ასე მარტივადაც განმარტავენ: ანგარიში არის ჩანაწერი მთავარ წიგნში <sup>5</sup>.

### ანგარიშები

ინფორმაციის საცავია, აქ გროვდება და ინახება ინფორმაცია.

<sup>3</sup> Financial Accounting, 11<sup>th</sup> edition, Walter T. Harrison Jr.; Charles T. Rorngren, Wendy M. Tietz, Pearson, 2016. p.78.

<sup>4</sup> Financial Accounting, Paul E. Smith, University of Hertfordshire. 2012, p.31.

<sup>5</sup> Definitions of Account. <https://www.accountingcoach.com/blog/what-is-an-account>

## როგორია ანგარიშები ვიზუალურად?

ანგარიში არის სისტემური ილუსტრაცია, სადაც იწერება ტრანზაქციებისა და მოვლენების გავლენა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებზე <sup>6</sup>. ანგარიშს აქვს შემდეგი ფორმატი:

ანგარიშის დასახელება	
დებეტი	კრედიტი


ანგარიშების ფორმატი (ილუსტრაცია) ჰგავს ლათინურ T-ს, ამიტომ სიმარტივისათვის იყენებენ ტერმინს „T-ანგარიში“. ის შედგება ორი მხარისაგან: მარცხენას ეწოდება დებეტი, ხოლო მარჯვენას კრედიტი. დებეტი (debit) და კრედიტი (credit) ლათინური სიტყვებია, მათ მრავალნაირად თარგმნიან, სხვადასხვა კონტექსტების მიხედვით დებეტი ძირითადად ითარგმნება, როგორც „არის“, „მას სწამს“, „მიღება“, „მაქვს“, „მას მართებს“, ხოლო კრედიტი კი - „ნდობა“, „ენდობა“, „მას სჯერა“. დღეს ეს ტერმინები გამოიყენება მხოლოდ მხარეების (მარცხენა და მარჯვენა) აღსანიშნავად და არ ნიშნავს ან ზრდას, ან შემცირებას. T-ანგარიში გამოიყენება მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის, თვალსაჩინოებისათვის. აღრიცხვის კომპიუტერული სისტემა ითვალისწინებს ანგარიშების სხვანაირ ფორმატს, რომელსაც გავეცნობით მომდევნო ქვეთავში.

ყველა ბიზნეს-ოპერაცია შედგება ორი ნაწილისაგან: ბიზნესი რაღაცას ღებულობს, რაღაცას იძლევა/გასცემს. ამიტომ ყველა ბიზნეს-ოპერაციას აქვს თავისი „დებეტი“ (Debit – Dr.) და თავისი „კრედიტი“ (Credit – Cr.). თუ ჩანანერი გაკეთდა მარცხნივ, ე.ი. გაკეთდა სადებეტო (Dr.) ჩანანერი, ხოლო თუ მარჯვნივ - საკრედიტო (Cr.) ჩანანერი.

სააღრიცხვო სისტემის მოდელი ეფუძნება სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობას და ბალანსს. ანგარიშები, რომელიც ეხსნება ბალანსის აქტივების მუხლებს აქტიური ანგარიშებია, ხოლო კაპიტალისა და ვალდებულებების ამსახველი მუხლების ანგარიშები - პასიურია. აქტივების და ხარჯების ანგარიშები არის აქტიური ანგარიშები, ხოლო ვალდებულებების, კაპიტალის და შემოსავლების ანგარიშები არის პასიური ანგარიშები (იხ. ილუსტრაცია 4.2).

<sup>6</sup> Intermediate Accounting, Thirteenth Edition. Donald E. Kieso PH.D., C.P.A (Northern Illinois University DeKalb, Illinois). Jerry J. Weygant, PH.D., C.P.A. (University of Wisconsin Madison, Wisconsin). Terry D. Warfield, PH.D. (University of Wisconsin Madison, Wisconsin). p.69.

## ილუსტრაცია 4.2




ანგარიშების კლასიფიკაციისადმი არსებობს ორი მიდგომა - ტრადიციული (ბრიტანული) და თანამედროვე, ე.წ. ამერიკული. განვიხილოთ ეს მიდგომები.

### » ანგარიშების კლასიფიკაციის თანამედროვე მიდგომით

თანამედროვე მიდგომით განასხვავებენ ანგარიშების ხუთ ტიპს: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების ანგარიშების. ასეთ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს დამოკიდებულება ფინანსურ ანგარიშგებასთან. ამ კლასიფიკაციით ანგარიშები ან საბალანსო ანგარიშებია (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის), ან მოგება-ზარალის ანგარიშებია (შემოსავლების და ხარჯების). საბალანსო ანგარიშებს უწოდებენ მუდმივ ანგარიშებს (Permanent Accounts), ვინაიდან მათ აქვთ ნაშთები, რომელიც აისახება ბალანსში.

მოგება-ზარალის ანგარიშებს უწოდებენ დროებით ანგარიშებს (Temporary Accounts), რომლებიც რეალურად არის კაპიტალის ანგარიშები. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთების შედარებით (შემოსავალი - ხარჯები) მიღებული ფინანსური შედეგი (მოგება ან ზარალი) გადაიტანება კაპიტალში. ამდენად, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები დროებითია, ისინი იხურებიან, მათ არ აქვთ ნაშთები და შესაბამისად, არ აისახებიან ბალანსში. მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის მათ აქვთ ნულოვანი ნაშთი (იხ. ილუსტრაცია 4.3).

ილუსტრაცია 4.3



» ანგარიშების კლასიფიკაცია ტრადიციული (ბრიტანული) მიდგომით

ანგარიშების კლასიფიკაციის ტრადიციული (ბრიტანული) მიდგომის თანახმად განასხვავებენ ანგარიშების სამ ჯგუფს: რეალურს (Real), პირადს (Personal) და ნომინალურს (Nominal). რეალური ანგარიშები არის საბალანსო და შესაბამისად, მუდმივი ანგარიშები; ნომინალური ანგარიშები არის მოგება-ზარალის ანგარიშები და შესაბამისად, დროებითი ანგარიშები. ამდენად, ანგარიშების ეს ორი ჯგუფი ამერიკული კლასიფიკაციის ანალოგიურია. ხოლო რაც შეეხება პირად ანგარიშებს, ისინი განკუთვნილია ცალკეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან წარმოებული ტრანზაქციების აღრიცხვისათვის. ესენი არიან მყიდველები, მომწოდებლები, თანამშრომლები, სადამღვევო კომპანიები, ბანკები და სხვა. ამერიკული კლასიფიკაციით მათი ამსახველი ანგარიშები მიეკუთვნება დებიტორ-კრედიტორების საბალანსო ანგარიშებს და ასე ცალკე ჯგუფად არ არის გამოყოფილი.


პირადი ანგარიშები სამი სახისაა: ბუნებრივი, ხელოვნური და წარმომადგენლების. ბუნებრივ პირად ანგარიშებზე (Natural Personal Accounts) აღირიცხება ადამიანებთან, ფიზიკურ პირებთან წარმოებული ტრანზაქციები, მაგალითად, თანამშრომლებთან და დამფუძნებლებთან წარმოებული ტრანზაქციების აღრიცხვა ხდება ისეთ ბუნებრივ პირად ანგარიშებზე, როგორიცაა „გასაცემი ხელფასი“ და „კაპიტალის“ ანგარიშები.

ხელოვნურ პირად ანგარიშებზე (Artificial Personal Accounts) აღირიცხება ტრანზაქციები საქმიანი ურთიერთობებით წარმოქმნილ პირებთან. ძირითადად ესენი არიან კომპანიები, ფირმები, საწარმოები და სხვა იურიდიული პირები. მაგალითად, ფულადი სახსრების აღრიცხვა იწარმოება ხელოვნურ პირად ანგარიშზე „ბანკი“.

წარმომადგენლების პირადი ანგარიში (Representative Personal Accounts) განსხვავებულია, სხვა ორი ტიპის პირადი ანგარიშებისაგან, რადგან ის ეხება ანგარიშებს, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანს ან ჯგუფს, ეს პირდაპირ არ არის მათი ანგარიში,

მაგრამ ის წარმოადგენს და უკავშირდება მათ. ასეთია: წინასწარ გადახდილი ხარჯები, მიღებული და გადახდილი ავანსები, მაგალითად, მეიჯარესთან წარმოებული ტრანზაქციები. წარმომადგენლების ანგარიშების ინფორმაცია განსხვავდება ნომინალური ანგარიშებისაგან. ნომინალურ ანგარიშებზე აისახება მიმდინარე პერიოდში აღიარებული შემოსავლები და ხარჯები, წლის ბოლოს ეს ანგარიშები იხურება - გადაიტანება მოგება-ზარალის ანგარიშზე და მომდევნო საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის აქვთ ნულოვანი საბალანსო ნაშთი. წარმომადგენლების პირად ანგარიშებზე კი, აისახება წინასწარ გადახდებთან და დარიცხვებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები. ამიტომ, ეს ანგარიშები მუდმივი ანგარიშებია, მათ აქვთ ნაშთები და აისახებიან ბალანსში მოთხოვნების და ვალდებულებების სახით ანგარიშებზე: „წინასწარ გადახდილი ხარჯები“, „გადახდილი ავანსები“, „გადასახდელი იჯარა“ და „მიღებული ავანსები“ (იხ. ილუსტრაცია 4.4).

ილუსტრაცია 4.4



» ანგარიშების კლასიფიკაციის ტრადიციული და თანამედროვე მიდგომების შედარება თუ შევადარებთ ერთმანეთს ანგარიშების კლასიფიკაციის ტრადიციულ და თანამედროვე მიდგომებს, დავინახავთ, რომ მათ შორის ტერმინოლოგიის გარდა, სხვაობაა მხოლოდ დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ანგარიშების დეტალიზებაში. ეს სხვაობა რეალურად „ქრება“ აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამების გამოყენების დროს (იხ. ილუსტრაცია 4.5).

ილუსტრაცია 4.5

თანხედრობა ტრადიციული	მუდმივი ანგარიშები			დროებითი ანგარიშები	
	აქტივები	ვალდებუ- ლებები	კაპიტალი	შემოსავ- ლები	ხარჯები
რეალური ანგარიშები (მუდმივი)	✓	✓	✓		
პირადი ანგარიშები (მუდმივი)	✓	✓			
ნომინალური ანგარიშები (დროებითი)				✓	✓

» ანგარიშთა გეგმა

მრავალფეროვანი და დიდი მოცულობის ტრანზაქციების აღრიცხვა მოითხოვს მრავალი სახის ანგარიშს, რისთვისაც გამოიყენება ანგარიშთა გეგმა (chart of accounts). ანგარიშთა გეგმა არის ანგარიშების სისტემატიზებული ჩამონათვალი (სია), სადაც დაჯგუფებულად და დეტალიზების გარკვეული დონით არის წარმოდგენილი ანგარიშები იმ თანმიმდევრობით, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში - ჯერ საბალანსო ანგარიშები (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი) და შემდეგ მოგება-ზარალის ანგარიშები (შემოსავლები და ხარჯები). ანგარიშთა გეგმას საფუძვლად უდევს ანგარიშების კლასიფიკაცია (5 ჯგუფი) და მისი მიზანია აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების ისე წარდგენა, რომ პასუხობდეს ხელმძღვანელობის ინფორმაციულ და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

პრაქტიკაში ანგარიშთა გეგმა სანარმოებისთვის არის ტრანზაქციების აღრიცხვის ინსტრუმენტი. სანარმოები ანგარიშთა გეგმაში ითვალისწინებენ თავის სპეციფიკას და ახდენენ მის ადაპტაციას საჭიროებისამებრ ახალი ანგარიშების დამატებით. მაგალითად, შეუძლიათ საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიის ფარგლებში ანგარიშების წარდგენა მათი ბიზნეს-ფუნქციის ან/და ქვედანაყოფების მიხედვით. ყველა ანგარიშს აქვს სახელწოდება და კოდი (უნიკალური ნომერი), რომლითაც ხდება ამ ანგარიშის იდენტიფიკაცია და სანარმოს სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების და აგრეგირების პროგრამული უზრუნველყოფა.

გემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ანგარიშების არსი, აგებულება და დანიშნულება შეიძლება ასეთი ილუსტრირებით შეჯერდეს (იხ.ილუსტრაცია 4.6):



» ანგარიშებში ჩანწერის წესი

ყველა ეკონომიკურმა სუბიექტმა უნდა წარუდგინოს თავისი ფინანსური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს. ამ პრეზენტაციისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა ტრანზაქცია. ვინაიდან ინფორმაციის მომხმარებლები ახდენენ ინფორმაციის შედარებას, აღრიცხვა უნდა იყოს ერთგვაროვანი. ამ ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად, გარიგებების სწორად გასაგებად და აღსარიცხავად, არსებობს ანგარიშებზე ჩანწერის წესები. ეს წესები არის საჟურნალო ჩანაწერების საფუძველი რაც, თავის მხრივ, არის აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

თითოეული ანგარიშის ჯგუფს აქვს თავისი სადებეტო და საკრედიტო ასპექტების განსაზღვრის წესი, რომელიც აღრიცხვის ბრიტანული მოდელით ცნობილია აღრიცხვის ოქროს წესის სახელწოდებით (Golden Rules of Accounting). ამ წესების თანახმად რეალური ანგარიშის დებეტში იწერება ის თუ რა შემოვიდა ბიზნესში, ხოლო კრედიტში - რა გავიდა ბიზნესიდან; ნომინალური ანგარიშის დებეტში იწერება ხარჯი და მარალი, ხოლო კრედიტში - შემოსავალი და მოგება; პირადი ანგარიშის დებეტში იწერება ვინ არის მიმღები, ხოლო კრედიტში - ვინ არის მომწოდებელი (იხ.ილუსტრაცია 4.7).

ილუსტრაცია 4.7



განვიხილოთ ოქროს წესი მაგალითზე.

**მაგალითი 4.3 ჩანაწერების ოქროს წესი**

ავსახოთ ანგარიშებზე საწარმოს შემდეგი ტრანზაქციები:

1. სალაროდან ბანკში შეტანილია თანხა -100 ფე;
2. შეძენილია საქონელი შპს „ბეთანიასაგან“ - 80 ფე;
3. სს „მერცხალზე“ გაიყიდა საქონელი - 102 ფე;
4. აღიარებულია ხელფასის ხარჯი - 30 ფე;
5. აღიარებულია მისაღები საიჯარო ქირა - 55 ფე.

ამ კონკრეტული ტრანზაქციებით დავადასტუროთ ოქროს წესი (იხ.ცხრილი 4.3).

**ცხრილი 4.3 ჩანაწერების ოქროს წესი**

#	ანგარიშები	ანგარიშის ტიპი	ოქროს წესი
1	ბანკი	რეალური	შემოვიდა
	სალარო	რეალური	გავიდა
2	საქონელი	რეალური	შემოვიდა
	შპს „ბეთანია“	პირადი	გამცემი
3	სს „მერცხალი“	პირადი	მიმღები
	გაყიდვები	ნომინალური	შემოსავალი
4	ხელფასის ხარჯი	ნომინალური	ხარჯი
	ვალდებულება	რეალური	გავიდა
5	მისაღები იჯარა	რეალური	შემოვიდა
	შემოსავალი	ნომინალური	შემოსავალი

ანგარიშების ტრადიციული კლასიფიკაციის მიდგომით შეიძლება ასე დავახასიათოთ ჩანაწერები ანგარიშებში:

**ჩანწერის ოქროს წესი აღრიცხვის საფუძველია**

1	რეალური ანგარიშები	დებეტი	რა შემოვიდა
		კრედიტი	რა გავიდა
2	ნომინალური ანგარიშები	დებეტი	ხარჯები
		კრედიტი	შემოსავლები
3	პირადი ანგარიშები	დებეტი	მიმღები (დებიტორი)
		კრედიტი	გამცემი (კრედიტორი)

თანამედროვე მიდგომებით ანგარიშებში ჩანწერის წესები შეიძლება უფრო მარტივად ასე ავხსნათ: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ყოველი ცვლილება განცალკევებულად ჩაიწერება ანგარიშებში. თუ ტრანზაქციამ გაზარდა აქტივები და ხარჯები, ეს იწერება მარცხნივ - დებეტში და თუ შეამცირა, იწერება მარჯვნივ - კრედიტში. პირიქით, თუ ტრანზაქციამ გაზარდა ვალდებულებები და შემოსავლები, ეს იწერება მარჯვნივ - კრედიტში, ხოლო თუ შეამცირა, მაშინ იწერება მარცხნივ - დებეტში.

**ანგარიშებში ჩანწერის წესი**

ანგარიშები	დებეტი	კრედიტი
აქტივები	ზრდა	შემცირება
ვალდებულებები	შემცირება	ზრდა
კაპიტალი	შემცირება	ზრდა
შემოსავლები	შემცირება	ზრდა
ხარჯები	ზრდა	შემცირება

აქტივების ანგარიშები	
დებეტი	კრედიტი
+ ზრდა	- შემცირება
ხარჯების ანგარიშები	
დებეტი	კრედიტი
+ ზრდა	- შემცირება

ვალდებულებების ანგარიშები	
დებეტი	კრედიტი
- შემცირება	+ ზრდა
კაპიტალის ანგარიშები	
დებეტი	კრედიტი
- შემცირება	+ ზრდა
შემოსავლების ანგარიშები	
დებეტი	კრედიტი
- შემცირება	+ ზრდა

» ორადი ჩანერის მეთოდი (Double-entry accounting system)

ტრანზაქციებით და მოვლენებით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ცვლილებების ჩანერას საფუძვლად უდევს მათი ორმხრივობის ბუნება. ყველა ტრანზაქციას და მოვლენას აქვს ორმხრივი გავლენის ეფექტი აღრიცხვის ობიექტებზე. ეკონომიკური მოვლენების ორივე ასპექტი უნდა იყოს ასახული აღრიცხვაში და გამოსახული ფულადი საზომით. ორმხრივობის გარკვევაში გვეხმარება სააღრიცხვო ტოლობა:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობით გამოხატულია აღრიცხვის მთავარი მიდგომა ეკონომიკური მოვლენებისადმი და საფუძვლად უდევს მათ აღრიცხვას: ერთი და იგივე მოვლენა განიხილება ორ ასპექტში, ეს ორი ასპექტი ყოველთვის ერთმანეთის ტოლია.

ყველა ტრანზაქციას აქვს ორადი გავლენა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებზე. ორადი ჩანერის პრინციპი ასახავს ამ ორ ეფექტს.

ბიზნეს-ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებები ანგარიშებში აისახება ორადი ჩანერის პრინციპით (Double-Entry Accounting System). ორადი ჩანერის პრინციპი ნიშნავს ერთი ბიზნეს-ოპერაციის ერთი და იმავე თანხით ასახვას ორჯერ - ერთი ანგარიშის დებეტსა და მეორე ანგარიშის კრედიტში. ორადი ჩანერით მიიღწევა ცვლილებების ორივე ასპექტის ასახვა<sup>7</sup>. ეს მეთოდი ასევე იძლევა კონტროლის საშუალებას: როდესაც რეგისტრირდება ყველა ტრანზაქციის ტოლი სადებეტო და საკრედიტო ჩანანერები, მაშინ ყველა ანგარიშების დებეტების ჯამი ტოლია ყველა ანგარიშის კრედიტების ჯამის.

ერთი ტრანზაქცია ერთმანეთს აკავშირებს სულ მცირე ორ ანგარიშს, ანგარიშებს შორის კავშირს უნოდებენ ანგარიშების კორესპონდენციას, ურთიერთდაკავშირებულ ანგარიშებს კი - მოკორესპონდენტო ანგარიშებს. ტრანზაქციის ჩანერას ეწოდება გატარება, ჩანანერი კეთდება მოკორესპონდენტო ანგარიშებში - ერთი ანგარიშის დებეტსა და მეორე ანგარიშის კრედიტში. მაგალითად, როდესაც შეძენილია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით, გაკეთდება ასეთი გატარება:

დებეტი - საქონელი

კრედიტი - კრედიტორული დავალიანება.

როდესაც დაიფარება კრედიტორული დავალიანება, გაკეთდება გატარება:

დებეტი - კრედიტორული დავალიანება

კრედიტი - ბანკი.

<sup>7</sup> Financial Accounting, 11th edition, Walter T. Harrison Jr.; Charles T. Horngren, William Thomas, Wendy M. Tietz, Pearson, 2016. p.75.

#### მაგალითი 4.4 ტრანზაქციების ორადი ჩანერა

წარმოვადგინოთ მაგალითი 4.1-ში განხილული ტრანზაქციების ორადი ჩანერა.

ტრანზაქცია 1. სანარმოს დაფუძნებისათვის მფლებელმა კაპიტალში ჩადო ნაღდი ფული საბანკო ანგარიშზე 200 ფე.

ბანკი		კაპიტალი	
დებეტი ფე	კრედიტი ფე	დებეტი ფე	კრედიტი ფე
1) 200			1) 200

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით გაიზარდა ფულადი სახსრები, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის დებეტში და გაიზარდა კაპიტალი, რაც აისახება ამ პასიური ანგარიშის კრედიტში. გატარება იქნება:

- დებეტი - ბანკი
- კრედიტი - კაპიტალი.

ტრანზაქცია 2. შეძენილია საქონელი საბანკო გადარიცხვით 50 ფე.

საქონელი		ბანკი	
დებეტი ფე	კრედიტი ფე	დებეტი ფე	კრედიტი ფე
2) 50		1) 200	2) 50

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით შემცირდა ფულადი სახსრები რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის კრედიტში და გაიზარდა საქონელი, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის დებეტში. გატარება იქნება:

- დებეტი - საქონელი
- კრედიტი - ბანკი.

ტრანზაქცია 3. მთლიანად გაიყიდა საქონელი. საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა 190 ფე.

ბანკი		შემოსავალი	
დებეტი ფე	კრედიტი ფე	დებეტი ფე	კრედიტი ფე
1) 200	2) 50		3) 190
3) 190			

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით გაიზარდა ფულადი სახსრები, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის დებეტში და გაიზარდა შემოსავალი, რაც აისახება ამ პასიური ანგარიშის კრედიტში. გატარება იქნება:

დებეტი - ბანკი

კრედიტი - შემოსავალი.

ტრანზაქცია 4. ჩამოიწერა გაყიდული საქონელი. თვითღირებულებით 50 ფე.

საქონელი		გაყიდული საქონლის ხარჯი	
დებეტი ფე	კრედიტი ფე	დებეტი ფე	კრედიტი ფე
2) 50	4) 50	4) 50	

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით შემცირდა საქონელი, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის კრედიტში და გაიზარდა გაყიდული საქონლის ხარჯი, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის დებეტში. გატარება იქნება:

დებეტი - გაყიდული საქონლის თვითღირებულება

კრედიტი - საქონელი.

ტრანზაქცია 5. მიღებულია ელექტროენერჯის გადახდის ქვითარი 30 ფე.

ელექტროენერჯის ხარჯი		კრედიტორული დავალიანება	
დებეტი ფე	კრედიტი ფე	დებეტი ფე	კრედიტი ფე
5) 30			5) 30

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით გაიზარდა ხარჯი, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის დებეტში და გაიზარდა ვალდებულება, რაც აისახება პასიური ანგარიშის - კრედიტორული დავალიანების კრედიტში. გატარება იქნება:

დებეტი - ელექტროენერგიის ხარჯი  
კრედიტი - კრედიტორული დავალიანება.

ტრანზაქცია 6. შექმნილია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 80 ფე.

საქონელი		კრედიტორული დავალიანება	
დებეტი ფე	კრედიტი ფე	დებეტი ფე	კრედიტი ფე
2) 50	4) 50	5) 30	
6) 80		6) 80	

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით გაიზარდა საქონელი, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის დებეტში და გაიზარდა კრედიტორული დავალიანება, რაც აისახება ამ პასიური ანგარიშის კრედიტში. გატარება იქნება:

დებეტი - საქონელი  
კრედიტი - კრედიტორული დავალიანება.

ტრანზაქცია 7. შექმნილი საქონლის ნახევარი გაიყიდა შემდგომი გადახდის პირობით 60 ფე.

მოთხოვნები მიწოდებიდან		შემოსავალი	
დებეტი ფე	კრედიტი ფე	დებეტი ფე	კრედიტი ფე
7) 60		3) 190	
		7) 60	

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით გაიზარდა მოთხოვნები მიწოდებიდან, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის დებეტში და გაიზარდა შემოსავალი, რაც აისახება ამ პასიური ანგარიშის კრედიტში. გატარება იქნება:

დებეტი - მოთხოვნები მიწოდებიდან  
კრედიტი - შემოსავალი.

ტრანზაქცია 8. ჩამოინერა გაყიდული საქონელი თვითღირებულებით 40 ფე.

საქონელი				გაყიდული საქონლის ხარჯი			
დებეტი ფე		კრედიტი ფე		დებეტი ფე		კრედიტი ფე	
2)	50	4)	50	4)	50		
6)	80	8)	40	8)	40		

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით შემცირდა საქონელი, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის კრედიტში და გაიზარდა ხარჯი, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის დებეტში. გატარება იქნება:

დებეტი - გაყიდული საქონლის ხარჯი

კრედიტი - საქონელი.

ტრანზაქცია 9. დაიფარა საბანკო გადარიცხვით კრედიტორული დავალიანება 80 ფე.

ბანკი				კრედიტორული დავალიანება			
დებეტი ფე		კრედიტი ფე		დებეტი ფე		კრედიტი ფე	
1)	200	2)	50	9)	80	2)	50
3)	190	9)	80			5)	30
						6)	80

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით შემცირდა ფული, რაც აისახება ამ აქტიური ანგარიშის კრედიტში და ასევე შემცირდა კრედიტორული დავალიანება, რაც აისახება ამ პასიური ანგარიშის დებეტში. გატარება იქნება: დებეტი - კრედიტორული დავალიანება, კრედიტი - ბანკი.

ტრანზაქცია 10. მოგების ხარჯზე გადაწყდა დივიდენდების გაცემა 35 ფე.

კაპიტალი				გადასახდელი დივიდენდები			
დებეტი ფე		კრედიტი ფე		დებეტი ფე		კრედიტი ფე	
10)	35	1)	200			10)	35

ჩანაწერის ანალიზი: ამ ტრანზაქციით შემცირდა კაპიტალის ელემენტი - მოგება, რაც აისახება ამ პასიური ანგარიშის დებეტში და გაიზარდა ვალდებულება გასაცემი დივიდენდებით, რაც

აისახება ამ პასიური ანგარიშის კრედიტში. გატარება იქნება:

დებეტი - კაპიტალი

კრედიტი - ვალდებულება გადასახდელი დივიდენდებით.

» ანგარიშებზე ნაშთების გამოყვანა

რა შედეგი მიიღო სანარმომ ამ ტრანზაქციების შემდეგ? ამისათვის უნდა დავითვალოთ პერიოდის ბოლოს რამდენი დარჩა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები, ანუ უნდა გავიანგარიშოთ ყველა ანგარიშის ნაშთი. ამისათვის ანგარიშების სადებეტო ნაშთების ჯამი უნდა შევუდაროთ საკრედიტო ნაშთების ჯამს. ანგარიშებზე ნაშთების გამოყვანა არის ერთ-ერთი ნაბიჯი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისაკენ. აქტიურ ანგარიშებს აქვთ სადებეტო ნაშთი ან ნულოვანი, ხოლო პასიურ ანგარიშებს აქვთ საკრედიტო ნაშთი ან ნულოვანი.

ამდენად, პერიოდის ბოლოს ყველა ანგარიში უნდა დაჯამდეს (დაბალანსდეს), ანუ განისაზღვროს ანგარიშების ნაშთები. ანგარიშების ნაშთების გაანგარიშება ხდება დებეტების და კრედიტების ჯამების შედარებით. პრაქტიკაში დებეტსა და კრედიტში ჩანერილი ტრანზაქციების ჯამს უწოდებენ „ბრუნვას“: დებეტის ბრუნვა არის დებეტში ჩანერილი ტრანზაქციების ჯამი, ხოლო კრედიტის ბრუნვა არის კრედიტში ჩანერილი ტრანზაქციების ჯამი.

ნაშთების გაანგარიშების ფორმულა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

$$\text{აქტიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი} = \text{საწყისი ნაშთი} + \text{დებეტის ბრუნვა} - \text{კრედიტის ბრუნვა}$$

$$\text{პასიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი} = \text{საწყისი ნაშთი} + \text{კრედიტის ბრუნვა} - \text{დებეტის ბრუნვა}$$

საილუსტრაციოდ, წარმოდგენილია სექტემბრის თვის შემდეგი ანგარიშების ბრუნვები და ნაშთები თვის ბოლოსათვის:

ბანკი

დებეტი ფე	კრედიტი ფე
ნაშთი	15.09 300
01.09. 500	18.09 100
03.09. 200	
07.09. 150	
ჯამი 850	ჯამი 400
ნაშთი	
31.09. 450	

კრედიტორული დავალიანება

დებეტი ფე	კრედიტი ფე
11.09. 100	ნაშთი
14.09. 70	01.09. 250
	16.09 50
	21.09 120
ჯამი 170	ჯამი 420
	ნაშთი
	31.09 250

იჯარის ხარჯი

დებეტი ფე	კრედიტი ფე
13.09 150	31.09 150
ჯამი 150	ჯამი 150

შემოსავალი

დებეტი ფე	კრედიტი ფე
31.09. 670	12.09. 200
	15.09 250
	28.09 220
ჯამი 670	ჯამი 670

განხილულ საილუსტრაციო მაგალითში ფულისა და კრედიტორული დავალიანების ანგარიშებს აქვთ ნაშთი. ისინი მუდმივი ანგარიშებია (საბალანსო), ხოლო შემოსავლების და ხარჯების ანგარიშების სადებეტო და საკრედიტო ჯამები (ბრუნვა) ტოლია და მათ არ აქვთ ნაშთი, რადგან ისინი დროებითი ანგარიშებია.

განხილული 4.4-ის მაგალითის მონაცემებით ანგარიშებზე ბრუნვები და ნაშთები ასე გამოიყურება:

**ბანკი**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
1) 200	2) 50
3) 190	9) 80
ჯამი 390	ჯამი 130
ნაშთი 260	

**კაპიტალი**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
10) 35	1) 200
ჯამი 35	ჯამი 200
	ნაშთი 165

**საქონელი**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
2) 50	4) 50
6) 80	8) 40
ჯამი 130	ჯამი 90
ნაშთი 40	

**შემოსავალი**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
	3) 190
	7) 60
	ჯამი 250
	ნაშთი 250

**მოთხოვნები მიწოდებიდან**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
7) 60	
ნაშთი 60	

**კრედიტორული დავალიანება**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
9) 80	5) 30
	6) 80
ჯამი 80	ჯამი 110
	ნაშთი 30

**გაყიდული საქონლის ხარჯი**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
4) 50	
8) 40	
ჯამი 90	
ნაშთი 90	

**გადასახდელი დივიდენდები**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
	10) 35
	ნაშთი 35

**ელექტროენერჯის ხარჯი**

დებეტი ფე	კრედიტი ფე
5) 30	
ნაშთი 30	

## 4.3 ტრანზაქციების ჩანერა მთავარ ჟურნალსა და მთავარ ნივნში

ანგარიშების დანიშნულების, აგებულებისა და ჩანერის წესის გაცნობის შემდეგ, ჩვენ უკვე შეგვიძლია განვიხილოთ ტრანზაქციების ჩანერის და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი - სააღრიცხვო ციკლი. დღეს ეს პროცესი კომპიუტერიზებულია.

სააღრიცხვო ციკლი მოითხოვს აღრიცხვის გარკვეულ თანმიმდევრობას და მოიცავს შემდეგ ეტაპებს (იხ.ილუსტრაცია 4.8): ტრანზაქციების ანალიზი და შესაბამისი გატარებების იდენტიფიცირება; ტრანზაქციების ჩანერა მთავარ (რეგისტრაციის) ჟურნალში; მთავარი (რეგისტრაციის) ჟურნალიდან ინფორმაციის გადატანა მთავარი ნივნის ანგარიშებში - გატარებების გაკეთება; საცდელი ბალანსის მომზადება; მაკორექტირებელი ჩანაწერების გაკეთება (დარიცხვები და წინასწარგადახდები); საცდელი ბალანსის მომზადება კორექტირების შემდეგ (დახურვის ოპერაციები); ფინანსური ანგარიშგების მომზადება.


ტრანზაქციების აღრიცხვამდე ხდება მათი ანალიზი. ანალიზის საფუძველია პირველადი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება ტრანზაქციის სამართლებრივი მხარე. პირველადი დოკუმენტები (Source documents) არის ტრანზაქციების საინფორმაციო წყარო და მათი აღრიცხვის საფუძველი. ეს არის ერთადერთი რეალური მტკიცებულება გარიგების ჩატარების შესახებ, კონკრეტულ დღეს და კონკრეტული ოდენობით .

### **პირველადი დოკუმენტები არის:**


ტრანზაქციის თავდაპირველი ჩანაწერი;

ბიზნეს-დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ორ ან მეტ მხარეს შორის ფინანსური გარიგების არსებობას.

**სააღრიცხვო ციკლი**  
**The accounting cycle**




**1. ბიზნეს- ტრანზაქციების ანალიზი**  
**Analyze business-transaction**



**2. მთავარი ჟურნალი**  
**General journal**



**7. ფინანსური ანგარიშგება**  
**Financial statements**



**3. მთავარი წიგნი-**  
**General ledger**

**Trial Balance**

- Trial Balance ამოწმებულია მხოლოდ ერთხელ.
- მის მიზანია დასაბუთების შედგენა.
- მისი მიზანია დასაბუთების შედგენა.
- მისი მიზანია დასაბუთების შედგენა.

Sl. No	Particulars of ledger A/C	LP	Debit (Dr.)	Credit (Cr.)
1	Bank A/C		1,00,000	1,00,000
2	Trade Receivables A/C		2,00,000	
3	Trade Payables A/C			2,00,000
4	Capital A/C		50,000	
5	Profit or Loss A/c		50,000	
6	Reserve A/C		200	
7	Profit or Loss from previous year		1,500	
	<b>Balance</b>		<b>3,01,500</b>	<b>3,01,500</b>

**6. კორექტირებული საცდელი ბალანსი**  
**Adjusted trial balance**



**Trial Balance**

Account Name	Debit	Credit
001 Cash	27,000	
010 Open Company Partnerships	18,000	
012 Accounts Receivable		24,000
010 Prepaid		18,000
012 Capital Inventory		10,000
017 Supplier Expense	21,000	
	<b>72,000</b>	<b>72,000</b>

**4. საცდელი ბალანსი**  
**Trial balance**

**Adjusting Journal Entries**

Date	Description	Post Ref	Debit (\$)	Credit (\$)
	Supplies expense		200	
	Supplies on hand (taken into account)			200
	Commission income		500	
	Unearned commission			500
	Fee receivable		100	
	Revenue			100
	Salaries expense		800	
	Salaries payable			800
	Depreciation		150	
	Acc. Depreciation (Machinery)			100
	Acc. Depreciation (Software)			50
	Depreciation provided on fixed assets			
	Bad debts expense		50	
	Reserve for bad debts			50
	Reserve increase as reserve for bad debts			

**5. კორექტირებები Adjusting entries**

განსხვავებული ტრანზაქციები სხვადასხვა დოკუმენტებით ფორმდება. ყველა დოკუმენტს აქვს თავისი დანიშნულება, რომელიც შესაბამისი შინაარსის ბიზნეს-ოპერაციების დამადასტურებელია და არის სათანადო საჟურნალო ჩანაწერების საფუძველი. მაგალითად, სასაქონლო ოპერაციები დასტურდება ინვოისებით, ანგარიშ-ფაქტურებით, სასაქონლო ზედნადებით, ხოლო ფულადი ოპერაციები - ჩეკებით, ქვითრებით, საგადახდო დავალებებით. ისინი ჩვეულებრივ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: საქმიანი გარიგების აღწერა; გარიგების თარიღი; კონკრეტული თანხა; უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და სხვა.

#### განვიხილოთ ზოგიერთი

- » ინვოისი <sup>8</sup> (ინგლ.invoice) საერთაშორისო პრაქტიკაში არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას. საქართველოს კანონმდებლობით სასაქონლო ოპერაციების ყიდვა-გაყიდვა აისახება ე.წ. „სასაქონლო ზედნადებით“. ამ დოკუმენტებში აისახება მიწოდებული საქონლის ან განეული მომსახურების დასახელება, საქონლის რაოდენობა, ფასი, გარიგების თარიღი, გამყიდველის და მყიდველის მონაცემები, გადახდის პირობები. ამ დოკუმენტების საფუძველზე მყიდველი აღიარებს საქონლის/მომსახურების შეძენასა და ვალდებულების წარმოქმნას, ხოლო გამყიდველი - შემოსავალს და მოთხოვნას მიწოდებიდან და მომსახურებიდან.
- » სალაროს ჩეკი, ორდერი, ქვითრები არის ფულის მიღების (გაყიდვის შემთხვევაში) და ფულის გადახდის (შეძენის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტი. ქვითარში, როგორც წესი, იწერება გადამხდელთა სახელი, გადახდილი თანხა, გადახდის თარიღი, გადახდის დანიშნულება, მიმღების ხელმოწერა. ქვითრები გამოიყენება ფულადი ოპერაციების აღიარების საფუძველად, ფულადი სახსრების და გარიგების შემონმების მტკიცებულებად.
- » ტაბელი (სამუშაო დროის ცხრილი) არის უწყისი, სადაც აღირიცხება მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადება და წასვლა, ფიქსირდება მომუშავეების მიერ ნამუშევარი საათები, რაც არის ანაზღაურების საფუძველი. მაგალითად, კომპანია საქმიანობს კონსალტინგურ (საკონსულტაციო) ბიზნესში, ის აგროვებს ინფორმაციას ნამუშევარი საათების შესახებ თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკიდან, რომელიც შემდეგ ჩაირთვება კლიენტისათვის წარდგენილ ინვოისებში. ეს თავის მხრივ არის გაყიდვისა და დებიტორული დავალიანების აღიარების საფუძველი. ამრიგად, ამ სიტუაციაში, ტაბელი არის სამუშაო დროის აღრიცხვის პირველადი დოკუმენტი.

აუცილებელი არ არის დოკუმენტი იყოს ქალაქის, ბეჭდითი სახით. ის შეიძლება იყოს ელექტრონული ჩანაწერის სახით. მაგალითად, ელექტრონული ტაბელი, რომელიც მაგნიტური ბარათებით (Time card) ითვლის თანამშრომლების მიერ ნამუშევარ დროს, არის ანაზღაურების აღიარების პირველადი საბუთი. მაგალითად, თანამშრომლის მიერ სამუშაო საათების ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც შედის კომპანიის ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემაში სმარტფონის საშუალებით.

<sup>8</sup> ამ ტერმინის ქართული თარგმანი არ არსებობს და პრაქტიკაში გამოიყენება ამ სახელწოდებით. ხშირად ინვოისს აიგივებენ ანგარიშ-ფაქტურასთან ან თვლიან მის ანალოგად. რაც არასწორია, ვინაიდან ის გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისათვის.



ამდენად, თითოეულ ბიზნეს-გარიგებისათვის არსებობს დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება საქმიანი ტრანზაქციის ჩასაწერად. ეს არის ფიზიკური ან ელექტრონული დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილია გარიგების დეტალები და რომელიც გამოიყენება ტრანზაქციების აღსარიცხავად. დოკუმენტები ასევე მნიშვნელოვანია აუდიტის პროცესისათვის. ამიტომ წესისამებრ, ინახება, როგორც გარიგების მოხდენის მტკიცებულება. აუდიტორები მოგვიანებით ამოწმებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას და ამის შემდეგ უნდა დაადასტურონ, რომ გარიგება რეალურად განხორციელდა.

ყველა ტრანზაქცია, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, თავმოყრილია ე.წ. „მთავარ ჟურნალში“ (Ledger), რომელსაც „პირველადი გატარებების ჟურნალს“, ან იგივე „რეგისტრაციის ჟურნალს“ უწოდებენ.

### **მთავარი ჟურნალის დანიშნულება**

ყველა ტრანზაქციის რეგისტრაცია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ყოველ ტრანზაქციასთან დაკავშირებით ჟურნალში ძირითადად კეთდება შემდეგი ჩანაწერები: თარიღი, დოკუმენტის ნომერი, ტრანზაქციის შინაარსი, სადებეტო და საკრედიტო ანგარიშები, თანხა და განმარტებები.

საჟურნალო ჩანაწერების პროცესი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. იმ ანგარიშების იდენტიფიცირება, რომელიც ჩართულია ტრანზაქციის აღრიცხვაში. ასეთი ანგარიშები იქნება სულ მცირე ორი, ერთი სადებეტო ჩანაწერისათვის, მეორე - საკრედიტო ჩანაწერისათვის. რთული ჩანაწერის შემთხვევაში შესაძლებელია უფრო მეტი ანგარიში იყოს ჩართული და ყველა მათგანი უნდა იყოს იდენტიფიცირებული;
2. ჩანაწერში ჩართული ანგარიშების ტიპის იდენტიფიცირება - აქტიური და პასიური ანგარიშები;
3. ანგარიშების ტიპის იდენტიფიცირების შემდეგ ანგარიშებში ჩანაწერის წესის განსაზღვრა - აქტიური ანგარიშების ზრდა იწვევს დებეტში, ხოლო შემცირება - კრედიტში; პასიური ანგარიშების ზრდა იწვევს კრედიტში, ხოლო შემცირება - დებეტში;
4. საჟურნალო წიგნში ტრანზაქციის ჩანაწერის გაცემა (Posting) მისი შინაარსის მოკლე აღწერით.

### **მაგალითი 4.5 ტრანზაქციების რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში**

მაისის თვეში საწარმოში მოხდა შემდეგი ტრანზაქციები:

01.05. ნაღდი ანგარიშსწორებით გაიყიდა საქონელი 100 ფე (ჩეკი #125/17);

ამ ტრანზაქციით გაიზარდა ნაღდი ფული სალაროში, რაც ჩაინერგა აქტიური ანგარიშის „სალაროს“ დებეტში; ამავე დროს გაიზარდა შემოსავალი, რაც ჩაინერგა პასიური ანგარიშის „შემოსავლების“ კრედიტში;

02.05. შემდგომი გადახდის პირობით შექმნილია საქონელი 750 ფე (სასაქონლო ზედნადები # 12/147).

ამ ტრანზაქციით გაიზარდა საქონელი, რაც ჩაინერგა აქტიური ანგარიშის „საქონლის“ დებეტში და გაიზარდა ვალდებულება, რაც ჩაინერგა პასიური ანგარიშის „ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან“ კრედიტში.

სს საქართველო		მთავარი ჟურნალი (ფე)		
თარიღი	დოკ.#	ანგარიშების დასახელება და ტრანზაქციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
01.05.XX	125/17	სალარო	100	
		შემოსავალი		100
		საქონლის გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით		
02.05.XX	12/147	საქონელი	750	
		ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		750
		საქონლის შექმნა შემდგომი გადახდის პირობით		
		და ა.შ.		

მთავარ ჟურნალში ინფორმაცია უნდა ჩაინერგოს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ანუ ჩანაწერები კეთდება თარიღების ჭრილში. აქ თავმოყრილია ყველა ტრანზაქცია, მაგრამ მისი ინფორმაცია არ არის სისტემატიზებული და შესაბამისად, ჟურნალის მონაცემები არ იძლევა ინფორმაციას ბიზნესის გაყიდვების, ფულადი სახსრების, ვალდებულებებისა და სხვათა შესახებ. ამიტომ, ტრანზაქციის რეგისტრაციის შემდეგ, ინფორმაცია მთავარი ჟურნალიდან გადაიტანება „მთავარი წიგნის“ ანგარიშებში.

მთავარი ჟურნალიდან მთავარი წიგნის ანგარიშებში ინფორმაციის გადატანის პროცესს ეწოდება „ანგარიშებში პირველადი გატარება“. „მთავარ წიგნში“ ანგარიშთა გეგმის შესაბამისად დაჯგუფებულად და სისტემატიზებულად წარმოდგენილია ყველა სახის აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების ანგარიშები ნაშთების ჩვენებით.

### მთავარი წიგნი

არის ყველა ანგარიშის ერთობლიობა.

მთავარი წიგნის დანიშნულებაა ანგარიშებში ინფორმაციის დაგროვება და შენახვა.

მთავარ წიგნში გატარებების გაკეთების, ანუ მთავარი ჟურნალიდან მთავარ წიგნში ინფორმაციის გადატანის საილუსტრაციოდ, გამოყენებულია ზემოთ განხილული ორი ტრანზაქცია.

მთავარ წიგნში პირველ ტრანზაქციაზე გაკეთდა გატარება:

დებეტი - სალარო

კრედიტი - შემოსავალი რეალიზაციიდან

ჩანაწერი გაკეთდა ამ ორ ანგარიშში.

მეორე ტრანზაქციაზე გაკეთდა გატარება:

დებეტი - საქონელი

კრედიტი - ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან.

აქაც შესაბამისად, ჩანაწერი გაკეთდა ორ ანგარიშში.

#### მაგალითი 4.6 ტრანზაქციების ასახვა მთავარ წიგნში

მაგალითი 4.5-ის ტრანზაქციები ასახულია მთავარ ჟურნალში და მთავარი წიგნის ანგარიშებში, რისთვისაც გამოყენებულია ანგარიშების არა სასწავლო T-ფორმატი, არამედ ანგარიშების ერთ-ერთი კომპიუტერული ფორმატი.

##### მთავარი ჟურნალი (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვრეჯის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
01.05.	სალარო	100	
	შემოსავალი რეალიზაციიდან		100
	შემოსავალის აღიარება		

##### ანგ. სალარო (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვრეჯის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
01.05.	შემოსავალი რეალიზაციიდან	100		100

##### ანგ. შემოსავალი რეალიზაციიდან (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვრეჯის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
01.05.	სალარო		100	100

**მთავარი ჟურნალი (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ანგარიშის მიზნაღსი	დებეტი	კრედიტი
02.05.	საქონელი	750	
	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		750
	საქონლის შეძენა შემდგომი გადახდის პირობით		

**ანგ. საქონელი (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ანგარიშის მიზნაღსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
02.05.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	750		750

**ანგ. ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ანგარიშის მიზნაღსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
02.05.	საქონელი		750	750

საქონლის შეძენა და ხარჯების აღიარება მოითხოვს ვალდებულებების აღიარებას იმ სუბიექტების მიმართ, ვინც მიანოდა საქონელი ან გაუნია მომსახურება. ვალდებულების აღიარება არის შემდეგ ფულადი სახსრების გადარიცხვის იურიდიული საფუძველი.

**მაგალითი 4.7 ტრანზაქციების ასახვა მთავარ წიგნში**

შპს-ს ივლისის თვეში ტრანზაქციების ჩანაწერების გადატანა მთავარი ჟურნალიდან მთავარ წიგნში დღეების მიხედვით:

01.07. დამფუძნებელთა ფულადი შენატანები საბანკო ანგარიშზე 1,500 ფე:

**მთავარი ჟურნალი (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ანგარიშის მიზნაღსი	დებეტი	კრედიტი
01.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,500	
	სანესდებო კაპიტალი		1,500
	დამფუძნებლების ფულადი შენატანები		

**ანგ. ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ანგარიშის მიზნაღსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
01.07.	სანესდებო კაპიტალი	1,500		1,500

ანგ. სანესდებო კაპიტალი (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვეწარჯიის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
01.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1,500	1,500

02.07. შეძენილია საქონელი, ღირებულება დაითვარა საბანკო გადარიცხვით 700 ფე.  
ამ ტრანზაქციით ჯერ აღიარდება საქონელი და ვალდებულება, შემდეგ მისი დაფარვა.

მთავარი ჟურნალი (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვეწარჯიის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
02.07.	საქონელი	700	
	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		700
	საქონლის შეძენა და ვალდებულების აღიარება		
02.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	700	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		700
	ვალდებულების დაფარვა		

ანგ. საქონელი (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვეწარჯიის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
02.05.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	700		700

ანგ. ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვეწარჯიის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
02.05.	საქონელი		700	700
02.05.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	700		0

ანგ. ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვეწარჯიის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
01.05.	სანესდებო კაპიტალი	1,500		1,500
02.05.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		700	800

03.07. საქონლის გაყიდვა შემდგომი გადახდის პირობით 350 ფე. გაყიდული საქონლის თვითღირებულება - 250 ფე.

ამ ტრანზაქციით აღიარდება მოთხოვნა და შემოსავალი, ასევე ჩამოიწერება (თვითღირებულებით და ხარჯად აღიარდება) გაყიდული საქონელი. აღნიშნული ტრანზაქციები გადავითანოთ მთავარ ჟურნალში.

**მთავარი ჟურნალი (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
03.07	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	350	
	შემოსავალი რეალიზაციიდან		350
	საქონლის გაყიდვა შემდგომი გადახდის პირობით		
03.07.	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250	
	საქონელი		250
	გაყიდული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა		

**ანგ. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
03.07.	შემოსავალი რეალიზაციიდან	350		350

**ანგ. შემოსავალი რეალიზაციიდან (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
03.07.	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		350	350

**ანგ. საქონელი (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
02.07.	ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	700		700
03.07.	გაყიდული საქონლის თვითღირებულება		250	450

**ანგ. გაყიდული საქონლის თვითღირებულება (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
03.07.	საქონელი	250		250

04.07. საბანკო ანგარიშიდან გადარიცხულია იჯარის ქირა 100 ფე;  
გადახდამდე აღიარდება იჯარის ხარჯი და ვალდებულება, შემდეგ - ვალდებულების დაფარვა.

**მთავარი ჟურნალი (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიხედვით	დებიტი	კრედიტი
04.07.	იჯარის ხარჯები	100	
	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		100
	იჯარის ხარჯის აღიარება		
04.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	100	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		100
	ვალდებულების დაფარვა		

**ანგ. იჯარის ხარჯები (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიხედვით	დებიტი	კრედიტი	ნაშთი
04.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	100		100

**ანგ. ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიხედვით	დებიტი	კრედიტი	ნაშთი
02.07.	საქონელი		700	700
02.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	700		0
04.07.	იჯარის ხარჯები		100	100
04.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	100		0

**ანგ. ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიხედვით	დებიტი	კრედიტი	ნაშთი
01.07.	საწესდებო კაპიტალი	1,500		1,500
02.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		700	800
04.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		100	700

05.07. დებიტორებისაგან ფულადი სახსრების ჩარიცხვა საბანკო ანგარიშზე 100 ფე:

მთავარი ჟურნალი (ფე)

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებიტე	კრედიტი
05.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	100	
	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		100
	დებიტორებისაგან ფულის მიღება		

ანგ. ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ფე)

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებიტე	კრედიტი	ბალანი
01.07.	სანესდებო კაპიტალი	1,500		1,500
02.07.	ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		700	800
04.07.	ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		100	700
05.07.	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	100		800

ანგ. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (ფე)

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებიტე	კრედიტი	ბალანი
03.07.	შემოსავალი რეალიზაციიდან	350		350
05.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		100	250

06.07. ხელფასის გაცემა 170 ფე:

ხელფასის გაცემემდე აღიარდება ხელფასის ხარჯი შესაბამისი ვალდებულებით (გადასახდელი ხელფასი) და შემდეგ ვალდებულების დაფარვა.

მთავარი ჟურნალი (ფე)

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებიტე	კრედიტი
06.07.	შრომის ანაზღაურების ხარჯები	170	
	გადასახდელი ხელფასები		170
	დარიცხულია ხელფასი		
06.07.	გადასახდელი ხელფასები	170	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		170
	გაცემულია ხელფასი		

**ანგ. ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიზანობა	დებიტო	კრედიტო	ნაშთი
01.07.	საწესდებო კაპიტალი	1,500		1,500
02.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		700	800
04.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		100	700
05.07.	მოთხოვნები მინოდებიდან და მომსახურებიდან	100		800
06.07.	გადასახდელი ხელფასები		170	630

**ანგ. შრომის ანაზღაურების ხარჯები (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიზანობა	დებიტო	კრედიტო	ნაშთი
06.07.	გადასახდელი ხელფასები	170		170

**ანგ. გადასახდელი ხელფასები (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიზანობა	დებიტო	კრედიტო	ნაშთი
06.07.	შრომის ანაზღაურების ხარჯები		170	170
06.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	170		0

07.07. კომპიუტერების შეძენა საბანკო გადარიცხვით 210 ფე.

აღიარდება კომპიუტერების შეძენა და ვალდებულება, შემდეგ ვალდებულების დაფარვა.

**მთავარი ჟურნალი (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიზანობა	დებიტო	კრედიტო	ნაშთი
07.07.	ოფისის აღჭურვილობა	210		
	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან			210
	კომპიუტერების შეძენა			
07.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	210		
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში			210
	ვალდებულების დაფარვა			

**ანგ. ოფისის აღჭურვილობა (ფე)**

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის მიზანობა	დებიტო	კრედიტო	ნაშთი
07.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	210		210

ანგ. ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვითრეზერვის მიზნობრივი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
01.07.	სანესდებო კაპიტალი	1,500		1,500
02.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		700	800
04.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		100	700
05.07.	მოთხოვნები მონოდებიდან და მომსახურებიდან	100		800
06.07.	გადასახდელი ხელფასები		170	630
07.07.	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		210	420

ანგ. ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან (ფე)

თარიღი	ანგარიშები და თვითრეზერვის მიზნობრივი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
02.07.	საქონელი		700	700
02.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	700		0
04.07.	იჯარის ხარჯები		100	100
04.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	100		0
07.07.	ოფისის აღჭურვილობა		210	210
07.07.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	210		0

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ მთავარი ჟურნალისაგან განსხვავებით, მთავარ წიგნში ანგარიშები სისტემატიზებულია და სანარმოს მენეჯმენტს აქვს ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ნაშთების შესახებ.

მთავრი წიგნის ანგარიშებში ჩანანერის გაკეთებით  
**ინყება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების პროცესი.**

აღიარება გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას ფინანსურ ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

**ჟურნალების ავტომატიზებული წარმოება**

მოტანილ მაგალითში გამარტივების მიზნით ყველა სახის ტრანზაქცია ინერებოდა ერთ მთავარ ჟურნალში. პრაქტიკაში მთავარი ჟურნალისა და მთავარი წიგნის წარმოების პროცესი კომპიუტერიზირებულია და პირველადი საბუთების ინფორმაციის გადატანა მთავარ ჟურნალში საკმარისია, რათა ის ავტომატიზებულად იმპორტირებული (კოპირებული) იქნეს მთავარი წიგნის შესაბამის ანგარიშგებაში.

კომპიუტერული აღრიცხვის ერთ-ერთი პროგრამის მთავარი ჟურნალი ასე გამოიყურება:

General Journal						
	Date	Description	Post Ref	Debit	Credit	
1-Jul	Cash	101	20,000.00			1
	Smith Capital	301		20,000.00		2
	Owner investment					3
						4
	Accounts Receivable		500.00			5
	Fees Income			500.00		6
	Performed Services on account					7
						8
	Equipment		10,000.00			9
	Accounts Payable			10,000.00		10
	Purchased Equipment on Account					11
						12
	Cash		250.00			13
	Accounts Receivable			250.00		14
	Received cash from charge acct customer					15
						16
	Accounts Payable		150.00			17
	Cash			150.00		18
	Made payment on debt for Equipment					19
						20

ტრანზაქციები ძირითადად დაკავშირებულია შესყიდვების, გაყიდვების, ფულადი საშუალებების მოძრაობასთან. პრაქტიკაში სანარმოს სასაწყობო მეურნეობის, სასაქონლო და ფულადი ტრანზაქციების აღრიცხვის კომპიუტერული უზრუნველყოფა ხშირ შემთხვევაში ინარმოვებს განცალკევებულ პროგრამულ ჟურნალებში - შესყიდვების, გაყიდვების, ფულადი საშუალებების და სხვა სპეციალურ ჟურნალებში. პირველადი დოკუმენტების რეკვიზიტების (მონაცემების) რეგისტრაციით შესაბამის ჟურნალში ავტომატიზებულად კეთდება ჩანაწერი ანგარიშებში. მაგალითად, გაყიდულ საქონელზე პორტალში ატვირთული სასაქონლო ზედნაღების რეკვიზიტების საფუძველზე (ნომერი, თარიღი, მყიდველის საიდენტიფიკაციო კოდი, საქონლის კოდი, რაოდენობა, ფასი) კომპიუტერული პროგრამით იდენტიფიცირდება მყიდველი და გაყიდული საქონელი, ინფორმაცია ავტომატიზებულად გადაიტანება შესაბამის ანგარიშებში. კერძოდ, მყიდველის საიდენტიფიკაციო კოდის საფუძველზე პროგრამა ზრდის კონკრეტული მყიდველის ანგარიშს (დებეტი - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) და ზრდის რეალიზაციის ანგარიშს (კრედიტი - შემოსავალი რეალიზაციიდან); სასაქონლო კოდის საფუძველზე ავტომატიზებულად ჩამოინერება კონკრეტული სახეობის საქონელი და აღიარდება ხარჯად (დებეტი - გაყიდული საქონლის თვითღირებულება და კრედიტი - საქონელი).

ერთ-ერთი კომპიუტერული პროგრამის მთავარი წიგნის მარაგების ანგარიში ასე გამოიყურება:

	A	B	C	D	E	F	G	H
1	Order ID	Product	Unit Price	Quantity				
2	10247	Apples	\$14.00	12				
3	10249	Oranges	\$9.80	10				
4	10250	Bananas	\$34.80	5				
5	10251	Pears	\$18.60	9				
6	10252	Grapes	\$42.30	40				
7								

### მთავარი წიგნის პირადი ანგარიშები

ტრანზაქციები დაკავშირებულია დიდი მოცულობის ინფორმაციასთან. მენეჯმენტს ტრანზაქციებზე დაკვირვებისა და ანალიზისათვის ესაჭიროება სხვადასხვა დონით დეტალიზებული ინფორმაცია. დეტალიზებული ინფორმაციის ასახვა და შენახვა შესაძლებელია მთავარი წიგნის ანგარიშების პირად ანგარიშებზე (ქვეანგარიშებზე).

#### პირადი ანგარიშები (PERSONAL ACCOUNTS)

არის ანგარიშების ყველაზე დაბალი იერარქიული დონე.

პირადი ანგარიშებით ხდება მთავარი წიგნის ანგარიშების დაყოფა დეტალიზების ნიშნით (ჭრილში). სხვადასხვა ანგარიშებს ესაჭიროებათ დეტალიზაციის სხვადასხვა დონე. მაგალითად, მარაგების აღრიცხვაში ინფორმაციის დეტალიზების იერარქიაში შესაძლებელია იყოს სამი დონე - სანყოფი, მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, მარაგის ნომენკლატურული ნომერი; დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ანგარიშებში დეტალიზება შესაძლებელია კონტრაგენტებისა და ხელშეკრულებების მიხედვით.

კომპიუტერული აღრიცხვის პირობებში ტრანზაქციები თავდაპირველად ფიქსირდება მთავარი წიგნის პირად ანგარიშებზე, სადაც აისახება ტრანზაქციების დეტალური ინფორმაცია. მაგალითად, მყიდველებთან წარმოებული ტრანზაქციები ჩაინერება და გროვდება პირად ანგარიშზე, სადაც არის დეტალური ინფორმაცია თუ როდის, რა საბუთით და რა

თანხის შენაძენი განახორციელეს მათ, რამდენი და როდის გადაიხადეს და რამდენი დარჩათ გადასახდელი. მყიდველების პირადი ანგარიშების შეჯამებით მიიღება მთავარი წიგნის ანგარიშის ნაშთები, რომელიც გადაიტანება ბალანსში.

#### მაგალითი 4.8 მთავარი წიგნის პირადი ანგარიშები.

კომპიუტერული ტექნიკის მოვაჭრე კომპანიის ინფორმაცია ერთი დღის პლანშეტების გაყიდვების შესახებ:

თარიღი	ფაქტურა #	მყიდველების პირადი ანგარიში	მყიდველები	საქონლის მტრისჯიდი	თანა (დე)
24.05.	145/18	1410055	შპს მაგნოლია	486010716005	145
24.05.	155/18	1410054	შპს თოლია	690125665789	63
24.05.	229/18	1410225	სს ჩიორა	475180145887	158
					366

კომპანია პლანშეტების გაყიდვიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს აღრიცხავს მთავარი წიგნის ანგარიშზე #14100, ხოლო მისი პირადი ანგარიშები აგებულია კონტრაგენტების მიხედვით: შპს „მაგნოლიას“ მიენიჭა ნომერი 55, შპს „თოლიას“ - 54, სს „ჩიორას“ - 25. კომპანია პლანშეტების გაყიდვებს აღრიცხავს ანგარიშზე # 6110007.

ტრანზაქციები შემდგენაირად ჩაინერება მთავარი წიგნის დებიტორული დავალიანების პირად ანგარიშებში:

დებეტი - 1410055 შპს მაგნოლია	145
დებეტი - 1410054 შპს თოლია	63
დებეტი - 1410025 სს ჩიორა	158
კრედიტი - 6110007 შემოსავალი რეალიზაციიდან	366

პირადი ანგარიშების ერთ-ერთი ფორმატი ასე გამოიყურება:

შპს მაგნოლია				ანგ. 1410055		
თარიღი	ფაქტურა	საქონლის მტრისჯიდი	საქონლის დოსახელება	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
24.05.	145/18	486010716005	პლანშეტი	145		145

შს თიდა						ანგ. 14/10054
თარიღი	დაქტურა	საქონლის შტრიხი	საქონლის დასახელება	დებიტეტი	კრედიტი	ნაშთი
24.05.	155/18	690125665789	პლანშეტი	63		63

სს ჩიორა						ანგ. 14/10025
თარიღი	დაქტურა	საქონლის შტრიხი	საქონლის დასახელება	დებიტეტი	კრედიტი	ნაშთი
24.05.	229/18	475180145887	პლანშეტი	158		158

კომპანიის მიერ გამოყენებული კომპიუტერული პროგრამით მთავარი წიგნის დებიტორული დავალიანების ანგარიშის ნაშთი მიიღება პირადი ანგარიშების ნაშთების შეჯამებით და ბალანსში აისახება 366 ფე.

მთავარი წიგნის ანგარიშები ასახავენ ყველა ტრანზაქციის აგრეგირებულ (ნაერთ) შედეგს, ამდენად, არის შემაჯამებელი ანგარიშები. მთავარი წიგნის ანგარიშების ნაშთები და პირადი ანგარიშების ნაშთების ჯამი უნდა იყოს ტოლი.

მთავარი წიგნის ანგარიშები არის ზედა დონის ანგარიშები, ხოლო პირადი ანგარიშები - ქვედა დონის ანგარიშები. ქვედა დონის ანგარიშები მთავარი წიგნის იმ ანგარიშებს აქვთ, რომელთა შესახებ ინფორმაცია ესაჭიროება მენეჯმენტს. ამ ანგარიშების ინფორმაცია გამოიყენება როგორც მართვის ინსტრუმენტი - ის იძლევა დამატებით ინფორმაციას ანალიზური აღრიცხვისთვის (Analytical Accounting), რაც ეხმარება მენეჯერებს გადანაცვლების მიღების პროცესში. ამიტომ პირად ანგარიშებს ზოგჯერ ანალიზურ ან მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებსაც უწოდებენ. ესენია შემოსავლებისა და ხარჯების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების, მარაგების ანგარიშები და მრავალი სხვა.

# კითხვები განსჯისათვის

## 4.1 ტრანზაქციები და სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობა

1. როგორ გესმით ტრანზაქცია?
2. რა არის ფინანსური ტრანზაქცია?
3. რა არის არაფინანსური ტრანზაქციები?
4. რა არის მოვლენა (აღრიცხვის მიზნებისათვის)?
5. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ტრანზაქციის ოთხი ძირითადი ტიპი.
6. დაახასიათეთ ტრანზაქციის ორმხრივობა.
7. დაახასიათეთ სააღრიცხვო ტოლობა.
8. დაახასიათეთ ტრანზაქციებით გამოწვეული ბალანსის ელემენტების ოთხი ტიპის ცვლილება.
9. რომელ საბალანსო ცვლილებას მიაკუთვნებთ საქონლის შეძენას ნაღდი ანგარიშსწორებით?
10. ახსენით ტრანზაქციების გავლენა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებზე.

## 4.2. ტრანზაქციების ჩანერა ანგარიშებში

11. რას ნიშნავს „აღრიცხვა“?
12. რას ნიშნავს „სააღრიცხვო ჩანაწერი“?
13. რა არის ანგარიშები?
14. რა დანიშნულება აქვთ ანგარიშებს?
15. დაახასიათეთ ანგარიშების აგებულება (ვიზუალური მხარე).
16. რას ნიშნავს ანგარიშის დებეტის მხარე?
17. რას ნიშნავს ანგარიშის კრედიტის მხარე?
18. რა ტიპის ანგარიშები არსებობს?
19. რას ნიშნავს „დებეტი“?
20. რა იწერება ანგარიშების დებეტში?
21. რას ნიშნავს „კრედიტი“?
22. რა იწერება ანგარიშების კრედიტში?
23. რომელია აქტიური ანგარიშები?
24. დაახასიათეთ აქტიური ანგარიშები?
25. რომელია პასიური ანგარიშები?
26. დაახასიათეთ პასიური ანგარიშები.
27. რომელია მუდმივი ანგარიშები?
28. რომელია დროებითი ანგარიშები?
29. რას ნიშნავს ორადი ჩანერის მეთოდი?

30. ახსენით ორადი ჩანერის საფუძველი.
31. როგორი ნაშთი აქვს აქტიურ ანგარიშებს?
32. როგორი ნაშთი აქვს პასიურ ანგარიშებს?
33. როგორ განისაზღვრება აქტიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი?
34. როგორ განისაზღვრება პასიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი?
35. დაახასიათეთ ანგარიშთა გეგმა და მისი დანიშნულება.
36. საქონლის შეძენა საქონლის ანგარიშის რომელ მხარეზე ჩაინერება ?
37. სალაროდან ფულის გადახდა სალაროს ანგარიშის რომელ მხარეზე ჩაინერება?
38. საქონლის გაყიდვა საქონლის ანგარიშის რომელ მხარეზე ჩაინერება?
39. იჯარის ხარჯის აღიარება იჯარის ხარჯის ანგარიშის რომელ მხარეზე ჩაინერება?
40. შემოსავლების აღიარება შემოსავლების ანგარიშის რომელ მხარეზე ჩაინერება?
41. დებიტორული დავალიანების აღიარება დებიტორული დავალიანების ანგარიშის რომელ მხარეზე ჩაინერება?
42. დებიტორული დავალიანების დაფარვა ამ ანგარიშის რომელ მხარეზე ჩაინერება?
43. კრედიტორული დავალიანების დაფარვა ამ ანგარიშის რომელ მხარეზე ჩაინერება?
44. რომელ ანგარიშებში ჩაინერება ავტომატურად შექმნა შემდგომი გადახდის პირობით?
45. რომელ ანგარიშებში ჩაინერება საქონლის შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით?
46. რომელ ანგარიშებში ჩაინერება იჯარის დარიცხვა?
47. რომელ ანგარიშებში ჩაინერება იჯარის გადახდა?
48. რომელ ანგარიშებში ჩაინერება ხელფასის ხარჯის დარიცხვა?
49. რომელ ანგარიშებში ჩაინერება გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით?
50. რომელ ანგარიშებში ჩაინერება გაყიდვები შემდგომი გადახდის პირობით?
51. რომელ ანგარიშებში ჩაინერება კრედიტორული დავალიანების დაფარვა?
52. რა გატარებით ჩაინერება საქონლის შეძენა შემდგომი გადახდის პირობით?
53. რა გატარებით ჩაინერება საქონლის შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით?
54. რა გატარებით ჩაინერება საქონლის გაყიდვა შემდგომი გადახდის პირობით?
55. რა გატარებით ჩაინერება დებიტორული დავალიანების დაფარვა?
56. რა გატარებით ჩაინერება გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით?
57. რა გატარებით ჩაინერება კრედიტორული დავალიანების დაფარვა?
58. რა გატარებით ჩაინერება იჯარის ხარჯის დარიცხვა?
59. რა გატარებით ჩაინერება ხელფასის ხარჯის დარიცხვა?
60. რა გატარებით ჩაინერება ხელფასის გაცემა?
61. რა გატარებით ჩაინერება გაყიდული საქონლის ხარჯად აღიარება (ჩამონერა)?
62. რა გატარებით ჩაინერება დივიდენდის დარიცხვა?
63. რა გატარებით ჩაინერება დივიდენდის გადახდა?

#### 4.3. ტრანზაქციების ჩანერა მთავარ ჟურნალსა და მთავარ წიგნში

64. რა არის სააღრიცხვო ციკლი?
65. ჩამოთვალეთ სააღრიცხვო ციკლის ეტაპები.
66. რა არის პირველადი დოკუმენტები?
67. განიხილეთ რამდენიმე პირველადი დოკუმენტი.
68. რას გულისხმობს ტრანზაქციის იდენტიფიცირება?
69. რას ნიშნავს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება?
70. რა არის მთავარი ჟურნალის დანიშნულება?
71. რას ნიშნავს პირველადი გატარებების მთავარი ჟურნალი/ რეგისტრაციის ჟურნალი?
72. როგორ გესმით ტრანზაქციის ჩანერა მთავარ ჟურნალში?
73. რა არის მთავარი წიგნი?
74. რა დანიშნულება აქვს მთავარ წიგნს?
75. რით განსხვავდება მთავარი წიგნი მთავარი ჟურნალისაგან?
76. როგორ გესმით მთავარი წიგნის ჩანაწერი: დებეტი - საქონელი კრედიტი - კრედიტორული დავალიანება?
77. როგორ გესმით მთავარი წიგნის ჩანაწერი: დებეტი - კრედიტორული დავალიანება კრედიტი - ფული?
78. როგორ გესმით მთავარი წიგნის ჩანაწერი: დებეტი - იჯარის ხარჯები კრედიტი - კრედიტორული დავალიანება?
79. როგორ გესმით მთავარი წიგნის ჩანაწერი: დებეტი - მოთხოვნები მიწოდებიდან კრედიტი - შემოსავალი?
80. როგორ გესმით მთავარი წიგნის ჩანაწერი: დებეტი - გადასახდელი ხელფასები კრედიტი - ფული?
81. როგორ იდენტიფიცირებას გაუკეთებდით შემდეგ ტრანზაქციას: შექმნილია ავეჯი საბანკო გადარიცხვით?
82. როგორ იდენტიფიცირებას გაუკეთებდით შემდეგ ტრანზაქციას: შექმნილია მიწის ნაკვეთი საბანკო გადარიცხვით?
83. როგორ იდენტიფიცირებას გაუკეთებდით შემდეგ ტრანზაქციას: მიღებულია ტელეფონის გადასახადის ქვითარი?
84. როგორ იდენტიფიცირებას გაუკეთებდით შემდეგ ტრანზაქციას: დებიტორებისაგან მიღებულია ფულადი სახსრები?
85. როგორ იდენტიფიცირებას გაუკეთებდით შემდეგ ტრანზაქციას: საბანკო გადარიცხვით დაიფარა კრედიტორული დავალიანება?
86. როგორ გესმით ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების პროცესი?
87. რა უპირატესობები აქვს აღრიცხვის კომპიუტერიზებას?
88. რა შემთხვევაშია შესაძლებელი გაყიდული საქონლის ღირებულების დადგენა გაყიდვის მომენტში?

89. რა დანიშნულება აქვთ პირად (ანალიზურ) ანგარიშებს?
90. განიხილეთ რომელიმე პირადი ანგარიში

## სავარჯიშოები

### 4.1 ტრანზაქციები და სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობა

#### სავარჯიშო 1. ტრანზაქციების იდენტიფიცირება

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე მოახდინეთ ტრანზაქციების იდენტიფიცირება:

1. ბიზნესის მფლობელი სანარმოს ფულით ყიდულობს მინის ნაკვეთს საკუთარი სახლის ასაშენებლად;
2. საბანკო გადარიცხვით შეძენილია მასალები პროდუქციის სანარმოებლად;
3. მფლობელის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილია კომპიუტერი საკუთარი მოხმარებისათვის;
4. ბიზნესის საჭიროებისათვის აღებულია სესხი.

#### სავარჯიშო 2. ტრანზაქციების იდენტიფიცირება

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე მოახდინეთ სავაჭრო სანარმოს ტრანზაქციების იდენტიფიცირება:

1. ბიზნესის მფლობელი ყიდულობს სანარმოს ფულით მინის ნაკვეთს ახალი საამქროს ასაშენებლად;
2. ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილია საქონელი სარეალიზაციოდ;
3. ნაღდი ანგარიშსწორებით გაიყიდა საქონელი;
4. თანამშრომელმა საკუთარი სახსრებით გაიარა საკვალიფიკაციო სწავლება.

#### სავარჯიშო 3. ტრანზაქციები და სააღრიცხვო (საბალანსო) ტოლობა

მოიყვანეთ მაგალითები, როდესაც:

1. ერთი აქტივი იზრდება და მეორე მცირდება;
2. მცირდება აქტივი და მცირდება კაპიტალი;
3. იზრდება აქტივი და იზრდება კაპიტალი;
4. იზრდება აქტივი და იზრდება ვალდებულებები;
5. მცირდება აქტივი და მცირდება ვალდებულებები.

#### **სავარჯიშო 4. ტრანზაქციების გავლენა კაპიტალზე**

რა გავლენას მოახდენს კაპიტალის სიდიდებზე შემდეგი ტრანზაქციები:

1. შემოსავალმა შეადგინა 100 ფე;
2. ხარჯებმა შეადგინა 70 ფე;
3. დებიტორმა დატარა დავალიანება 20 ფე;
4. დაიფარა კრედიტორული დავალიანება 55 ფე.

#### **სავარჯიშო 5. ტრანზაქციები და საბალანსო (საბალანსო) ტოლობა**

რა გავლენას მოახდენს ტრანზაქციები საბალანსო ტოლობაზე:

1. შექმნილია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 135 ფე;
2. გაყიდულია საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით 170 ფე;
3. გაყიდული საქონლის თვითღირებულებაა 80 ფე;
4. გადახდილია დირექტორის ხელფასი 75 ფე.

#### **სავარჯიშო 6. ტრანზაქციების ანალიზი**

რა გავლენას მოახდენს შემდეგი ტრანზაქციები სანარმოს აქტივებზე:

1. აღებულია სესხი 200 ფე;
2. გაყიდულია საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით 400 ფე;
3. გაყიდული საქონლის თვითღირებულებაა 250 ფე;
4. გადასახდელია ინტერნეტმომსახურების ღირებულება 32 ფე.

#### **სავარჯიშო 7. ტრანზაქციების ანალიზი**

რა გავლენას მოახდენს შემდეგი ტრანზაქციები სანარმოს ვალდებულებებზე:

1. აღებულია სესხი 100 ფე;
2. გაყიდულია საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით 180 ფე, რომლის თვითღირებულებაა 100 ფე;
3. გადასახდელია ინტერნეტმომსახურების ღირებულება 50 ფე;
4. გაიყიდა საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 200 ფე, რომლის თვითღირებულებაა 160 ფე.

#### **სავარჯიშო 8. ტრანზაქციების ანალიზი**

რა გავლენას მოახდენს შემდეგი ტრანზაქციები სანარმოს აქტივებზე:

1. აღებულია სესხი 200 ფე;
2. გაყიდულია საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით 400 ფე, რომლის თვითღირებულებაა 350 ფე;

3. გადასახდელია ინტერნეტმომსახურების ღირებულება 32 ფე;
4. ავტომანქანა, რომლის ღირებულება 180 ფე, გაიყიდა შემდგომი გადახდის პირობით 200 ფე.

### **სავარჯიშო 9. ტრანზაქციების ანალიზი**

რა გავლენას მოახდენს შემდეგი ტრანზაქციები სანარმოს ვალდებულებებზე:

1. გაყიდულია საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით 180 ფე, რომლის თვითღირებულება 100 ფე;
2. დაიფარა სესხი 50 ფე;
3. გადასახდელია ინტერნეტმომსახურების ღირებულება 70 ფე;
4. გაიყიდა საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 200 ფე, რომლის თვითღირებულებაა 60 ფე.

### **სავარჯიშო 10. ტრანზაქციების ანალიზი**

რა გავლენას მოახდენს შემდეგი ტრანზაქციები სანარმოს ფულად სახსრებზე:

1. გაყიდულია საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით 200 ფე;
2. აღებულია სესხი 250 ფე;
3. გადასახდელია დირექტორის ხელფასი 50 ფე;
4. გაიყიდა საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 200 ფე.

### **სავარჯიშო 11. ტრანზაქციების ანალიზი**

რა გავლენას მოახდენს შემდეგი ტრანზაქციები სანარმოს ფულად სახსრებზე:

1. დაიფარა სესხი 250 ფე;
2. გაიყიდა საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით 200 ფე;
3. გადასახდელია დასუფთავების მომსახურების ღირებულება 50 ფე;
4. გაიყიდა საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 200 ფე.

## **4.2 ტრანზაქციების ჩანერა ანგარიშებში**

### **სავარჯიშო 12 . ანგარიშები**

დაასახელეთ შემდეგი ტრანზაქციების აღრიცხვისათვის საჭირო ანგარიშები:

1. შემდგომი გადახდის პირობით შექნილია საქონელი;
2. ნაღდი ანგარიშსწორებით გაიყიდა საქონელი;
3. საბანკო გადარიცხვით დაიფარა კრედიტორული დავალიანება;
4. საბანკო გადარიცხვით დებიტორმა დაფარა ვალი.

### **სავარჯიშო 13 . ანგარიშები**

დაასახელეთ შემდეგი ტრანზაქციების აღრიცხვისათვის საჭირო ანგარიშები:

1. ნაღდი ანგარიშსწორებით შექნილია საქონელი;
2. შემდგომი გადახდის პირობით გაიყიდა საქონელი;
3. დაიფარა სახელფასო ვალდებულება;
4. დარიცხულია იჯარის ქირა.

### **სავარჯიშო 14. ანგარიშები**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ანგარიშებია მუდმივი:

1. ავტომანქანა და მიწის ნაკვეთი;
2. იჯარის ხარჯი და კომპიუტერი;
3. საქონელი და შემოსავალი;
4. ბანკი და ხელფასის ხარჯი.

### **სავარჯიშო 15 . ანგარიშები**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ანგარიშებია დროებითი:

1. ავტომანქანა და შემოსავალი;
2. იჯარის ხარჯი და შემოსავალი;
3. საქონელი და შემოსავალი;
4. სალარო და ხელფასის ხარჯი.

### **სავარჯიშო 16. ორადი ჩანერა**

საწარმოს მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები (ანგარიშსწორება ხორციელდება საბანკო გადარიცხვებით):

1. ბიზნესის დამფუძნებლის მიერ კაპიტალის სახით ინვესტირებულია 800 ფე;
2. საბანკო გადარიცხვით შექნილია სასაწყობო აღჭურვილობა 350 ფე;
3. შემდგომი გადახდის პირობით შექნილია საქონელი 220 ფე;
4. დაფარულია კრედიტორული დავალიანება 100 ფე.

T-ანგარიშებზე ასახეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

### **სავარჯიშო 17. ორადი ჩანერა**

საწარმოს მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები:

1. ბიზნესის დამფუძნებლის მიერ საბანკო გადარიცხვებით კაპიტალის სახით ინვესტირებულია 600 ფე;
2. შემდგომი გადახდის პირობით შექნილია საქონელი 250 ფე;

3. გადასახდელია (დარიცხულია) ხელფასი 220 ფე;

4. გაცემულია ხელფასი 170 ფე.

T-ანგარიშებში ჩანერეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

### სავარჯიშო 18. ორადი ჩანერა

სანარმოს მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები:

1. ბიზნესის დამფუძნებლის მიერ საბანკო გადარიცხვებით კაპიტალის სახით ინვესტირებულია 500 ფე;
2. საბანკო გადარიცხვით შეძენილია საოფისე აღჭურვილობა 190 ფე;
3. გადასახდელია (დარიცხულია) იჯარის ქირა 80 ფე;
4. გადასახდელია (დარიცხულია) ხელფასი 100 ფე.

T-ანგარიშებში ჩანერეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

### სავარჯიშო 19. ორადი ჩანერა

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე ჩანერეთ T-ანგარიშებში ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

ნაშთები 01.01	ფე
ბანკი	800
საქონელი	200
მოტოხოვნები	100
კაპიტალი	700
სავაჭრო კრედიტორული დავალიენება	400

სანარმოს იანვრის თვის ტრანზაქციები:

04.01. შეძენილია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 350 ფე;

15.01. საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა გაყიდული საქონლის ღირებულება 500 ფე, რომლის თვითღირებულებაა 300 ფე;

25.01. საიჯარო ვალდებულების დასაფარავად გადარიცხულია 150 ფე;

30.01. აუდიტორული კომპანიის მომსახურების ვალდებულების დასაფარავად გადარიცხულია 250 ფე.

### სავარჯიშო 20. ორადი ჩანერა

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე T-ანგარიშებში ჩანერეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

ნაშთები 01.03	ფე
ბანკი	800
დებიტორული დავალიანება	100
კაპიტალი	500
კრედიტორული დავალიანება	400

სანარმოს მარტის თვის ტრანზაქციები:

03.03. შემდგომი გადახდის პირობით განეულია მომსახურება 400 ფე;

06.03. დარიცხულია და გადარიცხულია იჯარის ქირა 150 ფე;

15.03. დარიცხულია შრომის ანაზრაურების ხარჯები 200 ფე;

22.03. აუდიტორული კომპანიის მომსახურების ვალდებულების დასაფარავად გადარიცხულია 250 ფე.

### სავარჯიშო 21. ორადი ჩანერა

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე T-ანგარიშებში ჩანერეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

ნაშთები 01.04.	ფე
ფულადი სახსრები	450
საქონელი	200
მოთხოვნები	100
კაპიტალი	550
კრედიტორული დავალიანება	100
ვალდებულება გასაცემი ხელფასებით	100

სანარმოს მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები:

02.04. შემდგომი გადახდის პირობით შექნილია საქონელი 150 ფე;

06.04. შემდგომი გადახდის პირობით გაყიდულია საქონელი 400 ფე, რომლის თვითღირებულებაა 200 ფე;

27.04. საბანკო გადარიცხვით დაიფარა საიჯარო ვალდებულება 50 ფე;

29.04. საბანკო გადარიცხვით შექნილია ავტომანქანა 250 ფე.

### სავარჯიშო 22. ორადი ჩანერა

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე T-ანგარიშებში ჩანერეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

ნაშთები 01.05.	ფე
ბანკი	350
მასალები	100
კაპიტალი	180
გადასახდელი იჯარა	150
გადასახდელი ხელფასები	120

სანარმოს მაისის თვის ტრანზაქციები:

05.05. შემდგომი გადახდის პირობით განეულია მომსახურება 470 ფე;

09.05. დახარჯულია მასალები 100 ფე;

11.05. გადახდილია იჯარის ქირა 150 ფე;

13.05. გადახდილია ხელფასი 120 ფე.

### სავარჯიშო 23. ორადი ჩანერა

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე T-ანგარიშებში ჩანერეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

ნაშთები 01.10.	ფე
ბანკი	350
დებიტორული დავალიანება	100
კაპიტალი	450

სანარმოს მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები:

05.10. ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე განეული მომსახურებისათვის 260 ფე;

20.10. აღებულია სესხი ბანკში 200 ფე;

22.10. დარიცხულია და გადარიცხულია კომუნალური მომსახურების ღირებულება 75 ფე;

25.10. დარიცხულია და გადარიცხულია ხელფასი 80 ფე.

### სავარჯიშო 24. ორადი ჩანერა

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე T-ანგარიშებში ჩანერეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

ნაშთები 01.11.	ფე
ბანკი	350
ავტომანქანა	450
კაპიტალი	400
კრედიტორული დავალიანება	200
სესხი	200

საწარმოს ნომბრის თვის ტრანზაქციები:

01.11. საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა განუღლი მომსახურების ღირებულება 300 ფე;

07.11. დაფარულია ბანკის სესხი 100 ფე;

15.11. გადარიცხულია მომავალი წლის პირველი კვარტლის კომუნალური მომსახურების ღირებულება 90 ფე;

18.11 გადარიცხულია მომავალი წლის დაზღვევის პოლისის ღირებულება 80 ფე.

### სავარჯიშო 25. ორადი ჩანერა

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე T-ანგარიშებში ჩანერეთ ტრანზაქციები და განსაზღვრეთ ნაშთები.

ნაშთები 01.12.	ფე
ბანკი	150
შენობა	250
კაპიტალი	300
სესხი	100

საწარმოს დეკემბრის თვის ტრანზაქციები:

01.12. განუღლია მომსახურება 210 ფე, თანხა ჩაირიცხა საბანკო ანგარიშზე;

07.12 საბანკო გადარიცხვით დაფარულია ბანკის სესხი 50 ფე;

21.12. საბანკო გადარიცხვით შეძენილია მიწის ნაკვეთი 190 ფე;

25.12. გადარიცხულია მომავალი წლის დაზღვევის პოლისის ღირებულება 80 ფე.

#### 4.3 ტრანზაქციების ჩანერა მთავარ ჟურნალსა და მთავარ ნიგნში

#### **სავარჯიშო 26. ტრანზაქციების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში.**

1. შექმნილია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 100 ფე;
2. გაყიდულია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 150 ფე;
3. საბანკო გადარიცხვით დაფარულია კრედიტორული დავალიანება 80 ფე;
4. საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა დებიტორებისაგან მიღებული 130 ფე.

#### **სავარჯიშო 27. ტრანზაქციების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში**

1. აღიარდა გადასახდელი ხელფასების ვალდებულება 85 ფე;
2. დაიფარა სახელფასო ვალდებულება 65 ფე;
3. დარიცხულია იჯარის ხარჯი 99 ფე;
4. დაიფარა საიჯარო ვალდებულება 50 ფე.

#### **სავარჯიშო 28. ტრანზაქციების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში**

1. მიღებულია მოხმარებული ელექტროენერჯის ქვითარი 32 ფე;
2. დაიფარა ელექტრომომარაგების ვალდებულება 32 ფე;
3. დაზღვევის პოლისის თანახმად ერთი თვის ხარჯია 15 ფე;
4. დაიფარა სადაზღვევო კომპანიის ვალდებულება 15 ფე.

#### **სავარჯიშო 29. ტრანზაქციების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში**

1. მეიჯარისაგან (მესაკუთრისაგან) მიღებული ინვოისით საიჯარო ქირა შეადგენს 43 ფე;
2. საბანკო გადარიცხვით დაიფარა მეიჯარის (მესაკუთრის) ვალდებულება 43 ფე;
3. საკურიერო სერვისის ღირებულებამ შეადგინა 22 ფე;
4. საბანკო გადარიცხვით დაიფარა საკურიერო მომსახურების ვალდებულება 22 ფე.

#### **სავარჯიშო 30. ტრანზაქციების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში**

1. სარემონტო კომპანიის მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 77 ფე;
2. სარემონტო კომპანიას გადაურიცხეს 55 ფე;
3. მყიდველმა საბანკო ანგარიშზე ჩარიცხა ავანსი 33 ფე;
4. მომწოდებელს გადაურიცხეს ავანსი 67 ფე .

**სავარჯიშო 31. ტრანზაქციების იდენტიფიცირება, რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში და გადატანა მთავარ წიგნში**

ნაშთები თებერვლის თვის დასაწყისში:

ანგარიშები	ფე
სანესდებო კაპიტალი	1,000
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	600
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500
საქონელი	100
მოთხოვნები მონოდებიდან და მომსახურებიდან	700
ოფისის აღჭურვილობა	300

მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები (ყველა ტრანზაქცია განხორციელებულია საბანკო გადარიცხვებით):

1. შეძენილია საქონელი 400 ფე. თანხა გადაირიცხა საბანკო ანგარიშიდან;
2. გაიყიდა საქონელი 550 ფე, თანხა ჩაირიცხა საბანკო ანგარიშზე. გაყიდული საქონლის თვითღირებულებაა 300 ფე;
3. დარიცხულია და გადარიცხულია კომუნალური მომსახურების ხარჯები 150 ფე;
4. დარიცხულია და გადარიცხულია ხელფასი 450 ფე.

**სავარჯიშო 32. ტრანზაქციების იდენტიფიცირება, რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში და გადატანა მთავარ წიგნში**

ნაშთები მარტის თვის დასაწყისში:

ანგარიშები	ფე
სანესდებო კაპიტალი	600
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	300
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500
საქონელი	400

მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები:

1. საბანკო გადარიცხვით შეძენილია საქონელი 200 ფე;
2. შემდგომი გადახდის პირობით გაიყიდა საქონელი 180 ფე. გაყიდული საქონლის თვითღირებულებაა 100 ფე;
3. საბანკო გადარიცხვით დაიფარა კრედიტორული დავალიანება 150 ფე;
4. საბანკო გადარიცხვით დაიფარა დებიტორული დავალიანება 80 ფე.

**სავარჯიშო 33. ტრანზაქციების იდენტიფიცირება, რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში და გადატანა მთავარ ნიგნში.**

ნაშთები აპრილის თვის დასაწყისში (ყველა ტრანზაქცია განხორციელებულია საბანკო გადარიცხვებით) :

ანგარიშები	ფე
სანესდებო კაპიტალი	600
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	200
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	300
გადასახდელი ხელფასები	400
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500
საქონელი	400
მინის ნაკვეთი	200

მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები (ყველა ტრანზაქცია განხორციელებულია საბანკო გადარიცხვებით):

1. შექმნილია საქონელი 300 ფე;
2. სრულად გაიყიდა არსებული საქონელი 800 ფე;
3. დაითარა სახელფასო ვალდებულება 250 ფე;
4. დაითარა დებიტორული დავალიანება 150 ფე.

**სავარჯიშო 34. ტრანზაქციების იდენტიფიცირება, რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში და გადატანა მთავარ ნიგნში**

ნაშთები ნოემბრის თვის დასაწყისში:

ანგარიშები	ფე
სანესდებო კაპიტალი	400
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	200
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	200
გადასახდელი ხელფასები	100
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500

მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები (ყველა ტრანზაქცია განხორციელებულია საბანკო გადარიცხვებით):

1. შეძენილია საკანცელარიო საქონელი 150 ფე;
2. საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა განუელი მომსახურების ღირებულება 400 ფე;
3. დაიფარა სახელფასო ვალდებულება 80 ფე;
4. დაიფარა ინტერნეტმომსახურების ღირებულების ვალდებულება 50 ფე.

**სავარჯიშო 35. ტრანზაქციების იდენტიფიცირება, რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში და გადატანა მთავარ წიგნში.**

ნაშთები დეკემბრის თვის დასაწყისში:

ანგარიშები	ფე
სანესდებო კაპიტალი	210
გადასახდელი ხელფასები	90
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	100
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	200
ავეჯი	100
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	300

მიმდინარე პერიოდის ტრანზაქციები:

1. განუელია რემონტის ხარჯები 250 ფე;
2. საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა ორი თვის შემდეგ გასანევი მომსახურების ღირებულება 750 ფე;
3. საბანკო გადარიცხვით დაიფარა სახელფასო ვალდებულება 90 ფე;
4. საბანკო გადარიცხვით დაიფარა კრედიტორული დავალიანება 450 ფე.



ფინანსური

მოსამზადებელი

კითხვები

დასრულება

5.1 საცდელი ბალანსი და მისი მნიშვნელობა

5.2 მავორეფქტირებელი ვატარებები და საადრიცხვო ცივლის დასრულება

- » ვითხვები განსჯისათვის
- » სავარჯიშოები

მთავარი მიზნის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის საჭიროა დავრწმუნდეთ იმაში, რომ აქამდე ვაკეთებული ყველა ჩანაწერი სწორია და შემდეგ უნდა ვაკეთდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადების დასრულებისათვის საჭირო პროცედურები.

მთავარ წიგნში არსებული ინფორმაციის სისწორეში დასარწმუნებლად და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო საბოლოო პროცედურების განსახორციელებლად ამ თავში წარმოდგენილია:

- » საცდელი ბალანსი და მისი მნიშვნელობა;
- » შეცდომების გასწორება/კორექტირების წესი;
- » ფინანსური ანგარიშგების მომზადების ბოლო ეტაპი - პირველი და მეორე რიგის კორექტირებები.

## 5.1 საცდელი ბალანსი და მისი მნიშვნელობა

მთავარი წიგნის ანგარიშების ნაშთებით მენეჯმენტს აქვს ტრანზაქციების ანალიზისა და შეფასების საშუალება: თუ რამდენი აქვს სანარმოს მისაღები (დებიტორული დავალიანების ნაშთი) და გადასახდელი თანხები (ვალდებულებების ნაშთები), ფულადი სახსრები (სალაროს და საბანკო ანგარიშის ნაშთები), დარჩენილი საქონელი (საქონლის ნაშთი) და სხვა. მთავარი წიგნის ანგარიშების ნაშთებით მზადდება ფინანსური ანგარიშგება. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე მონშდება ორადი გატარებების და მიღებული ნაშთების სისწორე. ამ მიზნით მზადდება საცდელი ბალანსი.

### საცდელი ბალანსი (TRIAL BALANCE)

არის მოცემული თარიღისათვის ანგარიშებზე არსებული ნაშთების სია.

საცდელ ბალანს აქვს სადებეტო და საკრედიტო სვეტი, მათი ჯამების ტოლობით დასტურდება ჩანაწერების სისწორე, ხოლო უტოლობა არის შეცდომების მანიშნებელი. საცდელი ბალანსი არ არის ორადი სისტემის ნაწილი, იგი უბრალოდ გამოიყენება ორად ჩანაწერებში მომხდარი მათემატიკური შეცდომების გამოსავლენად და იმის შესამოწმებლად, რომ ყველა ტრანზაქციისთვის მთავარი წიგნის ერთ ანგარიშზე ჩანერილი სადებეტო თანხა შეესაბამება მასთან დაკავშირებული სხვა ანგარიშის კრედიტს. სადებეტო ნაშთების ჯამი ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს საკრედიტო ნაშთების ჯამს. საცდელი ბალანსი არის ფინანსური მდგომარეობისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადების წინაპირობა.

საცდელი ბალანსის მომზადების პროცედურა ითვალისწინებს შემდეგს:

- 1 >> მთავარი წიგნის ანგარიშების ნაშთების ჩამონათვალს სადებეტო და საკრედიტო სვეტში
- 2 >> სადებეტო და საკრედიტო სვეტების დაჯამებას
- 3 >> ორი სვეტის ჯამების ტოლობის დადასტურებას
- 4 >> კორექტირებებს

## მაგალითი 5.1 საცდელი ბალანსის მომზადება

მეოთხე თავის მაგალითი 4.7-ის მონაცემების მიხედვით საცდელი ბალანსი ასეთი იქნება (ფე):

ანგარიშების დასახელება	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	420	
მოთხოვნები მინოდებიდან და მომსახურებიდან	250	
საქონელი	450	
ოფისის აღჭურვილობა	210	
სანესდებო კაპიტალი შპს-ში		1,500
შემოსავალი რელიზაციიდან		350
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	170	
იჯარის ხარჯები	100	
ჯამი:	1,850	1,850

როდესაც საცდელი ბალანსის ჯამები არ არის ტოლი, მაშინ აშკარაა რომ დაშვებულია შეცდომა, რომელიც შემდეგ გაირკვევა და გამოსწორდება.

საცდელი ბალანსის უტოლობას იწვევენ შემდეგი შეცდომები:  
ჩანაწერის გაკეთება მხოლოდ ერთ ანგარიშში;  
დებეტსა და კრედიტში განსხვავებული ჩანაწერის გაკეთება<sup>1</sup>.

### საცდელი ბალანსი მხოლოდ ადასტურებს

სადებეტო და საკრედიტო ჩანაწერების მათემატიკურ ტოლობას.

<sup>1</sup> Intermediate Accounting, Thirteenth Edition. Donald E.Kieso PH.D., C.P.A (Northern Illinois University DeKalb, Illinois). Jerry J. Weygant, PH.D., C.P.A. (University of Wisconsin Madison, Wisconsin). Terry D.Warfield, PH.D. (University of Wisconsin Madison, Wisconsin), p.80.

## მაგალითი 5.2 საცდელი ბალანსი არ ბალანსდება

მოცემულია სანარმოს საცდელი ბალანსი 1 ნოემბრის მდგომარეობით (ფე)

ანგარიშები	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,526	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	550	
საქონელი	644	
ოფისის აღჭურვილობა	850	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		230
გადასახდელი ხელფასები		380
გრძელვადიანი სესხები		600
სანესდებო კაპიტალი შპს-ში		180
გაუნაწილებელი მოგება		2,000
შემოსავალი რეალიზაციიდან		800
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	330	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	120	
რემონტის ხარჯები	80	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	50	
	<b>4,150</b>	<b>4,190</b>

როგორც ჩანს, საცდელი ბალანსის დებეტების და კრედიტების ჯამი არ არის ტოლი. აღმოჩენილია შემდეგი შეცდომები:

1. საქონლის შეძენა შემდგომი გადახდის პირობით 189 ფე აისახა მხოლოდ საქონლის ანგარიშის დებეტში, საკრედიტო ჩანაწერი არ გაკეთებულა.  
შეცდომის შედეგად არ არის აღიარებული ვალდებულება მიწოდებიდან, რის დასაკორექტირებლად შესაბამისი თანხით უნდა გაკეთდეს ჩანაწერი კრედიტორული დავალიანების ანგარიშის კრედიტში.
2. გადახდილი იჯარის ქირა 200 ფე სწორად აისახა საბანკო ანგარიშის კრედიტში, მაგრამ არ გაკეთებულა სადებეტო ჩანაწერი.  
შეცდომის შედეგად არ არის აღიარებული საიჯარო ვალდებულების შემცირება, რის დასაკორექტირებლად შესაბამისი თანხით უნდა გაკეთდეს ჩანაწერი კრედიტორული დავალიანების ანგარიშის დებეტში.
3. ხელფასის 220 ფე გაცემა სწორად აისახა საბანკო ანგარიშის კრედიტში, მაგრამ გადასახდელი ხელფასის ანგარიშის დებეტში აისახა 120 ფე-ად.  
შეცდომის შედეგად ვალდებულება გასაცემი ხელფასებით 100 ფე (220-120) არის შემცირებული, რის დასაკორექტირებლად შესაბამისი თანხით უნდა გაკეთდეს ჩანაწერი გადასახდელი ხელფასების ანგარიშის დებეტში.

4. საბანკო გადარიცხვებით კომპიუტერების შეძენა 120 ფე აისახა მხოლოდ კომპიუტერების ანგარიშის დებეტში, საკრედიტო ჩანაწერი არ გაკეთებულა.

შეცდომის შედეგად გაზრდილია ფულადი სახსრები, დასაკორექტირებლად საჭიროა ჩანაწერის გაკეთება საბანკო ანგარიშის კრედიტში.

5. საქონლის შეძენა 54 ფე-ად სწორად ჩაინერა საბანკო ანგარიშის კრედიტში, მაგრამ საქონლის ანგარიშის დებეტში ჩაინერა 5 ფე.

შეცდომის შედეგად 49 ფე-ით (54-5) შემცირებულია საქონელი. დასაკორექტირებლად საჭიროა ამ თანხით სადებეტო ჩანაწერის გაკეთება საქონლის ანგარიშში.

გაკეთებული შესაბამისი კორექტირებების შემდეგ კორექტირებული საცდელი ბალანსი ასეთი სახისაა:

საწარმოს საცდელი ბალანსი 1 ნოემბრის მდგომარეობით (ფე)

ანგარიშები	კორექტირებამდე		კორექტირება		კორექტირების შემდეგ	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,526			120 <sup>(4)</sup>	1,406	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	550				550	
საქონელი	644		49 <sup>(5)</sup>		693	
ოფისის აღჭურვილობა	850				850	
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		230	200 <sup>(2)</sup>	189 <sup>(1)</sup>		219
გადასახდელი ხელფასები		380	100 <sup>(3)</sup>			280
გრძელვადიანი სესხები		600				600
სანესდებო კაპიტალი შპს-ში		180				180
გაუნაწილებელი მოგება		2,000				2,000
შემოსავალი რეალიზაციიდან		800				800
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	330				330	
პრომის ანაზღაურების ხარჯები	120				120	
რემონტის ხარჯები	80				80	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	50				50	
	4,150	4,190	349	309	4,079	4,079

საცდელი ბალანსის ჯამების ტოლობა არ ნიშნავს, რომ სანარმომ ყველა ტრანზაქცია სწორად ჩანერა, ან არ დაუშვა შეცდომა. რადგანაც ზოგიერთი შეცდომის დროს საცდელი ბალანსის დებეტისა და კრედიტის ნაშთები მაინც ტოლია. ძირითადი შეცდომები, რომლებიც არ იწვევენ საცდელი ბალანსის უტოლობას, შემდეგია:

- » თავდაპირველი ჩანანერის შეცდომა - ტრანზაქცია ორივე ანგარიშზე ერთნაირად არასწორი თანხით ჩაიწერა;
- » ტრანზაქციის ჩანანერის გამორჩენა - მაგალითად, მომწოდებელისთვის თანხის გადარიცხვა არ აისახა ანგარიშებზე. ამით არც კრედიტორული დავალიანების ანგარიშის დებეტში გაკეთდა ჩანანერი და არც ფულადი სახსრების ანგარიშის კრედიტში. შესაბამისად, უტოლობას არ აქვს ადგილი;
- » ტრანზაქციის რამდენიმეჯერ ჩანერა - მომწოდებელისთვის გადარიცხული თანხა ორჯერ ჩაიწერა. ამით ერთნაირი თანხებით ორჯერ დადებებდა კრედიტორული დავალიანების ანგარიში და იგივე თანხით ორჯერ დაკრედიტდა ფულადი სახსრების ანგარიში. შესაბამისად, უტოლობას არ აქვს ადგილი;
- » ტრანზაქციის საპირისპიროდ ასახვა - ჩანანერი აისახება ანგარიშების საპირისპირო მხარეზე. კერძოდ, დებეტში გასაკეთებელი ჩანანერი აისახა იმავე ანგარიშის კრედიტში, ხოლო კრედიტში გასაკეთებელი ჩანანერი აისახა იმავე ანგარიშის დებეტში. მაგალითად, გადარიცხული თანხა აისახა ფულადი სახსრების ანგარიშის დებეტში და იგივე თანხით აისახა კრედიტორული დავალიანების ანგარიშის კრედიტში. გატარება არასწორია, მაგრამ უტოლობას არ აქვს ადგილი;
- » ტრანზაქციის შინაარსის არასწორი ინტერპრეტირება - ტრანზაქციის შინაარსი სწორად გაგებული არ არის. მაგალითად, იჯარის ხარჯის ნაცვლად აღიარდა ხელფასის ხარჯი. ამით ერთი ხარჯის ანგარიშის დებეტის ნაცვლად ჩანანერი გაკეთდა მეორე ანგარიშის დებეტში. გატარება არასწორია, მაგრამ უტოლობას არ აქვს ადგილი.

### მაგალითი 5.3 საცდელი ბალანსი მოიცავს შეცდომებს

სანარმოს საცდელი ბალანსი 1 ნომბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება (ფე)

ანგარიშები	დებიტო	კრედიტო
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,000	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	550	
საქონელი	450	
ოფისის აღჭურვილობა	730	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		230
გადასახდელი ხელფასები		100
გრძელვადიანი სესხები		1,000
სანესდებო კაპიტალი შპს-ში		180
გაუნაწილებელი მოგება		2,000
შემოსავალი რეალიზაციიდან		800
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	330	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	120	
რემონტის ხარჯები	80	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	50	
	4,310	4,310

საცდელი ბალანსის ჯამების ტოლობის მიუხედავად, ის მოიცავს შემდეგ შეცდომებს:

1. შემდგომი გადახდის პირობით შესყიდული საქონელი 108 ფე-ის ნაცვლად ჩაინერა 180 ფე;
2. გამორჩენილია შემდგომი გადახდის პირობით 200 ფე საქონლის შესყიდვის ტრანზაქციის ასახვა;
3. ხელფასის დარიცხვის ოპერაცია 30 ფე ოდენობით აისახა ორჯერ;
4. დებიტორისაგან მიღებული 150 ფე აისახა დებიტორული დავალიანების ანგარიშის დებიტში და საბანკო ანგარიშის კრედიტში;
5. კომპიუტერების შეკეთების ხარჯები 20 ფე ჩართულია აღჭურვილობის ღირებულებაში.

შეცდომების კორექტირება:

1. საქონელი და კრედიტორული დავალიანება იყო გაზრდილი 72 ფე-ით (180-108), შესაბამისად, ამ თანხით შესამცირებელია ორივე მაჩვენებელი, რაც აისახება გატარებით:

დებეტი - ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	72
კრედიტი - საქონელი	72
2. გამორჩენილი ტრანზაქციით გასაზრდელია საქონელი და კრედიტორული დავალიანება, რაც აისახება გატარებით (ფე):	
დებეტი - საქონელი	200
კრედიტი - ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	200
3. ორჯერ დარიცხვის გამო შესამცირებელია ხელფასის ხარჯი და ვალდებულება გასაცემი ხელფასით, რაც აისახება გატარებით (ფე):	
დებეტი - გადასახდელი ხელფასები	30
კრედიტი - შრომის ანაზღაურების ხარჯები	30
4. დებიტორისაგან მიღებულ ფულად სახსრებზე გაკეთდა საპირისპირო გატარება, შესაბამისად, შესამცირებელია დებიტორული დავალიანება და გასაზრდელია ფული ბანკში. კორექტირება მოითხოვს საბანკო ანგარიშის ზრდას და მოთხოვნების შემცირებას 300 ფე-ის ოდენობით.	
ჯერ უნდა გაუქმდეს არასწორად ასახული ტრანზაქცია გატარებით (ფე):	
დებეტი - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	150
კრედიტი - მოთხოვნები მიწოდებდან და მომსახურებიდან	150
ამით, საბანკო ანგარიშის კრედიტში და დებიტორული დავალიანების დებეტში გაკეთებული ჩანაწერი გაბათილდა. ამის შემდეგ იგივე გატარებით ტრანზაქცია სწორად აისახება (ფე):	
დებეტი - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	150
კრედიტი - მოთხოვნები მიწოდებდან და მომსახურებიდან	150
5. კომპიუტერების შეკეთების ხარჯები მიეკუთვნება პერიოდის ხარჯებს და არ ჩაირთვება მათ თვითღირებულებაში. შესაბამისად, გასაზრდელია რემონტის ხარჯები და შესამცირებელია ოფისის აღჭურვილობის ღირებულება, რაც აისახება გატარებით (ფე):	
დებეტი - რემონტის ხარჯები	20
კრედიტი - ოფისის აღჭურვილობა	20

კორექტირებები და საცდელი ბალანსი კორექტირების შემდეგ 1 ნოემბრის მდგომარეობით (ფე)

ანგარიშები	კორექტირებამდე		კორექტირებები		კორექტირებები შემდეგ	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,000		300 <sup>(4)</sup>		2,300	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	550			300 <sup>(4)</sup>	250	
საქონელი	450		200 <sup>(2)</sup>	72 <sup>(1)</sup>	578	
ოფისის აღჭურვილობა	730			20 <sup>(5)</sup>	710	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		230	72 <sup>(1)</sup>	200 <sup>(2)</sup>		358
გადასახდელი ხელფასები		100	30 <sup>(3)</sup>			70
გრძელვადიანი სესხები		1,000				1,000
სანესდებო კაპიტალი შპს-ში		180				180
გაუნაწილებელი მოგება		2,000				2,000
შემოსავალი რეალიზაციიდან		800				800
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	330				330	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	120			30 <sup>(3)</sup>	90	
რემონტის ხარჯები	80		20 <sup>(5)</sup>		100	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	50				50	
	4,310	4,310	622	622	4,408	4,408


შეიძლება ითქვას, რომ საცდელი ბალანსი მოიცავს კორექტირების პროცესს, რომელიც გადააქცევს არაკორექტირებულ საცდელ ბალანსს კორექტირებულ საცდელ ბალანსად.

ამავდროულად, საცდელი ბალანსი სრულად არ მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ტრანზაქციას. არსებობს ტრანზაქციები, რომლებიც არ აისახება საანგარიშგებო პერიოდის საცდელ ბალანსში. ამისი მიზეზები ის არის, რომ:

1. ზოგიერთი მოვლენა არ აისახება ყოველდღიურად, მაგალითად, გადასახდელი/მისაღები პროცენტები, ბიუჯეტის გადასახადები, მომუშავეთა ხელფასები;
2. ზოგიერთი ხარჯი არ რეგისტრირდება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან ისინი მოიხმარება უწყვეტად დროთა განმავლობაში და არა ყოველდღიურად განმეორებადი ტრანზაქციების შედეგად, მაგალითად, იჯარის და დაზღვევის ხარჯი;
3. ზოგიერთი ტრანზაქცია არ არის დარეგისტრირებული, ვინაიდან მათ შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდება ან პერიოდის დამთავრებისათვის, ან მომდევნო პერიოდში, მაგალითად, კომუნალური ან სხვა მომსახურების ხარჯები.

ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ საცდელი ბალანსი მზად გვაქვს, ვინაიდან საცდელი ბალანსის მიზანია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის ასახვა, ხოლო ბალანსში ასალიარებელი აქტივებისა და ვალდებულებების დადგენა<sup>2</sup>.

#### ილუსტრაცია 5.1



#### აღრიცხვის კომპიუტერიზება და საცდელი ბალანსი

აღრიცხვის კომპიუტერიზება დაფუძნებულია პირველადი საბუთების დამუშავების ურთიერთდაკავშირებულ ტექნოლოგიურ პროცესზე ინფორმაციის ჩანერიდან ფინანსური ანგარიშგების მომზადების ჩათვლით. შედეგად იქმნება ერთიანი საინფორმაციო ბაზა. ამ ბაზის ერთ-ერთი სააღრიცხვო დოკუმენტია საცდელი ბალანსი. მისი მიზანია სადებეტო და საკრედიტო ჯამების ტოლობის დადასტურება, რათა ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნეს დაშვებული შეცდომები.

<sup>2</sup> Financial Accounting, 11th edition, Walter T. Harrison Jr.; Charles T. Rorngren, Wendy M. Tietz, Pearson, 2016. p.171.

Code	Account Name	Debit £/\$	Credit £/\$	All Dr / (Cr) £/\$	Type
001	Sales Revenue		12,000	(12,000)	REVENUE (income and costs for current period)
010	Bank Interest Received		1,250	(1,250)	
200	Materials	5,000		5,000	
201	Direct Wages and Salaries	2,000		2,000	
220	Depreciation - Machines	500		500	
400	Heat and Light	230		230	
410	Admin Salaries	500		500	
502	Professional Fees	300		300	BALANCE SHEET
510	Bank Charges	100		100	
601	Machinery - Cost	30,000		30,000	
610	Machinery - Depreciation		15,000	(15,000)	
702	Trade Debtors	1,000		1,000	
720	Cash and Bank	350		350	
810	Trade Creditors		900	(900)	
820	Accruals		250	(250)	
910	Share Capital		1,000	(1,000)	
920	P&L Reserve (at start of period)		9,580	(9,580)	
		<b>39,980</b>	<b>39,980</b>	<b>0</b>	

კომპიუტერული პროგრამით ინფორმაცია ყველა ტრანზაქციის შესახებ ავტომატიზებულად აისახება საცდელ ბალანში<sup>3</sup> მათი ჟურნალში ჩანერისთანავე. ამდენად, მენეჯმენტი ინფორმაციას ანგარიშებზე არსებული ნაშთების და ბრუნვების შესახებ დროულად ღებულობს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. ასევე, გამორიცხულია ისეთი შეცდომები, რომელიც იწვევს უტოლობებს.

ამდენად, პროგრამული უზრუნველყოფა ავტომატურად ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას მთავარი წიგნის ინფორმაციის საფუძველზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადების საადრიცხვო ციკლში აღარ არსებობს ეტაპი „საცდელი ბალანსის მომზადება“. მართალია, საცდელი ბალანსი ტრადიციული გაგებით აღარ გამოიყენება, მაგრამ მისი მომზადების პროცედურა განხილული იქნება სასწავლო მიზნებისათვის, რათა ნათლად იყოს წარმოდგენილი ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამით განხორციელებული პროცესები.

<sup>3</sup> ქართულ პრაქტიკაში მას ბრუნვით უწყისს უწოდებენ

## 5.2 მაკორექტირებელი გატარებები და სააღრიცხვო ციკლის დასრულება


საცდელი ბალანსის და დაშვებული შეცდომების განხილვის შემდეგ საჭიროა სააღრიცხვო ციკლის დასრულებასთან დაკავშირებული კორექტირებების განხილვა. პირველი ტიპის კორექტირება ეხება დარიცხვებს და წინასწარ გადახდებს, ხოლო მეორე - შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების დახურვებს. განვიხილოთ ეს კორექტირებები.

» პირველი რიგის მაკორექტირებელი გატარებები და საცდელი ბალანსი კორექტირების შემდეგ

იმისათვის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახოს შესაბამისი და შესაძარისი ინფორმაცია, საცდელი ბალანსის მონაცემები კორექტირდება მაკორექტირებელი ჩანაწერებით. მაკორექტირებელი ჩანაწერები შესაძლებლობას იძლევა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ბალანსში სწორად იქნეს ასახული აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი, ხოლო მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში - შესაბამისი პერიოდის შემოსავლები და ხარჯები.

მაკორექტირებელი ჩანაწერების გაკეთებას ესაჭიროება დრო ინფორმაციის მოსაპოვებლად, დასამუშავებლად და როგორც წესი, კეთდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მაგრამ საანგარიშგებო თარიღისათვის. განასხვავებენ მაკორექტირებელი ჩანაწერების ორ ძირითად ტიპს: გადავადებებს და დარიცხვებს (იხ.ილუსტრაცია 5.2).

ილუსტრაცია 5.2



ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ეფუძნება დარიცხვის მეთოდს და შესაბამისობის პრინციპს. მათი აღიარება არ არის კავშირში ფულადი სახსრების მიღება-გადახდასთან.

ხარჯების და შემოსავლების აღიარების გადავადება ხდება მაშინ, როდესაც ხარჯი არის წინასწარ გადახდილი და შემოსავალი არის წინასწარ მიღებული. წინასწარ გადახდილი ხარჯები არის მომავალი პერიოდებისათვის გადახდილი (ანამდლურებული) ხარჯები.

წინასწარ გადახდილი ფულადი სახსრები მათ გამოყენებამდე აღიარდება აქტივად. გამოუმუშავებელი შემოსავლები არის წინასწარ მიღებული ფულადი სახსრები მომავალში გასაწევი მომსახურებისათვის ან პროდუქციის მისაწოდებლად. წინასწარ მიღებული ფულადი სახსრები აღიარდება ვალდებულებად.

ტრანზაქციების აღრიცხვისთანავე პირველადი საბუთებით იდენტიფიცირდება ხარჯების წინასწარ გადახდის ან შემოსავლების წინასწარ მიღების ფაქტები და აღიარდება პერიოდის განმავლობაში: წინასწარ განეულ ხარჯებად და მიღებულ ავანსებად. პერიოდის ბოლოს, როდესაც დგება მათი აღიარების დრო, კეთდება გატარება:

დებეტი - ხარჯები

კრედიტი - წინასწარ გადახდილი ხარჯები

და

დებეტი - მიღებული ავანსები

კრედიტი - შემოსავალი

როდესაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებობს განეული, მაგრამ გადაუხდეელი (აუნაზღაურებელი) ხარჯები, საჭიროა ასეთი ხარჯების დარიცხვა - აღიარება შემდეგი გატარებით:

დებეტი - ხარჯები

კრედიტი - ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

თუ არ გაკეთდება განეული, მაგრამ გადაუხდეელი ხარჯების დარიცხვა, მაშინ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები იქნება შემცირებული. ხარჯების დარიცხვის მიზანია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების გაზრდა და ბალანსში ვალდებულების აღიარება.

ანალოგიურად, თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, არსებობს გამოუმუშავებელი, მაგრამ აუნაზღაურებელი შემოსავალი, საჭიროა ასეთი შემოსავლების დარიცხვა - აღიარება შემდეგი გატარებით:

დებეტი - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

კრედიტი - შემოსავალი რეალიზაციიდან

თუ არ გაკეთდება გამოუმუშავებელი, მაგრამ აუნაზღაურებელი შემოსავლების დარიცხვა, მაშინ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლები იქნება შემცირებული. შემოსავლების დარიცხვის მიზანია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლების გაზრდა და ბალანსში აქტივის აღიარება,

საქონლის გაყიდვისთანავე კომპიუტერული პროგრამა განსაზღვრავს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას და მაშინვე ჩამოწერს მას - აღიარებს ხარჯად. ყველა განსახილველ მაგალითში კეთდება დაშვება, რომ აღრიცხვა კომპიუტერიზებულია და ანგარიშსწორება წარმოებს საბანკო გადარიცხვებით.

**მაგალითი 5.4 გადავადებები**

**ივლისი**

M	T	W	T	F	S	S
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

**აგვისტო**

M	T	W	T	F	S	S
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

- 1) 10 ივლისს მყიდველმა გადაიხადა 14 აგვისტოს მისანოდებელი საქონლის ღირებულება 200 ფე;

მიღებული თანხა ვერ იქნება აღიარებული შემოსავლად, ვინაიდან სანარმოს ის ჯერ არ გამოუმუშავებია, სანარმო შემოსავალს გამოიმუშავებს აგვისტოში, როდესაც მიაწოდებს საქონელს.

10 ივლისს მიღებული თანხა აღიარდება ბალანსში ვალდებულებად გატარებით (ფე):

დებეტი - ბანკი 200

კრედიტი - მიღებული ავანსები 200

14 აგვისტოს საქონლის მიწოდება აღიარდება შემოსავლად გატარებით (ფე):

დებეტი - მიღებული ავანსები 200

კრედიტი - შემოსავალი რეალიზაციიდან 200

- 2) სანარმომ 2 ივლისს გადაიხადა ექვსი თვის იჯარის ქირა - ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით, სულ 1,800 ფე. 31 ივლისს შეიჯარისაგან მიიღო ინვოისი საიჯარო მომსახურებაზე 300 ფე. გადახდილი თანხა ვერ იქნება აღიარებული ხარჯად, ვინაიდან ის მიეკუთვნება იმ პერიოდებს, რომელიც ჯერ არ დამდგარა, გადახდილი თანხა აღიარდება ბალანსში აქტივად.

2 ივლისს გაკეთდება გატარება (ფე):

დებეტი - წინასწარ გადახდილი იჯარის ხარჯები 1,800

კრედიტი - ბანკი 1,800

31 ივლისს გაკეთდება გატარება (ფე):

დებეტი - იჯარის ხარჯები 300

კრედიტი - წინასწარ გადახდილი იჯარის ხარჯები 300

**მაგალითი 5.5 დარიცხვები**

**აგვისტო**

M	T	W	T	F	S	S
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

**სექტემბერი**

M	T	W	T	F	S	S
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

1) სანარმომ 6 აგვისტოს გაყიდა საქონლი ღირებულებით 250 ფე. მყიდველმა საქონლის ღირებულება გადაიხადა 25 სექტემბერს.

ფულადი სახსრების მიღება არ არის კავშირში შემოსავლების აღიარებასთან. საქონლის მიწოდებისთანავე 6 აგვისტოს სანარმომ აღიარა შემოსავალი გატარებით:

გაკეთდება გატარება გამონერილი საბუთების საფუძველზე (სასაქონლო ზედნადები, ინვოისი, ფე):

დებეტი - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 250

კრედიტი - შემოსავალი რეალიზაციიდან 250

25 სექტემბერს გაკეთდება გატარება (ფე):

დებეტი - ბანკი 250

კრედიტი - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 250

2) სანარმომ აგვისტოს თვეში განეული კომუნალური მომსახურების ხარჯების ქვითარი მიიღო 4 სექტემბერს 45 ფე. თანხა გადაიხადა 9 სექტემბერს.

აგვისტოში სანარმომ ისარგებლა კომუნალური მომსახურების სერვისით, ე.ი. გასწია ხარჯი. იმის მიუხედავად, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდისათვის სანარმოს ხარჯი არ ჰქონდა გადახდილი, დარიცხვის მეთოდის თანახმად ეს ხარჯი აღიარდება ამ პერიოდის ხარჯად და ვალდებულებად.

31 აგვისტოს გაკეთდება გატარება (ფე):

დებეტი - კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები 45

კრედიტი - ვალდებულება მიწოდებიდან და მომსახურებიდან 45

9 სექტემბერს გაკეთდება გატარება (ფე):

დებეტი - ვალდებულება მიწოდებიდან და მომსახურებიდან 45

კრედიტი - ბანკი 45

## მაგალითი 5.6 მაკორაქტირებაელი ჩანაწერები

საწარმოში მოამზადა შემდეგი საცდელი ბალანსი:

საცდელი ბალანსი კორექტირებამდე 31 მარტის მდგომარეობით (ფე)

ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	170	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	250	
საქონელი	100	
სხვა წინასწარ განეული ხარჯები	150	
საწყობის შენობა	60	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		200
მიღებული ავანსები		150
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		150
შემოსავალი რეალიზაციიდან		1,050
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	170	
იჯარის ხარჯები	400	
<b>ჯამი:</b>	<b>1,550</b>	<b>1,550</b>

თვის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ორი ტრანზაქცია არ იქნა ასახული:

1. მყიდველს, რომელსაც აქვს გადახდილი ავანსები, მიენოდა საქონელი 100 ფე;
2. ერთ-ერთი მყიდველისათვის სასაქონლო ზედნადების გამოწერა 130 ფე;  
ასევე:
3. მიღებულია კომუნალური მომსახურების ქვითარი 70 ფე;
4. ხელშეკრულებით ერთი თვის ინტერნეტმომსახურების ღირებულებაა 100 ფე. საწარმოს წინასწარ ჰქონდა გადახდილი მომსახურების ღირებულება.

კორექტირებების საჟურნალო ჩანაწერები ასეთი სახის იქნება:

თარიღი 31.03.	კორექტირებების უცნობადი (ფფ)		
	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
1	მიღებული ავანსები	100	
	შემოსავალი რეალიზაციიდან		100
	შემოსავლების დარიცხვა ( აღიარება)		
2	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	130	
	შემოსავალი რეალიზაციიდან		130
	შემოსავლების დარიცხვა		
3	კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	70	
	ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		70
	კომუნალური მომსახურების ხარჯის დარიცხვა		
4	კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	100	
	სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები		100
	ინტერნეტმომსახურების ხარჯის დარიცხვა		

ჟურნალში ჩანაწერების საფუძველზე შესაბამისი გატარებები გაკეთდება მთავარი წიგნის ანგარიშებში:

ანგ. შემოსავალი რეალიზაციიდან (ფფ)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03	ნაშთი			1,050
1	მიღებული ავანსები		100	1,150
2	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		130	<b>1,280</b>

ანგ. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (ფფ)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03.	ნაშთი			200
3	კომუნალური მომსახურების ხარჯები		70	270

ანგ. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (დე)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03.	ნაშთი			250
2	შემოსავალი რეალიზაციიდან	130		380

ანგ. კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები (დე)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
3	ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	70		70
4	სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	100		170

ანგ. მიღებული ავანსები (დე)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03.	ნაშთი			150
1	შემოსავალი რეალიზაციიდან	100		50

ანგ. სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები (დე)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03.	ნაშთი			150
4	კომუნალური მომსახურების და კომუნიკაციის ხარჯები		100	50

საცდელ ბალანსში წარმოდგენილია მთლიანი სურათი ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ - კორექტირებამდე და კორექტირების შემდეგ.

საცდელი ბალანსი 31 მარტის მდგომარეობით (ფე)

	კორექტირებაძღა		კორექტირებები		კორექტირების შედეგა	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ანგარიშის დასახელება						
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	170				170	
მოთხოვნები მინოდებიდან და მომსახურებიდან	250		130		380	
საქონელი	100				100	
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	150			100	50	
საწყობის შენობა	60				60	
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		200		70		270
მიღებული ავანსები		150	100			50
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		150				150
შემოსავალი რეალიზაციიდან		1,050		230		1,280
გაციდული საქონლის თვითღირებულება	250				250	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	170				170	
იჯარის ხარჯები	400				400	
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები			170		170	
ჯამი:	1,550	1,550	400	400	1,750	1,750

საცდელი ბალანსი კორექტირების შემდეგ


31 მარტის მდგომარეობით (ფე)

ანგარიშის დასახელება	დებიტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	170	
მოთხოვნები მონოდებიდან და მომსახურებიდან	380	
საქონელი	100	
სხვა წინასწარ განეული ხარჯები	50	
საწყობის შენობა	60	
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		270
მიღებული ავანსები		50
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		150
შემოსავალი რეალიზაციიდან		1,280
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	170	
იჯარის ხარჯები	400	
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	170	
<b>ჯამი:</b>	<b>1,750</b>	<b>1,750</b>

კორექტირებულ საცდელ ბალანსში წარმოდგენილი ყველა ანგარიშები დაზუსტებულია.


» მეორე რიგის მაკორექტირებელი გატარებები და ფინანსური ანგარიშგების მომზადება კორექტირებული საცდელი ბალანსით

დარიცხვებით და წინასწარგადახდებით კორექტირების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე კიდევ ერთი პროცესია გასავლელი. ეს ეხება დროებითი ანგარიშების „დახურვას“, ანუ განულებას. დროებითი ანგარიშების (მოგება-ზარალის ანგარიშგების) ნაშთები გადაიტანება მოგება-ზარალის ანგარიშზე, რათა შემოსავლებისა და ხარჯების დაპირისპირებით განისაზღვროს ფინანსური შედეგი. დროებითი ანგარიშების დახურვის შემდეგ საცდელ ბალანსში დარჩება მუდმივი ანგარიშები - საბალანსო ანგარიშები (იხ.ილუსტრაცია 5.3).



მოგება-ზარალის ანგარიშიც დროებითი ანგარიშია, მისი დანიშნულებაა ფინანსური შედეგის გამოვლენა და ამ შედეგით დახურვა. ანგარიშების დახურვის პროცედურა ითვალისწინებს შემდეგ ნაბიჯებს:

- » შემოსავლების ანგარიშების ნაშთების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე გატარებით:
  - დებეტი - შემოსავლები
  - კრედიტი - მოგება-ზარალი
- » ყველა ხარჯების ანგარიშების ნაშთების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე გატარებით:
  - დებეტი - მოგება-ზარალი
  - კრედიტი - ხარჯები
- » მოგება-ზარალის ანგარიშის დებეტის ჯამისა და კრედიტის ჯამის შეპირისპირებით ფინანსური შედეგის გამოვლენა და ანგარიშის დახურვა (განულება) -იხ.ილუსტრაცია 5.4. როცა მოგება-ზარალის ანგარიშის კრედიტის ჯამი (შემოსავლები) აღემატება დებეტის ჯამს (ხარჯები) მიიღება მოგება, რაც აისახება გატარებით:
  - დებეტი - მოგება-ზარალი
  - კრედიტი - მოგება
 როცა მოგება-ზარალის ანგარიშის კრედიტის ჯამი (შემოსავლები) ნაკლებია დებეტის ჯამზე (ხარჯები) მიიღება ზარალი, რაც აისახება გატარებით:
  - დებეტი - ზარალი
  - კრედიტი - მოგება-ზარალი



**მაგალითი 5.7 დახურვის ჩანაწერები**

მაგალითი 5.6-ში მომზადებული კორექტირებელი საცდელი ბალანსის მონაცემებით გავაკეთოთ დახურვის ჩანაწერები. დავამატოთ ერთი ტრანზაქცია: თვის ბოლოს გამოცხადდა დივიდენდები - 90 ფე.

ჟურნალში ჩანაწერების საფუძველზე შესაბამისი გატარებები კეთდება მთავარი წიგნის ანგარიშებში:

საცდელი ბალანსი კორექტირების შემდეგ

31 მარტის მდგომარეობით (ფე)

ანგარიშების დასახელება	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	170	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	380	
საქონელი	100	
სხვა წინასწარ განული ხარჯები	50	
საწყობის შენობა	60	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		270
მიღებული ავანსები		50
სანესდებო კაპიტალი შპს-ში		150

შემოსავალი რეალიზაციიდან		1,280
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	170	
იჯარის ხარჯები	400	
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	170	
ჯამი:	1,750	1,750

დახურვის გატარებების საჟურნალო ჩანაწერები

თანხი 31.03.	კორექტირებების უცნობალი (ფფ)		
	ანგარიშები და ოპერაციის მიხედვით	დებეტი	კრედიტი
1	შემოსავალი რეალიზაციიდან	1,280	
	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი		1,280
	შემოსავლების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე		
2	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი	250	
	გაყიდული საქონლის თვითღირებულება		250
	გაყიდული საქონლის თვითღირებულების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე		
3	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი	400	
	იჯარის ხარჯები		400
	იჯარის ხარჯის გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე		
4	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი	170	
	შრომის ანაზღაურების ხარჯები		170
	შრომის ანაზღაურების ხარჯის გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე		
5	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი	170	
	კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები		170
	კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე		
6	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი	290	
	გაუნაწილებელი მოგება		290
	მოგების აღიარება		
7	გაუნაწილებელი მოგება	90	
	გადასახდელი დივიდენდები		90
	გასაცემი დივიდენდებით ვალდებულების აღიარება		

დახურვის გატარების ჩანერა მთავარ წიგნში

ანგ. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი (დე)				
31.03	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
1	შემოსავლები რეალიზაციიდან		1,280	1,280
2	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250		1,030
3	იჯარის ხარჯები	400		630
4	შრომის ანაზღაურების ხარჯები	170		460
5	კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	170		290
6	გაუნაწილებელი მოგება	290		0

ანგ. შემოსავალი რეალიზაციიდან (დე)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03	ნაშთი			1,280
1	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი	1,280		0

ანგ. გაყიდული საქონლის თვითღირებულება (დე)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03.	ნაშთი			250
2	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი		250	0

ანგ. იჯარის ხარჯები (დე)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03	ნაშთი			400
3	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი		400	0

ანგ. შრომის ანაზღაურების ხარჯები (დე)				
თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03	ნაშთი			170
4	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი		170	0

ანგ. ვიზუალური მონიტორინგისა და კომუნიკაციის ხარჯები (ფე)

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03	ნაშთი			170
5	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-მარალი		170	0

ანგ. გაუნაწილებელი მოგება (ფე)

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03	ნაშთი			0
6	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-მარალი		290	290
7	გადასახდელი დივიდენდები	90		200

ანგ. გადასახდელი დივიდენდები (ფე)

თარიღი	ანგარიშები და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
31.03	ნაშთი			0
7	გაუნაწილებელი მოგება		90	90

საცდელი ბალანსი 31 მარტის მდგომარეობით (ფე)

ამგარიშის დასახელება	კორექტირების შემდეგ		დახურვები		დახურვების შემდეგ	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	170				170	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	380				380	
საქონელი	100				100	
სხვა წინასწარ განეული ხარჯები	50				50	
საწყობის შენობა	60				60	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		270				270
მიღებული ავანსები		50				50
გადასახდელი დივიდენდები				90		90
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		150				150
გაუნაწილებელი მოგება			90	290 <sup>(6)</sup>		200
საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი			250 <sup>(2)</sup> 400 <sup>(3)</sup> 170 <sup>(4)</sup> 170 <sup>(5)</sup> 290 <sup>(6)</sup>	1,280 <sup>(1)</sup>		
შემოსავლები რეალიზაციიდან		1,280	1,280 <sup>(1)</sup>			
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250			250 <sup>(2)</sup>		
შრომის ანაზღაურების ხარჯები	170			170 <sup>(4)</sup>		
იჯარის ხარჯები	400			400 <sup>(3)</sup>		
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	170			170 <sup>(5)</sup>		
ჯამი:	1,750	1,750	2,650	2,650	760	760

ტივალდ

დენდესაფე ისალა-იფე

დახურვის ოპერაციებით განულდა დროებითი ანგარიშები (მოგება-ზარალის ელემენტების) და საცლელ ბალანსში დარჩა მხოლოდ მუდმივი ანგარიშები (ბალანსის ელემენტების). მეორე რიგის კორექტირების შემდეგ მიღებული საცლელი ბალანსის მონაცემებით შესაძლებელია შემდეგი ფინანსური ანგარიშგების მომზადება: ბალანსის, მოგება-ზარალის და კაპიტალის ცვლილებების.

მარტის თვის მოგება-ზარალის ანგარიშგება	ფც
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,280
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(250)
შრომის ანაზღაურების ხარჯები	(170)
იჯარის ხარჯები	(400)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	<u>(170)</u>
მოგება	<b>290</b>

ბალანსი 31 მარტის მდგომარეობით	ფც
აქტივები	
საწყობის შენობა	60
საქონელი	100
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	380
სხვა წინასწარ განეული ხარჯები	50
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	<u>170</u>
სულ აქტივები	<b>760</b>
საკუთარი კაპიტალი	
სანესდებო კაპიტალი	150
გაუნაწილებელი მოგება	<u>200</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	<b>350</b>
ვალდებულებები	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	270
მიღებული ავანსები	50
გადასახდელი დივიდენდები	<u>90</u>
სულ ვალდებულებები	<b>410</b>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<b>760</b>

მარტის თვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	ფც
სანესდებო კაპიტალი	150
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 1 მარტისათვის	0
მიმდინარე წლის მოგება	290
გადასახდელი დივიდენდები	<u>(90)</u>
საკუთარი კაპიტალის ნაშთი 31 მარტისათვის	<b>350</b>

## კითხვები განსჯისათვის

### 5.1. საცდელი ბალანსი და მისი მნიშვნელობა

1. რა არის საცდელი ბალანსი?
2. აღწერეთ საცდელი ბალანსი
3. რა არის საცდელი ბალანსის დანიშნულება?
4. რას ითვალისწინებს საცდელი ბალანსის მომზადების პროცედურა?
5. რას ადასტურებს საცდელი ბალანსი?
6. ჩამოთვალეთ შეცდომები, რომლის დროს საცდელი ბალანსი მაინც ბალანსდება.
7. ჩამოთვალეთ მიზეზები, რის გამოც საცდელი ბალანსი არ მოიცავს სრულად ყველა ტრანზაქციას.
8. ჩამოაყალიბეთ საცდელი ბალანსის ორი მიზანი.

### 5.2. მაკორექტირებელი გატარებები და სააღრიცხვო ციკლის დასრულება

9. ჩამოაყალიბეთ მაკორექტირებელი ჩანაწერების ტიპები.
10. როდის ხდება შემოსავლების და ხარჯების გადავადება?
11. როდის ხდება შემოსავლების და ხარჯების დარიცხვა?
12. როგორ გესმით ჩანაწერი:  
დებეტი - წინასწარ გადახდილი ხარჯები  
კრედიტი - ფულადი სახსრები?
13. რა არის საქონლის მიწოდებამდე მიღებული ფულადი სახსრები?
14. რა არის მომსახურების მიღებამდე გადახდილი ფულადი სახსრები?
15. რა ორად გატარებას გააკეთებთ ხარჯების დარიცხვამ?
16. რა ორად გატარებას გააკეთებთ შემოსავლების დარიცხვამ?
17. როგორ გესმით ჩანაწერი:  
დებეტი - მოთხოვნები გადახდილი ავანსებით  
კრედიტი - ფულადი სახსრები
18. როგორ გესმით ჩანაწერი:  
დებეტი - ხარჯები  
კრედიტი - წინასწარ გადახდილი ხარჯები
19. როგორ გესმით ჩანაწერი:  
დებეტი - მიღებული ავანსები  
კრედიტი - შემოსავალი
20. როგორ გესმით ჩანაწერი:  
დებეტი - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

კრედიტი - შემოსავალი რეალიზაციიდან

21. როგორ გესმით ჩანაწერი:

დებეტი - ხარჯები

კრედიტი - ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან

22. რა გატარებას გააკეთებთ როდესაც სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად წინასწარ გადარიცხავთ თანხას?
23. რა გატარებას გააკეთებთ როდესაც თქვენ საქონლის შესაძენად წინასწარ გადარიცხავთ თანხას?
24. რა გატარებას გააკეთებთ როდესაც თქვენ წინასწარ ჩაგირიცხავენ საქონლის ღირებულებას?
25. როგორ ფიქრობთ, მივლინების ხარჯების გაცემა არის წინასწარ გადახდა?
26. მიღებული ავანსი რად აღიარდება ბალანსში?
27. რა ნაბიჯებს ითვალისწინებს ანგარიშების დახურვის პროცედურა?
28. რას ნიშნავს დახურვის გატარებები?
29. დაახასიათეთ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში
30. რა გატარებით გადაიტანთ შემოსავალს მოგება-ზარალის ანგარიშზე?
31. რა გატარებით გადაიტანთ ხარჯებს მოგება-ზარალის ანგარიშზე?
32. რა შემთხვევაში მიიღება მოგება?
33. რა გატარებით აღიარდება მოგება?
34. რა შემთხვევაში მიიღება ზარალი?
35. რა გატარებით აღიარდება ზარალი?
36. საცდელი ბალანსის რომელ სვეტში იწერება მოგება?
37. საცდელი ბალანსის რომელ სვეტში იწერება ზარალი?

# საპარჯიშოები

## 5.1 საცდელი ბალანსი და მისი მნიშვნელობა

### სავარჯიშო 1. საცდელი ბალანსი კორექტირებამდე

შემდეგი მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ საცდელი ბალანსი 31 იანვრის მდგომარეობით:

ანგარიშების დასახელება	ფ9
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	460
ოფისის აღჭურვილობა	330
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,000
მოთხოვნები მინოდებიდან და მომსახურებიდან	480
საქონელი	350
შემოსავალი რეალიზაციიდან	800
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250
გრძელვადიანი სესხები	410
სანესდებო კაპიტალი	1,890
შრომის ანაზღაურების ხარჯები	100
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	50

### სავარჯიშო 2. საცდელი ბალანსი კორექტირებამდე

შემდეგი მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ საცდელი ბალანსი 31 მარტის მდგომარეობით:

ანგარიშების დასახელება	ფ9
საქონელი	350
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	460
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	800
მოთხოვნები მინოდებიდან და მომსახურებიდან	180
შრომის ანაზღაურების ხარჯები	100
დაზღვევის ხარჯები	150
გრძელვადიანი სესხები	410
სანესდებო კაპიტალი	590
შემოსავალი რეალიზაციიდან	400
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250
რემონტის ხარჯები	30

### სავარჯიშო 3. საცდელი ბალანსი კორექტირებამდე

შემდეგი მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ საცდელი ბალანსი 30 აპრილის მდგომარეობით:

ანგარიშების დასახელება	ფე
სანესდებო კაპიტალი	590
დამღვევის ხარჯები	150
საქონელი	150
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	460
გადასახდელი ხელფასები	210
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	800
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	180
რემონტის ხარჯები	30
შემოსავალი რეალიზაციიდან	400
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	250
შრომის ანაზღაურების ხარჯები	100

### სავარჯიშო 4. საცდელი ბალანსი კორექტირებამდე

შემდეგი მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ საცდელი ბალანსი 31 მაისის მდგომარეობით:

ანგარიშების დასახელება	ფე
შემოსავალი რეალიზაციიდან	400
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	180
წინასწარ გადახდილი იჯარის ხარჯები	90
მიღებული ავანსები	210
სანესდებო კაპიტალი	590
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან	460
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	800
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	130
შრომის ანაზღაურების ხარჯები	210
მივლინების ხარჯები	250

## სავარჯიშო 5. საცდელი ბალანსი კორექტირებამდე

შემდეგი მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ საცდელი ბალანსი 30 ივნისის მდგომარეობით (ფე):

ანგარიშების დასახელება	ფე
მიღებული ავანსები	210
შემოსავალი რეალიზაციიდან	400
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	130
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	300
მისაღები პროცენტები	190
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	460
საწესდებო კაპიტალი	690
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	180
შრომის ანაზღაურების ხარჯები	210
მივლინების ხარჯები	250

## 5.2 მაკორექტირებელი გატარებები და სააღრიცხვო ციკლის დასრულება

### სავარჯიშო 6. დარიცხვები და გადავადებები

ასახეთ 30 მაისის ტრანზაქციები მთავარ ჟურნალში:

1. კომპიუტერული პროგრამის გათვლებით მომუშავეთა მიმდინარე თვის ხელფასმა შეადგინა 150 ფე. ხელფასი გაიცემა მომდევნო თვის 4 ივნისს;
2. მაისის საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 180 ფე. პროცენტი მიიღება 6 თვის შემდეგ;
3. გადასახდელია მაისის თვის იჯარის ქირა 120 ფე, გადახდა მოხდება 25 ივნისს;
4. დარიცხულია ქონების გადასახადი 35 ფე.

### სავარჯიშო 7. დარიცხვები და გადავადებები

ასახეთ თებერვლის თვის ტრანზაქციები მთავარ ჟურნალში:

- » 15 თებერვალს მიწოდებულია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით 220 ფე, ღირებულება ანაზღაურდება 22 მარტს;
- » 17 თებერვალს შექმნილია კომპიუტერები, რომლის ღირებულება გადაიხდება 18 მარტს 310 ფე;
- » 25 თებერვალს მიღებულია სამშენებლო-სარემონტო საწარმოს ინვეისი შესრულებულ სამუშაოებზე 330 ფე. სამუშაოების ღირებულება გადახდილია 15 იანვარს;

- » 27 თებერვალს შემკვეთს მიენოდა საქონელი 240 ფე, რომლის ღირებულება მიღებულია 7 იანვარს.

### **სავარჯიშო 8. დარიცხვები და გადავადებები**

ასახეთ აგვისტოს თვის ტრანზაქციები მთავარ ჟურნალში:

- » 1 აგვისტოს გადარიცხულია დაზღვევის პოლისის ღირებულება 1,200 ფე. პოლისის ვადაა ერთი წელი: მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან მომდევნო წლის 1 აგვისტომდე;
- » 5 აგვისტოს მყიდველს მიენოდა საქონელი 160 ფე, რომლის ღირებულება მიღებულია 16 მაისს;
- » 13 აგვისტოს აუდიტორულ კომპანიას გადაურიცხეს 245 ფე, აუდიტორული მომსახურება ჩატარდება მომდევნო წლის იანვარში;
- » 5 სექტემბერს მიღებულია აგვისტოს კომუნალური გადასახადების ქვითრები 111 ფე.

### **სავარჯიშო 9. დარიცხვები და გადავადებები**

ასახეთ სექტემბრის თვის ტრანზაქციები მთავარ ჟურნალში:

- » 11 სექტემბერს შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა 420 ფე, რომლის ღირებულება გადახდილია მაისში;
- » 14 სექტემბერს განეულია მომსახურება 130 ფე, რომლის ღირებულება მიღებულია 14 აგვისტოს;
- » 21 სექტემბერს გადარიცხულია საადვოკატო მომსახურების ღირებულება 440 ფე, რომელიც განეული იქნება ნოემბერში;
- » 26 სექტემბერს გადარიცხულია 6 თვის იჯარის ქირა 600 ფე ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით.

### **სავარჯიშო 10. დარიცხვები და გადავადებები**

ასახეთ დეკემბრის თვის ტრანზაქციები მთავარ ჟურნალში:

- » 4 დეკემბერს მიღებულია ნოემბრის დასუფთავების მომსახურების ღირებულების ქვითარი 200 ფე;
- » 10 დეკემბერს გადარიცხულია 8 თვის ინტერნეტმომსახურების ღირებულება 400 ფე დეკემბრიდან დაწყებული;
- » 19 დეკემბერს ბანკიდან გადარიცხულია კომპანიის ფინანსური დირექტორის მივლინების თანხები 330 ფე;
- » 5 იანვარს მიღებულია დეკემბრის დასუფთავების მომსახურების ღირებულების ქვითარი 180 ფე;

### **სავარჯიშო 11. დახურვის ჩანანერები**

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

1. გააკეთეთ დახურვის გატარებები მთავარ ჟურნალში;
2. წარმოადგინეთ საცდელი ბალანსი დახურვებით.

საცდელი ბალანსი 31.12. მდგომარეობით (ფვ)		
ანგარიშების დასახელება	დებიტო	კრედიტო
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	200	
საქონელი	200	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		100
მიღებული ავანსები		200
სანესდებო კაპიტალი		400
შემოსავალი რეალიზაციიდან		500
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	150	
იჯარის ხარჯები	100	
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	50	
<b>ჯამი:</b>	<b>1,200</b>	<b>1,200</b>

## სავარჯიშო 12. დახურვის ჩანაწერები

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

1. გააკეთეთ დახურვის გატარებები მთავარ ჟურნალში;
2. წარმოადგინეთ საცდელი ბალანსი დახურვებით.

საცდელი ბალანსი 30.11. მდგომარეობით (ფვ)		
ანგარიშების დასახელება	დებიტო	კრედიტო
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	620	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	80	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		200
გადასახდელი ხელფასები		20
სანესდებო კაპიტალი		400
შემოსავალი რეალიზაციიდან		400
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	50	
მივლინების ხარჯები	120	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	150	
<b>ჯამი:</b>	<b>1,020</b>	<b>1,020</b>

### სავარჯიშო 13. დახურვის ჩანაწერები

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

1. გააკეთეთ დახურვის გატარებები მთავარ ჟურნალში;
2. წარმოადგინეთ საცდელი ბალანსი დახურვებით.

საცდელი ბალანსი 30.04. მდგომარეობით (ფე)		
ანგარიშების დასახელება	დებიტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	800	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	50	
მინის ნაკვეთი	200	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		300
გადასახდელი ხელფასები		150
სანესდებო კაპიტალი		600
შემოსავალი რეალიზაციიდან		800
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	700	
რემონტის ხარჯები	70	
სხვა საგადასახადო ხარჯები	30	
<b>ჯამი:</b>	<b>1,850</b>	<b>1,850</b>

### სავარჯიშო 14. დახურვის ჩანაწერები

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

1. გააკეთეთ დახურვის გატარებები მთავარ ჟურნალში;
2. წარმოადგინეთ საცდელი ბალანსი დახურვებით.

საცდელი ბალანსი 31.12. მდგომარეობით (ფე)		
ანგარიშების დასახელება	დებიტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	100	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	60	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	70	
სანესდებო კაპიტალი		300
შემოსავალი რეალიზაციიდან		750
შრომის ანაზღაურების ხარჯები	400	
რემონტის ხარჯები	250	
კონსულტაციის ხარჯები	100	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	70	
<b>ჯამი:</b>	<b>1,050</b>	<b>1,050</b>

## სავარჯიშო 15. დახურვის ჩანაწერები

შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ:

- დახურვის გატარებები მთავარ ჟურნალში;
- წარმოადგინეთ საცდელი ბალანსი დახურვებით.

საცდელი ბალანსი 30.04. მდგომარეობით (დეკ)		
ანგარიშის დასახელება	დებიტო	კრედიტო
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	670	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	50	
სხვა წინასწარ განული ხარჯები	200	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		300
მიღებული ავანსები		200
გადასახდელი ხელფასები		150
სანესდებო კაპიტალი		400
შემოსავალი რეალიზაციიდან		600
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	500	
შრომის ანაზღაურების ხარჯები	130	
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	70	
სხვა საგადასახადო ხარჯები	30	
<b>ჯამი:</b>	<b>1,650</b>	<b>1,650</b>

## სავარჯიშო 16. ფინანსური ანგარიშგება

კორექტირებული საცდელი ბალანსის მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება.

საცდელი ბალანსი №1-12, ძველობით (ფე)						
ანგარიშების დასახელება	კორექტირების შემდეგ		დახურვის გატარებები		ჩამოვები დახურვების შემდეგ	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500				500	
მთხოვნები მინოდებიდან და მომსახურებიდან	200				200	
საქონელი	200				200	
ვალდებულებები მინოდებიდან და მომსახურებიდან		100				100
მიღებული ავანსები		200				200
სანესდებო კაპიტალი		400				400
გაუნაწილებელი მოგება				200 <sup>(5)</sup>		200
პერიოდის მოგება- ზარალი			150 <sup>(2)</sup> 100 <sup>(3)</sup> 50 <sup>(4)</sup> 200 <sup>(5)</sup>	500 <sup>(1)</sup>		
შემოსავალი რეალიზაციიდან		500	500 <sup>(1)</sup>			0
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	150			150 <sup>(2)</sup>	0	
იჯარის ხარჯები	100			100 <sup>(3)</sup>	0	
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	50			50 <sup>(4)</sup>	0	
<b>ჯამი:</b>	<b>1,200</b>	<b>1,200</b>	<b>1,000</b>	<b>1,000</b>	<b>900</b>	<b>900</b>

### სავარჯიშო 17. ფინანსური ანგარიშგება

კორექტირებული საცდელი ბალანსის მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება.

საცდელი ბალანსი №1. 11. მდგომარეობით (დე)						
ანგარიშების დასახელება	კორექტირების შემდეგ		დახურვის ვატარებები		ნაშთები დახურვების შემდეგ	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	620				620	
მოთხოვნები მონოდებიდან და მომსახურებიდან	80				80	
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		200				200
გადასახდელი ხელფასები		20				20
სანესდებო კაპიტალი		400				400
გაუნაწილებელი მოგება				80 <sup>(5)</sup>		80
პერიოდის მოგება-ზარალი			50 <sup>(2)</sup> 120 <sup>(3)</sup> 150 <sup>(4)</sup> 80 <sup>(5)</sup>	400 <sup>(1)</sup>		
შემოსავალი რეალიზაციიდან		400	400 <sup>(1)</sup>			0
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	50			50 <sup>(2)</sup>	0	
მივლინების ხარჯები	120			120 <sup>(3)</sup>	0	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	150			150 <sup>(4)</sup>	0	
<b>ჯამი:</b>	<b>1,020</b>	<b>1,020</b>	<b>800</b>	<b>800</b>	<b>700</b>	<b>700</b>

### სავარჯიშო 18. ფინანსური ანგარიშგება

კორექტირებული საცდელი ბალანსის მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება.

საცდელი ბალანსი შპს-ს მდგომარეობით (ფც)						
ანგარიშების დასახელება	პორექტირების შემდეგ		დახურვის ვატარებები		ნაშთები დახურვების შემდეგ	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	800				800	
მოთხოვნები მინოდებიდან და მომსახურებიდან	50				50	
მინის ნაკვეთი	200				200	
ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან		300				300
გადასახდელი ხელფასები		150				150
სანესდებო კაპიტალი		600				600
პერიოდის მოგება-ზარალი			700 <sup>(2)</sup> 70 <sup>(3)</sup> 30 <sup>(4)</sup>	800 <sup>(1)</sup>		0
შემოსავალი რეალიზაციიდან		800	800 <sup>(1)</sup>			0
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	700			700 <sup>(2)</sup>	0	
რემონტის ხარჯები	70			70 <sup>(3)</sup>	0	
სხვა საგადასახადო ხარჯები	30			30 <sup>(4)</sup>	0	
<b>ჯამი:</b>	<b>1,850</b>	<b>1,850</b>	<b>1,600</b>	<b>1,600</b>	<b>1,050</b>	<b>1,050</b>

**სავარჯიშო 19. ფინანსური ანგარიშგება**

შემდეგი მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

31 დეკემბრის მდგომარეობით	ფე
სანესდებო კაპიტალი	1,000
გაუნაწილებელი მოგება 01.01.	5,800
მიმდინარე წლის მოგება	1,700
წლის განმავლობაში დარიცხული დივიდენდები	500

**სავარჯიშო 20. ფინანსური ანგარიშგება**

შემდეგი მონაცემების საფუძველზე მოამზადეთ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

31 დეკემბრის მდგომარეობით	ფე
სანესდებო კაპიტალი	1,700
გაუნაწილებელი მოგება 01.01.	4,800
მიმდინარე წლის ზარალი	700
წლის განმავლობაში წინა წლის მოგებიდან დარიცხული დივიდენდები	500

6.1. ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი

6.2. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი

6.3. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტური ანალიზი

» ამოცანები

განხილული მასალის შესწავლის საფუძველზე თქვენ უკვე გაქვთ გარკვეული ცოდნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რაც მოიცავს ტრანზაქციების ფართო სპექტრის ანალიზს, მათ ჩანერას ჟურნალში და არსებული ნაშთების ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

სანარმოები საჯაროდ აქვეყნებენ ფინანსურ ანგარიშგებას, რათა დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ ინფორმაციას სანარმოს ეკონომიკური საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოგება-ზარალის ანგარიშგება ასახავს - რამდენად ეფექტიანი იყო სანარმოს საქმიანობა საანგარიშგებო პერიოდში. შემოსავლებისა და ხარჯების შეპირისპირების შედეგი აისახება წმინდა მოგების ან ზარალის სახით. გაუნაწილებელი მოგების მუხლით მიეთითება სანარმოს მიერ დაგროვილი მოგება ეკონომიკური საქმიანობის დანაწილების შემდგომ პერიოდში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) წარმოადგენს ყოვლისმომცველ კრებსით ანგარიშგებას, რომელშიც ჩამოთვლილია აქტივები, ვალდებულებები, მფლობელის ინვესტიციები და აკუმულირებული მოგება. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ფინანსური ანგარიშგების მაგალითები.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მომზადების შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს მათი ანალიზი, რათა მივიღოთ ობიექტური ინფორმაცია კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის შედეგებისა და მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საანგარიშგებო პერიოდში. ასეთი ანალიზი ბიზნეს-მენჯერებსა და ინვესტორებს ეხმარება შემდგომი საანგარიშგებო პერიოდისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში. ანალიზის საფუძველზე, უნდა განისაზღვროს ბიზნესის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაბამისად, მიღებული უნდა იქნას

ზომები სუსტი მხარეების გამოსასანორებლად, ხოლო ძლიერი მხარეები - კიდევ უფრო გაძლიერდეს და განახლდეს.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უმეტესი ნაწილი სრულდება კოეფიციენტების (თანაფარდობების) გამოყენებით, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება ერთი მაჩვენებელი მეორეს. ერთი ან მეტი მაჩვენებელი იყოფა სხვა მაჩვენებელზე, რაც გვაძლევს გარკვეულ სიდიდეებს მეთოდებში ან პროცენტებში. მაგრამ თავისთავად მხოლოდ ამგვარი თანაფარდობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ არის. მნიშვნელოვანია მათი შედარება მოსალოდნელ შედეგებთან, გასული პერიოდისა და სხვა კომპანიის შედეგებთან. ასეთი შედარებები საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რა მდგომარეობაშია კომპანია, როგორი წარმატებით მუშაობს, ყველაფერი ისეა, როგორც ვვარაუდობდით და ვიმედოვნებდით თუ არა? აღნიშნულის მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, რომელთაგან გამოიყოფა ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური, ჰორიზონტალური და კოეფიციენტური ანალიზი.

**სანარმო „ციცინათელა“**  
 მოგება-ზარალის ანგარიშგება  
 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით (ფე)

	2019	2018
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/Sales	994,000	828,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება/ Cost of merchandise sold	414,000	393,000
<b>საერთო მოგება/Gross Profit</b>	<b><u>580,000</u></b>	<b><u>435,000</u></b>
<b>საოპერაციო ხარჯები/ Operating Expenses</b>		
შრომის ანაზღაურების ხარჯი/ Salaries expense	77,000	64,000
იჯარის ხარჯი/ Rent expense	63,000	52,000
დამზღვევის ხარჯი/ Insurance expense	56,000	46,000
მასალების ხარჯი/ Supplies expense	49,000	41,000
რეკლამის ხარჯი/ Advertising expense	42,000	35,000
ამორტიზაციის ხარჯი/ Depreciation expense	35,000	29,000
კომუნალური ხარჯი/ Utilities expense	28,000	23,000
სულ საოპერაციო ხარჯები/ Total operating expenses	348,000	290,000
<b>საოპერაციო მოგება/ Net income from operations</b>	<b><u>232,000</u></b>	<b><u>145,000</u></b>
სხვა შემოსავლები და ხარჯები/ Other revenue and expenses		
მოგება ინვესტიციების/ Gain on sale of investments რეალიზაციიდან	137,000	186,000
საპროცენტო ხარჯი/ Interest expense	-55,000	-50,000
<b>მოგება დაბეგვრამდე/ Income before income tax</b>	<b><u>314,000</u></b>	<b><u>281,000</u></b>

მოგების გადასახადი/ Income tax expense	66,000	50,000
<b>წმინდა შემოსავალი/ Net income</b>	<b>248,000</b>	<b>231,000</b>

**სანარმო „ციცინათელა“**  
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით (ფე)

	2019	2018
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში/Retained earnings, beginning of year	2,198,000	1,987,000
წმინდა შემოსავალი/Net income	248,000	231,000
დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე Preferred stock dividends	-12,000	-12,000
დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე/Common stock dividends	-8,000	-8,000
გაუნაწილებელი მოგების ზრდა/Increase in retained earnings	-20,000	-20,000
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს/Retained earnings, end of year	2,426,000	2,198,000

**სანარმო „ციცინათელა“**  
2018 და 2019 წლების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)  
(31 დეკემბრის მდგომარეობით) (ფე)

	2019	2018
<b>აქტივები/ASSETS</b>		
ფული/Cash	373,000	331,000
ფასიანი ქაღალდები/Marketable securities	248,000	215,000
დებიტორული დავალიანება/Accounts receivable	108,000	91,000
მარაგები/Inventory	55,000	48,000
წინასწარი გადახდა (დაზღვევა)/Prepaid insurance	127,000	115,000
სულ მიმდინარე აქტივები/Total current assets	911,000	800,000
<b>გრძელვადიანი ინვესტიციები/Long-term investments:</b>		
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში/Investment in equity securities	1,946,000	1,822,000
<b>ძირითადი აქტივები/Property, plant and equipment:</b>		
მანქანა-დანადგარები (დაგროვილი ცვეთის გამოკლებით)/Equipment (net of accumulated depreciation)	87,000	42,000
შენობები (დაგროვილი ცვეთის გამოკლებით)/Building (net of accumulated depreciation)	645,000	581,000

მინა/Land	361,000	361,000
სულ ძირითადი აქტივები/Total property, plant and equipment	1,093,000	984,000
სულ აქტივები/Total assets	3,950,000	3,606,000
<b>ვალდებულებები/LIABILITIES</b>		
<b>მიმდინარე ვალდებულებები/Current liabilities:</b>		
კრედიტორული დავალიანება/Accounts payable	120,000	109,000
გადასახდელი ხელფასი/Salaries payable	244,000	222,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები/Total current liabilities	364,000	331,000
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები/Long-term liabilities:</b>		
იპოთეკური სესხი/Mortgage note payable	83,000	83,000
ობლიგაციები/Bonds payable	828,000	745,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები/Total long-term liabilities	911,000	828,000
სულ ვალდებულებები/Total liabilities	1,275,000	1,159,000
<b>სააქციო კაპიტალი/STOCKHOLDERS' EQUITY</b>		
პრივილეგირებული აქციები/Preferred	166,000	166,000
ჩვეულებრივი აქციები/Common stock	83,000	83,000
გაუნაწილებელი მოგება/Retained earnings	2,426,000	2,198,000
სულ სააქციო კაპიტალი/Total stockholders' equity	2,675,000	2,447,000
სულ ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი/Total liabilities and stockholders' equity	3,950,000	3,606,000

### პერიოდული პროფილაქტიკა

ყოველწლიურად, მრავალი ადამიანი ჯანმრთელობის შემონახვის მიზნით სტუმრობს ოჯახის ექიმს. ეს პროცესი ხშირად მოიცავს ფიზიკურ შემოწმებას, ექიმი უსმენს პაციენტის სუნთქვას, სინჯავს, წონის, უტარებს ანალიზებს, რათა შეაფასოს სხეულის სხვადასხვა ნაწილების ფიზიკური მდგომარეობა და სიჯანსაღე, სიცოცხლისუნარიანობის ნიშნები და ანალიზის შედეგები.

შემოწმების შედეგები შეიძლება იყოს ზოგიერთ ნაწილში დადებითი, ზოგან კი - ნაკლებად კარგი. ორგანიზმის რომელმე ორგანოს არასასურველმა მდგომარეობამ შეიძლება მთელ ორგანიზმზე იქონიოს უარყოფითი გავლენა. ასეთი სისუსტეების გამოვლენის შემდეგ მიიღება სათანადო ზომები, როგორებიცაა: მედიკამენტებით მკურნალობა, პროცედურები, ვარჯიშები, კვების რეჟიმის შეცვლა და ა.შ., რაც ჯანმრთელობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მაგალითად, ქოლესტერინის მაღალი დონის ან

ჭარბი წონის შემთხვევაში ექიმის მიერ შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ცხოვრების სტილის შეცვლა და სამკურნალო საშუალებების დანიშვნა. მომდევნო წელს ექიმთან ვიზიტისას ჩატარებულმა ანალიზებმა შეიძლება გამოავლინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის პროგრესი და სხვა დადებითი დიაგნოსტიკური შედეგები. ამგვარი შემონმბების მიზანია სისუსტეების მუდმივი ზედამხედველობა მათ გამოსასწორებლად და მზარდი პოზიტიური შედეგების მისაღწევად.

მსგავსი პროცესი გამოიყენება კომპანიის საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის შესათვალად. ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის არსებულ მდგომარეობას დროის გარკვეული პერიოდისათვის. ზონდირებები, ტესტირებები და შერჩევითი შემონმბები ტარდება მის ცალკეულ უბნებზე, კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, რის შემდეგაც დაისახება მდგომარეობის გამოსწორებისა და გაუმჯობესების სამოქმედო გეგმები.

## 6.1. ფინანსური ანგარიშგების კორიზონტალური ანალიზი

სანარმოს საქმიანობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ერთსა და იმავე ანგარიშგებაში დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების ანალიზის შედეგად, როგორც ფულად საზომში, ისე პროცენტული გადახრების დადგენის გზით. ფინანსური ანგარიშგების შედარებითი ანალიზი ერთმანეთს უდარებს ორი (ან მეტი) თანმიმდევრული წლის შედეგებს. კორიზონტალური ანალიზი გულისხმობს თითოეული პოზიციის როგორც ღირებულებითი, ისე პროცენტული გადახრების შესწავლას. საბაზისო მონაცემებად გამოიყენება წინა წლის მაჩვენებლები.

**სანარმო "ციცინათელა"**  
მოგება-ზარალის შედარებითი ანგარიშგება  
2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით (ფე)

დასახელება	2019	2018	გადახრა 2018 წელთან შედარებით	გადახრა %-ში
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/Sales	994,000	828,000	166,000	20.0%
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება/ Cost of merchandise sold	<u>414,000</u>	<u>393,000</u>	21,000	5.3%
<b>საერთო მოგება/Gross Profit</b>	580,000	435,000	145,000	33.3%
საოპერაციო ხარჯები/ Operating Expenses				

შრომის ანაზღაურების ხარჯი/ Salaries expense	77,000	64,000	13,000	20.3%
იჯარის ხარჯი/ Rent expense	63,000	52,000	11,000	21.2%
დაზღვევის ხარჯი/ Insurance expense	56,000	46,000	10,000	21.7%
მასალების ხარჯი/ Supplies expense	49,000	41,000	8,000	19.5%
რეკლამის ხარჯი/ Advertising expense	42,000	35,000	7,000	20.0%
ამორტიზაციის ხარჯი/ Depreciation expense	35,000	29,000	6,000	20.7%
კომუნალური ხარჯი/ Utilities expense	<u>28,000</u>	<u>23,000</u>	5,000	21.7%
სულ საოპერაციო ხარჯები/ Total operating expenses	348,000	290,000	5,800	20.0%
<u>საოპერაციო მოგება/ Net income from operations</u>	232,000	145,000	87,000	60.0%
სხვა შემოსავლები და ხარჯები/ Other revenue and expenses				
მოგება ინვესტიციების რეალიზაციიდან / Gain on sale of investments	137,000	186,000	-49,000	-26.3%
საპროცენტო ხარჯი/ Interest expense	<u>(55,000)</u>	<u>(50,000)</u>	5,000	10.0%
<u>მოგება დაბეგვრამდე/ Income before income tax</u>	314,000	281,000	33,000	11.7%
მოგების გადასახადი/ Income tax expense	<u>66,000</u>	<u>50,000</u>	16,000	32.0%
<u>წმინდა შემოსავალი/ Net income</u>	<u>248,000</u>	<u>231,000</u>	17,000	7.4%

სანარმოს 2018 და 2019 წლების შემოსავლების ანგარიშგების კორიგონტალური ანალიზი მოცემულია მარცხენა მხარეს. პირველი ორი სვეტი გვიჩვენებს მოგება-ზარალის ანგარიშგების მონაცემებს ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის. თითოეული სტრიქონის თანხებსა და პროცენტულ სიდიდეებს შორის სხვაობები წარმოდგენილია ბოლო ორ სვეტში.

ცალკეულ პოზიციასთან მიმართებით წლიდან წლამდე განხორციელებული ცვლილებების ასახვა ანგარიშგებაში შეიძლება გაანალიზდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, როდის და რა ნაწილში ჰქონდა კომპანიას დადებითი მაჩვენებლები, მაგალითად, შემოსავლებისა და მოგების ზრდასთან ერთად ხარჯების შემცირება. ამგვარი ანალიზის შედეგად შეიძლება გამოიყოს ნაკლებად ხელსაყრელი პოზიციებიც და მოხდეს მათი დამატებითი გამოკვლევა.

მოგება-ზარალის ანგარიშგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩვენს მაგალითში გაყიდვების ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 20% ( $166,000/828,000 \cdot 100\%$ ), საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა მთლიანმა მოგებამ და შემოსავლებმა კი შესაბა-

მისად - 33,3% და 60,0%. საბოლოოდ მოგების ზრდამ შეადგინა 7,4%. საოპერაციო შემოსავლებისა და წმინდა მოგების მაჩვენებლების გადახრები უნდა განვიხილოთ იმ მიზეზების დასადგენად, რამაც წმინდა მოგების ცვლილება გამოიწვია. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სასურველია შემოსავლების ზრდის ტემპი აღემატებოდეს დანახარჯების ზრდის ტემპს.

აღნიშნულის ანალოგიურად ქვემოთ მოცემულია საანალიზო კომპანიის 2018 და 2019 წლების ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი. თითოეულ სტრიქონში მოცემულ თანხებსა და პროცენტულ მაჩვენებლებს შორის გადახრები ასახულია ბოლო ორ სვეტში.

**სანარმო "ციცინათულა"**  
2018 და 2019 წლების ბალანსის ანალიზი  
(31 დეკემბრის მდგომარეობით) (ფე)

აქტივები/ASSETS				
დასახელება	2019	2018	სხვაობა	გადახრა %
<b>მიმდინარე აქტივები/Current assets:</b>				
ფული/Cash	373,000	331,000	42,000	12.69%
ფასიანი ქაღალდები/Marketable securities	248,000	215,000	33,000	15.30%
დებიტორული დავალიანება/Accounts receivable	108,000	91,000	17,000	18.70%
მარაგები/Inventory	55,000	48,000	7,000	14.60%
წინასწარი გადახდა (დაზღვევა)/Prepaid insurance	<u>127,000</u>	<u>115,000</u>	12,000	10.40%
<b>სულ მიმდინარე აქტივები/Total current assets</b>	<b>911,000</b>	<b>800,000</b>	<b>111,000</b>	<b>13.9%</b>
<b>გრძელვადიანი ინვესტიციები/Long-term investments:</b>				
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში/Investment in equity securities	1,946,000	1,822,000	124,000	6.80%
<b>ძირითადი აქტივები/Property, plant and equipment:</b>				
მანქანა-დანადგარები (დაგროვილი ცვეთის გამოკლებით)/Equipment (net of accumulated depreciation)	87,000	42,000	45,000	107.10%
შენობები (დაგროვილი ცვეთის გამოკლებით)/Building (net of accumulated depreciation)	645,000	581,000	64,000	11.00%
მიწა/Land	361,000	361,000		
<b>სულ ძირითადი აქტივები/Total property, plant and equipment</b>	<b><u>1,093,000</u></b>	<b><u>984,000</u></b>	<b>109,000</b>	<b>11.10%</b>
<b>სულ აქტივები/Total assets</b>	<b><u>3,950,000</u></b>	<b><u>3,606,000</u></b>	<b>344,000</b>	<b>9.50%</b>

ვალდებულებები/LIABILITIES				
მიმდინარე ვალდებულებები/Current liabilities:				
კრედიტორული დავალიანება/ Accounts payable	120,000	109,000	11,000	10.10%
გადასახდელი ხელფასი/Salaries payable	<u>244,000</u>	<u>222,000</u>	22,000	9.90%
სულ მიმდინარე ვალდებულებები/ Total current liabilities	364,000	331,000	33,000	10.00%
გრძელვადიანი ვალდებულებები/ Long-term liabilities:				
იპოთეკური სესხი/Mortgage note payable	83,000	83,000		
ობლიგაციები/Bonds payable	<u>828,000</u>	<u>745,000</u>	83,000	11.10%
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები/ Total long-term liabilities	911,000	828,000	83,000	10.00%
სულ ვალდებულებები/Total liabilities	<u>1,275,000</u>	<u>1,159,000</u>	116,000	10.00%
სააქციო კაპიტალი/STOCKHOLDERS' EQUITY				
პრივილეგირებული აქციები/Preferred	166,000	166,000		
ჩვეულებრივი აქციები/Common stock	83,000	83,000		
გუნანილებელი მოგება/Retained earnings	<u>2,426,000</u>	<u>2,198,000</u>	228,000	10.40%
სულ სააქციო კაპიტალი/Total stockholders' equity	2,675,000	2,447,000	228,000	9.30%
სულ ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი/Total liabilities and stockholders' equity	<u>3,950,000</u>	<u>3,606,000</u>	344,000	9.50%

ჰორიზონტალური ანალიზი ეყრდნობა კომპანიის 2018 და 2019 წლების ბალანსის მონაცემებს. ამ შემთხვევაშიც, ცალკეულ მაჩვენებლებს შორის გადახრები (აბსოლუტურ და პროცენტულ სიდიდეებში) ასახულია ბოლო ორ სვეტში.

მთლიანი აქტივების ზრდა 344,000 ფე-ით გვაძლევს 9,5%-იან ცვლილებას დადებითი მიმართულებით. მთლიანი ვალდებულებები წლიდან წლამდე გაიზარდა 10,0%-ით ანუ 116,000 ფე-ით. დაინტერესებული მხარეების წილის ცვლილებამ (ზრდამ) კომპანიის კაპიტალში შეადგინა - 228,000 ფე ანუ 9.3%, ყოველივე ეს კი ბალანსის ყველა ძირითადი ინდიკატორის მდგრად ზრდაზე მიუთითებს.

## 6.2. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი

ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეიძლება ჩატარდეს ასევე ვერტიკალური ანალიზიც, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავადგინოთ თითოეული მონაცემის პროცენტული გადახრა საერთო სიდიდის ჯამის მიმართ.

მოგება-ზარალის ანგარიშგების შედარებით ანალიზში თითოეული სტრიქონის თანხა იყოფა გაყიდვების მოცულობაზე, რომელსაც უფრო მაღალი ღირებულება აქვს, რადგან იგი წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგების მთავარ მაჩვენებელს.

**სანარმო „ციცინათულა“**  
2018 და 2019 წლების მოგება-ზარალის შედარებითი ანალიზი  
(31 დეკემბრის მდგომარეობით) (ფე)

	2019	2019	2018	2018
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/Sales	994,000	100.00%	828,000	100.00%
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება / Cost of merchandise sold	414,000	41.65%	393,000	47.46%
საერთო მოგება/Gross Profit	580,000	58.35%	435,000	52.54%
საოპერაციო ხარჯები / Operating Expenses:				
შრომის ანაზღაურების ხარჯი/ Salaries expense	77,000	7.75%	64,000	7.73%
იჯარის ხარჯი/ Rent expense	63,000	6.34%	52,000	6.28%
დაზღვევის ხარჯი / Insurance expense	56,000	5.63%	46,000	5.56%
მინოდების ხარჯი / Supplies expense	49,000	4.93%	41,000	4.95%
რეკლამის ხარჯი/ Advertising expense	42,000	4.23%	35,000	4.23%
ამორტიზაციის ხარჯი/ Depreciation expense	35,000	3.52%	29,000	3.50%
კომუნალური ხარჯი/ Utilities expense	28,000	2.82%	23,000	2.78%
სულ საოპერაციო ხარჯები/ Total operating expenses	348,000	35.01%	290,000	35.02%
საოპერაციო მოგება/ Net income from operations	232,000	23.34%	145,000	17.51%
სხვა შემოსავლები და ხარჯები/ Other revenue and expenses				
მოგება ინვესტიციების რეალიზაციიდან / Gain on sale of investments	137,000	13.78%	186,000	22.46%
საპროცენტო ხარჯი/ Interest expense	-55,000	5.53%	-50,000	6.04%
მოგება დაბეგვრამდე / Income before income tax	314,000	31.59%	281,000	33.94%
მოგების გადასახადი/ Income tax expense	66,000	6.64%	50,000	6.04%
წმინდა შემოსავალი/ Net income	248,000	24.95%	231,000	27.90%

ბალანსის ცალკეულ მუხლში აღნიშნული თანხა იყოფა აქტივების მთლიან სიდიდებზე, რაც უდრის მთლიანი ვალდებულებებისა და კაპიტალში მესაკუთრეთა წილების ჯამს.

**სანარმო „ციცინათლა“**  
2018 და 2019 წლების ბალანსი  
(31 დეკემბრის მდგომარეობით) (ფე)

აქტივები	2019		2018	
	ფე	ხვედრითი წილი	ფე	ხვედრითი წილი
<b>მიმდინარე აქტივები / Current assets:</b>				
ნაღდი ფული სალაროში / Cash	373,000	9.44%	331,000	9.18%
ფასიანი ქაღალდები / Marketable securities	248,000	6.28%	215,000	5.96%
დებიტორული დავალიანება / Accounts receivable	108,000	2.73%	91,000	2.52%
სავაჭრო მარაგები / Merchandise Inventory	55,000	1.39%	48,000	1.33%
წინასწარ გადახდილი დაზღვევა / Prepaid insurance	127,000	3.22%	115,000	3.19%
<b>სულ მიმდინარე აქტივები / Total current assets</b>	<b>911,000</b>	<b>23.06%</b>	<b>800,000</b>	<b>22.19%</b>
<b>გრძელვადიანი ინვესტიციები / Long-term investments:</b>				
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში / Investment in equity securities	1,946,000	49.27%	1,822,000	50.53%
<b>ძირითადი აქტივები / Property, plant and equipment:</b>				
მანქანა-დანადგარები (დაგროვილი ცვეთის გამოკლებით) / Equipment (net of accumulated depreciation)	87,000	2.20%	42,000	1.16%
შენობები (დაგროვილი ცვეთის გამოკლებით) / Building (net of accumulated depreciation)	645,000	16.33%	581,000	16.11%
მინა / Land	361,000	9.14%	361,000	10.01%
<b>სულ ძირითადი აქტივები Total property, plant and equipment</b>	<b>1,093,000</b>	<b>27.67%</b>	<b>984,000</b>	<b>27.29%</b>
<b>სულ აქტივები / Total assets</b>	<b>3,950,000</b>	<b>100.00%</b>	<b>3,606,000</b>	<b>100.00%</b>
<b>ვალდებულებები</b>				

<b>მიმდინარე ვალდებულებები/Current liabilities:</b>				
კრედიტორული დავალიანება/ Accounts payable	120,000	3.04%	109,000	3.02%
გადასახდელი ხელფასი/Salaries payable	244,000	6.18%	222,000	6.16%
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები/ Total current liabilities</b>	<b>364,000</b>	<b>9.22%</b>	<b>331,000</b>	<b>9.18%</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები / Long-term liabilities:</b>				
იპოთეკური სესხი / Mortgage note payable	83,000	2.10%	83,000	2.30%
გადასახდელი ობლიგაციები / Bonds payable	828,000	20.96%	745,000	20.66%
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები / Total long-term liabilities</b>	<b>911,000</b>	<b>23.06%</b>	<b>828,000</b>	<b>22.96%</b>
<b>სულ ვალდებულებები/Total liabilities</b>	<b>1,275,000</b>	<b>32.28%</b>	<b>1,159,000</b>	<b>32.14%</b>
<b>სააქციო კაპიტალი</b>				
პრივილეგირებული აქციები / Preferred stock	166,000	4.20%	166,000	4.60%
ჩვეულებრივი აქციები / Common stock,	83,000	2.10%	83,000	2.30%
გუნანილებელი მოგება / Retained earnings	2,426,000	61.42%	2,198,000	60.95%
<b>სულ სააქციო კაპიტალი / Total stockholders' equity</b>	<b>2,675,000</b>	<b>67.72%</b>	<b>2,447,000</b>	<b>67.86%</b>
<b>სულ ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი / Total liabilities and stockholders' equity</b>	<b>3,950,000</b>	<b>100.00%</b>	<b>3,606,000</b>	<b>100.00%</b>

ფინანსური მდგომარეობის ორივე ანგარიშგებაში პროცენტული მაჩვენებლები გაანგარიშებულია ორივე საანგარიშგებო პერიოდისათვის, რაც შესაძლებლობას იძლევა შევადაროთ, რა პროცენტულ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი აღნიშნულ პერიოდში.

ფინანსურ ანგარიშგებაში პროცენტული სიდიდეების გამოყენება კომპანიის ცალკეული ფულად მაჩვენებლებს გარდაქმნის ისეთ სიდიდეებად, რომელთა შედარება შეიძლება სხვა კომპანიების მაჩვენებლებთან, რომლებიც ფულად ერთეულებში შეიძლება განსხვავებული იყოს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ იმ პროცენტულ სიდიდეებს, რომლებიც ასახულია ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ანალიზში. ისინი ხშირად გამოიყენება ერთი კომპანიის მონაცემების შესადარებლად მეორე კომპანიის მაჩვენებლებთან ან საშუალო დარგობრივ მაჩვენებლებთან.

ქვემოთ მოცემულია ორი კომპანიის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი 2019 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების ვერტკალური ანალიზის საფუძველზე.

ციცინათელასა და სანდროს სანარმოების მოგება-ზარალის ანგარიშგებების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, სანდროს სანარმოს უფრო ნაკლები საერთო მოგება აქვს საოპერაციო გაყიდვებიდან, მაგრამ, ამის მიუხედავად, სანდროს სანარმოს მოგება უფრო მეტია, რადგან მას ბევრად უფრო მაღალი მოგება აქვს მიღებული ინვესტიციების რეალიზაციის ხარჯზე.

**სანარმო „ციცინათელა“ VS სანდროს ტკბილეულის სანარმო**  
2019 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება

	ციცინათელა	სანდროს სანარმო
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/ Sales	100%	100%
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება / Cost of merchandise sold	41.65%	47.50%
საერთო მოგება/Gross Profit	58.35%	52.50%
სულ საოპერაციო ხარჯები / Total operating expenses	35.01%	35.00%
საოპერაციო მოგება/ Net income from operations	24.95%	17.50%
სხვა შემოსავლები და ხარჯები / Other revenue and expenses		
მოგება ინვესტიციების რეალიზაციიდან / Gain on sale of investments	13.78%	22.50%
საპროცენტო ხარჯი/ Interest expense	5.53%	6.00%
მოგება დაბეგვრამდე / Income before income tax	31.59%	33.90%
მოგების გადასახადი / Income tax expense	6.64%	6.00%
ნმინდა შემოსავალი/Net income	24.95%	27.90%

### 6.3. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტური ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი წარმოგვიდგენს მონაცემებს ცალკეული პოზიციების მიხედვით ერთგვაროვანი სახით და ყველა მიმართულე-ბით. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის შესახებ შეგვიძლია მივიღოთ მიზნობრივი კოეფიციენტების გაანგარიშებით, რომლებშიც გამოიყენება ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეული მაჩვენებლები. აქაც, ისევე როგორც ზემოთ აღ-ნიშნულ შემთხვევებში, თავად ამ თანაფარდობებს არა აქვს რაიმე განსაკუთრებული მნიშვ-ნელობა; ისინი უნდა შეუდარდეს რაღაც სხვა სიდიდეს - გასული პერიოდის ან სასურველ და/ ან მოსალოდნელ შედეგებს, სხვა კომპანიის შედეგებს ან დარგობრივ სტანდარტებს.

არსებობს კოეფიციენტების სერიები, რომლებსაც საწარმოები ჩვეულებრივ პრაქტიკაში იყენებენ. ეს კოეფიციენტები კლასიფიცირებულია, როგორც ლიკვიდურობა, გადახდისუნა-რიანობა, რენტაბელობა და ინვესტიციის ამოღება.

ლიკვიდურობის ანალიზი ეხება კომპანიის ფულად სახსრებს და მის შესაძლებლობას, რომ სწრაფად მოახდინოს სხვა მოკლევადიანი აქტივების კონვერტაცია ნაღდ ფულში, რათა დააკმაყოფილოს მიმდინარე საოპერაციო საჭიროებები, როგორებიცაა, მაგალითად: ხარ-ჯების განევა და გადასახადების გადახდა მათი გადახდის ვადის დადგომისას. ნაღდი ფული ყველაზე უფრო ლიკვიდური აქტივია; სხვა მიმდინარე აქტივებს, მაგალითად დებიტორულ დავალიანებას ასევე შეუძლია ნაღდი ფულის გენერირება მოკლე პერიოდში.

კრედიტორები და ინვესტორები ხშირად იყენებენ ლიკვიდურობის კოეფიციენტს ბიზნე-სის ეფექტიანობის შესაფასებლად. რამდენადაც კრედიტორები, პირველ რიგში, დაინტერე-სებულები არიან კომპანიის შესაძლებლობებით, რომ დაფარონ არსებული დავალიანებე-ბი, მათ სურთ იცოდნენ - აქვს თუ არა კომპანიას საკმარისი ფული და ფულის ექვივალენტი ვალის მიმდინარე ნაწილის დასაფარავად.

ქვემოთ მოცემულია ლიკვიდურობის ექვსი კოეფიციენტი. მიმდინარე და სწრაფი ლიკ-ვიდურობის კოეფიციენტები აფასებს კომპანიის შესაძლებლობას, რომ შეასრულოს თავი-სი მიმდინარე ვალდებულებები; დებიტორული დავალიანებების ბრუნვა და დავალიანების დაფარვის პერიოდი გვიჩვენებს საწარმოს შესაძლებლობას, თუ რა პერიოდში შეუძლია ამოიღოს საშუალოდ დებიტორული დავალიანება; მარაგების ბრუნვა და მათი გაყიდვების დღეების რაოდენობა კი გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტიანად მართავს საწარმო საკუთარ მარაგებს.

## მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (CURRENT RATIO)

რას აფასებს იგი: კომპანიის შესაძლებლობას, რომ შეასრულოს თავისი მიმდინარე ვალდებულებები საკუთარი სახსრებით და/ან იმ სხვა მოკლევადიანი აქტივებით, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ფულში დროის შედარებით მოკლე პერიოდში. მას საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტსაც უწოდებენ.

$$\text{განგარიშება: } \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{911,000}{364,000} = 2,5$$

სანარმო "ციცინათელა" ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი		2019
აქტივები		
მიმდინარე აქტივები / Current assets		
ფული / Cash		373,000
ფასიანი ქაღალდები / Marketable securities		248,000
დებიტორული ანგარიშები / Accounts receivable		108,000
სავაჭრო მარაგები / Merchandise Inventory		55,000
წინასწარი გადახდები ( დაზღვევა) / Prepaid insurance		127,000
<b>სულ, მიმდინარე აქტივები / Total current assets</b>		<b>911,000</b>

სანარმო "ციცინათელა" ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი		2019
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები / Current liabilities		
კრედიტორული ანგარიშები / Accounts payable		120,000
გადასახდელი ხელფასები / Salaries payable		244,000
<b>სულ, მიმდინარე ვალდებულებები / Total current liabilities</b>		<b>364,000</b>

**განმარტება:** კომპანიის მიმდინარე აქტივები 2,5-ჯერ აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს. ამის წინაპირობას ქმნის ის გარემოება, რომ კომპანიის მიმდინარე აქტივები ლიკვიდურია, ისინი შეიძლება შედარებით მოკლე დროში კონვერტირდეს ფულში, რათა დაფაროს მოკლევადიანი დავალიანება. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი ფასდება დამაკმაყოფილებლად. თუ კომპანია გადანყვეტს არ დაფაროს ვალდებულებები საკუთარი სახსრებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ აქტივი/ვალდებულება 2,5-იანი თანაფარდობა საკმაოდ მაღალია მისი აქტივების სასარგებლოდ, ხოლო თუ კომპანიას კონსერვატიული მიდგომა აქვს ვალდებულებების მიმართ და სურს, რომ მისი დავალიანება შეძლებისდაგვარად მცირე იყოს, მაშინ აქტივი/ვალდებულების 2,5-იანი თანაფარდობა შეიძლება მეტად მცირედ იქნას მიჩნეული. დავალიანების საშუალო ფარგლებისათვის, მიმდინარე ლიკვიდურობის 2.5-იანი კოეფიციენტი შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუმცა ასეთი დაშვება სუბიექტურია და შესაძლებელია იცვლებოდეს სხვადასხვა კომპანიებისათვის.

## სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (QUICK RATIO)

რას აფასებს იგი: კომპანიის შესაძლებლობას, რომ შეასრულოს თავისი მიმდინარე ვალდებულებები საკუთარი სახსრებით და/ან იმ სხვა მოკლევადიანი აქტივებით, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ფულში დროის უმოკლეს პერიოდში. სწრაფად ლიკვიდური აქტივებია ფული, დებიტორული დავალიანებები, სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, მაგრამ არა ძირითადი აქტივები.

$$\text{განგარიშება: } \frac{\text{ლიკვიდური აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{373,000 + 248,000 + 108,000}{364,000} = 2,0$$

საწარმო "ციცინათელა" ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი		2019
აქტივები		
მიმდინარე აქტივები / Current assets		
ფული / Cash		373,000
ფასიანი ქაღალდები / Marketable securities		248,000
დებიტორული დავალიანება / Accounts receivable		108,000
სავაჭრო მარაგები / Merchandise Inventory		55,000
წინასწარი გადახდები ( დაზღვევა) / Prepaid insurance		127,000
სულ, მიმდინარე აქტივები / Total current assets		911,000

საწარმო "ციცინათელა" ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი		2019
პასივები		
მიმდინარე ვალდებულებები / Current liabilities		
ვალდებულებები / Accounts payable		120,000
გადასახდელი ხელფასები / Salaries payable		244,000
სულ, მიმდინარე ვალდებულებები / Total current liabilities		364,000

განმარტება: ამ კომპანიის მაღალ-ლიკვიდური აქტივები, რომლებიც მოიცავს ფულს, ფასიან ქაღალდებსა და მოთხოვნებს, 2,0-ჯერ აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს. ეს იმითაა განპირობებული, რომ კომპანიის მიმდინარე აქტივები მაღალ-ლიკვიდურია და შეიძლება დაუყოვნებლივ იქნას კონვერტირებული ფულში, რათა დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. მიმდინარე აქტივების რეალიზაცია, როგორცაა მარაგები, საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვს საიმისოდ, რომ ისინი სწრაფად ლიკვიდურ აქტივებად იქნას მიჩნეული. ჩვენს შემთხვევაში სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი დამაკმაყოფილებელია. თუ კომპანია გადანყვეტს არ დაფაროს ვალდებულებები საკუთარი სახსრებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ აქტივი/ვალდებულება 2,5-იანი თანაფარდობა საკმაოდ მაღალია მისი აქტივების სასარგებლოდ. ხოლო, თუ კომპანიას კონსერვატიული მიდგომა აქვს ვალდებულებების მიმართ და სურს, რომ მისი დავალიანება შეძლებისდაგვარად მცირე იყოს, მაშინ აქტივი/ვალდებულების 2,0-იანი თანაფარდობა შეიძლება მეტად მცირედ იქნას მიჩნეული. დავალიანების საშუალო ფარგლებისათვის მიმდინარე ლიკვიდურობის 2,0-იანი კოეფიციენტი შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუმცა ასეთი დაშვება სუბიექტურია და შესაძლებელია იცვლებოდეს სხვადასხვა კომპანიებისათვის.

**დებიტორული დავალიანების ბრუნვაობის კოეფიციენტი  
(ACCOUNTS RECEIVABLE TURNOVER)**

რას აფასებს იგი: იგი გვიჩვენებს, თუ როგორი სიხშირით იღებს სანარმო ანაზღაურებას კრედიტით გაყიდული პროდუქციის რეალიზაციიდან. ბიზნესის სფეროში მისაღებ (სასურველ) კოეფიციენტად ითვლება „6“, რაც იმას ნიშნავს, რომ სანარმოს დებიტორული დავალიანება წელიწადში 6-ჯერ უნდა ანაზღაურდეს, ანუ მისი წარმოქმნიდან საშუალოდ 60 დღის შემდეგ (365/6).

$$\text{განგარიშება: } \frac{\text{შემოსავალი}}{\text{საშუალო დებიტორული დავალიანება}} = \frac{994,000}{99,500} = 10$$

სანარმო "ციცინათელა" ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი		2019
<b>აქტივები</b>		
მიმდინარე აქტივები / Current assets		
ფული / Cash		373,000
ფასიანი ქაღალდები / Marketable securities		248,000
<b>დებიტორული დავალიანება / Accounts receivable</b>		<b>108,000</b>
სავაჭრო მარაგები / Merchandise Inventory		55,000
წინასწარი გადახდები ( დაზღვევა) / Prepaid insurance		127,000
<b>სულ, მიმდინარე აქტივები / Total current assets</b>		<b>911,000</b>

სანარმო "ციცინათელა" ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი			2019
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/ Sales	994,000		828,000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება / Cost of merchandise sold	414,000		393,000
საერთო მოგება/Gross Profit	580,000		435,000

განმარტება: რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით უკეთესია.

რაც უფრო ხშირად იხდიან კლიენტები რეალიზებული საქონლის ღირებულებას, მით მეტი ფულადი სახსრები აქვს სანარმოს საკუთარი ვალდებულებების დასაფარავად და მით ნაკლებია გადაუხდელი თანხების არსებობის ალბათობა.

**დებიტორული დავალიანების დაფარვის კარიოლი  
(NUMBER OF DAYS' SALES IN RECEIVABLES)**

რას აფასებს იგი: გვიჩვენებს დღეების რაოდენობას, რაც ჩვეულებრივ სჭირდებათ კლიენტებს დავალიანების გადასახდელად.

$$\text{გაანგარიშება: } \frac{\text{დებიტ. დავალიანების საშუალო ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/ 365}}{\text{ამონაგები საქონლის რეალიზაცია-ციიდან/ 365}} = \frac{(108,000 + 91,000) / 2}{994,000 / 365} = 36.5 \text{ დღე}$$

მნიშვნელი „ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/365“ წარმოადგენს ფულად ერთეულში გამოსახულ დღიური გაყიდვების წლიურ მოცულობას.

სანარმო „ციცინათელა“ ბალანსის ფრაგმენტი 2018-19 წწ		
	2019	2018
<b>აქტივები/ ASSETS</b>		
<b>მიმდინარე აქტივები / Current assets:</b>		
ფული / Cash	373,000	331,000
ფასიანი ქაღალდები / Marketable securities	248,000	215,000
<b>დებიტორული დავალიანება / Accounts receivable</b>	<b>108,000</b>	91,000
საქონელი / Merchandise Inventory	55,000	48,000
წინასწარი გადახდა (დაზღვევა)/ Prepaid insurance	127,000	115,000
<b>სულ მიმდინარე აქტივები / Total current assets</b>	<b>911,000</b>	800,000

სანარმო „ციცინათელა“ ბალანსის ფრაგმენტი 2018-19 წწ		
	2019	2018
<b>ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/ Sales</b>	<b>994,000</b>	828,000
<b>რეალიზებული საქონლის თვითღირებულება / Cost of merchandise sold</b>	<b>414,000</b>	393,000
<b>საერთო მოგება/ Gross Profit</b>	<b>580,000</b>	435,000

**განმარტება:** რაც მცირეა კოეფიციენტი, მით უკეთესია.

რაც უფრო ნაკლები დრო ესაჭიროება კლიენტს დავალიანების დასაფარავად, მით უფრო მეტი ფულადი სახსრები ექნება სანარმოს ვალდებულებების დასაფარავად და მით ნაკლებია გადაუხდელი თანხების არსებობის ალბათობა.

### მარაგების ბრუნვა (INVENTORY TURNOVER)

რას აფასებს იგი: გვიჩვენებს ბრუნვათა რიცხვს, რომელიც შეიძლება შეასრულოს მარაგმა საანალიზო პერიოდში.

გაანგარიშება: 
$$\frac{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}}{\text{მარაგების საშუალო სიდიდე}}$$

საწარმო „ციცინათელა“ მოგება-ზარალის ანგარიშგება 2018 და 2019წწ.		
	2019	2018
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან / Sales	994,000	828,000
რეალიზებული საქონლის ღირებულება / Cost of merchandise sold	414,000	393,000
საერთო მოგება / Gross Profit	580,000	435,000

საწარმო „ციცინათელა“ ბალანსის ფრაგმენტი 31 დეკემბერი, 2019 და 2018წწ		
	2019	2018

აქტივები		
მიმდინარე აქტივები / Current assets:		
ფული / Cash	373,000	331,000
ფასიანი ქაღალდები / Marketable securities	248,000	215,000
დებიტორული დავალიანება / Accounts receivable	108,000	91,000
საქონელი / Merchandise Inventory	55,000	48,000
წინასწარი გადახდა (დამლვევა) / Prepaid insurance	127,000	115,000
სულ მიმდინარე აქტივები Total current assets	911,000	800,000

მარაგის საშუალო სიდიდე = 
$$\frac{\text{მარაგი წ/დ} + \text{მარაგი წ.ბ}}{2}$$

განმარტება: რაც მაღალია კოეფიციენტი, მით უკეთესია.

რაც უფრო ხშირია გაყიდვები, მით უფრო მეტი ფულადი სახსრების გენერირება ხდება საწარმოს მიერ ვალდებულებების დასაფარავად. მარაგების ბრუნვა ასევე წარმოადგენს საწარმოს საოპერაციო საქმიანობის შეფასების საზომს. თუ საწარმოს ძირითადი ბიზნესი არის საქონლის გაყიდვა, მაშინ, რაც უფრო ხშირად განახორციელებს იგი ამ ოპერაციას, მით უფრო წარმატებული იქნება მისი საოპერაციო საქმიანობა.

**მარაგების ბრუნვის ხანგრძლივობის კოეფიციენტი დღეებში  
(NUMBER OF DAYS' SALES IN INVENTORY)**

რას აფასებს იგი: დღეების რაოდენობა, რომლებიც ჩვეულებრივ საჭიროა საქონლის პარტიის გასაყიდად,

$$\text{განგარიშება: } \frac{\text{მარაგების საშუალო რეალიზ. საქონლ. თვითღირებ./ 365}}{\text{რეალიზ. საქონლ. თვითღირებ./ 365}} = \frac{(55,000 + 48,000) / 2}{414,000 / 365} = 45.4 \text{ დღე}$$

მნიშვნელი „რეალიზებული საქონლის ღირებულება / 365“ არის ხარჯი ფულად ერთეულში ერთ დღეში, წელიწადში 365 დღის ბაზისით.

საწარმო „ციცინათელა“ ბალანსის ფრაგმენტი 2018-19 წწ		
	2019	2018
<b>აქტივები / ASSETS</b>		
<b>მიმდინარე აქტივები / Current assets:</b>		
ფული / Cash	373,000	331,000
ფასიანი ქაღალდები / Marketable securities	248,000	215,000
დებიტორული დავალიანება / Accounts receivable	108,000	91,000
<b>საქონელი / Merchandise Inventory</b>	<b>55,000</b>	<b>48,000</b>
წინასწარი გადახდა (დაზღვევა) / Prepaid insurance	127,000	115,000
<b>სულ მიმდინარე აქტივები / Total current assets</b>	<b>911,000</b>	<b>800,000</b>

საწარმო „ციცინათელა“ მოგება-მარალის ანგარიშების ფრაგმენტი 2018-19 წწ		
	2019	2018
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან / Sales	994,000	828,000
<b>რეალიზებული საქონლის თვითღირებულება / Cost of merchandise sold</b>	<b>414,000</b>	<b>393,000</b>
საერთო მოგება / Gross Profit	580,000	435,000

**განმარტება:** რაც დაბალია კოეფიციენტი, მით უკეთესია

რაც ნაკლები დრო იქნება საჭირო საქონლის გასაყიდად, მით მეტი ფული ექნება საწარმოს საკუთარი ვალდებულებების დასაფარავად. ასევე, ნაკლებად იქნება საჭირო სასაწყობო, სადამზღვევო და სხვა მსგავსი ხარჯების განწევა და ალბათობა იმისა, რომ საქონელი მოძველდება და ნაკლებად მიმზიდველი გახდება კლიენტებისათვის, მინიმუმამდე იქნება შემცირებული.

გადახდისუნარიანობის ანალიზი აფასებს საწარმოს სამომავლო ფინანსურ სტაბილურობას მისი შესაძლებლობების შესწავლით, თუ როგორ გადაიხდის იგი გრძელვადიან დავალიანებებს. კომპანიის გადახდისუნარიანობით დაინტერესებულნი არიან როგორც ინვესტორები, ასევე კრედიტორებიც. ინვესტორებს სურთ დარწმუნდნენ, რომ საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია და აქვს მომავალში კიდევ უფრო განვითარების, მოგების გენერირების, დივიდენდების გაცემისა და ჩადებული ინვესტიციების უკან დაბრუნების შესაძლებლობები; კრედიტორებს კი აინტერესებთ მათი კრედიტების ამოღება საკმარისი შემოსავლების გენერირებით. ქვემოთ მოცემულია გადახდისუნარიანობის ოთხი კოეფიციენტი.

### ვალდებულებებისა და სააქციო კაპიტალის თანაფარდობა (RATIO OF LIABILITIES TO STOCKHOLDERS' EQUITY)

რას აფასებს იგი: კომპანიის შესაძლებლობას, რომ გადაუხადოს სესხი კრედიტორებს

$$\frac{\text{სულ ვალდებულებები}}{\text{სულ სააქციო კაპიტალი}} = \frac{1,275,000}{2,675,000} = 0,5$$

საწარმო "ციცინათელა"  
ბალანსის ფრაგმენტი (ფე)  
2018-2019 წწ

2019

ვალდებულებები/Liabilities	
<b>მიმდინარე ვალდებულებები / Current liabilities:</b>	
კრედიტორული დავალიანება / Accounts payable	120,000
გადასახდელი ხელფასები / Salaries payable	244,000
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები/ Total current liabilities</b>	<b>364,000</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები / Long-term liabilities:</b>	
გრძელვადიანი (იპოთეკური) სესხი/Mortgage note payable	83,000
ობლიგაციები/Bonds payable	828,000
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები / Total long-term liabilities</b>	<b>911,000</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>1,275,000</b>
<b>სააქციო კაპიტალი</b>	
პრივილეგირებული აქციები / Preferred 1.50 stock, 20 par	166,000
ჩვეულებრივი აქციები 10 par	83,000
გაუნაწილებელი მოგება / Retained earnings	2,426,000
<b>სულ სააქციო კაპიტალი / Total stockholders' equity</b>	<b>2,675,000</b>
<b>სულ ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი / Total liabilities and stockholders' equity</b>	<b>3,950,000</b>

განმარტება: ხელსაყრელი და არახელსაყრელი შედეგები დამოკიდებულია საწარმოს მენეჯმენტის მიერ დავალიანების მიმართ ტოლერანტობის/ლოიალობის დონეზე.

აქტივების შეძენა ხდება დაინტერესებულ მხარეთა მიერ ინვესტიციების ჩადების გზით ან სხვა მხარეებისაგან სესხის მიღებით. საწარმოებს, რომლებიც უფრო მგრძობიარე არიან სესხის მიმართ, ურჩევნიათ, რომ ეს თანაფარდობა დაბალი იყოს. ის საწარმოები კი, რომლებიც ამტობინებენ „სხვისი ფულის“ გამოყენებას აქტივების დასაფინანსებლად, მაღალ თანაფარდობას დაუჭერენ მხარს. ამ მაგალითში კომპანიის ვალი მისი სააქციო კაპიტალის დაახლოებით ნახევარს შეადგენს.

აქტივების დაახლოებით 1/3 იფარება ნასესხები/მოზიდული თანხებით, რაც დაბალ ფინანსურ რისკებზე მიუთითებს.

**ძირითადი საშუალებებისა და გრძელვადიანი ვალდებულებების  
თანაფარდობა (RATIO OF FIXED ASSETS TO LONG-TERM LIABILITIES)**

რას აფასებს იგი: შემოსავლების გენერირების მიზნით გრძელვადიანი ვალდებულებებით დაფინანსებულ ინვესტიციებს ძირითად საშუალებებში, რომლებიც შემდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამ გრძელვადიანი ვალდებულებების დასაფარავად.

$$\text{განგარიშება: } \frac{\text{ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება}}{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}} = \frac{1,093,000}{911,000} = 1,2$$

საწარმო "ციცინათელა"  
ბალანსის ფრაგმენტი (ფე)  
2019 წელი

საწარმო "ციცინათელა"  
ბალანსის ფრაგმენტი (ფე)  
2019 წელი

2019	
აქტივები/Assets	
ძირითადი საშუალებები / Property, plant and equipment:	
აღჭურვილობა (დაგროვილი ცვეთის გამოკლებით) Equipment (net of accumulated depreciation)	87,000
შენობა (დაგროვილი ცვეთის გამოკლებით) / Building (net of accumulated depreciation)	645,000
მიწა / Land	361,000
<b>სულ ძირითადი საშუალებები/ Total property, plant and equipment</b>	<b>1,093,000</b>

2019	
ვალდებულებები	
გრძელვადიანი პასივები / Long-term liabilities:	
გრძელვადიანი (იპოთეკური) სესხი / Mortgage note payable	83,000
გადასახდელი ობლიგაციები / Bonds payable	828,000
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები / Total long-term liabilities</b>	<b>911,000</b>

განმარტება: რაც მაღალია კოეფიციენტი, მით უკეთესია.

რაც მეტი ინვესტიციაა ჩადებული ძირითად საშუალებებში, რომლებიც ფინანსდება გრძელვადიანი ვალდებულებებით, მით მეტი პოტენციური გააჩნია საწარმოს საქმიანობის ნაყოფიერად წარმართვისა და დავალიანების დაფარვისათვის საკმარისი ფულადი სახსრების გენერირებისათვის.

რენტაბელობის ანალიზი აფასებს საწარმოს საოპერაციო შესაძლებლობებს, რომ დროის მოცემულ პერიოდში მოახდინოს შემოსავლების გენერირება მათთან დაკავშირებულ ხარჯებზე უფრო მაღალი ოდენობით. რენტაბელობა აფასებს საწარმოს მოგების მიღების უნარს რესურსების ერთეულზე დროის მოცემულ პერიოდში, ანუ წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას.

## აქტივების ბრუნვა (ASSET TURNOVER)

რას აფასებს იგი: რამდენად ეფექტიანად იყენებს კომპანია თავის აქტივებს შემოსავლების გენერირებისათვის და ახასიათებს, რამდენი ფე-ის შემოსავალია მიღებული ყოველ ერთ ფე-ის აქტივზე.

$$\text{განგარიშება: } \frac{\text{გაყიდვები}}{\text{შთლიანი აქტივები საშუალო (გრძელვადიანი ინვესტიციების გამოკლებით)}} = \frac{994,000}{(3,950,000 - 1,946,000 + 3,606,000 - 1,822,000) / 2} = 52.5$$

გრძელვადიანი ინვესტიციები კალკულაციაში არ შეიტანება, რადგან ისინი არ წარმოადგენენ პროდუქტიულ აქტივებს.

სანარმო "ციცინათელა"  
მოგება-ზარალის ანგარიშების ფრაგმენტი  
(ფე)  
2018-2019 წწ.

სანარმო "ციცინათელა"  
ბალანსის ფრაგმენტი (ფე)  
2018-2019 წწ.

	2019	2018
ამონაგები საქონლის რელიზაციიდან/ Sales	994,000	828,000
რელიზებული საქონლის ღირებულება /Cost of merchandise sold	414,000	393,000
საერთო მოგება / Gross Profit	580,000	435,000

	2019	2018
აქტივები/Assets		
სულ მიმდინარე აქტივები / Total current assets	911,000	800,000
გრძელვადიანი ინვესტიციები / Long-term investments:		
ინვესტიციები სააქციო ფასიან ქალაქებში / Investment in equity securities	1,946,000	1,822,000
ძირითადი საშუალებები / Property, plant and equipment:		
სულ ძირითადი საშუალებები Total property, plant and equipment	1,093,000	984,000
სულ აქტივები / Total assets	3,950,000	3,606,000

განმარტება: რაც მაღალია კოეფიციენტი, მით უკეთესია.

ეს კოეფიციენტი (თანაფარდობა) ითვალისწინებს კომპანიის უმეტესი აქტივების ღირებულებას და მიანიშნებს, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ეს აქტივები გაყიდვების დროს. აქტივების ფლობის მიზანია შემოსავლების გენერირება, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს ფულადი სახსრების ზრდასა და მოგებას.

## მთლიანი აქტივების რენტაბელობა (RETURN ON TOTAL ASSETS)

რას აფასებს იგი: რამდენად ეფექტიანად იყენებს კომპანია საკუთარ აქტივებს მოგების მისაღებად.

$$\text{განგარიშება: } \frac{\text{წმინდა შემოსავალი+საპროცენტო ხარჯი}}{\text{მთლიანი აქტივების საშუალო სიდიდე}} = \frac{248,000 + 55,000}{(3,950,000 + 3,606,000) / 2} = 8.0\%$$

საპროცენტო ხარჯი ეხება დაფინანსებულ აქტივებს, ამიტომ იგი ემატება მოგებას, რადგან მათი გადახდის მეთოდს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

სანარმო „ციცინათელა“  
ბალანსის ფრაგმენტი (ფე)  
2018-2019 წწ.

სანარმო „ციცინათელა“  
ბალანსის ფრაგმენტი (ფე)  
2018-2019 წწ.

2019

სხვა შემოსავლები და ხარჯები / Other revenue and expenses	
